


# კორილი



გათუი

6

2019



აჭარის მხარეთმცოდნეობის ცენტრი

ISSN 0134-3459 19006

9 770134 345001

# ჭოროხი

გამოცემის 61-ე წელი

ნოემბერი-დეკემბერი

№6

2019 წელი

სალიტერატურო-სამხატვრო და საზოგადოებრივი ჟურნალი

მთავარი რედაქტორი  
**სანდრო გერიძე**

სარედაქციო კოლეგია  
**როინ აბუსელიძე**  
**ცისანა ანთაძე**  
**გენრი დოლიძე**  
**შოთა ზოიძე**  
**დავით თაღორაძე**  
**ლალი კონცელიძე**  
**გურანდა ნიჭარაძე**  
**რამაზ სურმანიძე**  
**ჯემალ სურმანიძე**  
**ბელა ქეზურია**  
**ვახტანგ ლლონტი**  
**თინა შიოშვილი**  
**მაია ჯაფარიძე**

ტექნიკური რედაქტორი და  
კომპიუტერული უზრუნველყოფა  
**მალხაზ ფალავა**

ოპერატორი  
**მარიკა ლაშხია**

დაარსებულია 1958 წელს  
გამოდის ორ თვეში ერთხელ

ISSN 0134-3459

© „ჭოროხი“, 2019

რედაქციის მისამართი:  
6009, ბათუმი, მელიქიშვილის ქ. №21  
ტელ.: (422) 27-15-30

გამომცემელი  
ა(ა)იპ აჭარის მწერალთა სახლი



აჭარის მწერალთა სახლი

ჟურნალი დაიბეჭდა  
შპს „კოლორ პრესში“.  
თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №20



9 770134 345001

## ავტორთა საყურადღებოდ:

რედაქციაში ელექტრონული სახით შემოსული ნაწარმოებები აწყობილი უნდა იყოს შრიფტით Sylfaen, 12 pt. (კოდირება: უნიკოდი (UTF-8)); რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

## შინაარსი

### ჯონია, ჯიონა

როინ აბუსალიძე – ლექსები .....	3
შორენა დოლიძე – მოთხრობები .....	13
ზაინაზ მატრეველი – ლექსები .....	19
გიგა ორაგველიძე – ლექსები .....	23
თამარ მამისაიშვილი – ლექსები .....	27

### თინათინი

ფრიტიოზ ნანსანი – ნიგნიდან „სომხეთი და ახლო აღმოსავლეთი“ (მთარგმნელი მირიან რჩეულიშვილი) .....	31
---	----

### კოხჩაიშვილის წახანაჯი

მამია ფალავა – ექსპედიციის დღიურები (დასასრული) .....	61
---	----

### ფოლკლორი

თინა შიოშვილი, მანია ჯაფარიძე – ლეგენდა ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების ფოლკლორში .....	92
--	----

### ჯიონია

რამაზ სურმანიძე, შაქრო ჩიკვაძე – ვითარება სულ სხვაგვარია .....	108
--	-----

### წილილი

ანზორ ლორთქიფანიძე – სიტყვა დარე და ტოპონიმი დარიალი .....	114
ნათია მახარაძე – პუბლიცისტური ტექსტის სათაურთა სტრუქტურა XIX საუკუნის ქართულენოვან პრესაში .....	117

# ქონია, ჩიოდა



## როინ აბუსადიძე

### ქონის და სარკის იბბვი

„არარსებული სოფლისაკენ მიჰყავს ფაეტონს“.

ო. ჭილაძე

(ის შევა ქონში, სადაც ერთი მყიფე სარკვა,  
ქონში რეალურს ემიჯნება ძველი იგავი:  
უნდა ჩახედო სარკეს გულში, რომ გაარკვიო,  
როგორ იყავი, სად იყავი ან ვინ იყავი).

შემდეგ ლექსებიც გარემოსფერ ნიღბებს ირგებენ,  
ჰო, პოეზიაც აღარ დარჩა ნაღდი, არიეს,  
სთვლემდა პოეტი წინა ღამის ნამორიგევი,  
რომ ვერ დაუსხლტა ენის კაუჭს, ენის ბარიერს.

ვერ აითვისა უცხო სიტყვის ზუსტი აქცენტი  
და წყლიან თვალეებს მთვარეების ბილბორდებს აკრავს,  
მსუყე ჯამაგირს, რომ ჰყოფნოდა შეეძლო მაგრამ...  
ბინა, სიმშვიდე, სამსახური არ აქვს არც ერთი.

(უყურებს სარკეს ის აჩვენებს თითქოს ბოლო დღის  
ამბებს, ამინდებს, ისტორიას, ტკივილს გახედნილს,  
უყურებს სარკეს და ამშვიდებს პოეტს მხოლოდღა,  
რომ გრამითაც არ ეშინია მასში ჩახედვის.)

ადრე დაიწყო უსასრულო სევდის კანტატა,  
დღეს მის თვალეებში ძველ იმედებს ვინღა იპოვნის?!  
მას ხომ უბრალოდ ცელქი გოგო შეუყვარდა და  
გულუბრყვილობით დაიკიდა ფეხზე დიპლომი...

და შერჩა მხოლოდ ერთი ცალი სულის მაიკა  
და მოგზაურობს პლანეტაზე ფიქრის ჩემოდნით  
და ფიქრობს ყველა სულელია ვინც კი my god-ს,  
ვერ გამოხატავს მშობლიური – ღმერთო ჩემოთი.

მაგრამ ხანდახან ხმაურს იწყებს მისი ამბოხიც,  
ვერ ეგუება ამდენ ნათევს, ნათმენს, ნაჭვარტლევს,  
ის ეძებს იმედს ლექსის მიღმა, მიღმა ამ ქოხის...  
სადაც დატოვა „შორეული ცის სილაჟვარდე“.

(ეს ქოხი ადრე დიდი იყო, თვალეზრაცვინილ  
და გამწარებულ ღმერთს იტევდა, ზრდიდა, მალავდა,  
მაგრამ იმდენად დაიღალა ქოხი ჯვარცმებით,  
კი არ განეევრო, შემცირდა და დაპატარავდა.)

სარკე კი ჰყვება გასულ ამბებს, სარკე მხნედ არი  
ირგვლივ მრავალი სიკვდილია, ცრემლი, ასე რომ –  
თუ კი არსებობს ამ სოფელში ერთი ცხედარიც,  
ეჭვგარეშეა იმ სოფელმაც რომ იარსებოს.

იწყება თოვლი, მობუზულან გარეთ ხუნდები,  
დაჰყურებს მინის უძრაობას შურით მდარე ცა,  
იგი გამოვა ამ ქოხიდან თუმც შებრუნდება,  
შებრუნდება და

.  
. .

სარკეს დაღეწავს.

## ხბრპი

ასეთ ცხოვრებას, მე სამოთხეს არ დავარქმევდი,  
ალბათ, წინასწარ რომ ვერ ვჭვრეტდე მძიმე ეპოქას,  
ბევრი თუ არა ეს მცირედი მინის ნაკვეთი,  
ერთ ვაშლის ხეს და ჩვენს პატარა ერთ შვილს ეყოფა.  
შემდეგ კი ოფელში მოზელილი პურის ცომივით,  
მოგიტან სიზმრებს, შეპირებულ მინდვრის ლიანებს,  
შენ კი იქნები ჩემს ნეკნებთან წამოწოლილი  
და მეორე შვილს შობის დილით იმშობიარებ.  
ასე წამოვალთ სამოთხიდან, მკვიდრნი სამოთხის,  
უკან დაგვრჩება ვაშლის ხე და ზეცის დიდება,

გზადაგზა ცოდვებს შვილებივით თითზე ჩამოთვლი  
და მზე სახეზე სირცხვილივით მოგეკიდება.  
სირცხვილის მზეებს მოვიფერთხავთ ისევ გზადაგზა,  
მიჩვეულ ნაყოფს მომანოდებ მშრალი ხელებით,  
შემდეგ გავცდებით დედამიწას, წარსულს, ათასგვარ  
ლოცვებს, პლანეტებს, გამოგონილ სისულელეებს.  
მოხდება წარღვნაც, საუკუნის უამინდობა,  
უარს ვერ მეტყვი შენს ადამს და ცამდე მინდობილს,  
როდესაც შვილებს გავაყოლებთ ნოეს კიდობანს,  
ხოლო მე და შენ მარტო წავალთ ჩვენი კიდობნით.  
ერთ ვაშლის ხეს და ჩვენს პატარა ერთ შვილს ეყოფა,  
ბევრი თუ არა – ეს მცირედი მიწის ნაკვეთი,  
აღბათ, წინასწარ, რომ ვერ ვჭვრეტდე მძიმე ეპოქას,  
ასეთ ცხოვრებას მე სამოთხეს არ დავარქმევდი.

\* \* \*

მე, დედამიწაზე ყველაზე მარტო ვარ!  
და როგორ შემძულდა ეს სიტყვაც – „საშველი“  
და ვითვლი საათებს სხეულმაც დამტოვოს,  
სული ამ თიხიდან მაქვს გამოსაშვები.  
ვერ მივხვდი, თუ როდის ვიქეცი ასეთად,  
მე, დედამიწაზე ყველაზე მარტო ვარ!  
ვინც ფიქრობს ჩემს გვერდით იდგა და მავსებდა,  
ეს სიცარიელეც მან გამიფართოვა.  
და მეც რომ გაფრენა... ჰო, არ შემძლია,  
ამაზე ნაკლებად ვღელავ და ვღელავდი,  
ისედაც იცოდნენ და ყველამ იციან  
რომ კაეშანში ვარ ჩაფლული ყელამდი.  
მეტირა? ვისთვის ან რაღასთვის მეტირა?  
წლებია რაც ჩანვა ეს უამინდობა,  
მე ხომ სიცოცხლეზე ცოტათი მეტი და  
სიკვდილზე ცოტათი ნაკლები მინდოდა.  
და ამ ბრწყინვალეების აბსურდულ შუალედს,  
ვერ ვაგნებ, არც არის! იქნებ არც არსებობს,  
საკუთარ თავს ბევრჯერ წრე შემოუარე,  
ჰო, შენ, ჩემო თავო! ამჯერად ასეთო...  
სული ამ თიხიდან მაქვს გამოსაშვები,  
სანამდის სულ ბოლო ზამთარმა დამთოვა  
და როგორ შემძულდა, ეს სიტყვაც „საშველი“,  
მე, დედამიწაზე, ყველაზე მარტო ვარ!

## წინაპირობა

## საბას

ჩვენ შეგვიძლია საათობით ვიდგეთ  
საკუთარ თავზე მაღლა,  
თუმც ცხოვრება ქვიშის საათია მამ.  
ამ საათის ორი ნახევარი ვართ მე და შენ.  
ამჯერად მე ზედა, შენ ქვედა და ივსები –  
ჩემით, წინაპრებით, სიცოცხლით. ასეა,  
დრო გადის, წამზომია ჩართული.

ცხოვრება ქვიშის საათია მამ.  
ამ საათის ორი ნახევარი ვართ შენ და მე.  
ამჯერად შენ ქვედა, მე ზედა და ვიცლები –  
სისხლით, მამაჩემით, სიცოცხლით. ასეა,  
ყველაფერი ბრუნავს და ტრიალებს,  
ყველაფერი იცვლება ერთგვარად.

ჩვენ ხომ უფალიც ჩვენს ფიქრებში გამოვიგონეთ  
და მორწმუნენი ერთმანეთის გამო ვიყავით.  
მამ. ეს ტალღები შენ ნაპირზე ამ ცხელ სტრიქონებს  
ერთ დღესაც მკვდარი თევზებივით გამორიყავენ.

იდგება დილა, მისი შარმით, მისი ლოცვებით,  
დატბორავს წვიმა ყველა ანდერძს, ყველა პასიანსს,  
ადრე ვიბრძოდით, რომ სიკვდილის შემდეგ გვეცოცხლა,  
ახლა არ ვიბრძვით, მაგრამ გწამდეს ისევ ასეა...

და შენ მომძებნი სიბნელეში ხელის ცეცებით,  
შემდეგ მიხვდები თუ როგორი მძიმე წლებია,  
მოხვალ და ხელით ნაგროვები მკვდარი თევზები,  
თაროზე ნაპოვნ ლექსებივით გაცოცხლდებიან.

ჩემს გასვენებაზე კი  
შენ ქვიშის საათის (ამჯერად) ზედა მხარე და დაცლილი,  
დამხედავ მე, ქვიშის საათის (ამჯერად) ქვედა მხარეს და სავსეს,  
რომელსაც ექნება საფლავის ფორმა და  
ხალხმრავლობის გამო ტირილს შეიკავებ,  
როგორც მე, მამაჩემის დასაფლავებისას.

\* \* \*

ხავსმოკიდებული სიმღერა გამახსენდა,  
შენს ეზოს რომ ჩავუარე ამ დილით,  
ახლა მომავალი აბსურდია, არ არსებობს,  
მხოლოდ წარსულია ნამდვილი.

მაღალი შენობები, გალავნები, სახლები,  
საიდან მოისხით სეზონებო?  
იცი, შენს ბავშვობას, მუხლებგადაყვლეფილს,  
კვლავ ვეძებ, სიყვარულო, ეზო-ეზო.

ჩამქრალი კოცონები, ბებერი მეგობრები,  
მხვდებიან ამ ქუჩაზე მალი-მალ,  
ვილაცას უთუოდ პოეტი ვეგონები,  
ახლა იმნაირად მთვრალი ვარ  
და ყურში ზარივით მიწკრიალებს  
ათობით  
ლექსი და განცდა და მუსიკა,  
ნეტა დღეს ვის სარეცელს იყოფ და ათბობ და  
ვის აკვანს არნევ და უზიხარ?!

ის სიტკბოგასული სიტყვები მომყვებიან  
გულის გალენილი ფიცარიც,  
შენთან, შენთან მომაქვს, ლოთს და ბოჰემიანს.  
ვაი თუ, ვაი თუ ვერ მიცანი.

როგორ მიყურებდი ფანჯრიდან, გამახსენდა  
წვიმები, რომ წვიმდნენ წყვეტილად,  
ცამდე მენატრები თვალეზლამაზებავ,  
ღმერთივით სანდოვ და კეთილო.

გავივლი ამ ქუჩებს, ამ სახლებს, ამ აღმართებს,  
დავიპნევი იდუმალ ზრახვებად,  
და ერთხელ, ამ ერთხელაც უშენოდ დავალამებ  
და ძილში წყევლასავით ჩამყვება:

„მივდიოდით მხარდამხარ  
და დრო გვეუარესა,  
ან არ ვიცი სადა ხარ  
და რომელსა მხარესა“.



## პატიმრის დიალოგი სარბოსთან

ეს დედაშენის თვალებია, ჰო, დედაშენის,  
შენი ჯებირი, შენი ზღუდე, მყიფე სადავე,  
იმდენი ცრემლით, დარდითა და ფიქრით ნაშენი,  
ქარებს კი არა, ქარის ხმას არ გამოატარებს.  
წევხარ და ფანჯრებს ემიჯნება მოძრავი ქუჩა,  
რჩებიან უკან გამოვლილი სიტყვები, წლები,  
ზის დედაშენი სასთუმალთან და ისე ბლუჯავს  
შენს თმებს, რომ ბოლო დღეებია თმებიდან თბები.  
რთულია ყველა ჩაძინება, რომ დაიოკო,  
დედასაც ჩასთვლემს უსათუოდ ერთ-ერთი დილით  
და შეგეძლება სწორედ მაშინ უჩუმრად მოკვდე,  
რადგანაც სუნთქვამ არ დაუფრთხოს მშფოთვარე ძილი.

ეს მამაშენის თვალებია, ასე ერთგვარად  
გამოზომილი, ნისლიანი, მკრთალი და ფიცხი,  
რომელიც შენი შუბლის სიცხით ისე შემთბარა,  
ავადმყოფობას გავიწყებს და გინდა რომ იცხო  
მისი მირონი, მისი თვალის მირონი, სიცხე  
მთელი კვირაა არ ჩამოდის არაფრით დაბლა,  
თითქოს დამთავრდე შეგიძლია, მაგრამ არ იწყებ  
სიკვდილს, რადგანაც გენანება უბრალოდ ჩაფლა  
მამის თვალებში შენი გვამი და საწყენია  
წასვლა, რადგანაც ვერ ელევით ამგვარ სინმინდეს,  
უცქერ მის სახეს და სიკვდილი ისე გრცხვენია,  
რომ კი არ კვდები, გახელილი თვალთ იძინებ.

ეს შენი ცოლის თვალებია, როგორ ფეთქავდნენ  
ცვრებით, იებით... დიდი ხნის და ლექსების წინათ,  
ახლა კი მხოლოდ სიბრალულით გამოგხედავენ  
და რა ხანია მათში ვნების ცერბერებს სძინავთ.  
ცოტაა ძველი სიყვარული, გრძნობებიც ცოტა,  
მის თვალებში ხომ გამოვლილი წლებიც არა ჩანს,  
მხრებზე მოუსხამს რა ხანია ქვრივის ფარაჯა  
და რა ხანია შენთან მხოლოდ სიზმრებში სცოდავს.

ეს შენი შვილის თვალებია, დახუნძლულები,  
სილადით, სევდით, უშენობით, ქვეყნის ამბებით,  
ეუბნებიან თუ როგორ გგავს სახით, ბუნებით,  
მაგრამ თქვენს შორის უფსკრულია და დარაბები,

ვერ მოასწარი თუნდაც ერთი ზღაპარი გეთქვა,  
შენი ბავშვობის მზერა დააქვს მკაცრი და ხისტი,  
უცქერ და გრძნობ, რომ ის ყველაზე ახლოა შენთან,  
გიცქერს და გრძნობ, რომ შენ ყველაზე უცხო ხარ მისთვის.

ხოლო ეს შენი თვალებია, ცივი და ურჩი,  
სხეულის მიღმა მზირალი და თმენით დაღლილი,  
ისე მარტო ხარ საკუთარი ჩრდილიც არ შეგჩნა,  
უკან რომ გსდევდა მთვარის შუქზე ერთგულ ძაღლივით,  
ეს საკანია, როგორც კუბო, ხოლო ეს ღმერთი,  
რომელიც ბედმა რა ხანია შენგან გარიყა,  
ხოლო ეს ლექსი სულ ბოლოა, სიმწრით რომ წერდი,  
ეს კი ნამება! – შენ ქართველი პატიმარი ხარ!...  
და სულ იმაზე ოცნებობდი – ნეტა გაეშვი  
სიკვდილს ოჯახთან, შეგძლებოდა სიცოცხლის განსჯა,  
მაგრამ შენ მოგკლეს სიკვდილამდე – ხოლო თვალებში,  
ღია თვალებშიც დახურული გისოსი დაგრჩა...

## დუელი

დროა ოლივერ,  
ეს დუელი ამ ღამით შედგეს,  
დროა ოლივერ,  
თორემ შიგნით იმდენად დათბა,  
ვაშუქებ ლექსებს საკუთარი  
წარსულის რენტგენს  
და სტრიქონები სასულეში  
რჩებიან ასთმად.  
დროა ოლივერ,  
მოგიხადო ბოდიში რახან,  
მე მოგიტანე ეს ტკივილი,  
სიცრუე, ჭორი,  
წვიმით ევსება  
დედამიწას ცისფერი ხახა,  
ჩვენ კი კვლავ ვდგავართ  
ერთმანეთს და ერთმანეთს შორის,  
რადგან ჩვენ ორნი ერთი ვართ და  
ვიყავით ასე,  
გამოგონილი რომელი ვართ  
ვკამათობთ ხშირად,  
ვითვლით ნაოჭებს, არტერიებს,

განყვეტილ ხაზებს  
 და ხელის გულზე იკვეთება  
 აღდგომის კვირა...  
 დროა ოლივერ, ვაპატიოთ  
 სულ ყველას რაც კი  
 აქამდე გვახსოვს,  
 შემსუბუქდეს ტკივილიც ცოტა,  
 სარკეში ჩანს, რომ პირჯვარს ვინერთ  
 მარცხნიდან მარჯვნივ,  
 ჩვენ კი პირიქით ვაკეთებ და  
 ერთ-ერთი ვცოდავთ,  
 ჩემო ოლივერ!...  
 და ამიტომ შევუნდოთ ყველას,  
 თორემ დუელი შედგება და  
 შედგება უმალ,  
 მაგრამ ჩვენ ერთი თუ გადავრჩით  
 ცოცხალი მხოლოდ,  
 მაშინ მეორე რა სინდისით  
 აუხსნის უფალს,  
 რომ... რომ... რომ...  
 დროა! –  
 ეს დუელი ამ ღამით შედგეს,  
 დროა ოლივერ,  
 თორემ შიგნით იმდენად დათბა,  
 ვაშუქებ ლექსებს –  
 საკუთარი წარსულის რენტგენს,  
 სტრიქონები კი სასულეში  
 მრჩებიან ასთმად...

### ეპისტოლარული წრე

სიტყვა...  
 ეს სიტყვა, ეს წერილი,  
 მთვარის გარეშე  
 უსუსურია, ღამის შუქთან,  
 დილის ბინდთანაც,  
 იცი პოეტი დაიბადა თურმე მთვარეში  
 და ღმერთმა ცაზე ამის შემდეგ გამოიტანა  
 მთვარე...  
 შედეგი სიკვდილია, გადარჩენა კი  
 აღარ არსებობს (ამოიგდო უნდა თავიდან),

გრჩება სხეული – შენი სულის მყუდრო სენაკი,  
 მორჩილიც შენ ხარ, ბერიც შენ ხარ და ვინაიდან  
 გინდა რომ მოყვე თუ რა არის მცირე მიზეზი,  
 იმისა რითიც დასრულდება ეს ვრცელი ღამე:

რადგანაც ჩემში უფრო მეტია პოეზია, ვიდრე ღმერთი,  
 რადგანაც ღმერთში უფრო მეტია ჯვარცმა, ვიდრე ხსნა,  
 რადგანაც ხსნაში უფრო მეტია დაყვედრება ვიდრე მადლი,  
 რადგანაც მადლში უფრო მეტია სარგებელი ვიდრე სიკეთე,  
 რადგანაც სიკეთეში უფრო მეტია ნაკლი ვიდრე სრულყოფილება,  
 რადგანაც სრულყოფილებაში უფრო მეტია პლანეტა, ვიდრე ოთახი,  
 რადგანაც ოთახში უფრო ნაკლებია სიყვარული, ვიდრე ძილი,  
 რადგანაც ძილში უფრო მეტია უძილობა, ვიდრე სიზმარი,  
 რადგანაც სიზმარში უფრო მეტია კომმარი, ვიდრე შენ,  
 რადგანაც „რადგანაცში“ უფრო მეტია სისულელე, ვიდრე ლექსი,  
 რადგანაც ლექსში უფრო მეტია პროზა, ვიდრე პოეზია,  
 რადგანაც პოეზიაში უფრო მეტია ღმერთი, ვიდრე მე,  
 აქედან გამომდინარე ვამბობ, –

მე თუ აღარ ვნერ, ეს იმდენად არაფერს ნიშნავს,  
 რამეთუ პარნასს ვერ ვუპოვე თავი და ბოლო,  
 მრავლად ჩამოვთვლი იმათ ვინაც ბაგაში იშვა,  
 მაგრამ უფალი – ერთი იყო მხოლოდ და მხოლოდ.

მე თუ აღარ ვნერ, ეს უბრალოდ არ უნდა იქცეს  
 სალაპარაკოდ, ან ტკივილად მკერდის არეში,  
 მე მუდამ მზად ვარ ჩემი ხორცი ჯვარცმას რომ მივცე,  
 რადგან აღდგომა არ არსებობს ჯვარცმის გარეშე...

მე თუ აღარ ვნერ, ეს არაფერს არ შეცვლის,  
 მაგრამ ფიქრებშიც უნდა მოვარდვიო ყველა ჯებირი,  
 პოეტი ჩემში დიდი ხნის წინ იყო და გაქრა,  
 პირველი შვილის სულ პირველი ბატონებივით,

თუმც უნებურად... ისე მოხდა როგორც გენადა,  
 და ამ წერილით მოგილოცავ მორიგ ახალ წელს,  
 მე შენ მიყვარხარ! დამიჯერე, უფრო მეტადაც,  
 ვიდრე უნინ და... რა აზრი აქვს დღეს თუ აღარ ვნერ?

ღმერთო!...

\* \* \*

მე მოვედი და გითხარი რომ  
 ომში მივდივარ!  
 სწორედ წინა დღით  
 დაგითანხმე ცოლობაზე და დღეს ეს...  
 გავცვალეთ ფოტოსურათები, იმედები და  
 კეფაზე ტყვიასავით მომხვდა „მიყვარხარ“.  
 მე გავიფიქრე, რატომ ხდება ასე ყოველთვის,  
 რატომ გმორდები სწორედ მაშინ, როცა მთანხმდები.  
 – ჰო, ეს ომია, საკუთარ თავში დაწყებული  
 ხანგრძლივი ომი,  
 სადაც არ მკლავენ!  
 საიდანაც მუდამ ებრუნდები!  
 მერე მოვდივარ, გპირდები და ისევ იგივე,  
 ოსპის მარცვლებს დაემსგავსნენ შენი თვალები,  
 ჰა, ჰა, საცაა ჩაქრებიან,  
 ცრემლი აღარ გაქვს,  
 სიყვარულიც დაშრება მალე.  
 მე მოვედი და გითხარი რომ ომში მივდივარ,  
 სწორედ წინა დღით  
 დაგითანხმე ცოლობაზე და დღეს  
 მოგკალი!...

\* \* \*

გეტყვი ერთგვარად ამოუცნობს და განუჭვრეტელს,  
 ჯერ არმოგონილ სტიქიასთან ასე ფარდობითს,  
 ძალგის რომ სრულად დამიბზორო ყველა უჯრედი  
 და შემოღობო ჩემი სული როგორც ფართობი,  
 რაზეც ღამ-ღამე უსაძირკვლო ლექსებს ვაშენებ  
 და მაგონდება ვერცხლის ღელე, თეთრი მერცხლები,  
 ჩვენი ბავშვობა ფოთლისფერი მინდვრის გარშემო,  
 ღამის კოცონი, ადუღება სისხლის – ცეცხლივით...  
 ჭინჭრის ზამთარი, ჩაყოლილი თოვათა მარხილს,  
 მეზობლის ბალღი ფეხშიშველა, სველი ბარტყები,  
 დილა – მშვიდობით, დღე – იმედით, სოფელი – ხალხით,  
 სხვენი – ხორავით, მე – შენით და ცა – ცისარტყელით.



## სახეები

ზღვა ჭოროხს აქეთ ამღვრეულია და უზარმაზარი ტალღები ეხეთქებიან ნაპირს. მარილიანი წყლის სუნი დგას. ეს ერთადერთი ადგილია დედამიწაზე, სადაც იცხოვრებ სიცოცხლის ბოლომდე რამოდენიმე სტიქიასთან: ჭოროხის, შავი ზღვის, ხმელეთისა და ქარების შესაყართან.

დილის რიბი-რაბო კარგა ხნის გადავლილია და უკვე აისი დგება, ჩიტები ჟღურტულენ. საშოვარზე, საარსებოს მოსაპოვებლად მიფრინავენ. აქვე, ამ ამღვრეულ და ხმაურიან სივრცეში, სადაც ყველა და ყველაფერი მოძრაობს და ხმას გამოსცემს, გზის დასასრულის ფერდობსა და ჭოროხს შორის ჩამყაყებული წყალი დგას. ლამის ფეხებთან ყანჩა ამიფრინდა... ან წერო. სრულიად მდორე, მწვანე წყლიდან რალაც ამოათრია და მდინარის შუაგულში ამოზრდილ ბორცვზე ლელქაშში ჩაფრინდა. გზაზე ვდგავარ. უფრო სწორად გზის დასასრულთან, სადაც სავტომობილო გზის ცალი მხრიდან მეორე, საპირისპირო მხარეზე მოხვევა შეიძლება მხოლოდ. გზის ქვემოთ კარგა მაღალი ფერდობია. მიჭირს ჩასვლა. თან, პერიოდულად საშინელი სიმყრალის სუნი მოაქვს ქარს. იქვე სამშენებლო ნაგავი ყრია, ხოლო, ასე ორ კილომეტრში ქალაქის ნაგავსაყრელი ჩანს... ჩვენს შორის გადამფრენი ფრინველების სამოთხეა გადაშლილი. ამას ნავავთან არანაირი კავშირი არა აქვს თითქოს. ეს არის ჭოროხის აუზის მნიშვნელოვანი მონაკვეთი, სადაც მილიონობით გადამფრენი ფრინველი სულს იბრუნებს.

ძალიან ახლოს ქალაქი ლაფავს სულს. დგახარ შენი ოცნების ადგილას და ცდილობ წარმო-

იდგინო პანანინა სახლი გზის ბოლოს, სადაც ბედნიერი იქნები. კოჭობებზე შემოსკუპებული გურულ-აჭარული ოდის უზარმაზარი აივნიდან ნებისმიერ სალამოს შეგიძლია მზის ჩასვლისა და ჰორიზონტზე ღრუბლების მიერ დადგული პასქვილების ცქერა. როგორია ხოლმე, დასავლეთიდან, მენამული ღრუბლების დემარში, თან დაისია, თან ქარი ღრუბლებს სხვადასხვაგვარი ტონალობით ლებავს და უცნაურ სახეებს, ადამიანური ტრაგედიისათვის დამახასიათებელი ნიღბებით ათამაშებს. ზამთარში აქ სრული სიციფე ტრიალებს, ქარაშოტი, ტალღების ზრიალი...

სამოთხე შენთვის. შარშან ამ საოცნებო და ქალაქელებისათვის უკაცრიელ ადგილას, გოგონა იმსხვერპლა უგუნურმა პილიგრიმმა. ვერავინ მიაგნო მკვლელის კვალს. ზღვამ ჩაყლაპა თუ მიწამ ჩაიტანა... არავინ იცის. ვდგავარ ხელებგაშლილი ამ არანორმალურ სივრცეში და არაფერი არ მინდა. არავინ... ერთხელ ჩემი მეგობარი მახლდა აქ, ზღვასთან მივედით. ძალიან სწრაფი იყო ჭოროხის ჩადინება... ეს ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა იყო. ალბათ ამიტომაც დავარქვი ამ ადგილს გზის დასასრული. კაცი რამ გააქრო დედამიწიდან, ადამიანი? მეგობრის მოძებნა დღევანდელ რეალობაში იოლია. მაგრამ იქ დასრულდა სრულიად არამატერიალური რამ, სრულიად არადათვლადი, სრულიად არაშეფასებადი.

გზას უკან მივყვები.

ვტრიალდები ქალაქისკენ.

სანდასუფთავების სამსახურის თანამშრომლები დილიდანვე შედგომოდნენ ქუჩების დასუფთავებას.

ვბრუნდები.

ჭიშკართან მარგუშა მხვდება. მესალმება და მიღიმის:

– ნახე, ეზო დავალაგე, რამდენი ვიმუშავე, გოგო, და კიდე მეძახიან მარგო ზარმაცია, პურსა ტყუილად ვაჭმევთო.

მეც ვუღიმი მარგოს და ვეხვეწები დაისვენოს, ხელი დაიბანოს და ისაუზმოს. ძალიან გაუხეშებული და ჭუჭყიანი ხელები აქვს. ეზოში გადმოყრილ „ბიჩოკებს“ უხელთათმანო თითებით აგროვებს. ათასჯერ აუხსნეს, დაუშალეს, დაუყვავეს, უყვირეს კიდევ, მაგრამ სულ ერთი და იგივეს იმეორებს, რომ მარგოს არ ეზარება შრომა და ხელსაც დაიბანს. ერთხელ იტირა, საკუთარი, სამოცი-სამოცდაათი წლის წინანდელი ბავშვობა გაიხსენა, დედა რომ პურს არ გაჭმევს და ზედმეტი ხარ ძნელიაო.

– დედა მინდა, გოგო... იყავი რა, ჩემი დედა... და მეხვევა.

ქუჩაში გამვლელის სიყვარული უფრო იოლია, მაგრამ საკუთარი თავისა და საკუთარი მოგონებების, ნაკლებად. აი, რომ გახსენდება, როგორ გძულდა, გრცხვენოდა, გტკიოდა. თუმცა დიდი დროც არ გასულა. არც ის სახეები ნაშლილან. სახეები, ადამიანების თვალები, სუნი და ტანსაცმლის ფერებია ბავშვობა და მასთან დაკავშირებული მოგონებები. ყოველ საღამოს, მარტოობაში, დიდი სარკის წინ, საკუთარ თავთან ნათამაშები პერფორმანსები. სრულიად აღარაფერი დაგრჩა გასაყოფი ცხოვრებასთან, როგორც ქოთანში გამოზრდილ იას. ზემზრუნველობის არტახები მარწმუნებევით გიჭერენ ათას ჩვეულებას, წარმოდგენასა თუ ნორმას და გარკვეული ხნით გკეტავენ და გახვევენ უფიცობისა და უგუნურების საბურველში. ლოგიკურად, განვითარებისვე საპირწონედ უნდა მომხდარიყო სანატრელი დაცემა. დიდი ხანია ელოდებოდი ამას: ნარცისიზმში გამოზრდილი საკუთარი ბუნების კრახს. შენელებულ კადრად ქცეული გარემო იმაზე უფრო ექსპრესიულია, ვიდრე ჩვეულებრივ. მეუღლე გიღრენს, მირჩევნია მლაღატობდე, ვიდრე ასეთს გხედავდეთო. ხვდება: როგორმე უნდა გაძვრე ორმაგი სტან-

დარტების კედლებში, ცხოვრება რომ აგებს საგანგებოდ. ცხოვრება და არა უსუსურობა. ან პირიქით. ვისთან როგორ. იქეთ, სანაგვესთან (პოეტებიც წერენ ხოლმე ამაზე) სიმართლე აგდია შეფუთული, პოსტმოდერნისტთა საკბილოდ. ბრალდებებში ამოგანგლული, ჭუჭყიანი. რა ილუზორულია ეს მდგომარეობა.

ან ის, როცა დგახარ საკუთარ თავთან ერთად, სივრცეს გასცქერი და გგონია აღარაფერი მოძრაობს. გაჩერდა დრო და შეგრძნებებიც ერთ შეგრძნებად ჩამოყალიბდა და გგონია მხოლოდ კანით აღიქვამ, ხედავ, გესმის, ყნოსავ. მთელი სხეულით გახსოვს, კანით გახსოვს... შეიძლება ფრაგმენტულად, მაგრამ მინიც... რაღაც მონაკვეთი, რითაც ერთიანდება ის, რაც იყო და რაც არის, მოხაზულობის მიხედვით შეგიძლია მიხვდე იმას, რაც იქნება...

იხსენებ, როგორ დაყავდი ხოლმე ბავშვობაში, დედას წმ. ნიკოლოზში. სრულიად მომწეს-ველი იყო ფრესკებით მოხატული უზარმაზარი კედლები. მერე ნესტმა და ადამიანურმა შეხედულებებმა გააქარწყლეს ეს ფერები. ჩამოფხიკეს, ჩამოყარეს, შეღებეს, გააახლეს... და დაკარგეს საოცრად რეალისტური სახეების, სრული ადამიანური განსაცდელებისა და ტკივილების ფოტოგრაფია. უზარმაზარ კედელზე განოლილი, დავრდომილი ადამიანის სხეულზე როგორ ფუთფუთებდნენ მწერები. ზურმუხტისფერი მოსასხამი ვერ ფარავდა სისხლიან იარებს და მისი სახე, თითქმის შეგუებული, მჭმუნვარე, მომლოდინე, საყვედურიანი და წუთისოფლის შემეცნებული სიბრძნის მიმღებთა მიმართ მავედრებელი. თითოეული ხაზი მის პროფილში ღაღადებდა ამ სიბრძნის წარმავლობაზე. სხვა არაფერია გასახსენებელი, აღარაფერი. არავინ. მხოლოდ მაგრად, საიმედოდ ჩაკიდებული ხელი და დედა, სადღაც მალა და დამოკიდებულება, თითქმის ახლობლურიც ფრესკაზე გამოსახული ადამიანის მიმართ, მისი მოთმინებისა და მორჩილების გამო.

აცნობიერებ, რომ შენი კომპულსიებიც აქედან იღებენ სათავეს: ხატვა ყველგან, ყველაფერზე, სახეები რვეულებში, წიგნებს ყდების

შიგა მხარეზე, უინტერესო გაკვეთილებზე კოლგოტკზე, შიშველ ფეხზე ქვედატანსა და მალაღყელიან წინდას შორის. ნებისმიერ ნახატზე წარბებს შორის აუცილებლად უნდა გაგველო ერთი ვერტიკალური ხაზი, ერთადერთი შტრიხი ადამიანურ ტკივილებთან შეუგუებლობისა და პროტესტის ნიშნად.

ბავშვობა ამ ფრესკას, სახეებს და ადამიანურ ტკივილებს უკავშირდება.

როცა გგონია, რომ დასრულდა დაცემის არა წამებში, არამედ წლებში განელილი და გადანაწილებული შეგრძნებები, ხვდები, რომ წამოდგომაც ამ დაცემის ნაწილია. სიძულვილს ველარ ვგრძნობ და გიხარია. ასე აღმოჩნდები საკუთარი წარმოდგენებისა და შეფასებებისაგან შექმნილი ურჩხულების პირისპირ. მარტოდმარტო.

ამდენწლიანი თავდაცვისა და შიშების შემდეგ, როცა პირველად გადააბიჯებ შიშს, აღარაფრის თავი აღარ გაქვს. ყურს მიუგდებ საკუთარ გულისთქმას და უფრო იგრძნობ, ვიდრე აცნობიერებ, რომ რაღაც უფრო ღრმა შინაგანი პროცესი მიმდინარეობს. რაღაც ისეთი, რაც თვალსაწიერს და თავმოყვარეობას აახლოებს ერთმანეთთან, რაც პიროვნულსა და საზოგადოს აცალკევებს, რაც ფიქრს გაიძულებს და კითხვის დასმის შემდეგ ლოდინს გასწავლის.

აქამდე თითქოს მყარად იდექი დედამიწური მიზიდულობის კანონით მფეთქავ ჭურჭელში, საიდანაც ოდესმე უნდა გაგელწია ისევე, როგორც ბუზს, რომელიც დროებითი დაკავების იზოლატორში, ერთ ნაცრისფერ დღეს, შემთხვევით შეფრენილიყო. მთელი თავისი არსებით ეხეთქებოდა კედლებს, როგორც მატერიის იმ საზღვარს, საიდანაც უთუოდ უნდა გაეღწია. იმავე ოთახში, ხუჭუჭა, დიდთვალეა, ლურჯჯინსიანი ბიჭი იჯდა. პროკურორი ბრალდებას უყენებდა: – ველოსიპედის ქურდის აღწერილობა ზედმეტად ზუსტად ემთხვევა შენს აღწერილობასო და რომელიც უსათუოდ შენ უნდა იყო. ივარგა ადვოკატმა, ბიჭმაც ივარგა, თავის დიდრონ, ჭკვიან თვალებში სიმართლე და იმედი წამითაც არ ჩაუქრია. რაღაც საზღაპრო ამბავს ჰგავდა ეს ამბავი, მაგრამ მართლა ვარსკვლავები ელავ-

დნენ ბიჭის მაყვლისფერ გუგებში და უზარმაზარი გაოცება. ზამბარასავით დაჭიმული ზურგით მიყრდნობოდა კედელს და მუშტები რკინისზედაპირიან, იატაკზე ფეხებმიკრულ მაგიდაზე მიეკრო.

ბუზი კი, შენდა გასაკვირად, საიდანღაც შემოფრენილი ამ ჩაკეტილ სივრცეში, ისევე აწყდებოდა ყრუ კედლებს.

არც იმაზე დიდი საპყრობილე არსებობს, ვიდრე საკუთარი თავი და საკუთარი სამშობლო, რომლის სანაპიროზეც აფალინასავით გარიყული ამოდ ელოდები კეთილ მეზადურს. არც იმაზე დიდ და შთამბეჭქდავ სისრულეს იგრძნობ სადმე სხვაგან თუ არა საკუთარ ქალაქში ან ქუჩაზე. სადაც ფესვებს იდგამს რაღაც საშუალო, ბავშვობასა და დიდობას შორის და ასეთად რჩები კიდევაც მრავალი წლის განმავლობაში.

სახეები სახეებს ცვლის, მოგონებები მოგონებებს და შენი სუბლიმირებული მდგომარეობა გაიძულებს კიდევ უფრო ჩაულრმავდე საკუთარ წიაღში ჩარჩენილ ვნებებს. ამოზიდო, როგორც ჭის მთხრელს ამოაქვს ნელ-ნელა მინა და ტალახი.

იმ დღეს, „ბერეგს“, უზარმაზარი გემი მოადგა და თავისი სიდიდით სათვალთვალ კოშკიცა და ქალაქში არსებული ყველა დიდი შენობა გადაფარა. ცვლის უფროსის ოთახიდან ზღვის ნაგლეჯი ჩანდა და ქალაქთან ერთად საოცრებაც: ქათქათა, უზარმაზარი გემი, ქალაქი ვერტიკალში. გისოსებიც ვერ აუფერულებდა, ვერ აფერმკრთალებდა ამ საოცრებას. ხუთიოდე წუთში თავის ასაკზე გაცილებით პატარა შესახედაობის თხუთმეტიოდე წლის ბიჭი შემოიყვანეს. ცისფერთვალა, ყელამდე პერანგშეკრული და პირმოკუმული ბიჭის მზერა ბადრავს, კედლებს და გისოსებიან ფანჯარას გასცდა და თავისივე გუგებისფერ ზღვას შეერწყა და ეს ისეთი ბუნებრივი გარდამავლობა იყო, გეგონებოდა, ბიჭი სივრცემ შთანთქა.

მერეც დიდხანს იფიქრებდი ამ ამბავზე. შესძლებდა კი მისი არაჩვეულებრივი თვალებით შეეფასებინა თავისუფლება, ადამიანების სიცრუე, ქუჩის გამწირველობა, ურთიერთობის სიყალბე, რომელსაც ახლა თავისი ბავშვობით უა-



რყოფდა. შეძლებდა ძალადობის, ტყუილისა და სიძულვილის მერე სიყვარული ესწავლა?

მარგოს ნაკლებად ანუხებს ეს პრობლემები ახლა. ოდესღაც დედისგან მიტოვებული, შიშებით, მთელი არსებით იბრძოდა ადგილისათვის სხვა ადამიანებს შორის: უსაქმურად არ ჩაეთვალათ და ლუქმა-პური არ დაემადლებინათ. სიყვარულით კი ისედაც ყველა უყვარდა.

როგორც კი ამინდი მომცემს საშუალებას, ისევე გაუფრთხილები უკაცრიელ სანაპიროზე, სადაც ქალაქი მთავრდება. სადაც დილაობით წეროები თავიანთი ნაცრისფერი ფრთების ტყლაშუნით საშოვარზე მიფრინავენ. მძიმე-მძიმედ ასწევენ ფრთებს და ზღვისა და ცის გამყოფ მოჭრიალე ფერებს გააზავებენ მოძრაობით. ფრთის ერთი ჩამოსმა ყოფნის ხოლმე დილა-ბნელის გასაყოფად. დავდგები ამ ქარაშოტში ხელგაშლილი, ხელბეგანვდილი და შევერწყმები ჰაერს და ზღვას, რომელთა შორის ეს-ესაა დაირღვა ერთიანობა. სხვა დროს, როცა სტიქიები ბობოქრობენ... ანდა, პირიქით, როცა სრულიად თავის წიაღში არსებობენ, მე მესამე ვარ, ზედმეტი და უცხო. ეს ერთადერთი დროა, რამოდენიმე წუთი, როცა ჩემი არსება სრულიად ერთვის ბუნებას და მე ვარ ყველგან: ჰორიზონტზეც და ზღვის ნაპირზეც, მდინარების დასაწყისშიც, იქ, სადაც მზის შეხებადმდე ყველაფერი ჩვილია და გრილი.

მერე გამოუყვები უკანვე ქუჩას. ისევე შეგხვდებიან სანდასუფთავების თანამშრომლები. უბრალოდ, ერთ მონაკვეთზე ნაპირი უფრო ჩავარდნილად მოგეჩვენება და ტალღების მიერ

გამოტყორცნილ შხეფებს ადრინდელთან შედარებით ცოტა მეტად ექნებათ ქაფშიასა და „მირლანკას“ სუნი.

ცოტა აქეთ, არდაგანის ტბაზე, მუსიკის რიტმზე ადი-ჩადიან ფერადი ფანტანები. ხან გაიშლებიან, ხან ჩაიკეცებიან, ხან დაბზრიალდებიან. ჩამყაყბული, კანალიზაციაშერეული შხეფები ესხმება ხოლმე წყალში ნახევრადჩაძირულ რესტორანს და ტბის ირგვლივ მოსეირნე ადამიანებს. ზღვასა და ტბას შორის ასიოდე ნაბიჯია. სულ რაღაც ხუთიოდე წუთი.

არც ამდენი დრო და არც ამდენი ნაბიჯი არ სჭირდება გზას მონობიდან თავისუფლებამდე. არც იმას აქვს მნიშვნელობა, რამხელაა ნაბიჯის ზომა ან ფეხსაცმლის ლანჩა. მთავარია მიმართულებას საით მისცემ და რა ენერგიას მოახმარ ამ ნაბიჯის გადადგმას, მონდომებას: შეცვალო რაიმე ცხოვრებაში, გააღწიო საზღვრებიდან და გათავისუფლდე.

ჭიშკართან მარგო დამხვდება, გამილიმებს და თავის საქმეს გააგრძელებს. აღარ ვთხოვ ხელები დაიბანე-მეთქი. არც მას მოუნდება წუნწანი და ამოვისუნთქავ. გავთავისუფლდები ბრალეულობის გაურკვეველი განცდისაგან.

სიყვარული, თუ მატერიაში ჩავსვამთ, შესაძლოა მოკვდეს, ისევე როგორც ია გახმა ქოთანში. პატივისცემაც დაკარგო შეიძლება საკუთარი თავის მიმართ. საკუთარი თავი, მიუხედავად ყველაფრისა, შესაძლოა გიყვარდეს კიდევც, მაგრამ ღორივით ექცეოდე: აბინძურებდე და რყვნიდე.

## ზღვა

მიხვალ, ჩამოჯდები წყლის პირას, შედარებით მოზრდილ, ბრტყელ ქვაზე. მერე ტალღებისაგან საზურგესავით აწეულ ნაპირს მიეყრდნობი, დახუჭავ თვალებს და გესმის როგორ შიშინებს ტალღები, როგორ მიაცურებს ქვიშის პანანინა ნატეხებს უკუსვლისას და რამოდენიმე წამის მერე ნაწილს უკან, ნაპირზევე აბრუნებს. ასევე ცრიან ფიქრები სიზმრებს. აღარ

გინდა იფიქრო ნაპირს აქეთ აღარაფერზე. ნახევრად წამოწოლილი, თვალუბდახუჭული ცდილობ ნარმოიდგინო ჰორიზონტი მზის ჩასვლის შემდეგ. თუ ღრუბლიანია ზეცა, ეს სიმკვეთრე უფრო ფართოა და სქელი, ჰორიზონატლურად, უხეში ფუნჯით გახაზული ზოლივით. შეგიძლია წარმოიდგინო სარენაო სეინერები ქაფშიას სეზონზე და ნაპირთან ახლოს, ხუთიოდე მეტრის

სიღრმეში მოსრიალე ლიფსიტები. ნელ-ნელა უფრო შორს გაგიტყუებენ წარმოსახვები: შეიგრძნობ უზარმაზარ ტალღას, როგორც რომელიღაცა რეკლამის სიუჟეტის მსგავსად, ზენრის ყუასავით აინევა და გადმოგეფარება. ცურვა არ იცი. ბავშვობისას მოსმენილი ზღაპრებისაგან დატოვებული შიშების გამო ვერ ეგუები მღვრიე და ბლანტ, ცუდადხილვად წყალს... ნახევრად მლაშეს ან ნახევრად მტკნარს, ჩამდინარე მდინარეების გამო. არასოდეს შეგიცურავს მოლივლივე ზღვაში. არც ღამით, მთვარის შუქზე, როცა ლურჯ ზესკნელზე მილიონობით ნაპერწკალია მიმოზნეული. არც დილის იდუმალ ჟრიალში, როცა დღე ღამეს ეყრება, ხოლო ცა – წყალს. არც შუადღის, მწველი მზის გულზე. არასოდეს გაგიშლია მკლავები, არასოდეს გიგრძენია წყლის სიგრილე და ჰაერის მხურვალეობა შენი სხეულით, როცა იხსნება ყველა კუნთი,

ყველა სახსარი და ხრტილი, ყველა ფორი კანზე და როგორ ქრება წონადობა, გადააგილებს შეზღუდულობა. ვერც იმ ნეტარ მოთენთილობას იგრძნობ, ცურვის შემდეგ, რომ მოიცავს სხეულს, ძალის დაცლასა და ენერგიის აღდგენას შორის. სამაგიეროდ რეალურია ყოველდღიური შეხვედრა ზღვასთან, ყოველდღიული ლაცი იცი. ფეხის წვერით, ფრთხილად მოსინჯავ ვინრო, სველ ზოლს. ნელ-ნელა მიაჩვევ ტერფს სისველესა და სიგრილეს, ზომავ ტალღის სიმაღლეს, აკვირდები წყლის ფერს. ადგილიდან არ იძვრი. ჩამოჯდები შედარებით მოზრდილ, ბრტყელ ქვაზე, აყირავებულ ნაპირს მიეყრდნობი, შიშველ ტერფებთან დროგამოშვებით მოშრილდება ტალღა, აგილოკავს ფეხის გულს და შორი ზღვებისა და ოკეანის შენეულ, შესაძლოა მცდარსა და ზედაპირულს, მაგრამ სასურველ წარმოსახვას გაგიღვიძებს.

### დალოცვილი იყავით, გზებო

ჩემი ამბავი ცოტა სხვაგვარად იყო. დავიბადე და მალევე ოცდაათისაგ გავხდი. ბავშვობა და ყმანვილობა არ გამომივლია, პირდაპირ მონიფულობაში შევდგი ფეხი და ჩემი ყოფა დაიყო ახლანდელად და წინა ცხოვრებად. აი, ინტერნეტ ტესტი რომ მოეჩეჩებინათ, ვინ იყავი წინა ცხოვრებაშიო, ტესტის პასუხისთვის სულ არ დამჭირდებოდა ლოდინი, მის გარეშედაც კარგად მეცოდინებოდა ვინც ვიყავი ადრე. სხვა, ალტერნატიული სამყარო რომ არსებობდეს, მაგალითად პარალელური რეალობა, შესაძლოა იქ ბავშვობაც, ყმანვილობაცა და მონიფულობაც წესისა და რიგის მიხედვით გამევილო, ბედნიერად, უშფოთველად. ყოველ შემთხვევაში, ამ რეალობისგან შესაძლოა სრულიად განსხვავებული ყოფილიყო. შესაძლოა საშუალებაც მომცემოდა ყველა იმ სიკეთით მესარგებლა, რომელიც აქ ხელიდან გავუშვი, როგორც შანსი. უკეთ შემეძლებოდა მოვრგებულებიყავი ყოველდღიურობის რუტინულ ყოფას, ჩვეულებრივ მოთხოვნილებებსა და მათი დაკმაყოფილების

საშუალებების ჩვეულებრივ, ყოველგვარი განსჯისა და ფიქრის გარეშე პოვნაც.

როგორც ვთქვი, დავიბადე თუ არა, ოცდაათისაგ გავხდი. ერთბაშად ამეხილა გონების თვალი, ერთი პირი კარგა გვარიანად შემფოთებული და გაოცებული ვიყავი, ასე ოთხი-ხუთი წელი. დედამინის პირობებში ეს დრო არც ისე ცოტაა და არც ისე ბევრი... ლაკმუსის ქალაღღვივით წლები, სადაც ადამიანები ხან წითლდებიან, ხან მწვანდებიან, ხან ლურჯდებიან, ხანაც უჩინარდებიან. ამას შენი დამოკიდებულება არ განსაზღვრავს, არამედ მათი განწყობა და შეფასებები.

ერთხელ ეკლესიასთან, ტროტუარზე კოტეს შევეფეთე. ჩემს ძველ ნაცნობს. მოლუშულსა და დაბნეულს. მოვიკითხეთ ერთმანეთი. მიყვებოდა, როგორ მოაქცია ჩიხში ცხოვრებამ და როგორ ვერ უმკლავდება პრობლემებს, რომლებსაც არ ელოდებოდა. ჰქონდა ტენდენცია სხვათა დადანაშაულების და მომეჩვენა, რომ მსხვერპლის როლში ყოფნა ძალიანაც მოსწონდა... მერე მე გადმოვულაგე ჩემი ამბავი, უფრო სწო-

რად იუმორში გადატანილი მცირე მონაკვეთი, რომ მენუგეშებინა, ესეც გაივლის და რომ გგონია გამოუვალი მდგომარეობაა, უცებ ნათდება და რაღაც იცვლება-თქო. გაოცებული მისმენდა, თხრობის პარალელურად ეცვლებოდა ემოცია და ვხედავდი, როგორ ნელ-ნელა უნათლებოდა სახე ამ მოღუშულ, სასონარკვეთამდე მისულ ან სასონარკვეთასმოფარებულ ჯმუხ კაცს... მალე დავასრულე ჩემი ისტორიის ვესტერნული მონაკვეთი. კოტემ, უკვე მშვიდმა და გაოცებულმა ამოილულულა:

– მადლობა უფალს, ასეთი ამბები მე არ ვადამხდენიაო. დამემშვიდობა და განათებული სახით საჩქაროდ გამშორდა. ვინ იცის რა შეფასებებისა და ცვლილებების ქარაშოტი დატრიალდა მის გონებაში. გამელიმა, რადგანაც მას დაავიწყდა თავისი წილი ნუგეშის გაცემა. რა საბრალოა ადამიანი. გახიდული საკუთარ შიშებსა და რეალობას შორის. ყოველშემთხვევაში, სევდიანიც ვიყავი და კმაყოფილიც. მერე ვუთხარი ჩემს თავს, ამენია თავი, მხრებში გავსწორებულიყავი და ყველაფრისთვის პირდაპირ თვალეში ჩამეხედა, მზერა არასოდეს გამქცეოდა გვერდზე. ერთხელ, ერთმა კაცმა, რომელიც პაციენტად გამეცნო და თან მხედველობის პრობლემებიც ჰქონდა, მითხრა რა სასიამოვნო ხმა გაქვთო და როცა დამშვიდობებისას ხელი ჩამომართვა, დაამატა, რა მამაკაცურად ჩამომართვით ხელი, ხომ ქალი ხართო. გული დამწყდა, რომ თვალეში ვერ ჩავხედავდით ერთმანეთს.

ხანდახან გრძნობ, რომ გზაგასაყარზე მდგარი ქოხი ხარ. წელიწადის ნებისმიერ დროსა და დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში ღია, სადაც ნებისმიერ ადამიანს, უბრალოდ მგზავრი იქნე-

ბა თუ შორი სივრცისკენ მიმავალი, ქარს ადევნებული პილიგრიმი, შეუძლია სიტყვის ლუკმა გადაყლაპოს, შიშებისა და შფოთვის მტვერი ჩამოიბერტყოს, მოთმინების ქალამნები ამოიკრას და გაუდგეს გზას.

ხან შემოეხეტება-ხოლმე ვილაც, ვინც აქ უკვე იყო:

– შეიძლება შემოვიდე? გკითხავს მშვიდად.

შენ შუაცეცხლთან მდგარი, შემობრუნდები, გაულიმებ, შინაურით თავს დაუკრავ და ხელით ადგილს მიუჩენ ქოხის რომელიმე კუთხეში სავარძელზე ან ტახტზე. მერე ამბის ვარცლს დააპირქვავენ მგზავრები, საიდანაც გადმოცვენილი ტყუილ-მართალი თავისთავად ნაწილდება, ამბებად ლაგდება თაროებზე. ტყუილი დროსა და მკითხველს ვერ უძლებს და თავისთავად ქრება. მადლობით მოსული, მადლობითვე მიდის. ზოგიერთები კიდე როგორი ბუზლუნ-ბუზლუნითაც შემოალაჯებენ, მიყრი-მოყრიან თავიანთ ნივთებს ნაუცბათევი ამბებივით, უგემურად გალოღნიან სიტყვის ლუკმებს, ასევე ბუზლუნ-ბუზლუნით დაგტოვებენ. დარჩენილიყვნენ მაინც ცოტა ხნით. დაესვენათ. მაგრამ ასეთებს მუდამ ეჩქარებათ, მუდამ გარბიან. სიტყვას დაგიგდებენ და მიდიან. მორჩა, მათ ვერაფრით გამოსტყუებ წუთებს.

გზები კი იცოცხლე. ხან ღრანტეებისკენ მიუძღვებიან, ხან ვინრო ბილიკებით და ხან შაბნარით მიაცილებენ. გზები მთავრდებიან ხან სადმე, შენობასთან ან შენობაში, ხან ორლობეში, ხან არსადაც არ მთავრდებიან, რადგან იშვიათად მათ შორის არიან ისინიც, ვისთვისაც გზა გულიდან იწყება და გულშივე მთავრდება. გული, როგორც ერთადერთი ნავსაყუდელი.



# ზინაპ პატრიკიანი

\* \* \*

იმ ძველ სატკივარს კვლავ ძვლებს ვუხრავ და... ვკონავ თავთუხებს ქარის ნალენებს, კვლავ ფეხშიშველი ვდგავარ მუხრანთან და სიყვარულის საფლავს დავეძებ... გახსოვს? იმ ღამეს მთვარე გვმაყრობდა და ასტეხვოდა არავის ზმორება... ის ყივჩაღი, რომ არ გადაგვყროდა, ჩვენ რა სიკვდილი გაგვაშორებდა... გზის პირას იდგა, ვით მუხის მორი და როს, იელვა ნისლის ძნებს იქით, მე დავინახე, ცხვრის ღუმის ქონი, წვერზე ეკიდა სისხლის წვეთივით... მერე, ხმა მახსოვს ხმლების ქნვის და... როგორ დავემხე მოლზე ნამიანს და გამახსენდა, ხელის ხლებიდან შეცოდებამდე ხუთი წამია... მერე, შემმუსვრელ შიშზე ვიდექი სახით-ნახევებ, ელდა-ფითრიან, როცა ყივჩაღმა ქართლის მინდვრები, ყაყაჩოს თმებით წამოითრია... ძლივს ვაკავებდით ვნებით გალემილს, მომწვდა ლოყაზე ტუჩების ხოხვით... გონზე მოსული, შენს გრძელ მკლავებში ვეგდე, ვით მასრა გახეულ ჩოხის... და დავინახე, მისი ნაკოცნი, როგორ ჩაჰფინე სიმწრით იარებს... მერე, ავკრიფეთ მისი ძვალ-ხორცი და მივუფალით ფეხქვეშ თრიალეთს... სისხლი გდიოდა დაჩეხილ ბეჭთთან, წამოგქცეოდა ეჭვის საღვინე და იმ, ძალმომიკვდარ ყივჩაღთან ერთად, ის სიყვარულიც დამამარხვინე... ნეტავი წასვლა არ ამეტეხა, მონატრებული მშობლების კარად, ხომ ვიჯდებოდი ახლა მეტეხთან, ოცნებასავით მშვიდად და წყნარად, მტკვარს მოვზიდავდი მზერათა სათლით იქ, სადაც ციხე მხრებით შემოვდგით, ვინ იცის, იქნებ მეცა და ქართლიც, ამ უჯიშოებს არ დავრჩენოდით... დღეს, სიყვარულის ციხე-საძვალეს, დაღწილი აქვს სუყველა კარი და ყივჩაღის ხმლით დაჭრილ ნაწნავებს, კვლავ ძაძასავით მიძენძავს ქარი... წყალს წაჰყვინენ წლები ბებერ ხიდივით, მეც უშენობას ველარ მოვცილდი... ათასი წელი სასჯელს ვიხდიდი, სასჯელს, ყივჩაღის ერთი კოცნისთვის...

\* \* \*

ბოლო ფინიშთან ისევ არმისულს, ჩამოგწყდა მხრები გზების ტარებით, ხვალ, ახალ მთვარის შოთხე დასისხლულ მზეთა სისხლისგან ეზიარები... არ დაგელია არსად სავალი, ე, მინაც დამჭკნარ ფრთებით მოგავე და შენს თითებზე წლების ქვა-მარილს, მარტის ქარები აგილოკავენ... არ დაგჭირდება წასვლა აღზევანს, არმოსვლის შიშს, რომ აჩანაგებდე, საკუთარ თავში ვინც ვერ აღზევდა, იმას სულ წლები აყაჩაღებენ... თუკი შენი ხმა დროს ვერ შემეკვიდრდა, სულს ვერ ჩაუდგამ სხეულის სურას და ჩამოგხსნიან ხსოვნის კედლიდან, როგორც წინაპრის ძველისძველ სურათს... ჩაულპათ რკინა იმედის აბჯრებს, ქარს ეზარება წიგნის გადაშლა, რადგან დაღლილი მზისსხივა ხანჯლებს, ვერ მოუნახა თავი ქარქაშმა... ალანურები ძოვენ მთა-ბარებს, გაუსხლავით და დაუბარავით, დღეს შენს მინაზე ხარ მომთაბარე და მთელი ქართლი დაგაქვს კარავით... ამართონებს ქვების მომგროვებს ჟამი და... ყველა წრეზე დადიან, ჩვენში რა დაღვეს კეთილ მონგოლებს, მაგრამ სად ნახავ ცოტნე დადიანს... ვერ ამყოფინებ იმედის სახვევს ყველა ჭრილობას, ჯავრის მიმხვედრებს, შენ

იცო, მუდამ ლაგამის დამღრღნელს, ჟამი ჭაკ ცხენზე, თუ აიმხედრებს... და თუ ეპოქა ცოდვებს მიმოცრის და შენც ტკივილი დაგამარხვინა, სადღაც შუაში, სიკვდილ-სიცოცხლის, ე, ნეკნი მაინც ეგდე მახვილად!..

\* \* \*

მაღე იქცევა წლები ნაღვერდლად და ნაცარს ბოლო სურვილს მიუფლავ, მაშ, იმან რა ჰქნას, ვინც ვერ დაბერდა, ვისაც სარკემ ვერ უჭირისუფლა... ან, იმ გზამ რა ჰქნას, ჟამს რომ მისდევდა და საცალფეხოდ დააბეჩავეს და სინმინდესთან მისვლის იმედად, ცოდვის ვაშლივით მაინც შეჭამეს... ან, იმან რა ჰქნას, გულს, რომ მოჰგვის და, მაინც ვერ გაცრის ქვიშას ოქროსგან, ვინაც საავდრო ღრუბლის გორგლისგან, ერთი პატარა მზე ვერ მოქსოვა... ვისაც მუხლები გადაუტყავდა ძებნით და ახლა ვერას მახლობლობს, ვისაც ყველაში ღმერთი უყვარდა და ახლა ტაძრის გარეთ მათხოვრობს... მან რა ჰქნას, ვისაც ჯავრი იცავდა და ზეცის ნაცვლად, მიწას დაყავრდა, ვინც ოცნებაზე ჯვარი იფსკვნა და... მაინც სიცხადეს შერჩა საყვარლად... ვისაც ცრემლები წყალქვეშ ნაგები ტაძრის ფრესკები სულზე არ სცმია, ვისაც ღიმილის ფარშევანგებით, დარდის ლოყა არ გაუკანწვრია... დასახარჯია ისევ ალერსი, ბებერი სისხლიც ჯერ არ დედდება, მაგრამ რას იზამ, დროის სარკეში, მარადისობაც ადრე ბერდება... ოცნების წიგნის კითხვაშენაჩვენებს, არ მინდა ვექმნე ამ ჟამს სარჩევად... და ვაპატიე უკვე დედაჩემს, ამ ქვეყანაზე ჩემი გაჩენა...

\* \* \*

ის წლები გამწყდარ ბილიკებს მიჰყვინენ, არც ერთის ვიყავ ძალით მიმთრევი, სულ მსაყვედურობს დუმილი, სიტყვებს, ასე ბავშვივით რად ვუფრთხილდები... მეშინის ბგერის ლოყის გაკანწვრა, ვაითუ, ჩემმა ენამ დადალოს, საქმედ ვერქცეულ ფიქრმა გადამწვას და დაკეტილი ველარ გამაღონ... არც თმენა მაკლდა და არც იმედი, მაგრამ სულ შიში მზრდიდა ბავშვივით, იქნებ, მარცვლებშიც ტირეს დირეთი, დარღვეულია დროთა კავშირი... დღეს ვისმენ ქართულს, ღრმად წელში მოხრილს უცხოს წინაშე – მჯობნელს რითიმე და ვნუხვარ, მასში ქართული ხორხი, აღარც მღერის და აღარც ქვითინებს... მოდიან, მოაქვთ... და თმობს, ის მკვიდრიც, ათასწლეულნი წუთზე, რომ გასცა, „ჩ“–ჩადრით დადის, „ჭ“–ხელბორკილით, „ჯ“–ს ჯვრებზე ვუცქერთ ქართულის ჯვარცმას... თითქოს სიძველე დღეს უკვე თხლეა და ჟამთა გენიც აღარ სამხილობს და რუსთველს თვალებს იმიტომ სთხრიან, ჩვენ თვალი ფართოდ არ გავახილოთ... რაღა დროსია, რაღა დროსია, დღეს გულგრილობის სენი სახადობს, არადა, ჯიში ის სამოსია, სიკვდილმაც რომ ვერ უნდა გაგვხადოს... დავკიდოთ ზეცას დროის ბოქლომი და ყველაფერი გავცეთ არაფრად, ნუთუ აქამდე მისთვის ვომობდით, მაროდორებს ვერგოთ ალაფად... ეგეთი დროა, – დასძენს სხვა „ბრძენი“ სხვათა ბოძებულ სიგელ-გუჯრებით, მე კი, სიკვდიმდე თუკი გავძელი, სხვათა ნასუფრალს არ მივუჯდები!..

\* \* \*

შენ მუდამ ნისლის კარვებს იშლიდი და მაგ სხეულის მცივან მდგელოზე იწევი პირველ ვნების შიშით და კანკალებდი წვიმის ღეროსებრ... ზოგჯერ მინებით განწყვეტილ ლოცვანს, ცას უკითხავდი შიშველი მზერით და გემჩნეოდა ხმელეთის კოცნა, ტუჩზე შერჩენილ ბალახის ღერით... სულ უნახავდი მთვარეს, უბით, მზეს, ბნელი რომ სხივთა გეპო ტოტებით და უბრწყინავდათ ქარებს მუ-

ნდირზე, ყვითელი ფოთლის ეპოლეტები. ვერ მოიშორე ბედიდან ძურნა, სულ ამარცხებდი შენს გამარჯვებას და შენს თავს, როგორც ცაცია მუცალს, დაუნანებლად სჭრიდი მარჯვენას... სულ დადიოდი გულის მხარეზე და ჩამოგორევადა სულის ფურცელი და ყალბთვლებიან ბეჭდებს თვალეზზე, ყველაზე გულწრფელ ცრემლებს უნმენდდი, სულმა ოცნებით სად არ გაგხიზნა, ყველგან შენ იყავ არსად ნამყოფი, შენც ხომ იცოდი ბედის ას მიზანს, ერთი ბაჯალლოს ტყვიაც არ ჰყოფნის... ამასობაში ისიც შეიცან, რომ სული გაჰყოფს ყოვლით თანმხვედრებს, სიცოცხლე მაინც არის ერთი ცდა, ან ააცდენ და... ან, მოახვედრებ!

\* \* \*


ყულფი მონახა სულ ბოლო ღიღმა და შეთბა ტანი ბინდით მჭრჭოლავი, ისევ ის კაბა ჩაიცვა თრიმლმა, მგონი, ფერებში ივსენ ლორანის... ძაფი ჩამოსთრევს ჩამოშლის შიშით, აბლაბუდების ნაქსოვ გობელინს, დაისის ლოგინს მზე ისე იშლის, ვით დავრდომილი ჩრდილის მომვლელი... მალე თოვლების მტრედებს შეიფრენს მთები კალთებზე ტანშემძვრელ თოშით და ალვას – ქარით ჩამქრალ ეიფელს, სადღაც გასძვრება ბალახის ქოში... სულთან როგორმე მივიტან სუნთქვას და რუჯისყდიან, ძველ წიგნებს გავშლი და თხელ ჩარჩოში შემცივნულ სურათს, მოვასხამ მზერით მოქსოვილ „ქაშმირს“... ვინ იცის ღამეს ათევენ ვისთან, ჩემი სიზმრები, რომ არ მეძველონ, თემურ-ლენგით კვლავ ვაზის სისხლს ვსვამ, ეს ფოთოლცვენა, რომ ვადღეგრძელო... რა თრობა ნაშლის იმედის ნაშანთს, ან ამ მთვარეებს რა მზე გადაშლის, ვიდრე ოცნების დაორთხილ ფაშატს, სახედრად ვაბამ დროის ბაგაში... გამაქვს გულიდან დარდის ცხედრები, ნარსულს, ხომ მუდამ ასე მარხავენ, ჩამოივლიან ჯოხის მხედრები და წაიყვანენ მზეთუნახავებს... ეს შემოდგომაც შეკრებს ერთ ღამით, ღრუბლისჩოხიან ქარებს მაყრებად და თუნდაც ბოლო ფოთლების კაბით, დეკემბერს ცოლად მაინც გაჰყვება...

\* \* \*

ცოტას ვითხოვდი, მუდამ, იმგვარად, არ მდომებოდა დარდთან შენოლა, და ბედმაც ისე ვერ დამიბრალა, ერთი ცრემლი რომ გადაეწონა, ნეკი მტკიოდა, ცერს რომ ლურსმავდნენ, ივლისის მზესაც, კი ვერ ვმუჭავდი, სხვას თავზე ხელს, რომ გადაუსვამდნენ, მე გუგენაკანრ თვალეზს ვხუჭავდი... გემები ზღვაში ისე გავიდნენ, აფრა არც ერთს არ აუნევიან, რადგან ქალაღდის გემის კაპიტნებს, ზღვაში სიკვდილი არ უნერიათ... მეც ნაპირს ვედექ ქვიშის ნიბოზე, სადღაც მიეჭონდი ყველა მოქცევას და იმდენი ზღვაც ვერ მოვიზომე, ჩამავალი მზის ჩრდილს, რომ მომცემდა... ქარი დღაბნიდა ვარდისფერ აკრილს, ნათელს უკუნი სდევდა ფეხდაფეხ, იისფერ ღრუბლის კლავიშებაყრილ ცას უყვებოდნენ ბახის შესახებ... რაღაც სხვაგვარად სჩანდა ზევიდან, მთასთან ნაწოლი ნისლის ჟრჟოლება, ტირიფს ეკიდა მთვარის ფლეიტა და ქარი ტუჩებს ვერ ატოლებდა... მე საკუთარ თავს ბევრჯერ მივეყრდენ და არ მომსვლია თავში იდეად, არ უნდა ენდო გულის იმ კედელს, რომელზეც სევდის ხატი ჰკიდა... ისევ იქა ვარ, სადაც დამტოვეს და გზაც შემოკლდა კუბოს ფიცრამდე და სარჩულ დაღრღნილ ქარის მანტოებს, ისევ ბებერი მთები იცვამენ... ილუზიებიც გადაისვრიდა, გაქრა ოცნების გამხდელ-ჩამცმელი, ახლა შემცივნულ, ცრიატ ნისლისგან მხოლოდ არაყს თუ ხდიან კაცები... მორჩა, მოთავდა ყველა მარაგი შორი ტრფიალის და ალერსების, დღეს სულს ძარცვავენ, როგორც აბრაგნი, აი, ასეთი მდარე ლექსები...

\* \* \*

სოფელს ვუყვები ურბანულ საგებს, ტანშეთრთვილული სიჩუმით მცვივანს და ივლისებით გულ-  
ნასულ კაბებს, ასულიერებს სექტემბრის წვიმა... დღეები „სტრიპტიზს“ ცეკვავენ ვნებით და ნე-  
ბანება ფოთლებს იხდიან, სხეულში ველარ შემთბარი ძვლებით, სულის ნაღები ვერ მომიხდია... ფა-  
ნჯრებზე მსუქან ფარდებს ვიფარებ, მზერა ხმალივით მაქვს მიბჯენილი, კვლავ ადიდდება სევდის  
მდინარე და ჩამომტყდება წამწამთ ჯებირი... ტანში ჟრჟოლების ჯერ ქვირითია, ხვალ ალბათ თო-  
ვლით ნაიკალმახებს, მეც ნუთისოფლის ყრუ ქვითინიდან, ხორხში სამღერი ბგერა ჩავმარხე, მზის  
ბაჯალლოდან ვერცხლი მომიდნა, ფერთა სისრულე ისევ ნაკლულობს, ხვალ ალბათ მიწის ემბრიო-  
ნიდან, ზეცას ჭიპს მოსჭრის კბილით „ჩაკრულო“ ძურნაც მიჭკნება მუხების ძირში, სისხლალრეული  
დაშრება ღელე და ჩემი ძველი, ბებერი ჯიში, დროის პილატეს არ დაბანს ხელებს... ვიცი, დირეებს  
უცებ ვერ მოშლი, დრო ისევ ძლიერთ წაინნამძღვრებს და ფერდებშეყრილ საქართველოში, ხვალე  
შერცხვება ალბათ სიმაძღრეს... ვინ ლექსს მიწუნებს, ვინაც თქმას მართლის, ჩემთვის ერთია, ვინ  
მყავს მორკინე, ოლონდაც მტერზე მოქადნე ქართლის დაფურთხებულს ნუ ამალოკინებ!..



# გიგა ორაბვილიძე

## მართლა, ოღონდ მართლა

ნუ დამაყვედრი სიყვარულის მხურვალე ლოცვას,  
თუ ჩემი გული იმ მყუდრო დროს გაუმათხოვრდა, –  
შენი ტუჩების მწიფე ჟოლოს გადახსნას, როცა  
თვით ბრონეულის ყვავილობაც სილალეს სთხოვდა!

ნუ შემრისხავ და გულისწყრომით ნუ შეკრავ კოპებს!  
ამაზე მეტი რა სასჯელი უნდა მელოდეს?! –  
წარმოიდგინე, სიყვარულში როგორ შევტოპე,  
რომ აღარც მინდა საკუთარი თავის მჯეროდეს!

ისე მიყვარხარ, სიყვარულიც შემძულდეს, ლამის,  
ველარ ვანსხვავებ ჩემია თუ შენი ეგ სახე,  
ხელკავს გამოვდებ თავისთავს და მოვისალამებ  
შემოინახა შენმა ხსოვნამ რაც ჩემს შესახებ!

რამდენიც ვიყავ ყველა შენმა სუნთქვამ დამხოცა  
გადამაშენა უარსოდ და უალარსებოდ  
და შენს თვალებში ჩემს ანარეკლს ვაწყდები როცა,  
მხოლოდლა მაშინ მახსენდება, რომ მეც ვარსებობ!

ჰო, მაგრამ მაინც,  
თუ ხარ ნაღდად და არ ხარ ხვითო,  
წუთისოფელი სანამ წირვას გამოგიყვანდეს  
იყავი ვითომ!

მოკვდი ვითომ!

იცოცხლე ვითომ!

ოღონდ, თუ გიყვარს, ჭეშმარიტად უნდა

გიყვარდეს!!!



## ნუ

ნუთისოფელს მივსდევ კვალში –  
 ზოგჯერ ჩემს ნებაზეც ვათრევ!..  
 ცარციტ ნანერივით წაგმლის,  
 თავი თუკი გაუყადრე!..

ვისი გულისცემაც მიყვარს,  
 ვისი სუნთქვით ვსუნთქავ თავად  
 ოლონდ მისგან ნუ გამრიყავს,  
 მზერას ნუ შეავლებს ავად!..

თუნდაც გავეჩხირო თვალში, –  
 იგი, აბა, რას წამართმევს?!  
 არ დავრჩები, იცის, ვალში,  
 სულსაც იქით ამოვართმევ!!!

## ღმერთს მოპიიხვამდე

მახსოვს, ოდესღაც ერთნი ვიყავით,  
 მერე შენ ვაი-ვიში ატეხე,  
 თითქოს რაღაცა ვერ გავიყავით  
 და შენ პირობა შენი გატეხე,

გადაგეფარა თვალებზე ლიბრი  
 და მედიდურად განზე გადაექი,  
 მე კი ავდექი და შენი ჯიბრით  
 სულაც უგზოო გზაზე დავდექი.

ხან შენებურად გაგიჟდებოდი,  
 ძირს დამცემდი და ზიზლით მიმზერდი,  
 ხან სასთუმალთან დამიჯდებოდი,  
 მძინარეს დალლილს ტერფებს მიზელდი.

განა მარადჟამს ვრჩებოდი უბრად,  
 დროდადრო ერთურთს ვემყარებოდი,  
 ჩემთან ზოგჯერ რომ გაგესაუბრა,  
 იქნებ კიდევაც შეგყვარებოდი,

თვითონ მათხოვარს, აბა, რა გთხოვო,  
 თუ ვერას გასცემ, რაცას ხალისობ?!  
 მინდა, სხეული ჩემი გათხოვო,  
 ჩემი სუნთქვა რომ გაითავისო,

ვინძლო, შეიგრძნო მე რას განვიცდი,  
 რას მემართლება ეგ შემართება,  
 თავზესაყრელი დრო მაქვს, დავიცდი,  
 რომ ვნახო შენ რა დაგემართება.

არ წავიყაროთ თავზე ნაცარი,  
 რახან სამყარო შენი გერია,  
 დე, როგორც არის, იყოს რაც არი –  
 სიცოცხლე მაინც მშვენიერია!

## და(ო)

დავიმდურე უნდო დაო,  
 სიყვარული უნდოდაო,  
 მაგრამ რაიც არ სად არის  
 არც არავის არსად არის!

უჩრდილო შუქს ვით ავხედო –  
 ვიანგლო და ვითავხედო –  
 აფთართან ძოვს სა შველიო  
 არც იქ არის საშველიო!..

სანინდარად გქონდეს ნება, იდღეგრძელო და იხარო!  
 საგზლად გეყოს მოთმინება, მაცხოვარის დაი ხარო!  
 თუმც სახმილით ბრიალებდა, განა გული დაიხა რო?!  
 უწყი ბედის ვერაგობა, – გაუძელ, არ დაიხარო!

განსაცდელი ელის ისევ ვინც იმ მორევს გამოცდაო,  
 სულერთია სადაც რამის თუ არაფრის გამო ცდაო,  
 უიღბლობის გამო და ხარ, მეყავ იღბლის გამოც დაო,  
 სჯობს სანუთროს წამდაუნუმ სიყვარულში გამოცდაო.

\* \* \*

ხარ უფალი და თან ხარ ფარეში,  
მე არ ვარ შენი ნების გარეშე.  
და თუ არა ვარ, არა ხარ არც შენ –  
თუ ამჩნევ, ჩემი გაჩენა გაჩენს.

შენ მევლინები მე ნაცვალები  
და მოვლინებით მენაცვალები,  
რადგან,  
თუკი ვარ, ვარ მე შენს სულში  
ოღონდაც  
ისევ ჩემში შესულში!!!



# თაბარ აპირსაიზვიდი

## ფატიმრებს აშლის ამ ღამეს ქარი

აცვივა მიწას ფოთლები ახლა,  
აშლის ფათერაკს ამ ღამეს ქარი,  
მერე შენსავით უმისამართოდ,  
წავა, წაიღებს იმედებს ხვალის.  
შემომატოვებს დარდსა და დუმილს,  
წამოენევა წამსვლელებს გზებზე  
და ჩამოივლის აივნებს, ფანჯრებს,  
რომ ისევ ყველას უამბოს ჩვენზე.  
ხმაურობს ქუჩა და სველ კედლებზე,  
ხეების გრძელი ჩრდილი თამაშობს,  
ცაზე მთვრალივით ირწევა მთვარე  
შფოთავს ქარი და კივის ზარნაშო.  
ვერ დაგანე ხმა და ვედრება,  
მიდიხარ, მიგაქვს იმედი ხვალის,  
მე ძველებურად კვლავ შენზე ვშიშობ,  
ფათერაკს აშლის ამ ღამეს ქარი.

## ქალბატონო

ისევ ღრუბელივით წამოშალა,  
ღამემ ახლა ეჭვი საბატონოდ,  
ვჯავრობ პირველ თოვლის მობრძანება  
სხვამ რად მოგილოცა ქალბატონო?!

გაბნევეს ახირება, გრანელივით  
ღამე საფლავებთან გავათიო,  
არცა სამდურავი, საყვედური,  
ყველაფერი უნდა მაპატიო.  
აბა რაღა გითხრა, „კაცის გული,  
მართლაც, მორევია შავი ზღვისა“,  
ჰოდა, ამიტომაც მორევია  
ზოგჯერ ნადილი და ნდომა სხვისა.  
რა ვქნა, კაცი ვარ და ეს სისუსტეც,  
მაბნევეს დაუთვლელი ციფრებივით,  
მერე ძველ ადგილებს ვუბრუნდებით  
ბუდეს მოსურვებულ ჩიტებივით.  
ჭირსაც წაულია ყველა ქალი,  
შენ სხვა როგორ უნდა დაგატოლო,  
ვჯავრობ პირველ თოვლის მობრძანება  
სხვამ რად მოგილოცა ქალბატონო?!

## არ ჰქვია კაცი, არ იცის ვინაც,

არ ჰქვია კაცი, არ იცის ვინაც,  
ცნობა რეგვენთა, ცრუთა, ავსულთა,  
კაცი, რომელიც მთელი ცხოვრება  
ჩიტვივით კენკავს სხვების ნასუფრალს.  
ვისთვისაც ქვეყნად არის სულერთი,  
ქრისტეც, მაჰმადიც, ბუდაც, იუდაც,  
ღმერთსაც უგულოდ გაყიდის მყისვე,  
თუკი ოცდაათ ვერცხლსაც მიუტან.  
ასეთი კაცი არ კვდება ერთხელ,  
ასეთი კაცი მიწყევ მკვდარია,  
ვერ ამჩნევ მადლს და სიავეს შორის  
დაუსაბამო, დიდი ზღვარია.  
არ დასდებია სხვას წყლულზე წამლად,  
არ ჩასდგომია გულში სინათლედ,  
პილატესავით დაიბანს ხელებს  
და გააფთრებით დევნის სიმართლეს.  
სულ არ აშფოთებთ სიმძიმე ცოდვის,

კვლავ მიჰყვებიან გზას ზაკვით გავლილს  
და ძველებურად, შეუბრალებლად,  
სხვას ჭრილობაზე აყრიან მარილს.  
მიეცი ღმერთო, უკლებლივ ყველას,  
უნარი ცნობის, ცრუთა, ავსულთა,  
გვაცილე კაცი, რომელიც ურცხვად,  
ჩიტივით კენკავს სხვების ნასუფრალს.

**არ შეგანუხებ სათხოვრით ღმერთო**

არ შეგანუხებ სათხოვრით ღმერთო  
და ან რა გთხოვო ამაზე მეტი,  
მაცილე სნება ოცდაათ ვერცხლის,  
მაშორე ღმერთო, იუდას ბედი.  
არ დამიმონოს სიხარბემ კაცთა,  
მკმაროდეს მუდამ ნატეხი მისხლის,  
მაცილე ღმერთო, ურგები პური  
სხვისი ოფლისა და სხვისი სისხლის.  
მიეცი რწმენა, თუნდ მარცვლის ტოლა,  
უბადრუკსა და უფლის უარმყოფს,  
რომ პეტრესავით მამლის ხმობამდე,  
ზაკვით და ფიცით არა უარგყოს.  
აკვიდეთ ჯვარი გოლგოთის გზაზე,  
ჩვენ, ავაზაკმან, კაენის მოდგმის,  
განტევების ვაცს დავეძებთ ყველგან,  
რომ სხვამ ატაროს სიძიმე ცოდვის.  
სწორედ ამიტომ არას გთხოვ, ღმერთო  
და ან რა გთხოვო ამაზე მეტი,  
მაცილე სნება ოცდაათ ვერცხლის  
მაშორე ღმერთო, იუდას ბედი.

**სველ მავთულებზე ჩიტები სხედან**

სველ მავთულებზე ჩიტები სხედან,  
ეჭვით უმზერენ ამღვრეულ ღრუბლებს,  
ქუჩის კუთხეში გლახაკი ისევ,  
ჩურჩულით ითვლის მიგდებულ ხურდებს.  
შუბლის ზოლებში მიმალულ სევდას  
და თვალის ფსკერზე დალექილ ტკივილს,  
როგორც მძიმე ჯვარს ატარებს ისე

და ნილაბივით მოირგებს ღმირს.  
ირევა ყველგან საცდური ცოდვის,  
იხვეჭენ ვერცხლს და ფლანგავენ სინდისს...  
„უძლები შვილი“ გაურბის მამას  
და ეს ცხოვრებაც ტკივილით მიდის!  
დასდევს ილბალი მავანს და მავანს  
კვლავ ატარებენ ათასგვარ ნიღბებს  
და ვერ ამჩნევენ მონასტრის კართან,  
მათხოვრის გვერდით მოწყენილ ქრისტეს.  
შემოაბიჯებს სალამო ფრთხილად,  
მთვარე ცის კიდეს ლანდად ჰკიდია,  
კვლავ აგროვებენ ნაწყალობ გროშებს,  
კაცი და ღმერთი ერთად მიდიან.

**ნამომენივნენ ქარები ბზაბზე**

ნამომენივნენ ქარები გზებზე,  
მთვრალივით გაჰყვინენ ქვაფენილს სადღაც  
და მლოცველივით აღმოხდა ისევ,  
ფერგამკრთალ მთვარეს ტკივილით რაღაც.  
აავსო ღამემ სიჩუმით ქუჩა  
და სხვამ სათქმელი დამასწრო თითქოს,  
წვიმს, ხელისგულებს სიამით მივსებს,  
აქ ჩამალული ბელურას სითბო.  
და ვასამარებ კვლავ გულის ფსკერზე,  
ტკივილებსა და გარდაცვლილ მზეებს,  
მინედლებს შენი სათუთი სუნთქვა,  
უსიცოცხლო და მომაკვდავ დღეებს.  
არ მაკრთობს მაინც გრიგალი დარდის,  
არ მიძებნია სულში იარა,  
მაინც ყოველთვის მერჩივნა ბრძოლა  
და შერიგება ბედთან კი არა.  
არ მყვარებია ნახევრად არავინ,  
არ მისურვია შეცვლა მთლიანის,  
ალარ მახარებს ვისიმე პოვნა,  
მერე დაკარგვა ადამიანის.  
ან რა ფასი აქვს სიტყვებს, რომლებსაც  
ამბობ და მაინც ვერვინ იგებდეს,  
წვიმს, ხელისგულებს ბელურა მითბობს,  
და ვიცდი, სანამ გადაიღებდეს.

**სალამო ლურჯი და წყნარი**

სალამო ლურჯი და წყნარი,  
 ძველ წიგნებს ედება ჩრჩილი,  
 ოთახში ფერმკრთალი ლანდი,  
 კედლებზე ხეების ჩრდილი.  
 აღარსად კვლავ სულის სწორი,  
 სხვა ფიქრი ანუხებს ჭკვიანს,  
 ვით მკვდარი თოლია ნაპირს,  
 ნატვრა ფრთაშეჭრილი გდია.  
 რაღაცას იგონებს გული,  
 ცა პეშვით მიირთმევს წყვიადს,  
 როცა ბევრს ტყუიან ახლა,  
 მით უფრო მართალი ჰქვიათ.  
 ზოგს ესმის დუმილის ენა,  
 ზოგს ვერა ნათქვამი სიტყვის,  
 ზოგისთვის ტვირთია რწმენა,  
 ერთია ბრძენიც და ბრიყვიც.  
 უსიტყვოდ იყრება გზები,  
 ძველ წიგნებს ედება ჩრჩილი,  
 ოთახში ფერმკრთალი ლანდი,  
 კედლებზე ირხევა ჩრდილი.

**ისე უბრალოდ განვიმდა ახლა**

ისე უბრალოდ განვიმდა ახლა,  
 ისე უბრალოდ შევჩერდი გზაში,  
 რატომ მგონია არ ვიცი ახლა,  
 ძვირფასო, ისევ დამხვდები სახლში.  
 წვიმს, ღამე მაინც არ ვხურავ კარებს,  
 ფიქრი ხეტიალს ისევ არ იშლის,  
 ავანთებ ტორშერს და წიგნში მხვდება,  
 ფერგაცრეცილი შენი სანიშნი.  
 მიიპარება ღამე ქურდივით,  
 ცისფერ ფინჯანში მთვარე ტივტივებს,  
 ასე მგონია ნოქტიურნს უკრავ,  
 მერე დუმხარ და სათქმელს იცილებ.  
 დღეები გახდნენ ისე უფერო,  
 როგორაც სახლი ხდება უქალოდ,  
 ვერ ვხვდები, ისევ მიყვარხარ ახლა,  
 თუ მომენატრე ისე, უბრალოდ.

**მეყვავილე**

ქუჩის კუთხეში ზის მეყვავილე,  
 კვლავ სხვათა ბედის ითვლის თარიღებს,  
 მთელი სალამო ფერად ყვავილებს,  
 არჩევს და ისევ სხვისთვის არიგებს.  
 სულ ბოლო კონას გადადებს გვერდზე  
 სითბო ეღვრება დაქანცულს ხმაში  
 და შროშანები ღიმილით მიაქვს  
 მოხუცს ცოლისთვის ყოველდღე სახლში.  
 სულ ბოლო კონას გადადებს გვერდზე,  
 სითბო ეღვრება დაქანცულს ხმაში  
 და ყვავილები ღიმილით მიაქვს,  
 მოხუცს ცოლისთვის ყოველდღე სახლში.  
 მიაქვს სიფრთხილით და მღელვარებით,  
 ვით პირველ გრძნობის ჩუმად განდობა  
 და უბრუნდება ხელახლა თითქოს,  
 ან გაფრენილი ახალგაზრდობა.

**სიზმარეთიდან იმედებს მოჰყვებ**

დაბორიალებს ოთახში ვნება,  
 ბუხრისპირ ვზივართ სურვილით მთვრალი  
 და უხმოდ ვუსმენთ, როგორ აჯავრებს,  
 გაძარცვულ ხეებს დეკემბრის ქარი.  
 მაჩუმებ ზოგჯერ, რადგანაც მოგნონს,  
 რომ ლულუნებენ გარეთ მტრედები,  
 მიკითხავ ლექსებს და გემინია,  
 რომ არ მომწყინდეს სენტიმენტები.  
 ვიქცევით ხშირად, როგორც ბავშვები,  
 სკვერში ბუშტები ცაში ავუშვით,  
 ხშირად ვკამათობთ, თუ რომელი სჯობს,  
 მენდელსონი თუ უფრო შტრაუსი.  
 ძველი თაროდან ვალაგებთ წიგნებს,  
 ვარჩევთ და ვუსმენთ ნაცნობ არიას,  
 გაგვიზაფხულდა მკაცრი ზამთარი,  
 და დაგვაინწყდა დიდი ხანია.  
 გადამიტაცე ღამაზ ზღაპარში  
 კვლავ ავედევნეთ ჩიტუნებს ქარში,  
 სიზმარეთიდან იმედებს მოჰყვებ  
 და სამუდამოდ აქ, ჩემთან დარჩი.

**ვერ ამიხსნია**

დაღამდა უკვე, თოვლია გარეთ,  
 გაგიკრთო ძილი ფიქრებმა ალბათ  
 და გაჯავრებულ ქალივით ანჩხლი,  
 წრიალებს ქარი დაკეტილ კართან.  
 ვერ ამიხსნია რად შეუძლია,  
 ამ თოვლს შეგეხოს თითებზე, მხრებზე  
 და ათრთოლებულ სურვილით სავსე,  
 მიგაცილებდეს ჩემსავით გზებზე.  
 ქვაზე დადებულ სიკეთის მსგავსად,  
 წინ მიხვდებიან ქარები გვიან,  
 ყველა ტკივილი და სინანული,  
 ისევე წვიმებს და ქარებს მიაქვს.  
 კვლავ ძველებურად დაგყვება მთვარე,  
 ვით ჩემი ლანდი დიდი ხნის წინათ,  
 თოვლია გარეთ, შენს შიშველ მხრებზე,  
 თოვლივით თამამ ოცნებებს სძინავთ.

**ვადებ წვიმაში დარბებებს, ფანჯრებს**


წვიმს და თანდათან იცლება ქუჩა,  
 კრთის მოაჯირზე ციცქნა ბელურა...  
 და ყველა ივსებს თვის კუთვნილ სივრცეს  
 და სიმარტოვეს თავისებურად!  
 უსმენს ვიღაცა ბახსა და შოპენს,  
 ავსებენ ჭიქებს ღვინით პირამდე,  
 ვალებ წვიმაში დარაბებს, ფანჯრებს,  
 სიმშვიდისა და ყველას ჯინაზე.  
 მოჰყვება წვიმას ოთახში ამბად,  
 სხვების ღიმილი, თრთოლვა და შიში...  
 და წვიმის სუნთქვა დაქანცულს მერე  
 წუხელ მესმოდა სიცხადით ძილშიც.  
 ვხედავდი კედლებს ბავშვობის სახლის,  
 პარმალთან ლანდი ჩნდებოდა დედის,  
 მეჩვენებოდა მსუბუქი მაინც  
 აუტანლობა და მტრობა ბედის!  
 წვიმს და სახლებში ხურავენ ფანჯრებს,  
 სხედან, ივსებენ ჭიქებს პირამდე,  
 ვალებ წვიმაში დარაბებს მაინც  
 სიმშვიდისა და ყველას ჯინაზე.

**რაც შენ წახვედი**

დატოვეს დარდი ზამთრის დღეებმა,  
 ქუჩებში მარტი ანჩხლობს თავხედი,  
 გადამავინყდა ყველა სონეტი,  
 რაც შენ წახვედი...  
 ქვაფენილებზე მგზავრი გადადის,  
 სკვერში ჩიტები ისევ კრთებიან,  
 უკვე დამპირდი, ჩემთან იქნები,  
 როცა მერცხლები დაბრუნდებიან.  
 გადაიქროლეს მარტის ქარებმა,  
 თან წაიყოლეს ყველა არია  
 და სიტყვის ბოლოს მრავალწერტილი,  
 არ ვიცი უკვე რისი ბრალია.  
 უთქმელი ფიქრი წრიალებს სადღაც,  
 ის, რასაც მაინც ვერ ვიტყვი სხვებთან,  
 შენ დაგავინყდა პირობა ალბათ,  
 იცი? მერცხლები დაბრუნდნენ ჩემთან.

**ქარი**

უცებ დააფრთხო ჩიტები სკვერში,  
 მიიჯახუნა სიანციით კარი,  
 სველი აფიშა ააკრა ჭადარს  
 და ამედევნა ქუჩაში ქარი.  
 მებრძოდა დიდხანს, კრთებოდა თმებში,  
 ხან მხვევდა ნელზე გათოშილ თითებს,  
 მიწვავდა სახეს სუსხიან კოცნით,  
 ფანტავდა გზაში დაკარგულ ნივთებს.  
 და გავურბოდი მის შეშლილ ვნებას,  
 როგორც გაურბის საცდურს მართალი,  
 შემომხედე და მაგ თვალთა მზერით,  
 სულიდან უცებ გაქრა ზამთარი.  
 და აგერიდე, როგორც ცოდვილი,  
 შერცხვენილი და შეცვლილ გუნებით,  
 რადგან მეგონა სხეულზე მაჩნდა,  
 ქარის უხეში ნათითურები.



## ფრიტიოზ ნანსენი

### მთარგმნელისგან

ფრიტიოზ ნანსენი 1861 წელს, ნორვეგიაში დაიბადა. ფრიდტოფი საოცრად ნიჭიერი ადამიანი გახლდათ, ის იყო მეცნიერი, მოგზაური, აღმომჩენი, დიპლომატი, და რაც მთავარია ნობელის პრემიის ლაურეატი. ასევე იყო პროფესიონალი მოთხილამურე და მთამსვლეელი, 1888 წელს მისი ხელმძღვანელობით, ნორვეგიულმა გუნდმა პირველებმა გადაკვეთეს გრენლანდია.

განათლებით ზოოლოგი ბრძანდებოდა და ამ სფეროში დოქტორის ხარისხიც ჰქონდა მოპოვებული. პოლიტიკური მოღვაწეობა შედარებით გვიან დაიწყო, როდესაც დანიის უფლისწული კარლი ნორვეგიის დანიისგან გამოყოფაში დაარწმუნა. რამდენიმე წლით ნორვეგიის წარმომადგენლის პოზიციაც კი ეკავა, რითაც ახლად შექმნილი სახელმწიფოს დამოუკიდებელ ურთიერთობებს უწყობდა ხელს.

თავისი ცხოვრების ბოლო ათწლეუდი კი ერთა ლიგას მიუძღვა, სადაც 1921 წელს ლტოლვილთა კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა. ნობელის პრემია პირველი მსოფლიო ომის ლტოლვილთა დასახმარებლად გაწეული დახმარებისათვის გადასცეს. 1925 წელს ნანსენმა თავისი დრო და ყურადღება სომხური გენოციდის პრობლემისაკენ მიმართა და დიდი დახმარების ხელი გაუწოდა დაზარალებულ ოჯახებს. მისი წიგნი „სომხეთი და ახლო აღმოსავლეთი“ სწორედ ამ პერიოდშია დაწერილი, ავტორი პირადად გვიყვება თავისი მოგზაურობის შესახებ, ქვეყნების ისტორიასთან ერთად საკუთარ განცდებსაც გვიზიარებს. მოგზაურობის დროს, ავტორმა გამოიარა საქართველოც და თავის წიგნში დიდი ნაწილი დაუთმო ამ პატარა სახელმწიფოსა და მის ისტორიას. ორიგინალ წიგნში, ავტორმა ცალკე თავი დაუთმო საქართველოს და თარგმანიც მხოლოდ ამ მონაკვეთს მოიცავს.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ დოქტორი ნანსენი ეპოქიდან გამომდინარე საკმაოდ შეზღუდული იყო სწორი ინფორმაციის მიღებაში, რის გამოც ალაგ-ალაგ მცირე ხარვეზებს ვაწყდებით მის მონათხრობში. მკითხველს ვურჩევდი, რომ ყურადღება მის პირად შთაბეჭდილებებსა და შეგრძნებებზე გაამახვილოს, ხოლო ისტორიული აცდენების მიმართ კრიტიკული ნუ იქნება.

### (წიგნიდან „სომხეთი და ახლო აღმოსავლეთი“)

ოთხშაბათს, ნაშუადღევს, 10 ივნისს, ფრანგული გემით შავ ზღვაში უნდა გავსულიყავით. სომხეთმა დელეგაციამ, გამოსამშვიდობებლად შესანიშნავი ყვავილებით სავსე კალათა მოგვართვა. ასეთი თბილი ჟესტი მადლიერების სიმნარესაც კი აგრძნობინებს კაცს, რომელსაც არაფრით დაუმსახურებია ასეთი პატივისცემა და მხოლოდ იმის თქმაღა შეუძლია: ნეტავ ოდესმე გადამახდევინა ვალიო.

ცოტა ხანში გემი ზღვაში შეცურდა და კუნძულს გამოეყო. ჩვენ გვერდით იყო უზარმაზარი აღმოსავლური ლაინერი, რომელსაც ნავები ბუზებივით შემოხვეოდა გარს. მანაც ჩვენთან ერთად ასწია ღუზა და ნელა დაიძრა აღმოსავლეთის ქვეყნებისაკენ... ერთ მხარეს, გალათეას ფერდობები-



დან ერთმანეთზე სართულებად დაშენებული სახლები გვიმზერდნენ, რომლებსაც ახლა უკვე სახანძრო სადგურად ქცეული ძველი გენუის კოშკი გვირგვინად ედგათ თავზე. მეორე მხრიდან სტამბოლის კუბოკრული საცხოვრებლები და მეჩეთის ვებერთელა გუმბათები იცქირებოდნენ. ქალაქის ორ უბანს შორის კიანძებითა და მილებით ატყევებულიყო ბოსფორის სრუტის ოქროს საყვირი<sup>1</sup>. სრუტე კი ნაზად ირეკლავდა მზის სხივებს, მალე გაჩერებულ გემებს შორის ვინრო გასასვლელში გავედვრით და ჩრდილო-აღმოსავლეთით, ბოსფორისაკენ ავიღეთ გეზი. სტამბოლის თავზე მომართული მეჩეთის გუმბათები და მინარეთის კოშკები დიდხანს ილანდებოდნენ შავად დასავლეთით ჩამავლი მზის ფონზე, ცოტაც და კონსტანტინოპოლი ჩვენ ზურგს უკან ჩაიძირა.

ბოსფორთან წამოჭიმული ეს ხმაურიანი გორა სხვადასხვა ელემენტების ერთი დიდი, საოცარი და ჩახლართული ბუდეა, რომელიც ძალიან ჩამოჰგავს ჭიანჭველების ბუდეს. იქ, მტერი თუ მოყვარე – ყველა ერთმანეთშია არეული, მტერი მითუმეტეს. აქაა ძალაუფლების დიდი ცენტრი. ორ ზღვასშუა, სწორედ ამ კალაპოტში ხვდება ორი სამყარო ერთმანეთს. აქ მრავალტანჯული წარსული დღეების პოეზიას კარგა ხანია უცხოტომელთა უღელი ადგას.

ბიზანტიის იმპერიამ, მიუხედავად თავისი შეცდომებისა თუ სისუსტეებისა, საუკუნეების მანძილზე ცივილიზაციას უბოძა შესანიშნავი დედაქალაქი, რომლის აღმშენებლობაში თავიანთი წვლილი შეიტანეს აღმოსავლეთმაც და დასავლეთმაც. ეს იმპერია უკანასკნელ ამოსუნთქვამდე, სანამ საბოლოოდ არ შეერკინებოდა სიკვდილს, გამუდმებით აყოვნებდა მის საზღვრებს მიმწყდარ სხვადასხვა ბარბაროსთა ურდოებს. ვაფასებთ კი იმ დიდ დამსახურებას, რაც მას მიუძღვის თეთრი რასის წინაშე?

არადა ჯერ სპარსელები მოაწყდნენ ამ ზღუდეს, თავიანთი კულტურით. მერე ზარბაზნებით მოჰყვნენ არაბები და მათმა გამუდმებულმა ზენოლამ, ოთხასი წელი რომ გრძელდებოდა, აქ არაერთხელ იწვინა მარცხი. შვიდი წელი განუწყვეტილად (672-679) ალყაში იყო კონსტანტინოპოლი, ხმელეთიდანაც და ზღვიდანაც. ბოსფორზე მათი გემები ბატონობდნენ, მაგრამ ბერძნულ ცეცხლს მაინც ვერ გაუძლეს და დიდძალი ლაშქარი დაკარგეს. ხელმეორედ 718 წელს დაბრუნდნენ, ფანატიკოსთა ახალი არმიით, თუმცა ბიზანტიელებმა კვლავაც დაჯაბნეს და უკუაგდეს მტერი.

წარმოიდგინეთ, ჩვენი ცივილიზაციის ბედი როგორ წარიმართებოდა ამ კაშხალს რომ ელაღატა და არაბებისთვის უფლება მიეცა, დაბრკოლების გარეშე მოწყდომოდნენ ევროპას, თანაც იმ ეპოქაში, როცა მათი ძლევამოსილება ზენიტში იყო და ზურგს ინდოეთიდან ატლანტის ოკეანემდე შეუწონავი ძალა უმაგრებდა. მართალია, არაბები აღმოსავლეთის ერთ-ერთი ცივილიზებულ ხალხთაგანი იყვნენ, ზოგი იმასაც ამბობს, რომ მათი შეჩერებით ევროპამ ბევრი დაკარგაო, რადგანაც ჯერ კიდევ მაშინ, მათთვის თანამედროვე ევროპელებზე ბევრად დიდი კულტურის მატარებლები ყოფილან. მაგრამ განვითარების თანმიმდევრული ჟამთასვლა ნამდვილად მკვეთრად შეიცვლებოდა და ის ევროპაც დღევანდელი ევროპისაგან საგრძნობლად განსხვავებული იქნებოდა.

ბევრად უფრო დიდი იყო მომდევნო დამპყრობლების შემოსევა: თურქ-სელჩუკებისა და ოსმალებისა. ამ მომთაბარე და ველურ ტომებს მხოლოდ ძარცვა ჰქონდათ მიზნად, მათი ომის პოლიტიკა კი გულისხმობდა მინათმოქმედების განადგურებასა და თავიანთი არაცივილური, მომთაბარე თვისტომელებისთვის დაპყრობილი ქვეყნების საძოვრებად ქცევას.

დიდი ხნის მანძილზე ეს დაუმარცხებელი ციხე-სიმაგრე, ალბათ, წარმოუდგენელი პოლიტიკური ინტრიგების არენაც გახლდათ, იმ დროისათვის დამახასიათებელი სისასტიკითა და ფარისევლობით. ამასობაში კი აღმოსავლეთით, სამხრეთითა თუ ჩრდილოეთით გუნდ-გუნდად გროვდებოდნენ სხვადასხვა მტაცებელი ფრინველები და ემზადებოდნენ, რათა ქალაქს დასცემოდნენ თავს.

<sup>1</sup> ადგილის სახელწოდება.

ეს იყო აქ, უფრო სწორად „მიკლგარდში“, სადაც ჩვენი წინაპრები, ვერინგები, ხანდახან მოძმე სომხებთან ერთად, იარაღით იცავდნენ იმპერატორს და პირად დაცვად დაჰყვებოდნენ ბრძოლაში, მშვიდობიანობისას კი ცალკე სამხედრო ერთეულებს კრავდნენ და არბევდნენ: თურქებს, სარაცი-ნებს, დასავლეთ-რომაელებსა და ბულგარებს. ზუსტად აქ, ნორვეგიელმა ბელადმა და რჩეულმა მეომარმა, ჰარალდ ჰარდრაადემ, ჭკვიანმა, შორსმჭვრეტელმა და მოხერხებულმა მხედართმთავარმა ისეთი საგმირო საქმეები ჩაიდინა, რომ მტერს თავზარი დასცა. სისასტიკე და ძალადობა მხოლოდ ურდოების დამახასიათებელი როდი ყოფილა. ამ მხრივ, ალბათ, ვერ შევძლებთ იმაზე არაადამიანური სასჯელის წარმოდგენას, რომლითაც ცნობილმა ქრისტიანმა იმპერატორმა, ბასილი II-მ გამოიჩინა თავი, როდესაც არაადამიანური სისასტიკით დასაჯა ბულგარელები 1014 წელს. მან შეპყრობილი 15 000 ბულგარელი ტყვე ას-ას კაცად დაყო, ასიდან ოთხმოცდაცხრამეტ კაცს ორივე თვალი დასთხარა, სათავეში ცალთვალდათხრილი მესე ჩაუყენა, რათა დანარჩენებს სამშობლოსაკენ გაძლოლოდა წინ. ბარბაროსების უფლისწულს, რომელიც ქრისტიან დამპყრობლებზე უფრო მგრძნობიარე აღმოჩნდა, თავისი თვალბდათხრილი ჯარის დანახვაზე გულმა ვერ გაუძლო და ადგილზევე განუტევა სული.

შეგვიძლია, სხვა ეპიზოდის გავიხსენოთ: 1071 წელს, ბიზანტიის მამაცმა იმპერატორმა რომანუს IV-მ ლალატის გამო სომხეთში მანაცკერტის ბრძოლა წააგო და სელჩუკებს ტყვედ ჩაუვარდა. დატყვევებულ მონარქს სისხლისმსმელი სულთანი ალფ – არსლანი ჯერ ფეხით შესდგა, მაგრამ მერე სიცოცხლე და თავისუფლება მიანიჭა, და ისე ექცეოდა, როგორც საპატიო სტუმარს. სამწუხაროდ, ალფ არსლანის მიერ გარკვეული პირობებით განთავისუფლებულ იმპერატორს სამშობლოში დაბრუნებისას გზაზე სასახლის მსახურები დაუხვდნენ, ტახტდაკარგულ იმპერატორს ჯერ თვალე-ბი დასთხარეს და ბოლოს მოკლეს. ამით დასრულდა ბიზანტიის ოქროს ხანა.

XV საუკუნე ერთ დროს ძლევამოსილი ბიზანტიის იმპერიისთვის ტრაგიკული აღმოჩნდა. ამ დროისთვის უზარმაზარი იმპერიიდან ის ერთ უმნიშვნელო ქალაქ-სახელმწიფოდ ჩამოქვეითდა. თურქები ნაწილ-ნაწილ აგლეჯდნენ მას მიწებს, ბოლოს მხოლოდ კონსტანტინოპოლი, ბოსფორის ნახევარკუნძული და ერთი მუჭა, აქა-იქ მიმობნეული მიწებიღა დარჩა: თესალონიკი, პელოპონესში მისითრას პროვინცია, ლემნოსის და თასოსის კუნძულები, ბულგარეთის ორი ქალაქი ვარნა და მესამბრია. მაგრამ კონსტანტინოპოლის ციხე-სიმაგრემ კიდევ დიდხანს გაძლო. სულთანმა მურად II-მ და მისმა ლაშქარმა, 1422 წელს, დასავლეთში გამოგონილი ზარბაზნები, აღმოსავლეთში გამოიყენეს ისტორიაში პირველად, მაგრამ ქალაქი შტურმით მაინც ვერ აიღეს. დიახ, სწორედ თურქებმა გამოიყენეს პირველად ზარბაზნები. მიუხედავად დიდი საფრთხისა, ქალაქის კედლებში ცხოვრება ძველებურად გრძელდებოდა, საგარეო მარცხები შიგნით არ იგრძნობოდა; ალბათ, თავიანთი ახლო მომავლის ავბედითობით უმეცარი მოქალაქეები გართობას იყვნენ მიცემული, წმინდა სოფიის ტაძარში გამართული დრამატული სპექტაკლებით ირთობდნენ თავს, ხანდახან საიმისო დროსაც კი პოულობდნენ, რომ უცხო ქვეყნის დესპანებს მეფურად დახვედროდნენ.

მაგრამ ქალაქს ისევ თავს დაესხნენ და ალყაში მოაქციეს, ამჯერად მუჰამედ II არ კარგავდა დროს. 1453 წლის აპრილში ქალაქს 165 000 კაციანი ლაშქრით მიაღება. სამწუხაროდ, ამ შემოტევის მოსაგერიებლად, მამაცმა იმპერატორმა კონსტანტინე XI-მ 7000 კაცზე მეტი ვერ შეკრიბა. თურქებს არტილერიაც ჰქონდათ: თოთხმეტი ქვემეხი და თორმეტი კატაპულტა. დაახლოებით 200 კილომეტრიანი ქვის ჭურვებით დღედაღამ ბომბავდნენ ქალაქს. გალავანი მრავალგან შეანგრის. თავდამსხმელებთან გამკლავება სულ უფრო ჭირდა. მტერთან შერკინება უიმედო იყო. ყველაზე შეუპოვარ და მამაც მეომრად თავად იმპერატორი დასახელდა.

<sup>1</sup> ასე მოიხსენიებდნენ ვიკინგები ბიზანტიის ციხესიმაგრეებს, რაც შემდეგ სხვა ევროპულ ტომებშიც გავრცელდა.

საბოლოო, ტრაგიკული შეტაკება მოხდა შაბათ დღეს, 1453 წლის 29 მაისს, საღამო ხანს. სანამ დიდი თურქული ლაშქრობა დაიწყებოდა, იმპერატორმა უკანასკნელად მოიარა ქალაქის თავდაცვითი წერტილები, გაამხნევა მეომები, წმინდა სოფის ტაძარში დაესწრო ზიარებას, ოჯახის წევრებს გამოემშვიდობა და ყველას სთხოვა, მიეტევებინათ მათ წინაშე დაშვებული შეცდომები. შემდეგ კი გალავნის ყველაზე ფართო ჭრილისკენ გასწავა, საიდანაც თავდასხმას ელოდნენ და წინა რიგებში დაიკავა პოზიცია.

შტურმი ორ საათზე დაიწყო და გამთენიისას დამთავრდა. ახალგაზრდა გამარჯვებული მუჰამედ II ქალაქში შევიდა, გვერდი ჩაუარა იმპერატორის გვამს, რომელიც ბიზანტიის ერთგულ მეომართა ცხედრების ზვინში იყო ჩამარხული, იმპერატორის, რომელმაც უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იბრძოლა. ერთ-ერთმა თურქმა მეომარმა მისი სისხლიანი გვამი გამოარჩია, თავი მოაჭრა და მუჰამედს მიართვა. ეს უკანასკნელი ისეთი გახარებული იყო თავისი გამარჯვებით, რომ ბრძანება გასცა, თავი იუსტინიანეს სვეტზე ჩამოაგეთო. მერე მოჭრილი თავი აზიაურ პროვინციებში გაგზავნა, რომ იქაურ გუბერნატორებთან ეტრაბახა: აი, ვინ მოგკალიო. ბიზანტიის იმპერია აღარ იყო.

ჩვენი ორთქლმავალი გემი კი მშვიდად აგრძელებდა გზას ერთობ საინტერესო და ვიწრო სრუტეში, რომლის ბერძნული სახელი, ბოსფორი, შეიძლება შემდეგნაირად ითარგმნოს: „ხართა სანაპირო“ (მსგავსად ოქსფორდისა<sup>1</sup>). მართალია, ეს მოსაზრება სათუთაა, მაგრამ ერთობ სავარაუდოა, რომ ძველ ხალხებს მართლაც აქ გადაჰყავდათ თავიანთი პირუტყვი. სრუტე ძალიან ჰგავს დიდ დაკლანკონილ მდინარეს, რომელსაც ციცაბო კლდეების მასივში თავისი კალაპოტი გაუჭრია და აზია ევროპისთვის დაუკავშირებია. სხვაგვარად რანაირად უნდა წარმოშობილიყო მსგავსი არხი? რამდენიმე ადგილი იმის თვალსაჩინო მაგალითია, რომ გორაკებთან გაჩენილი ბრტყელი ტერასები ერთ დროს ადიდებული ზღვით იყო დაფარული, მაგრამ დროთა განმავლობაში, წყლის რაოდენობას აშკარად დაუკლია. ამისივე დასტურია დარდანელის სრუტეც, რადგან მის შორიანლო მდებარე კონცხებზეც და საბერძნეთის ახლომახლო კუნძულებზეც შევნიშნე ამგვარი თვალსაჩინოებანი. იმ გარდასულ დღეებში, როცა ზღვა უფრო დიდი იყო, შავ ზღვაზე კაშხალივით მომართული ეს ადგილი, ახლა უკვე ხმელთაშუა ზღვას მონყვეტილი ტბა რომაა, მაშინ უსათუოდ ზღვის დონეზე იქნებოდა დასული. მაგრამ როცა ზღვამ კლება იწყო, შავმა ზღვამაც ისევ ტბის ფორმა დაიბრუნა, ამ ადგილას კი მხოლოდ მჩქეფარე დინებაღა დარჩა, რომელიც მდინარედ გაუყვა ქედს და სულ უფრო ღრმად გაჭრა თავისი კალაპოტი. მაგრამ ზღვამ კვლავაც განაგრძო კლება, დღევანდელზე ბევრად დაბლა დაიწია, რითაც მდინარის დინება კიდევ უფრო დაუცხრომელი შეიქნა, კიდევ უფრო სიღრმეში წავიდა, სანამ მისი ფსკერიც ზღვის დონეს არ გაუთანაბრდა. მხოლოდ ამის მერე დაიწყო ზღვამ ისევ მატება; მატულობდა და კლებულობდა განუწყვეტლივ, სანამ ახლანდელ მდგომარეობას არ მიაღწია, მჩქეფარე მდინარემ კი ისეთი სახე მიიღო, რომელსაც დღეს სრუტეს ვეძახით და რომლის მეშვეობითაც გავდივართ ზღვაში.

ეს პროცესი ხმელეთზეც შესამჩნევი უნდა ყოფილიყო, რადგანაც, გამყინვარების პერიოდში ადიდებულმა და დამშრალმა ზღვამ ყველგან დატოვა თავისი კვალი. ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, როცა დედამიწის კლიმატი ისეთი თბილი იყო, რომ არც ანტარქტიდასა და არც გრენლანდიაში ყინული არ არსებობდა, ზღვის დონე დღევანდელს ბევრად აღემატებოდა, სავარაუდოდ ოცი მეტრით და მეტიც კი. მაგრამ გამყინვარების პერიოდში, როცა ევროპა ყინულის საფარში იყო მოქცეული, ციმბირის ნაწილი, ჩრდილოეთ ამერიკა, სამხრეთ ამერიკა, ანტარქტიდა და სხვა ადგილებიც იმდენ წყალს აკავებდნენ ყინულად, რომ ზღვების დონემ საგრძნობლად იკლო. მხოლოდ ამ ყინულების დნობა იყო საჭირო წყლის დონის მოსამატებლად. წყლის ნაკლებობის დროს

<sup>1</sup> Oxen – ხარები; ford – სანაპირო, მისადგომი.

(სავარაუდოდ, არც ისე დიდი ხნის წინ) შავი ზღვა უბრალო ტბა გახლდათ, და მშფოთვარე ჩანჩქერი გრიალებდა ბოსფორის ველზე. იმ ხანად ადამიანები ულრან ტყეებში დაიარებოდნენ.

გამოვცდით მშვენიერ ნაპირებს. სანაპიროზე გაშენებულ სასახლეებს მშვიდად ირეკლავდა წყალი და არსად იმჩნევდა სისხლიანი წარსულის ნაკვალევს. უფრო ზემოთ კი ნოციერი ფერდობები ხეების მასივით იყო დაფარული. სულთანის ბრძანებით შეინარჩუნეს ეს მდიდრული პეიზაჟი. არსად ჩანს ქარხნები, მხრჩოლავი საკვამურები, ნავთობ-ცისტერნები, რკინის ამწეები და თანამედროვეობის სხვა სიმახინჯეები! სულთანმა თავისი ედემი, თავისი ბაღი არჩია ინდუსტრიას, ევას მშვენიერი ქალიშვილები არ დაუთმო ჩვენი ეპოქის პროზაულ ვულგარულობას. ისეთი სისხლისმსმელი ურჩხულიც კი, როგორც აბდულ ჰამიდი იყო, ათასობით სომხის ხოცვა-ჟლეტით რომ ირთობდა ხოლმე თავს, ბუნების წიაღში ესწრაფოდა სიმშვიდესა და მოსვენებას. მაგრამ თურქეთშიც ჩამოჭრა დღევანდელი ზარმა, და, სავარაუდოდ, ქარხანა-დანადგარებისა და ნავთობ-ტანკერების ლაშქარი მალე ჩაენაცვლება ცოცხალ პეიზაჟად ქცეულ ბოსფორის სანაპიროს.

აქ კლიმატი არც თუ ისე თბილია, როგორც სრუტის განიერებიდან გამომდინარე შეიძლება ეგონოს კაცს; ძველებმაც კი იცოდნენ ცივი ბორეას შესახებ, შავი ზღვიდან და ჯერ აღმოუჩინელი სკვითიდან ბოსფორის გავლით სამხრეთიდან რომ ქროდა. კონსტანტინოპოლის ძველ საფორტიფიკაციო შენობათა ნანგრევებსაც ჩავუარეთ – ნორმანების კოშკებსა და გალავნებს, რომელთა დანიშნულებაც, ერთ დროს, თურქული ჯარების შეკავება იყო.

სალამოს სრუტის სათავეს მივალწიეთ, შავი ზღვა ჩვენ წინ, ხელისგულივით გადაიშალა, მზე უკვე დასავლეთის შორეულ ჰორიზონტში, ნახევარკუნძულზე ამართული შუქურის გვერდით იძირებოდა. თითქოს სრულიად ახალ სამყაროში უნდა შეგვეცურა. სწორედ ამ სრუტით გამოემართნენ ლეგენდარული არგონავტები მდიდარი კოლხეთისაკენ; ისინი აქ შეხვდნენ მოხუც, ბრმა მეფეს, სახელად ფინეუსს, რომელმაც პირობა მისცა, რომ კოლხეთის გზას ასწავლიდათ, თუკი არგონავტები საძაგელ ჰაპრიებს მოაშორებდნენ, რომლებიც მოსავალს უფუჭებდნენ, მშვიდად ჭამის საშუალებას არ აძლევდნენ და მოსვენებას უკარგავდნენ. ბორეას შვილები იოლად გაუმკლავდნენ ამ დავალებას, და ფინეასმაც, ლეგენდის თანახმად, საჭირო ინფორმაცია მიანოდა არგონავტებს, თუ რა კურსით უნდა ევლოთ ზღვაში. ჩვენ არც მოხუცი, ბრმა მეფე შეგვხვედრია სადმე, არც ჰარპიები; თუმცა თანამედროვე ტყვიამფრქვევით აღჭურვილი აეროპლანი უფრო მეტად ნაადგებოდა იმ საწყალ მეფეს, ვიდრე ბორეასის შვილები.

შავ ზღვაში შევცურეთ, ჩრდილოეთით, მცირე აზიას მიკედლებულებმა გავწიეთ აღმოსავლეთისაკენ. მომდევნო დილას (11 ივნისს), სონგულდაკს მივადექით, სადაც გემი ნახშირით უნდა დაეტვირთათ. ეს ადგილი ანტიკური საბერძნეთის კოლონია ჰერაკლიასგან ჩრდილო-აღმოსავლეთითაა (ახლა ერელი ეწოდება), უკანასკნელი პორტია, რომელშიც არგონავტები შევიდნენ, სანამ კოლხეთისკენ გასწევდნენ და მათი მესაჭე, ტიფისი სწორედ აქ გარდაიცვალა.

ნახშირის დატვირთვა საშინლად მოსაწყენია, მცირე აზიაშიც კი და სანამ ტვირთავდნენ, ზოგიერთი ჩვენგანი სანაპიროზე სასეირნოდ გავედით.

ქვანახშირის წიაღისეული აქ ბევრია: ზოგი პირდაპირ ზედაპირზე, ფერდობებზეა კირქვაში გამჯდარი. ძირითადად ფრანგებს დაუწყიათ აქ ქვანახშირის მოპოვება და კმაყოფილები არიან მისი ხარისხით. ნავსადგურში პასპორტები ჩამოგვართვეს და მხოლოდ მაშინ დაგვიბრუნეს, როცა გემზე დავბრუნდით. ეს უსათუოდ იმიტომ ქნეს, რომ ანატოლიით არ გავქცეულიყავით სადმე. თურქები ყველა უცხოელს ეჭვის თვალთ უყურებენ, და რადგანაც თანამედროვე ტენდენციებს ბოლომდე მაინც ვერ უმკლავდებიან, მათი ხელისუფალნი ძალ-ღონეს არ იშურებენ, რომ ქვეყანაში უცხოელი არ შემოეპაროთ, ამასთანავე, ამ ტრადიციის თანახმად, თურქეთიდან უკვე განდევნეს ისეთი უცხო

რასები, როგორებიც იყვნენ სომხები და ბერძნები, ოღონდ ებრაელებისა და ფრანგებისადმი უფრო მეტ ტოლერანტობას იჩენენ.

ქალაქის მაღლობებზე ავედით სასეირნოდ. ხეები არსად შემხვედრია, მარტო ორიოდ ბუჩქი შემხვდა გზაზე, გვიმრა მოსდებოდა ყველაფერს, თითო-ოროლა როდოდენდრონსაც მოვკარით თვალი, რამდენიმე დაფესვილი მუხა და ფოთლოვანი ხეც დავინახეთ, აქა-იქ ხეხილის ბალებიც გამოჩნდა. სიმინდის პატარა ყანებიც შევნიშნეთ და შვრიის რიგები; მაგრამ მეტად უჩვეულო ის იყო, რომ დამუშავებული მიწები მათ შორიასლოს სხვაგან ვერსად შევნიშნეთ. უფრო სიღრმეში რომ შევედით, მთიანი რელიეფი დაგვხვდა, ერთი ქედი მეორეს მისდევდა, შუაში კი მწვანედ აბიბინებული ფერდობები ჰქონდათ ჩაყოლებული. თუმცა აქაურობას ადამიანის ხელი თითქმის არ ეტყობოდა. უმშვენიერესი და უხვი მიწები ხელიდან გაშვებული შესაძლებლობების მხარედ ქცეულიყო, უეჭველად, ომიანობის სიმწარე ჰქონდა გადატანილი.

მაცხოვრებლები ძირითადად მუსულმანები არიან და მიუხედავად იმისა, რომ ახალი წესები უკვე მოდაში უნდა შემოსულიყო, ქალები აქ კვლავაც ჩადრით დადიან, ღამის მოჩვენებებით დაფარვატებენ ყველგან. უცნაურია, მაგრამ სახის დაფარვის ჩვეულება ისეა გამჭვდარი, რომ როგორი მოხუცი ან საპატიოც უნდა იყოს უცხო მამაკაცი, არავის არ ეჩვენებია, მითუმეტეს ერეტიკოსებს. ერთ პატარა ნაკვეთზე ოდნავ წამოზრდილი ბავშვები ახლდნენ სამუშაოდ ქალს, რომელიც, სავარაუდოდ, მათი დედა იყო. მაღლობზე, ბილიკზე შევჩერდით, რათა მათი საქმიანობისთვის გვეყურებინა, მაგრამ როგორც კი ქალს მივუახლოვდით, რომელსაც ჩადრი სახლში დარჩენოდა, მაშინვე წამოდგა და ზურგი შეგვაქცია, მისი სახე რომ არ დაგვენახა. რომელი მხრიდანაც მივუტრიალდებოდით, ისიც მაშინვე ზურგით დაგვიდგებოდა, მიუხედავად იმისა, რომ შორიასლო სულიერი არავინ იყო. რომ გამოვცდით, შორიდან შევნიშნეთ, რომ კვლავაც მუხლჩაუხრელად განაგრძო შრომა. მსგავსი რამ შეგვემთხვა ქალაქში ყოფნისასაც. ერთ ვინრო ჩიხში ბავშვთან მოლაპარაკე მოხუც ქალს წავანყდით, შავი ჩადრი დანაოჭებულ სახეზე აიფარა. ჩვენ კი უღამაზეს ბავშვს თვალი ვერ მოვწყვიტეთ.

ქალაქის სატრანსპორტო საშუალება ადამიანის ზურგი გახლდათ! დიდხანს ვიდექით სანაპიროზე და თვალს ვადევნებდით სხვადასხვა მზიდების მიმოსვლას. ფქვილის უზარმაზარ ტომრებს დაატარებდნენ, ამერიკული ხორბლისგან რომ დაეფქვათ კონსტანტინოპოლში და ახლა აქ არიგებდნენ. გასაოცარია, ამ ქვეყნაში ძალიან ნაყოფიერი მიწებია: ადგილი და ნაკვეთები რომ მოიხნას, თავიანთ მაცხოვრებლთა სამყოფზე ბევრად მეტ მოსავალს მიიღებდნენ, მაგრამ მარცვლეული და ფქვილი ამერიკიდან შემოაქვთ, სამაგიეროდ ამერიკული თამბაქო აქ მოჰყავთ და უკან აგზავნიან! მართლაც საოცარ სამყაროში ვცხოვრობთ.

გემზე მგზავრები, ძირითადად კაცები, დაგვემატნენ, ჩვენთან ერთად ტრაპიზონში უნდოდით წამოსვლა. როგორც თქვეს, თითქმის ყველანი, ქურთები იყვნენ. სენტიმენტალური სანახავი იყო ნავსადგურში ახლობელთა გამომშვიდობების ყურება: კაცები ორივე ლოყაზე კოცნიდნენ ერთმანეთს. ზოგი მათგანი მოსული, ჯანიანი ბიჭი იყო, აშკარად იმავე ჩამოსხმისა, როგორიც სანაპიროზე მოსიარულე მზიდავები. უცნაური ხალხია ეს ქურთები, ნაწილობრივ არიელები. თუმცა ზოგი მიიჩნევს, რომ ჩრდილოური წარმოშობისა უნდა იყვნენო. მათი ენა ირანულს ენათესავება. ვერ ვიტყვი, ჩვენს თანამემამულეებს ჩამოჰგვანან-მეთქი. მართალია, რამდენიმეს ყავისფერი თმა ჰქონდა და მოლურჯო თვალებიც, მაგრამ მათი სახის მოყვანილობა მაინც უცხო და აღმოსავლური მეჩვენა. აქვე იყვნენ სემიტებიც, გრძელი, მოკაუჭებული ცხვირებით, შავგვრემანები. დანარჩენები უფრო რუს თათრებს ჩამოჰგავდნენ, წამონეული ყვრიმალეებითა და შავი, ნაცრისფერი ან მოთეთრო, გრძელი წვერით, ერთი მათგანი ინდოელივით შავი გახლდათ.

მართლაც მრავალფეროვანი და სხვადასხვა ეროვნების ხალხი მოაწყდა ჩვენს გემს. თურქები გემბანზე განცალკევებით ისხდნენ, სავარაუდოდ, ვაჭრები იყვნენ და თავიანთ ბიზნესს განიხილავდნენ. გემის შუაგულში ყველანაირი ხალხი ირეოდა: სპარსელები, რომელთაც თეთრი ხალათის ტოტები ნიაზე ისე უფრიალებდათ, შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს ამოტრიალებული აცვიანთო; მედგარი ქურთები, უძრავად ჩამომსხდარნი თავიანთ ქონებაზე; სემიტები, გრძელი, ნაცრისფერი, ბრძენკაცული წვერით, მოკაუჭებული ცხვირებითა და თეთრი ჩაღმებით, თითქოს აბრაამ და იცხაკ პატრიარქები მოვლენილიყვნენ გემბანს. მანდილოსნები აქვე მიმობნეულიყვნენ გათიბული ბალახით, რომლებიც აშკარად არ ენათესავებოდნენ იმ სარას, კარავში რომ კისკისებდა და ამათ ყველას ავსებდნენ ბავშვები, სიცოცხლის მარადიული გაზაფხულნი, რომელთა ჟრიაში, დაუდგრომელი სული და ენერგია ყველა სხვა ხმას ორჯერ აღემატებოდა.

მზის ჩასვლისას ორმა ერთგულმა მუსულმანმა ღვთისმსახურება ზედ გემის კიჩოსთან აღავლინა. ხალიჩებზე ფეხმორთხმული, ჩვენგან სამხრეთით მდებარე მექისკენ ჰქონდათ თავი და თავიანთ შესანიშნავ „ლონისძიებას ატარებდნენ“. ჯერ დაემხოზოდნენ და ხელისგულებით ეხებოდნენ ხალიჩას, მერე გაიმართებოდნენ, მერე ისევ დაემხოზოდნენ, ისევ გაიმართებოდნენ და ასე უსასრულოდ. ბოლოს ფეხზე წამოდგნენ, გემბანს ხელებით მისწვდნენ – მოხუცი კაცისთვის მართლაც შესანიშნავი ილეთია – ისევ გაიმართნენ და ესეც სამჯერ გაიმეორეს. ამის შემდეგ ისევ ფეხმორთხმულები დასხდნენ და წელანდელივით გააგრძელეს ადგომა-დამხოზობა. ამ პროცესმა კარგა ხანს გასტანა, ზუსტად ვერ გეტყვით, რამდენი ხანი გავიდა. მშვენიერი საყურებელი იყო და გასაოცარი, რომ ამ ორ მოხუცს ასეთი მოქნილი და დაულალავი კიდურები ჰქონდათ; ასეთი ვარჯიშები საოცრად კარგი უნდა იყოს ჯანმრთელობისთვის და, სავარაუდოდ, ბრძენმა წინასწარმეტყველმა თავისი ხალხის ჯანმრთელობის გასაკაჟებლად შემოიღო, ისევე როგორც ხშირი ბანაობა.

შემდეგ დილას, პარასკევს, 12 ივნისს, სამსუნში ჩავედით. ღუზა ქალაქგარეთ ჩავუშვით. სანაპიროზე ფრანგები შემხვდნენ და წერილები გავატანე გასაგზავნად. ამ ქალაქიდან რკინიგზა მიდის სივასში. ზღვიდან ქალაქი ერთობ უფერული ჩანდა, ვივარაუდე, რომ მოსახლეობა ათი ათასზე მეტი არ იქნებოდა, შეიძლება ნაკლებიც კი, მაგრამ მოგვიანებით შევიტყვე, რომ ქალაქში ოცდაათხუთმეტი ათასზე მეტი ადამიანი ცხოვრობდა, თავად ქალაქი კი საუკეთესო თამბაქოს კულტივაციის ცენტრი და დიდი ბაზარი ყოფილა. ისიც შევიტყვე, რომ სხვებთან ერთად, ამერიკელებმაც მშვენივრად იცოდნენ ეს; სამყაროს ამ მხარეში ამერიკულ ფონდს მთლიანად შეეძინა თამბაქოს ბოლო მოსავალი და ახლო მომავალში, როგორც მითხრეს, ამ პროდუქტის დაგემოვნებას სიგარეტ „ვირჯინიას“ სახით შევძლებდით.

ისევ შევცურეთ ზღვაში. ნაშუადღევს უეცრად შხაპუნა წვიმა წამოვიდა. ფრიად თავშესაქცევი სანახავი იყო, როგორ დანოკდნენ ეს გამოპრანჭული ქურთები და თურქები, ხნიერი სემიტი პატრიარქები და სპარსელები, გემბანიდან კინისკვრითა და თეთრი ხალათების ფართხუნით რომ გამოქანდნენ ლიუკისაკენ, რათა გადაჭიმული ბრეზენტისთვის შეეფარებინათ თავი. ერთ-ერთ მათგანს გრამაფონი აღმოაჩნდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ ერთი ფირფიტა ჰქონდა, ისიც მონოტონური სპარსული ბაიათები, ჩვენც იძულებულები ვიყავით გვესმინა ერთი და იგივე მელოდია. მათი მუსიკალური გემოვნება ადვილად დასაკმაყოფილებელია.

სალამო ხანს ოჯახებმა ერთი ბენო ოთახში მოიყარეს თავი. ჩადრიანი ქალებიც იქ იყვნენ, ოღონდ ჩადრების გარეშე; ჩემთვის დღემდე დიდი თავსატეხია, ცოცხლები როგორ გადარჩნენ. თითოეულმა ოჯახმა თავისი ბუდე შემოიზღუდა პატარა ხალიჩებითა და ტანსაცმლით. იმ ჩაბუდებულ სიცხეში საოცრად ტკბილადაც გამოიძინეს კიდეც. პატარა სპარსი გოგონა ქურთ გოგონას ეთამაშებოდა, კეთილშობილი და ჩამრგვალებული მამამისი კი გვერდით იჯდა და სხვა სპარსელებს

ებასებოდა, ხანდახან ორ შვილს გახედავდა ხოლმე და ორიოდ სიტყვით ამხნეებდა. ძილის დრო რომ მოვიდა, სპარსმა თავის ქალიშვილს უთხრა, თავაზიანად გამომშვიდობებოდა ქურთ გოგონას, რომელიც ცოტა მორცხვად იყურებოდა, საგრძნობი იყო, რომ მისი ოჯახი აშკარად უფრო ღარიბ და ნაკლებად პატივცემულ კლასს წარმოადგენდა. პატარა სპარსი გოგონა მაშინვე მისკენ გაქანდა და აკოცა, და მერე მამასთან გააგრძელა თამაში. ბოლოს ცეკვა-ცეკვით მიუწვავდა გვერდით თავის უზარმაზარსა და მრგვალ მამიკოს, ქურთი გოგონა კი სიჩუმეში გაუჩინარდა.

მომდევნო დღეს, შაბათს, 13 ივნისს, ღუზა ტრაპიზონთან ჩავუშვი, ეს ქალაქი, ძველი ბერძნული კოლონია, ოდესღაც საკმაოდ დატვირთული ნავსადგური და პორტი იყო სპარსეთიდან და აღმოსავლეთიდან წამოსული ქარავნებისთვის, მაგრამ ახლა, რაც ბერძნები და სომხები განიდევენ, მან თავისი უწინდებური მნიშვნელობა დაკარგა. აშკარაა, რომ წვიმიანი ამინდი აქ უფრო ხშირია, ვიდრე დასავლეთ სანაპიროებზე. მცენარეულობა უფრო მსხვილია და გორაკებიც უფრო ხშირტყიანი. ქალაქის უკანა მხარე თავისი მალლობებითა და ქედებით მთაგრეხილად მიუყვება აღმოსავლეთს. აქედან გზა სამხრეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით გრძელდება ერზრუმისა და სომხეთის მალლობებისკენ. ამ მთაგორიან რეგიონში კომუნიკაცია ყოველთვის ფაქიზი იყო, სომხებმა შეძლეს სამხრეთითა და აღმოსავლეთით დაემყარებინათ კავშირები და შეძლებისდაგვარად, შავ ზღვასაც მისწვდნოდნენ.

მგზავრების უმეტესობა ტრაპიზონში ჩავიდა, ქურთებმა ხელი დაავლეს თავიანთი განძით სავსე ყუთებს, კალათები მხრებზე შემოიდგეს, სპარსელებიც თეთრი ხალათების ფართხუნით მიჰყვნიან უკან, უკმეხმა სემიტებმა კი, ინდური იისფერი ქსოვილი გადააფინეს საბიჯელაზე და გემიდან ნავებში გადაინაცვლეს. ნავი ახალი სტუმრების მასპინძლობამ ისე შეარყია, რომ რამდენიმე მგზავრი ზღვაშიც კი გადაუძახა. ისე კი ყველა თანაგრძნობით ვუმზერდით ერთ კაცს, ავადმყოფი მოხუცი რომ აეკიდებინა ზურგზე და ისე გადადიოდა გემიდან ნავში, ერთი კი შეტორტმანდა სახიფათოდ, მაგრამ მალევე შეიმაგრა თავი და ნავზე მყარად დაადგა ფეხი.

მთელი დღე პორტში მოგვინია ყოფნა და მხოლოდ საღამოს შევძელით დაძვრა, ასე სჯობდა, ბათუმში ღამით არ მოგვინევდა ჩასვლა. დაძვრამდე ათი საათი გვექონდა თავისუფალი დრო. დროის გასაყვნად ნავი ვიქირავეთ და სანაპიროს გავუყევით. გემის ღუზა ქალაქის აღმოსავლეთით, ყველაზე ახალ დასახლებასთან გვექონდა ჩაშვებული. აქვე პატარა ყურეცაა, რომელსაც ქარიშხლებისგან თავშესაფრად იყენებენ ხოლმე, კონცხზე საბაჟოც კია განთავსებული და გარშემო პატარა ციხესიმაგრე აკრავს. ამ ქალაქს სამხრეთით მთა კეტავს 250 მეტრის სიმაღლის მთა, თურქები ბოზ-თეფეს ანუ ნაცრისფერ ქარაფს რომ უწოდებენ. ზეგანი ბრტყელი აქვს და ფერდობები კი დაციცაბოებულნი. ბერძნები ამ მთას მითრას მთას ეძახდნენ, იქ ინდური და ირანული მზის-ღმერთის, მითრას, ძეგლი ჰქონდათ აღმართული, მითრას კულტი ფართოდ იყო გავრცელებული ძვ. წ. II-I საუკუნეებში.

საბაჟოზე თურქმა მეზაჟებმა პასპორტები ჩამოგვართვეს, ზედ მიაყოლეს ფოტოკამერებიც, რადგანაც ამ საფორტიფიკაციო ნაგებობების ფოტოგრაფირება არ შეიძლებოდა. ქალაქი იდეალური პეიზაჟითაა ჩამჯდარი ციცაბოებსა და სანაპიროს შორის. ყველა სახლთან შენიშნავთ პატარა ბაღებს, ბოსტნებს, თუთის, კვიპაროსის, დაფნის, ლელვის, კაკლის ხეებსა და ვაზს. როგორც აქ ამბობენ, ყველაზე დიდი ექსპორტი თხილზე მოდის. თავისი გემოთი ცნობილია ტრაპიზონის ლელვიც.

ვინრო ბილიკს რომ ავუყევით და ასეთსავე ვინრო ქუჩებში გავედით, ახალგაზრდა კაცი შემოგვეგება და ინგლისურად მომმართა: დოქტორი ნ. ხომ არ ბრძანდებითო; როცა დავუდასტურე, რომ მე ვიყავი, მითხრა, ბრიტანეთის საკონსულო თქვენს სამსახურში იქნება, თუკი რაიმე დაგჭირდებათ. დიდი მადლობა გადავუხადე და ვუთხარი, რომ საკონსულოს მოგვიანებით დავუკავშირდებოდი.

აღმართზე გვერდი ავუარეთ კიდეც რამდენიმე სახლს, რომლებიც ცარიელი მეჩვენა. ერთ-ერთ მათგანზე ბერძნულ წარწერას მოვკარი თვალი და ვივარაუდე, რომ მიტოვებული ბერძნული სკოლა

უნდა ყოფილიყო და ეს ვარაუდი მოგვიანებით დამიდასტურეს კიდევ. კიდევ ერთი დიდი შენობა, მაღალი კედლით გარშემორტყმული ამ მაღლობზე რომ იდგა, ბერძნული მონასტერი აღმოჩნდა. ქუჩის კუთხეებში ისიც შევნიშნეთ, რომ ნარწერები რუსულად იყო გაკეთებული. ეს ორწლიანი რუსული ოკუპაციის მემკვიდრეობაა, რომელიც 1916 წლის მარტიდან 1918 წლის თებერვლამდე გაგრძელდა, დიდი ომიანობის ჟამს. რუსებმა ქალაქის ადმინისტრირება რუსულად დაიწყეს, და სხვა რამეებთან ერთად, სანაპიროდან ქალაქებამდე, მითუმეტეს ყარსამდე, კარგი გზებიც გაიყვანეს. თურქები ასეთ რამეებს არ აკეთებენ ხოლმე, თავად თურქი მოსახლეობაც კი აღნიშნავდა, ნეტავ რუსები კიდევ ერთ წელს გაჩერებულიყვნენ, ან ერთი წლით ადრე მოეხდინათ ოკუპირება, ახლა უფრო მეტი გზები გვექნებოდაო.

უფრო მაღლა ავიწიეთ და ახლა უკვე მთელ ქალაქს გადმოვყურებდით. მისი ძველი და კარგა დიდი უბანი დასავლეთით იყო განოლილი, იქით, სადაც ღუზა ჩავუშვით, სწორედ იქ იყო განლაგებული უძველესი ბერძნული კოლონია. ვინრო ქედზე ვიდექით, აქეთ-იქიდან ქვიანი ხეობები ჩაუდიოდა, ხოლო ქვემოთ მოჩანდა ძველი სასახლე და გალავანი, თავისი კოშკებითა და სათოფურებით. ესენი იყო ტრაპიზონის ძველისძველი საფორტიფიკაციო ნაგებობები და სასახლე, საიმპერატორო დარბაზით, ანტიკური ეპოქის დიდებული რელიქვია. ქალაქის შორიახლოს, მაღლობებზე, შევნიშნეთ ლამაზი ბაღებით გარშემორტყმული რამდენიმე სართულიანი ნაგებობები, ადრე მდიდარი ბერძნების სახლ-კარი, მაგრამ თურქები რომ დაბრუნდნენ, ისინი იძულებული გახდნენ, დაეტოვებინათ თავიანთი საცხოვრებელი. ყველას მოუწია წასვლა გარდა რამდენიმე რუსისა. ლტოლვილი ბერძნების სახლები თურქებმა დაიკავეს, და რაკი მათ არ იცინან, როგორ შეაკეთონ და შეინარჩუნონ ეს სახლები და ნაგებობები, ყველაფერი ნგრევის პირასაა მისული. ამ სახლებიდან საუკეთესოში რუსი კონსული ცხოვრობდა.

ქალაქის რუსული ოკუპაციის დროს, თურქები რომ წავიდნენ, ბერძნებმა და მეტ-ნაკლებად სომხებმაც ეს სახლები, მასობრივი ჟლეტვის საპასუხოდ, დაძარცვეს. თურქები რომ დაბრუნდნენ და დაძარცვი სახლები დახვდათ, შური იმით იძიეს, რომ ბერძნებისა და სომხების ჟლეტვას მიჰყვეს ხელი; და ვინც გადაურჩათ, გაიქცა ტრაპიზონიდან, ისევე როგორც სამსუნიდან და სხვა სანაპირო ქალაქებიდან. და სწორედ ამ გარემოებამ საგრძნობი გავლენა იქონია ქალაქებს შორის ვაჭრობაზე, რადგან ექსპორტი და ბიზნესი, ძირითადად, სულ სომხებისა და ბერძნების ხელში იყო.

მე და ბატონმა დაპუისმა<sup>1</sup> ბატონ ნაითს, ბრიტანეთის კონსულს, დავურეკეთ და მანაც თბილად მიგვიღო. ერთ პატარა სახლში ცხოვრობდა დაღმართზე, მაგრამ ლამის მთელ ქალაქს გადაჰყურებდა. მისი ეზოს ბაღი საოცრად ყვაოდა და ჩიტებიც გაბმულად ჟღურტულეებდნენ, მათ შორის ნიბლიას ნაცნობ ბგერებს მოვკარი ყური.

კონსულთან ერთად, ძველ ქალაქში გავედით სასეირნოდ და შევათვალეერეთ გალავანი, რომელიც დრო-ჟამმა დიდი პატივით შემოინახა და ამ ქალაქის ერთ-ერთ პირველ საფორტიფიკაციო ნაგებობის ნაწილს ერტყა გარშემო. ეს უბანი ქვემო ქედზე იყო გაშენებული, რამდენიმე ასეული მეტრი ეკავა და დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან ორი ფრიალო ხეობა ჩაუდიოდა. ხეობაზე, სამხრეთით, კედლის გაყვანა რომ ყოფილიყო შესაძლებელი, სერიოზული ციხესიმაგრე გამოვიდოდა. სწორედ ამ უჩვეულო ქედის გამო, გასაგები ხდება, რატომ უწოდეს ამ ქალაქს ბერძნებმა ტრაპეზოსი<sup>2</sup>. ორივე ხეობაზე ხიდებია გადებული.

ძველი კედლების მიღმა ახლა უკვე თურქული უბანია, სადაც 1461 წელს, კონსტანტინოპოლის დაცემიდან რვა წლის შემდეგ, ტრაპიზონი რომ აიღეს, მუსლიმების გარდა აღარავის უცხოვრია.

<sup>1</sup> ცნობილი ფრანგი ინჟინერი, ეგვიპტის შრომის მინისტრის მრჩეველი, და უმაღლესი დონის ექსპერტი ჰიდრაულიკაში.

<sup>2</sup> ტრაპიზონი მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან „ტრაპეჯის“, რაც ნიშნავს მაგიდას (ხიდების ფორმა შედარებულ იქნა მაგიდის ფორმებთან).



ექვგარეშეა, რომ მათ მაშინვე გაჟლიტეს ან გაყარეს ქრისტიანი ბერძნები და მათ სახლებს დაესაკუთრნენ. როგორც ამბობენ, ბერძნული მოსახლეობის მხოლოდ მესამედია დარჩა და ისიც საზოგადოების ნაძირლები არიან.

აღსანიშნავია, რომ დედამიწის ამ კუთხეში ისლამი რომელიმე რასასთან საერთოდ არ ასოცირდება. როგორც ირლანდიელი გეოგრაფი და მოგზაური ჰ. ფ. ბ. ლინჩი აღნიშნავს,<sup>1</sup> ამ სანაპიროზე ბევრ სოფელს შეხვდებით, სადაც მთელი მოსახლეობა მაჰმადიანია და ისინი, ალბათ, გაუწყობდნენ კიდეც, ვინმე თუ ეტყოდა, ოსმალოები არა ხართო, მიუხედავად იმისა, რომ მათ ბერძნულ-ქრისტიანულ წარმოშობას წყალი არ გაუვა. უფრო საყურადღებო კიდეც ისაა, რომ ეს ბერძნები რწმენის ასეთივე ერთგულებით იყვნენ ცნობილი ბერძნული იმპერიის ეპოქაშიც; უფრო მეტიც, მაშინ ისინი ცივილიზებულ სამყაროს მღვდელმსახურებით ამარაგებდნენ, ახლა კი ისლამურ სამყაროს არ აკლებენ მოლებს. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მუსლიმურ ფანატიზმში ისევე არიან განაფულნი, როგორც ქრისტიანთმძულეობაში, ისინი კვლავაც ინარჩუნებენ არაერთ ქრისტიანულ ტრადიციასა და ცრურწმენას. თუკი ავადმყოფობა დაასწავლებთ, ლოგინად მყოფს წმ. მარიამის ხატს უკიდებენ თავთან; აკრძალულ ღვინოსაც ასმევენ ძველებური თასიდან, რომელსაც საგულდაგულოდ ინახავენ და წმინდა რელიქვიად მიიჩნევენ მთელ ამ მხარეში, ოღონდ, სავარაუდოდ, წარმოდგენაც არ აქვთ, რატომ. ეს ტრადიციები შეიძლება შევადაროთ ძველ თილისმებს, ძველ ჯადოებსა და მაგიას, რომლებიც ქრისტიანობამდელი კერპებისა და ცრურწმენებისგან გამოჰყვათ და რომლებსაც დღემდე ინარჩუნებს და ინახავს არაერთი ქრისტიანი.

საიმპერატორო დარბაზსა და ძველ სასახლეს დასავლეთიდან შემოვუარეთ და დავაკვირდით. ღრმა ხეობაში ჩაშვებულნი, მაღალსათოფურებიანი კედლები და კოშკები ლამის ცას ეპოტინება. ჩვენ მაღლა, ხიდზე ვიდექით, ქვემოთ კი სიმდიდრითა და ფუფუნებით ბრწყინავდა ხეობა. თავი რაღაც უცნაურ ზღაპრულ სამყაროში გვეგონა, თვალწინ გადაგვეშალა დაბურული ტყეები, ტაფობები, საუცხოო სამხრეთული ხეები: დაფნები, მირტები, ვაზები და აშვერილ კლდეებს შესეული სურო. შუა საუკუნეების სასახლისთვის იდეალური ადგილი გახლდათ, და იოლი მისახვედრიცაა, როგორ უძლებდნენ ამ ქალაქის მკვიდრნი თურქების ხანგრძლივ შემოსევებს.

ტრაპიზონის იმპერია დააარსა ალექსიუსმა – კომნენოსის დინასტიის შთამომავალმა, საქართველოს დედოფალ თამარის ძმიშვილმა. ეს მოხდა 1204 წელს, სწორედ მაშინ, როცა კონსტანტინოპოლი საცოდავი, მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობისას დაეცა და უბადრუკი ლათინური იმპერია შეიქმნა. მართალია, ბერძნული იმპერია სამოცი წლის შემდეგ კონსტანტინოპოლში აღდგა, მაგრამ ტრაპიზონის იმპერია მაინც ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას მანამ, სანამ ქალაქი მუჰამედ II-ის თაოსნობით თურქებმა არ აიღეს. უკანასკნელი იმპერატორი ევროპაში წაიყვანეს ტყვედ, და რადგანაც ქრისტიანული რჯულის უარყოფა არ ინება, თანხმდებ უფლისწულებთან ერთად სიკვდილით დასაჯეს, მათი გვამები კი კონსტანტინოპოლის გალავნიდან ძაღლებს გადაუყარეს საჭმელად.

უფრო ქვევით, სანაპიროსკენ, გალავანი თითქმის ხელუხლებელი იყო. ქალაქის ამ ვაკიან უბანში გადავეყარეთ მასიურ, გენუელი ვაჭრების მიერ აშენებულ ძველ, სასახლისმაგვარ სანყობს. თურქების მოსვლამდე შავი ზღვის სანაპიროზე მთელი ვაჭრობა სწორედ გენუელთა ხელში იყო, რაც საფრთხეს უქმნიდა ტრაპიზონის იმპერიას. შიგ ქალაქის ცენტრში ამხელა ციხესიმაგრის აშენება ცხადყოფს, რა დიდი გავლენითა და ძალაუფლებით სარგებლობდნენ გენუელი ვაჭრები. თან იმაზეც მიგვანიშნებს, რომ იმ დროისათვის კომერციის უსაფრთხოების დაცვა შეიარაღებით, ჩვეულებრივი ამბავი იყო. მაშინ ხომ შავი ზღვის სანაპიროები მეკობრეებით იყო სავსე.

<sup>1</sup> H.T. B. Lynch. Armenia, vol 1, p 11, London 1901.

სალამოსკენ ღუზა ავნიეთ და გეზი ბათუმისაკენ ავიღეთ. სანაპიროს გაღმამდებარე ქვეყანა ერთი მეორეზე მიწყობილი ქედებით შეგვეგება. რომ მივუახლოვდით, აღმოსავლეთით, შორეთში ლურჯი მთები დავლანდეთ. მათი თეთრი მწვერვალები მომხიბვლელად ციალებდნენ დაბურულ აღმოსავლურ ცაზე, რომელსაც დედამინის ჩრდილის მოიისფრო სილურჯე სულ უფრო და უფრო სწვდებოდა, და ჩვენც უფრო მეტად ვინთქმებოდით წყვიდადში. მალე, უთვალავი კაშკაშა სამყაროებით მოჩითულ ლურჯ-მოშავო საფარს მარჯვენდ ვაპობდით შავი ზღვისაკენ, წითლად ჩამავალი მზის ნისლში დაბადებული მხარის – კოლხეთისაკენ.

### ბათუმიდან თბილისამდე

დილის რვის ნახევარზე უკვე ბათუმის ზღვაში ვიყავით, ოღონდ ჯერ ქალაქ გარეთ. მთელი ქალაქი კამკამა მზეში ილიმოდა, გარშემო კი მწვანეცყიანი გორაკები და მთები აკრავდა. ჩვენ საბჭოთა რესპუბლიკების კარიბჭესტონ შევდექით. აღმოჩნდა, რომ პირველ რიგში მთელი ჩვენი გუნდი უნდა შეესწავლათ. გემზე თეთრხალათიანი რუსი ექიმი ამოვიდა, მაღალი რუსული ჩექმები და საბჭოური სტილის თეთრი კოფთა ეცვა, წელზე შავქამარშემორტყმული. კოფთას სულ ქამრის ქვეშ ექაჩებოდა, მერე მკერდი გამოწია და მხრები გაშალა. გუნდი გემბანზე უნდა ჩავმწკრივებულიყავით, ყველანი, სანამ კოფთაში გამოჯგიმული ექიმი არ ჩამოგვივლიდა და არ დაგვთვლიდა. ორი კაცი გვაკლდა: გემის მესაჭე და კიდევ ერთი მეზღვაური, რომლებიც მალევე ამოვიდნენ გემბანზე სამანქანო ნაკვეთურიდან. უკვე ყველანი ვიყავით. ექიმმა თითოეული კაცის შემოწმება დაიწყო, რათა დარწმუნებულიყო, რომ არცერთი არ ვატარებდით რაიმე ინფექციურ დაავადებას. ბოლოს, როცა დარწმუნდა, რომ არავის არაფერი გვჭირდა, მაგრამ ეს მომქანცველი ცერემონია ნამდვილად ზედმეტი იყო, რადგანაც მთელი გუნდი დაუყოვნებლივ უკან უნდა გაბრუნებულიყო გემიანად, მეორეს მხრივ, მგზავრებისთვის კი, რომლებიც ქვეყანაში აპირებდნენ შესვლას და შესაძლოა ინფექციაც გაეფრცელებინათ, ექიმს ზედაც არ შეუხედავს. ამის მაგივრად, ჩვენი პასპორტების შემოწმება დაიწყეს, რამაც დიდი დრო წაიღო; მაგრამ, როგორც იქნა, ამასაც მორჩნენ და გაგვატარეს.

ცოტახნის შემდეგ ჩვენთან შესაგებებლად გემბანზე ამოვიდნენ ხელისუფლების წარმომადგენლები. ესენი იყვნენ აჭარისტანის რესპუბლიკის ადგილობრივი მთავრობა, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა, რომელსაც ეკუთვნის ეს ავტონომიური რესპუბლიკა. მასპინძლებს შორის აღმოჩნდა წარმომადგენელი ტრანსკავკასიური რესპუბლიკების ფედერაციისა, რომლის შემადგენლობაში შედის საქართველოც და, ბოლოს, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის წარმომადგენელი მოსკოვიდან, რომელსაც თავად ეს ფედერაცია ეკუთვნის. ასე ამოვყავით თავი ამ კეთილმოსურნე რესპუბლიკების საფარქვეშ, რაც ერთობ სანუგეშო ჩანდა.

მათ თან ახლდა (თუ ჩვენ გვახლდაო, ჰა მიმი) ამერიკის ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების დახმარების პროგრამის წარმომადგენელიც, რომელმაც დიდი სტუმართმოყვარეობით მიგვიპატიჟა თავის ოჯახში და შემოგვთავაზა, სანამ ბათუმში ვიქნებოდით, მათი ორგანიზაციის სახლში გავჩერებულიყავით; მაგრამ მალევე შეგვატყობინეს, რომ ტრანსკავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენლობამ გამოგვიგზავნა სპეციალური მატარებელი, რომელიც საქართველოსა და სომხეთში მოგზაურობის მანძილზე ჩვენს განკარგულებაში იქნებოდა, ჩვენც გადავწყვიტეთ, ბარგი გადაგვეტანა მატარებელში, რომელიც თბილისისაკენ სალამოს ექვს საათზე გადიოდა, მანამდე კი, ბათუმი დაგვეთვალაიერებინა.

სანაპიროზე ჩავედით. ხალხი ახალი და უცნაური სტუმრების სანახავად შეკრებილიყო; მათ შორის, რამდენიმე ფოტოგრაფი და კინოოპერატორიც. გვიღებდნენ, როგორ ჩამოვედით გემიდან და

როგორ ჩავსხედით კარეტებში. საერთოდ არ მქონდა იმის განცდა, რომ სხვა კონტინენტზე ვიმყოფებოდი. მანქანებით დავიძარით რკინიგზისკენ, სადაც ჩვენი მატარებელი გველოდა. მისულებს ადგილზე ერთი სომეხი დაგვხვდა, სახელად ნარიმან ტერ კასარიანი, ტრანსკავკასიური მთავრობის წარმომადგენელი, რომელსაც ამ რეგიონში ჩვენი მოგზაურობის მანძილზე მეგზურობა და ადიუტანტობა უნდა გაენია. ის ისე ჩამოჰგავდა ნაპოლეონ III-ს რომ მაშინვე ნაპოლეონი შევარქვით, თანაც ჩვენთვის მის ნამდვილ სახელზე იოლი დასამახსოვრებელი იყო.

ჩვენი მატარებლის ხალვათ სალონში რომ შევედით, ნაპოლეონმა რუსულად წაგვიკითხა მოკლე და კონკრეტული სიტყვა. გულითადი სალამი გადმოგვცა როგორც საკუთარი, ასევე კავკასიის რესპუბლიკების მთავრობისაგან. რამდენიმე გამოსვლა კიდევ ჰქონდა; ჩვენ, და განსაკუთრებით ჩემს უღირს თავს, როგორც საბჭოთა რესპუბლიკების მეგობრებსა და კეთილმოსურნეებს, ენით აღუწერელი ხოტბა-დიდება გვასხა და დიდი მოლოდინები დაგვისახა. ჩვენგან ისეთ რამეებს ელოდნენ, რომ ცოტა ავლელდით. საპასუხოდ ორიოდ სიტყვა ვუთხარი ინგლისურად, რომელიც რუსულად გადაუთარგმნა კაპიტანმა ქვისლინგმა.<sup>1</sup> მან დაარწმუნა, რომ ჩვენ მხოლოდ საუკეთესო გვსურდა სომეხი დევნილებისთვისა და მთლიანად სომხებისთვისაც, მაგრამ ისიც ამცნო, რომ მათი დახმარება იოლი არ იქნებოდა და ჯერაც არ ვიცოდით, რანაირად და როგორ მოვახერხებდით ამას.

ჩვენი მატარებელი, რუსული სტილის შესაბამისად, კომფორტული და ფართო იყო, დიდი სალონითა და საძილე განყოფილებებით; ჩვენც ისე დავინწყეთ დაბინავება, თითქოს სამუდამოდ აქ უნდა დავსახლებულიყავით. მერე დიდხანს იმაზე ვიმსჯელებთ, პირველ საათამდე რის ნახვას მოვასწებდით იმიტომ, რომ ბათუმის მთავრობამ ლანჩზე მიგვიპატიჟა. ჩემმა კომპანიონებმა, ჩვენი ერთგული ბოტანიკოსის, ბატონი კარლის მეთაურობით, მაშინვე ბათუმის ბოტანიკური ბაღისკენ აიღეს გეზი. ბაღი ცნობილია თავისი მშვენიერებით, სუბტროპიკული მცენარეების სიუხვითა და ისეთი ხეებით, რომლებიც მხოლოდ ასეთ თბილ და ნესტიან კლიმატში ხარობს.

ამასობაში ადგილობრივი წარმომადგენელი გამოვიძახე. უსათუოდ უნდა მენახა ბათუმის ის მილსადენი, რომელშიც ასე შორიდან: ბაქოდან შავ ზღამდე მოედინება ნავთობი. ძრავიანი ავტომობილით მიმიყვანეს მილსადენის ტერმინალთან. გზად შემოგვხვდა ჩაის პლანტაციები, რომლებიც „ცარმა“<sup>2</sup> გააშენა და რომლებსაც ამჟამად ახალი მთავრობა პატრონობს. ამ, უკვე სახელმწიფო პლანტაციების გარდა, აღმოჩნდა, რომ ჩაის კერძო მენარმეობაც ყვავის, ჩაის ძირითადად ისეთ ფერდობებზე აშენებენ, სადაც სიმინდი და ხორბალი არ მოდის. ჩაის მენარმეობა, როგორც ჩანს, შემოსავლიანი საქმეა. როგორც მითხრეს, ჩაი არც თუ ისე კარგი ხარისხისაა და ხშირად საერთოდ არაფრის გემოც არ აქვს, მაგრამ ამ მოსავალს ცვილონის ჩაიში ურევენ (10%-ს) და ისე ყიდიან, როგორც ცვილონის ჩაის. სხვა ყველაფერთან ერთად აქ მოჰყავთ: ფორთოხალი, მანდარინები, დიდი რაოდენობით თამბაქო, ბამბუკი, სიმინდი, ფეტვი, და კიდევ ისეთი სახეობის ბრინჯი, რომელიც აუცილებელი არაა წყალქვეშ იყოს დათესილი, ისედაც ხარობს და შესაბამისად, მალარიის საშიშროებასაც არ ქმნის.

ჰორიზონტზე მალე უზარმაზარი ცისტერნები ამოინვერა და როცა კარგად მიუვახლოვდით, სწორედ მათთან გაჩერდა ავტომობილიც. შიგნით შევედი უფროს ინჟინერთან შესახვედრად; მისი წინამძღოლობით გზა გავიკვლიე სხვადასხვა ნაგებობასა და ცისტერნებს შორის, გადავკვეთე რკინიგზაც და ბოლოს, მინდორში ამოვყავი თავი.

მილსადენიც დავინახე, მთელი თავისი დიდებულებით, ეს შესანიშნავი არტერია, მისი მშენებლობის დასრულებიდან, 1906 წლიდან, დღემდე, აურაცხელი ენერჯითა და სინათლით ამარაგებს

<sup>1</sup> ნორვეგიელი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც მოგვიანებით ქვეყნის მოლაღატეობაში გამოიჭირეს.

<sup>2</sup> Царь – მეფე, ავტორი რუსული წოდებით მოიხსენიებს რუსეთის მეფეს.

ევროპას. ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი წყლის მილი გეგონებათ, ალვის მორებზე დგას და თუ თვალს გაადევნებთ, თქვენი მზერა მილსადენთან ერთად მთებს მისწვდება. რკინის მილსადენის სისქე 20 სანტიმეტრია, და როგორც ინჟინერმა გვითხრა, ეს ხაზი წელიწადში 164 ათას ტონა ნავთობს ატარებს. თანაც დასძინა, საჭიროების შემთხვევაში 492 ათას ტონასაც გაატარებსო. ბაედეკერი<sup>1</sup> ომამდელ გამოცემაში წერს, რომ მილსადენი წელიწადში 1150 კილოგრამ ნავთობს ატარებსო. ჩანს, რალაცა ეშლება.

მილსადენი, რომელიც რკინიგზას მიუყვება, დაახლოებით 900 კილომეტრის სიგრძისაა; სათავეს იღებს კასპიის ზღვიდან, რომელსაც ოკეანის დონემდე 26 მეტრი აკლია, იქიდან წამოსული გზად 950 მეტრის სიმაღლესაც კი აღწევს და მერე ისევ შავ ზღვაში ჩადის. ნავთობს გზადაგზა უამრავი დანადგარი ტუმბავს, რათა სიმაღლეზე დენა შეძლოს. ამ მილსადენში მხოლოდ გადამუშავებულ ნავთობს შეუძლია გავლა, გადაუმუშავებელი ძალიან სქელია, ნელა მოძრაობს და უმაღლე გაიჭედებოდა მილში. ტერმინალში ნავთობს უზარმაზარ ცისტერნებში აგროვებენ. ამას გარდა, ბათუმში დღეში რამდენჯერმე მოდის გადაუმუშავებელი და ათასნაირი ნავთობით დატვირთული მატარებლის ლოკომოტივი, რომელსაც შემდეგ აქ წმენდენ და ამავე ცისტერნებში ინახავენ. თანაც ყველა ცისტერნა თავისებური ნავთობისთვისაა განკუთვნილი. თურმე ოცამდე სახეობის ნავთობი არსებობს. ყველას შესაბამისი და მათთვის განკუთვნილი მილსადენით აგზავნიან ბათუმის პორტში, მერე კი ვეებერთელა შლანგებით ტვირთავენ გემებზე, რაც ბევრად უფრო მარჯვე და სწრაფი პროცესია.

ინჟინერმა მითხრა, რომ ომის დასრულების შემდეგ ბაქოში ნავთობწარმოების რაოდენობამ იმატაო. მე შევიცხადე, რომ ნავთობმონოდების რაოდენობას შარშან იმის ნახევრითაც არ მოუმატია, რაც მანამდე იყო-მეთქი, მაგრამ ინჟინერმა ამიხსნა, რომ მოპოვებული ნავთობის დიდი ნაწილი მიწაში ახლად ჩაფლულ ქვებში გადაიტანეს და შეინახეს. მოგვიანებით, სხვა წყაროებმაც მაცნობეს, რომ ომის შემდეგ ნავთობმოპოვება მართლაც გაორმაგებულა, მაგრამ ჩემ მიერ ნანახ სტატისტიკაში (1925 წლის სტატისტიკა), მონოდებული ჩანდა ჩვეული რაოდენობის მხოლოდ 90%.

ბათუმში გასული ზამთარი უჩვეულოდ ცივი და სუსხიანი ყოფილა, და ნესტიან კლიმატში ამ ცისტერნებზე იმდენი თოვლი დაგროვილა, რომ ბევრი მათგანი ჩაუჭყლეტია კიდეც. ჯერაც შეუკეთებელი უზარმაზარი ცისტერნები დაჭმუჭნული ალუმინის ქილებივით ეყარა ველზე.

პირველ საათზე, ან პირველის შემდეგ, რადგანაც სამყაროს ამ ბედნიერ კუთხეში დრო არ ჩქარობს, მოგვინყვეს გრანდიოზული ლანჩი საოცრად სახასიათო რუსული მენიუთი. ჯერ „ზაკუსკა“ (ცივი კერძები) მოგვართვეს, პორცია-პორცია უგემრიელესი ხიზილალა, შებოლილი ზუთხი, სხვა დელიკატესებთან ერთად, რალა თქმა უნდა, „ვოდკის“ თანხლებით; შემდეგ მოხარშული ზუთხი მოვიდა, ქათამი, კიდეც ნაირ-ნაირი კერძები, ახლა უკვე ისეთი კავკასიური ღვინის თანხლებით, პირიდან რომ ვერ მოიხსნიდი. საბჭოთა რესპუბლიკებში მშრალი კანონის პრობლემა არ მდგარა, რადგან ტრანსკავკასიაში ღვინოს ყოველთვის სვამდნენ, მათ შორის მაჰმადიანებიც კი; მაგრამ ახლა, როგორი უჩვეულოც უნდა იყოს, საბჭოთა ხელისუფლებამ, მოსკოვის ბრძანებით, არა მარტო წერტილი დაუსვა მშრალ კანონს, არამედ სახელმწიფო მონოპოლიაც კი გამოაცხადა ალკოჰოლის წარმოებასა და გაყიდვაზე, ისევე, როგორც ომამდე. „ვოდკა“ ყველგან იყიდება, რაც, უეჭველია, სახელმწიფო ხაზინას უფრო რგებს, ვიდრე – ხალხს.

ადგილობრივი რესპუბლიკის საპატიო პრეზიდენტმა ლანჩზე დამპატიჟა. ფრანგულად წყალივით ლაპარაკობდა და საინტერესო მოსაუბრეც გახლდათ. როგორც აქაურების უმეტესობა, ისიც მუსლიმი იყო. თავისი მჭევრმეტყველება გულწრფელი სალამით დაიწყო და შემდეგ ყველაფერ იმას

<sup>1</sup> გერმანელი მწერალი და მოგზაური, სამოგზაურო წიგნების პიონერი.

გაუსვა ხაზი, რასაც ჩვენი ვიზიტისგან ელოდნენ ტრანსკავკასიაში. თოვლის გუნდა დაგორდა და ერთის სიტყვით გამოსვლას მეორე მოჰყვა, ახლა უკვე რუსულად. გული დამწყდა, რომ მხოლოდ თარგმანით ვიგებდი ნათქვამის შინაარსს, რადგანაც მოსაუბრე ენამზიანი ჩანდა. ეს იყო ჩვენი პირველი შეხება მსოფლიოში ცნობილ კავკასიურ სტუმართმოყვარეობასთან.

„ლანჩის“ შემდეგ ჩვენი მატარებლის აპარტამენტებში გადავინაცვლეთ. ჩემს კუბეში ვიჯექი და ვწერდი, როცა მსახურმა ვიღაც ქალბატონისგან გამოგზავნილი შესანიშნავი თაიგული მომართვა. მინდოდა მაშინვე გავსულიყავი და მადლობა გადამეხადა, მაგრამ როგორც მითხრეს, ქალბატონს არ დაუცდია და წასულა. ბარათზე არც საკუთარი სახელი ნაუნერია, მხოლოდ ის გავიგე, ჩემი ნიგნი ნაუკითხავს და ჩემი სტუმრობა რომ გაუგია, ყვავილები მომართვა. მისი უმშვენიერესი ვარდები რამდენიმე დღის განმავლობაში ალამაზებდნენ ჩემს კუბეს; მინდა ამ შემთხვევით ვისარგებლო და გულითადი მადლობა გადავუხადო მშვენიერ უცნობს.

ბათუმი და მისი შემოგარენიც საუკუნეების განმავლობაში ქრისტიანული იყო. ის შედიოდა საქართველოს შემადგენლობაში, როცა ეს უკანასკნელი ერთი სახელმწიფოს სახელს ატარებდა. იმდროინდელ რელიქვიებს დღესაც წააწყდებით ქუჩებში. ბათუმიდან რამდენიმე კილომეტრზე შემორჩენილ ნანგრევებს „ზამოკ ტამარი“-ს, ანუ თამარის სასახლეს ეძახიან. აქა-იქ ძველი ეკლესიების ნანგრევებსაც გადაწყდებით. მეთექვსმეტე საუკუნეში ეს კუთხე თურქებმა დაიპყრეს, და 1878 წლამდე მათ ეკავათ, შემდეგ კი რუსეთს დაუთმეს, ყარსის რეგიონთან ერთად, ასე დამთავრდა რუსეთ-თურქეთის ომი. თურქების სამასწლოვანი ბატონობის შედეგად, ქრისტიანმა მოსახლეობამ ისლამი აღიარა, ზოგი აიძულეს, ზოგსაც სხვა გზა არ ჰქონდა და ქრისტიანული ეკლესიები მეჩეთებად გადააქციეს. სწორედ ასეთი მეჩეთი იყო ჩვენ გადასწვრივ. ჩვენნაირი ერეტიკოსები იქ შესვლას თუ მოინდომებდნენ, ბინძურ ფეხებზე ფლოსტები უნდა ჩაეცვათ. მეჩეთის მეორე მხარეს კი, ზღვისკენ რომ იყურებოდა, საფორტიფიკაციო ნაგებობები და მიწაყრილები ჩანდა; იქ ფეხის მიდგმის უფლება არ გვქონდა, ფლოსტებითაც კი.

ეკლესიების გამეჩეთების სირთულეს ის წარმოადგენს, რომ ეკლესიები აღმოსავლეთ-დასავლეთის ორიენტირითაა აშენებული, მზის ამოსვლისა და ჩასვლის გათვალისწინებით, მეჩეთი კი უნდა იყურებოდეს მექასკენ, რომელიც ბათუმიდან სამხრეთითაა. ეს პრობლემა ძვირადღირებული ხალიჩების შეტრიალებით გადაწყვიტეს, მომლოცველებმა თავი იბრუნეს სამხრეთისკენ და ისე ლოცულობენ. აქაურებს თავიანთი ტრადიციები ისე დაავინწყდათ, რომ 1878 წელს, როცა ეს მხარე ისევ ქრისტიანულ სამყაროს დაუბრუნდა, ადგილობრივი მუსლიმები ქრისტიანებს მტრებად აღიქვამდნენ.

ბათუმს აშკარად ეტყობა თურქული ბატონობით გამოწვეული დაღმასვლის ნიშნები; მაგრამ უკანასკნელი ორმოცი წლის განმავლობაში, რუსეთის ადმინისტრაციის ქვეშ, ევროპული საპორტო ქალაქის სახე მიიღო. 1906 წელს დიდი რუსული კათედრა ააშენეს და ქუჩებში თითქმის არაფერი შემორჩა ისეთი, რაც აღმოსავლეთს ან ისლამს მოაგონებდა გამვლელს, შავოსანი ქალი-მორჩენელებიც კი არსად ჩანდნენ. აქაური ქალები მომხიბვლელ რუს ლამაზმანებს გვაგონებდნენ. მათ თავისუფლებასა და მამაკაცებთან ურთიერთობის სილაღეში შთამბეჭდავი და სასიკეთო განსხვავება შეიმჩნეოდა, რაც საგრძნობლად განსხვავდებოდა თურქული ჩადრის იდუმალებისგან.

ქალაქში გავედი სასეირნოდ. დიდი ღირსშესანიშნაობებით ვერ გამოირჩევა, მაგრამ ბათუმი საოცრად ნოყიერ მინდორზეა გაშენებული, ლურჯ ზღვასთან ახლოს და მისი პატარა ნავთობ-სადგურიც დიდი ჯებირითაა შემოზღუდული; თავად მინდორი კი მწვანე ფერდობებითაა გარშემორტყმული, ქედებით მოღერებული და ლურჯი მთებით შემოჯარული. ნელინადის ყველა დროს უჩვეულოდ დიდი წვიმები იცის. ბათუმის ყოველწლიური წვიმა 2.37 მეტრია – ნორვეგიის ქალაქ ბერგენზე გაცილებით მეტი. აგვისტოში საშუალო ტემპერატურა 23.3°-ია ცელსიუსით; ზამთარიც შედარებით

რბილია, იანვარში საშუალო ტემპერატურა 6°-ს ცელსიუსს აღწევს, ანუ ოსლოს აპრილზე რამდენიმე გრადუსით უფრო თბილია.

ამ თბილ, ნესტიან კლიმატში სუბტროპიკული მცენარეები მედიდურად იფურჩქნებიან. ყველგან მუხისა და წიფელის ხშირი ტყეებია, ოღონდ ვერსად შეხვდებით ურთხელს, დაფნას, საჭმელ ნაბლს, კაკალს, იალლუნს, ბზასა და მაგნოლიას. სამაგიეროდ არემარეს გირლანდებად მოსდებია ვაზი, სურო და ცხრატყავა. მიწაც როდოდენდრონებითაა დაფარული, ყველგან შეხვდებით იელს, ბაძგის სხვადასხვა სახეობებს, თხილს, კამელიებს, მაღალ გვიმრებსა და მათ მსგავს მცენარეებს. თანაც დაბლობებზე, ველებზე, იქ, სადაც მზის სხივი კარგად სწვდება, იზრდება უმშვენიერესი, ბრილიანტივით ბრჭყვიალა ფერის ყვავილები. აქ ხშირია ალვის ხეები, თუთა, მიმოზა, აკაცია, ჭადარი, კიდევ ბევრი სხვა ფოთლოვანი ხე, რომლებიც ხარბადაა შერეული კვიპაროსებში, კედრებსა და პალმებში; ჭაობიან ადგილებში კი უსათუოდ მოჰკრავთ თვალს ყვითლად მოციალე ევკალიპტის დახეთქილ ზროებს. აქ ყოფნისას, ნება-ნება, მაგრამ მძაფრად მოგიცავს განცდა, ის რომ თავი ამოჰყავი ღვთაებრივი ედემის ბაღში და კაცთა მოდგმის აკვანში. მაგრამ მალარიის ფორმით აქაც დაიარება ის ავადსახსენებელი, ჩონჩხარა არსება, რომელიც შესანიშნავად ხარობს ჭაობნარებში. კარგი იქნებოდა თუ ამოაშრობდნენ ამ ჭაობებს.

რკინიგზისკენ რომ გავემართეთ, გზაში, ბულვარის ორივე მხარეს ჩამწკრივებული იყო მაღალი, მარაოს ფორმის პალმები, მაგრამ, ცოტა არ იყოს ვერ გამოიყურებოდნენ კარგად, მხოლოდ რამდენიმე ყავისფერი და ჩამომხმარი ტოტილა შერჩენოდათ. წინა ზამთარი, ჩრდილო-დასავლეთ ევროპაში რომ უჩვეულოდ თბილი აღმოჩნდა, აქეთ თურმე ისეთი ცივი ყოფილა, მსგავსი არავის ახსოვდა მანამდე; დიდი ზიანი მოუტანია პალმებისთვის, არც სხვა მცენარეებისთვის დაუკლია, ევკალიპტები და ფიჭვები, თითქმის სრულიად გამხმარა. არნახულ სიცივეს დიდთოვლობაც დამატებია, როგორც ზემოთაც ვახსენე.

პალმებს რომ ვუყურებდი, სულ იმას ვფიქრობდი, ქუჩების გამწვანებას პალმები უფრო მოუხდებოდა თუ სხვა ფოთლოვანი ხეები. პალმების ამჟამინდელი მდგომარეობა ნამდვილად სავალალო იყო; შელახული ტოტები ისე სანწყლად ჩამოყროდათ, რომ გრძელტარიან ცოცხებს უფრო ჩამოჰგავდნენ. მაგრამ საუკეთესო მდგომარეობაშიც რომ ყოფილიყვნენ, მარაოსავით გადაშლილი მათი ფოთლები, მცხუნვარე მზისაგან ვერავის დაიცავდნენ და სავარაუდოდ გაახსენებდნენ ოაზისს, გადახრუკულ მიწასა და მხურვალე ტროპიკულ მზეს. ვალიარებ, ბევრად უფრო სასიამოვნოა და შვებითაც ვაყოლებ მზერას გამზირს, რომელიც ჩათაღულია ჭადრის, ნეკერჩხლის, ცაცხვის ფოთლოვანი ვარჯებით, მსუყე ჩრდილს რომ ფენენ გზაზე.

მაგრამ არქიტექტურა და სტილიც გასათვალისწინებელიაო, მეტყვეობდა ალბათ. გადაფოთლილი ხეები იღებენ მრგვალ, არაპროგნოზირებად ფორმას, რომელიც არა არქიტექტურულია და საერთოდ არ უხდება შენობების პერპენდიკულარულ ან ჰორიზონტალურ ჭრილებს. ამიტომ, არქიტექტურული თვალსაზრისით საუკეთესო ხე იქნებოდა ვერხვი, პერპენდიკულარული ხაზებითა და ჩრდილების გარეშე, ან უფრო უკეთესი: მშრალი, უტოტებო პალმა, რომელიც ბევრად უფრო მეტად უხდება აღმოსავლური ხასიათის სვეტოვან ნაგებობებსა და ქალაქებს, მიუხედავად იმისა, რომ რეალური სარგებელი არ მოაქვს. ვალიარებ: პალმები ძალიან უხდება ბერძნული და აღმოსავლური მარმარილოს ტაძრებს, სადაც სტილი მკაცრი და ბევრ ფიქრს მოკლებული უნდა იყოს; მაგრამ სამწუხაროდ, ამ ნავთობსადგურში ტაძრები არსადაა...

– “Verzeihen Sie, darf ich fragen, sind Sie Herr Doktor N.?”<sup>1</sup> მზით დამწვარი ორი ახალგაზრდა ამომიდგა გვერდით. ნათელი, ძალიან გერმანული სახეებითა და ორიგინალური კოსტიუმებით – ტი-

<sup>1</sup> (გერმ.) უკაცრავად, თუ შეიძლება რომ გკითხოთ, თქვენ ბატონი დოქტორ ნ. ბრძანდებით?

როლური ნაციონალური ტანსაცმლისა და საბანაო-კოსტიუმის ნაზავი ეცვათ. განიერი საყელო მაისურებიდან ამოჩრლდათ; შესანიშნავად შემოკერილი, ფართო შორტები მხოლოდ ნახევარ თეძოს უფარავდათ, შიშველი მუხლები, გრძელი გეტრები, გიმნაზიის ფეხსაცმელი, მხარზე დურბინდი და კამერები ჰქონდათ გადაკიდებული.

“Wie famos! wollen Sie uns ein Autograf in unserem Tagebuch geben?”<sup>1</sup> უბის წიგნაკი გამომიწოდეს და მეც დავტოვე სანადელი ავტოგრაფი. ისინი სირიიდან აქამდე ფეხით ჩამოსულან და აღმოსავლეთით, აზიაში, აპირებდნენ გზის გაგრძელებას, მხოლოდ ცოტაოდენი ფულით და იმ ბარგით, რაც თან ჰქონდათ; მგრამ გასაოცარი ის იყო, რომ არ ჰქონდათ ასე აუცილებელი და საჭირო არც ვიზა და არც პასპორტები. აქამდე როგორ მოაღწიეს, ეს იყო გასაკვირი, მაგრამ ჩანდა, აშკარად გაართვეს თავი და ჯერჯერობით მშვენიერ ფორმაში იყვნენ.

გზა გავაგრძელე. ქუჩის ბოლო ზღვას გადაჰყურებდა. სანაპიროსთან ულამაზესი პარკი იყო მოწყობილი, შუაგულში პატარა, თვალისმომჭრელი ტბა კამკამებდა, შემოგარენი სიმწვანეში იყო ჩაფლული. უკან გზაზე ისევ შემოგვხვდა ორი გერმანელი და გვთხოვეს, მათთან ერთად ფოტო გადაგვეღო. გვარწმუნებდნენ, რომ დედამიწის ამ კუთხეში ჩვენთან შეხვედრა მათთვის ერთობ მოულოდნელი და საინტერესო იყო. ბათუმში ახალი ჩამოსულები იყვნენ და ქუჩაში რომ დამინახეს, თურმე ჩემი სახე ეცნოთ. ფოტო გადავიღეთ და გულთბილად დაგვემშვიდობნენ, ჩვენც საუკეთესო სურვილები გავატანეთ თან. მათი შემდეგი თავგადასავლების შესახებ მე არაფერი ვიცი.

ნაშუადღევს ახლო აღმოსავლეთის დახმარების ორგანიზაციაში ჩაიზე მიგვიწვიეს, ამ შესანიშნავმა ორგანიზაციამ, წლების განმავლობაში, დიდი დახმარება გაუწია სომხებს მცირე აზიასა და რუსულ სომხეთში, ათასობით დაობლებულ სომეხ ბავშვს გაუწოდა დახმარების ხელი, თავის საბავშვო დაწესებულებებში გადაიყვანა. ჩვენმა მასპინძლებმა გვითხრეს, რომ თქვენ რა ქალაქებსაც გაივლით – თბილისს, ლენინაკანს (ალქსანდროპოლს) და ერევანს – ჩვენი სახლები იქაც თქვენს განკარგულებაში იქნება, ჩვენი მომსახურე პერსონალი სიხარულით დაგეხმარებათ ყველაფერში: იქნება ეს რჩევა, ძრავიანი ავტომობილები, თუ ნებისმიერი სხვა რამ, რაც დაგჭირდებათ. ჩვენ ასევე გავიცანით მის ქო, ინგლისელი ქალბატონი, რომელიც რამდენიმე დღე ელოდა ჩვენთან შეხვედრას. სომხეთში ლორდ მაიორის ფონდის სახელით იყო ჩასული, ახლა კი სომეხი დევნილებისთვის ჩვენ მიერ განეული დახმარების შესახებ ლექციების წაკითხვას აპირებდა ინგლისსა და ამერიკაში.

სალამოს 6 საათზე ჩვენი მატარებელი დაიძრა. ბათუმის თავაზიანი პრეზიდენტის მეთაურობით დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი, ყველანი ჩვენს გასაცილებლად მოსულიყვნენ.

## საქართველოში

რკინიგზა ჩრდილოეთით, სანაპირო ზოლს მიუყვება. რა შესანიშნავი სამყაროა! ცალ მხარეს ლურჯი ზღვა და ბრილიანტებით მოჭედილი ზეციდან ზღვაში ჩაძირული მზე. მეორე მხარეს – მწვანე ტყეებით გადახუნძლული მთის ფერდობები, ვიწრო სანაპიროდან რომ აწვერილან იისფერი სილურჯით დაბურულ ცაში.

თვალში საცემი იყო ბუჩქნარისა და ხეების სიუხვე. მცენარეები მძიმე ფოთლებით გადმოგვფოფროდნენ თავზე, ღრმა და ბნელი ჩრდილებით შემოეკერათ ვიწრო ადგილები. მდიდარი, მწვანე შამბნარი შეუვალი კედელივით ჩახვეოდა ყველა სახეობის მცენარესა და გაუვალ ბუჩქნარს, რო-

<sup>1</sup> (გერმ.) რა შესანიშნავია! შეგიძლიათ ჩვენს დღიურში ავტოგრაფი დავგიტოვოთ?”

მელთა ფოთლოვანი გვირგვინები ხეების ფესვებს შემოექსელათ და რომელთა ტოტებზე გირლიანდებივით ეკიდნენ მცოცავი არსებები.

მაგრამ აქა-იქ, ამ მშვენიერების იდილიას ყავისფერი სიკვდილის ლაქები არღვევდა – მაღალი ევკალიპტები და ფიჭვები სუსხიანი ზამთრის იარებს ჯერაც ვერ იშუშებდნენ.

ხანდახან ტერასებზე კულტივირებული ჩაის პლანტაციებიც გვხვდებოდა; დაბლობში კი, ბევრგან, ხშირი და მაღალი ბამბუკები ამართულიყო.

ჭაობნარს რომ გამოვცდით, მაგალობელ ფრინველთა ნოტები დაგვენია, ბულბულთა სტვენა ტყეებიდანაც გვესმოდა. ხანდახან, ამ ყველაფერს მისამღერივით გამოერეოდა ხოლმე ბაყაყების გაბმული ყიყინი.

რა სადგურებიც გავიარეთ, ყველგან ბათუმელი მოაგარაკეები დასეირნობდნენ. მსუბუქ, საზაფხულო კაბებში გამონყობილი ულამაზესი ქალები ფერადი თაიგულივით შეკრულნი და ჩრდილს მიკედლებულნი, როგორც კი დაგვინახავდნენ, ხელს გვიქნევდნენ. ისლამური სამყაროსგან სრულიად განსხვავებული სანახაობა იყო. ბუნების სიუხვე ყველგან ზაფხულისა და სიცოცხლის ცელქი ხალისით ღელავდა.

ნელ-ნელა სანაპიროსაც გამოვცდით და აღმოვჩნდით ტრიალ ადგილას. აქ ხეები სულ გაკაფული იყო და მხოლოდ პატარა ბუჩქები და გვიმრები მოჩანდა, ისიც აქა-იქ. კაციშვილის ჭაჭანება არ იყო ვერც კულტივაციის კვალს მოვკარი თვალი. თუმცაღა, მატარებლიდან მოცქირალს მჯეროდა, რომ შესაძლებელი იყო ამ მიწის კულტივაცია და მისი ნაყოფით ათასობით დევნილის გამოკვება. მიუხედავად იმისა, რომ ნიადაგი დამშრალი და გაუდაბნოებული ჩანდა, მიწა კარგი იყო და ადვილად შეიძლებოდა მისი მოხვნა. ათასობით ბედნიერ ოჯახს შეეძლო აქ დამკვიდრება.

შავი ზღვის სანაპიროზე მზე უკვე ჩასული იყო. ჩრდილოეთით, ძალიან შორს, მოჩანდა ლურჯი მთები, რომელთაც თეთრი მწვერვალები დაჰქათქათებდათ. ეს კავკასიონი იყო – სადაც ადამიანური გონის ტიტანი, რომელმაც ღმერთებს ცეცხლი მოსტაცა, ახლაც კლდეზეა მიჯაჭვული და გულ-მკერდს არწივი უჯიჯგნის. ესაა ერთგვარი ალეგორია გონების უსასრულო ჭიდილისა, თავი დააღწიოს მინიერ ბორკილებს.

გაშლილ ველს მივუახლოვდით, რომელზეც მოედინება მდინარე რიონი – ანტიკური ფაზისი, კოლხეთის მდიდარ სახელმწიფოს რომ რწყავდა, ავრორას ქვეყანა, სადაც ლეგენდარული ვერძი გაიქცა და მზის ამოსვლის ცეცხლში იქნა მსხვერპლშენიერი, მისი მატყლი კი ღამეული ცის ხეზე გადმოკიდეს და დარაჯად ეჭვიანობის გველეშაპი მიუჩინეს. აქ მოვიდნენ არგონავტები თავიანთი სამოგზაურო თავგადასავლებით, მდინარე ფაზისს ამოუყვნენ, რათა კოლხეთის მეფე, მზის ღვთაების ვაჟიშვილი, აიეტი ენახათ. სწორედ აქ, მზის გმირი იასონი შეხვდა მეფის ულამაზეს ქალიშვილს, ჯადოქარ მედეას, რომლის დახმარებითაც ცეცხლის მფრქვეველი რკინის ხარები დაიმორჩილა; აქ შემუსრა გველეშაპი, დათესა მისი ნაყოფი, განდევნა უკუნი და მოიპოვა ოქროს სანმისი.

ერთობ ნოყიერი და სიმწვანეშია ჩაფლული მდინარის შემოგარენი. ხშირი წვიმების გამო აქ რომ იცის, ჭარბადაა მცენარეები, მაგრამ დაბლობი მაინც დაჭაობებულია და ცუდადა ამომშრალი, მაღარია ადვილად ვრცელდება. დიდი ხნის წინათ, ჯერ კიდევ ჰიპოკრატემ აღნიშნა, რომ ეს სიცხიანი და ნესტიანი ადგილიაო.

გზა გავაგრძელეთ. სხვათა შორის, ჩვენც დიადი მიზანი გვექონდა, უნდა შეგვემუსრა ეჭვიანობის გველეშაპი, მოგვეპოვებინა ოქროს სანმისიც, ხალხის ნდობაცა და მეგობრობაც. მაგრამ ცეცხლისმფრქვეველი ხარების მოსარჯულებლად ჯადოქრის დახმარების იმედად ნამდვილად ვერ ვიქნებოდით. ღამის ბნელეთიც მაშინ წამოგვენია, როცა ისევ მივუახლოვდით ტყეებსა და კულტივირებულ მიწებებს, რომლებიც ჭარბობდნენ რიონის ველებზე, იმერეთში. ეს მხარე განთქმულია თავისი ბუნებით, ვარდებით და შავთვალა ქალიშვილებით; მაგრამ ყველა ეს მშვენიერება ღამემ



შთანთქა, ვარსკვლავებიანი თალის ქვეშ მხოლოდ მთების კონტურებს ვარჩევდით. აქედან რკინიგზა ქუთაისშიც მიდის, იმერეთის ანტიკურ დედაქალაქში.

მეორე დღით (15 ივნისს) ფარდა რომ გავწიე, ეს რა იხილა ჩემმა თვალებმა! ჩრდილოეთით მოჩანდა უზარმაზარი ლურჯი მთა, რომელსაც მზით გაჯერებული თოვლიანი მწვერვალი ედგა გვირგვინად. უცბად, თვალწინ დამიდგა მითოლოგიური სურათი, როგორ ადიოდნენ ტიტანები ამ მთაზე და იქიდან როგორ ესხმოდნენ ზეცას თავს, რაღა თქმა უნდა, ასეთი ლეგენდარული ბრძოლა ხომ სწორედ ამ კონტინენტთა გასაყარზე უნდა მომხდარიყო. ორი კლდის გიგანტი დღემდე იქ დგას და აზიიდან დაშლილი ევროპისკენ გამავალ კარიბჭეს იცავს. მთელი ისტორიის მანძილზე ამ კლდეს განუწყვეტილ აწყდებოდნენ ადამიანთა მიგრაციული ტალღები, მთის ვიწრობებში დღემდე შემონახულია იმ ტომების ნაშთები, რომლებმაც შეძლეს მათი გადალახვა.

გამოვიარეთ სურამის ქედი, რომელიც რიონისა და მტკვრის ველს ჰყოფს, დასავლეთიდან იმერეთს და აღმოსავლეთიდან კარტალინიას ანუ ქართლს. ასე რომ, რკინიგზის ყველაზე მაღალი წერტილი უკან გვექონდა მორჩენილი. ახლა უკვე ღრმად შევდიოდით მტკვრის გაშლილ ხეობაში, რომელიც ჩრდილოეთით კავკასიის მთებით იყო ჩაკეტილი და თავზე ედგა თოვლივით თეთრი ვულკანური ყინული, მყინვარი ანუ ყაზბეგი, რომლის სიმაღლეს 5000 მეტრზე მეტია და რომელიც დანარჩენ მთებს ზემოდან დაჰყურებს. ჩვენგან სამხრეთით კი მცირე კავკასიონის მთაგრეხილი მიდიოდა სომხეთის მაღლობებისკენ. ვაკეზე მღვრიე ოქროსფერ-ყავისფერი მდინარის წყლები დაკლაკნილად მიედინებოდნენ. ამ მდინარეზე ამბობენ, თუკი ერთხელ მაინც დალევ მის წყალს, მთელი ცხოვრება მისი ნდომა შეგანუხებსო. მდინარე საკმაოდ ჩუმად და მდორედ მოედინება თავის ნოყიერ ნაპირებში, მაგრამ ნალექიანობისას კურსს, კალაპოტს რომ იცვლის ხოლმე, ხიდეებს ანგრევს და სავალ გზებს ხერგავს.

კავკასიის ოთხი დიდი მდინარიდან ყველაზე დიდი მტკვარია, რამდენიმე ათასი კილომეტრია სიგრძეში. სხვა მდინარეებისგან განსხვავებით ის კავკასიონის ქედთან კი არ იღებს სათავეს, არამედ სამხრეთ-დასავლეთით, მაღალმთიან მხარეში. მისი სათავე ზღვის დონიდან 2500 მეტრზეა, ყარსიდან დასავლეთით 25 კილომეტრის მანძილზე. ეს მდინარე ერთი მკვეთრი მოსახვევით იკვლევს გზას მთებში, ჯერ ჩრდილოეთით და მერე ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩამოედინება ამ რეგიონში, შემდეგ აღმოსავლეთით მიუყვება დაბლობს და სამხრეთისკენ გეზაღებული მალევე შედის ტიფლისში, ბოლოს კი, აზერბაიჯანის გაშლილი დაბლობებიდან, მას შემდეგ, რაც არაქსს შეუერთდება, კასპიის ზღვაში ჩაედინება. ბერძნები მას კიროსს ეძახდნენ, და ფიქრობდნენ, მისი სახელი სპარსეთის მეფე კიროსს უკავშირდებოდა, მაგრამ მოგვიანებით ეტიმოლოგები მიხვდნენ, რომ ეს დასახელება უნდა მოდიოდეს ძალიან რთულად წარმოსათქმელი ქართული სიტყვის „მტკვარი“ ფუძედან (ძველ ქართულად მტკუარი), როგორც ამბობენ ტკბილს თუ მტკნარ (ნიშნავს არამლაშეს), საამურ წყალს უნდა ნიშნავდეს.

ეს მდინარე სამ ქვეყანაში მიედინება: ყარსის რეგიონში, რომელიც ახლა თურქეთს ეკუთვნის, საქართველოსა და აზერბაიჯანში. მტკვარი (კურა) მაღლობიდან ვიწრო და ველურ ხეობებში მოჩქევს, მერე მუხნარში წყნარდება, წიფლის, წიწვოვანი სოჭის ტყეებს გამოივლის, მერე ისევ აღეღებულ იწყებს ჩქეფას ღრმა ხეობებში მანამ, სანამ ბოლოს ამ ვაკეზე არ გამოვა.

როგორც ამბობენ, საქართველოში ქართველები თავდაპირველად იმ ტერიტორიებიდან მოვიდნენ, სადაც მტკვარი იღებდა სათავეს. ეს მოსაზრება შეიძლება მცდარია, სათავეებთან მდინარე ბევრ ისეთ ადგილს გადის, სადაც დღემდე შემონახულია ისტორიის შესანიშნავი პირველყოფილი მონუმენტები. ხერთვისის ხეობის სიახლოვეს, ამ დიდი ვაკიდან 80 კილომეტრის სიმაღლეზე არის უძველესი ქალაქ-გამოქვაბული, სახელად ვარძია, პირდაპირ კლდეშია გამოკვეთილი. ეს საცხოვრებელი, ალბათ, თავის დროზე პრიმიტიული რასებით იყო დასახლებული, რომლებიც ჯერ კიდევ

გამოქვაბულებში ცხოვრობდა. მოგვიანებით, შუა საუკუნეებში, აქ დაარსდა ცნობილი მონასტერი, ურიცხვი სენაკები და დიდი სამლოცველოები გამოკვეთეს კლდეში. როგორც ამბობენ, ეს მიყრუებული ადგილი დედოფალ თამარის საყვარელი აგარაკი ყოფილა; მისი ბრძანებით ვარძიის გამოქვაბული გააფართოვეს კიდევ ღვთისმშობლის ეკლესიისთვის, აქ დღემდე შემონახული რამდენიმე ფრესკა, მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ერთ-ერთი მათგანი თავად დედოფლის ფრესკა უნდა იყოს. მეთოთხმეტე საუკუნეში ეს მიუვალი ადგილი თემურ ლენგმა და მისმა მონღოლმა მიმდევრებმა დაიპყრეს და ააოხრეს, მათი მეომრები გამოქვაბულში ზემოდან ჩავიდნენ, კიბეების მეშვეობით. ორასი წლის შემდეგ მონასტერი კვლავ გაძარცვეს, ამჯერად სპარსელებმა.

საქართველო პატარა ქვეყანაა, მისი დიდი ნაწილი მდინარე მტკვრის დაბლობს უჭირავს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ შესანიშნავ ქვეყანაში ყველანაირ ბუნებრივ სილამაზეს ნაანყდებით: ნაყოფიერი ველები, უდაბური ტყეები, ათასნაირი მცენარეებით დაფარული ხეობები, მაღალი მთები და კლდეები, თეთრი მყინვარები, პეიზაჟური ნავსადგომები. მხოლოდ ერთი მნიშვნელოვანი რამ აკლია – ტბები. უცნაურია, მაგრამ კავკასიის ქვეყნებში სრული გამყინვარების პერიოდი არ ყოფილა. შესაბამისად, ველებიც არ ამოუშრეტია გაბმულ ყინვებს, აქედან გამომდინარე, ჩვეულებრივი წრიულის მაგივრად, უფრო სამკუთხა ფორმა აქვთ ხოლმე, ნიადაგის სიღრმის ასეთ ფორმას მხოლოდ წყალი იძლევა; რამდენიმე ღრმა კანიონი და ხეობაც კი არის პერპენდიკულარული მხარეებით, სადაც ტბიანი დაბლობები იქნებოდა, ასეთები ხშირია ნორვეგიასა და შვეიცარიაში. ქართულ ლანდშაფტს არ გააჩნია ლურჯი ტბები, რომლებიც მთების კოლოსალურობას აირეკლავდნენ. მხოლოდ ერთი კუთხეა აქა-იქ ტბებით, ისიც მცირე კავკასიონის სამხრეთ-დასავლეთით მთებში.

თუმცა, თავდაპირველად, მტკვარი (კურა), ალბათ, არა ერთი ტბის გავლით მიედინებოდა, სავარაუდოდ, სწორედ მათი ფსკერები უნდა იყოს ეს ნოყიერი მიწები, მაგრამ ველების სამკუთხა ფორმიდან გამომდინარე წყალმა ვინრობებში უფრო ძლიერად დაინყო დენა და ღრმა ხეობები გაკვალა გზად. როცა ხეობებმა დღევანდელი ფორმა მიიღეს, ტბებიც სრულიად დაიცალა. ერთი ასეთი ჭრილი მცხეთაშია, ერთიც თბილისთან. ჩვენ რომ გაშლილი ვაკე გამოვიარეთ, სწორედ ტბის დაშრობის იდეალური ნიმუში იყო. აქა-იქ ჩანდა მაღალი, წვრილი ვერხვები, დანარჩენი ვაკე ამწვანებული, მაგრამ ხეებისგან დაცლილი მინდვრები იყო. ირგვლილ ფერდობებს ყავისფერი ედოთ და არსად იდგა ხეები. ახლა უკვე საქართველოს გულში ვიყავით, ანტიკურ ეპოქაში კარტაგინიას რომ ეძახდნენ, ქართლიანთა ანუ ქართველთა სამშობლოში.

ამ მინდვრებში სიმინდი და სხვადასხვა სახის მარცვლეული მოჰყავთ, ასევე ვაზი და ხეხილი; ბოლო წლებში თამბაქოს კულტივირებაც კი დაიწყეს, მეტ-ნაკლებად ბამბისაც, რომელიც შორეულ წარსულში მტკვრისპირა ველზე მოჰყავდათ ხოლმე.

აქა-იქ სოფლებიც გვხვდებოდა: დაბალი, ქვითნაშენი კოტეჯები ბრტყელი სახურავებით. მაგრამ ეს კოტეჯები უსახურავო ნანგრევებს უფრო ჰგავდა შორიდან, იმიტომ რომ ნახევრად მიწაში იყო ჩადგმული, რომ ცივ კავკასიურ ზამთარში სითბო შეენარჩუნებინათ. ყველა სოფელი ფოთლოვანი ხეხილითა და ვაზით იყო გარშემორტყმული, ამხელა ტრიალის გამოვლის შემდეგ, ეს სიმწვანე თვალს სიამოვნებდა: ბოსტნეულსა და ალუბლებსაც კი მოვკარით თვალს.

მატარებელი ქალაქ გორის ზემოთ მდებარე სადგურში გაჩერდა, გორი მტკვრის საპირისპირო მხარესაა გაშენებული და მის ციცაბო კლდეზე ძველი სასახლეა აღმართული. აქ უმეტესად სომხები ცხოვრობენ, მათი უმრავლესობა, როგორც ცნობილია, მეფე დავით განმაახლებლის (აღმაშენებლის)<sup>1</sup> მიერ გადმოსახლებულ სომხთა შთამომავალია. ისინი ახლა ქართულად საუბრობენ, მაგრამ

<sup>1</sup> მთარგმნელის შენიშვნა: რამდენადაც ინგლისურ ენაში სიტყვა „აღმაშენებელი“ არ არსებობს, ავტორს სწორედ ასე ჰყავს მოხსენიებული მეფე დავით IV.

ჭეშმარიტი სომხური სიჯიუტის გამო გრეგორიანული რწმენა მაინც არ მიუტოვებიათ. ქალაქი არაერთხელ აოხრებულა და გადამწვარა თურქებისა თუ სპარსების შემოსევების დროს, და აქაც, როგორც ყველგან, აუცილებლად შეხვედებით გარდასულ დღეთა ნანგრევებს.

გორიდან აღმოსავლეთით, მცირე მანძილზე, მტკვრის ჩრდილოეთით არის ძველი ქალაქ-გამოქვაბული ანდაც ციხესიმაგრე, უფლისციხე (ანუ ლორდთა სასახლე). ფერდობის ზედა ნაწილზე სართულებადაა გამოკვეთილი დიდი და მცირე დარბაზები. ზოგი მათგანი გვირაბებით უკავშირდება ერთმანეთს. ეს ქრილები ისეთი ძველია, ამკარად უნდა სცდებოდეს ჩვენს ნელთალრიცხვას, მაგრამ უფრო განვითარებული არქიტექტურის ნიშნებიც შეიმჩნევა, სფეროსებრი სახურავები, მრგვალი თაღები, დეკორაციები, რომელიც ლემან-ჰაუპტის<sup>1</sup> აზრით, ძვ. წ. IV საუკუნით უნდა თარიღდებოდეს. დღემდე შემონახული გადმოცემის თანახმად, თავად ალექსანდრე მაკედონელიც კი ამოად შეეცადა ამ ციხესიმაგრის აღებას.

ამ მხარეში კიდევ რამდენჯანმე შეიმჩნევა ასეთი კლდეში ნაკვეთი ნაგებობების კვალი. ვარძია უკვე ვახსენე. ეს ყოველივე იმაზე უნდა მიანიშნებდეს, რომ ერთ დროს ამ მიწაზე ბინადრობდა პრიმიტიული, კლდეში მცხოვრები ცივილიზაცია. მსგავსი ცივილიზაციის კვალს ბევრ სხვა ქვეყანაშიც გადაწყდებით. მსგავსი, უძველესი გამოქვაბულების ნარჩენებს ნახავთ აკროპოლისისა და არესის გორაკებზე ათენში. ზედა ტიგროსის მხარეშიც შეხვედებით უამრავ კლდეში ნაკვეთ ქალაქს, რომელიც ძალიან ჰგავს ვარძიასა და უფლისციხეს. სომხებამდელ ხალხებს, ქალდიელებსაც გამოქვაბულები ჰქონდათ, ვანის ტბის ტერიტორიაზე სახლობდნენ, მაგრამ მათი ნაგებობები უფრო განვითარებული იყო. ამ გამოქვაბულებს, ალბათ, თავდაპირველად ხმარობდნენ საცხოვრებლად. დროთა განმავლობაში ისინი რელიგიურმა კულტებმა გადაიბარა, უფრო მეტად კი დედამიწის ქალღმერთებს – ნაყოფიერების ქალღმერთებს დაეთმოთ ისინი. გამოქვაბულები გახდა მიწის დედისა და კლდის დედის სალოცავები. უფრო მოგვიანებით კი ქრისტიანულმა ღვთისმსახურებამ ჩაანაცვლა.

უფლისციხესთან, მთის ძირში, პატარა სოფელი დაგვხვდება. მაცხოვრებლები გამოქვაბულში აღარ ცხოვრობენ, სამაგიეროდ საკუთარი სახლები აქვთ ან მიწაში ან მთის ფერდობში, რომ ცივი ზამთარი თბილად გადაიტანონ. აგურით ნაშენი სოფლის ეკლესია ძალიან ძველი ჩანს.

კიდევ ერთი მთლად გახრიოკებული მიწდორი გამოჩნდა, ოღონდ მას უკვე ემჩნეოდა ალაგ-ალაგ ხელოვნური ირიგაციების კვალი. ნიადაგი ამკარად მდიდარი ჩანდა, და ეჭვიც არ მეპარება, რომ მისი კულტივაცია უკეთესადაც იყო შესაძლებელი. რამდენიმე ადგილას ფერმერებიც დავინახეთ. თორმეტამდე ხარი ჰყავდათ უღელში შებმული და ხნავდნენ. ჩანს, მიწა რთული გადასაბრუნებელია, ალბათ, თიხიანია ან ყამირი, გვალვებისგან გადახრუკული.

მაგრამ ეს უძველესი სასახლე რა იყო, ზედ კლდის წვერზე რომ აეშენებინათ არწივის ბუდე-სავით? დედოფალი თამარის სასახლე. თამარი – ეს სახელი ჯადოსნურ სიტყვასავით სულ თან გვდევს. პირველად ბათუმში გავიგეთ, ქუთაისში სასახლის ნანგრევები ვნახეთ, შემდეგ ვარძიაშიც ახსენეს. თუ სადმე რაიმე მშვენიერი, წარმტაცი და წარსულის დიდებით აღბეჭდილი დაგვხვდა, ყველაფერი თამარის სახელს უკავშირდებოდა! საქართველოს ძლევა მოსილო დედოფალო – თვით თქვენი სახელიც კი აღმოსავლურ პოეზიასავით ჟღერს და საქართველოს ოქროს ხანას გვირგვინად ადგას. თქვენი მზისებრი ზედამხედველობის ქვეშ გაიფურჩქნა და აყვავდა ქვეყანა, თქვენმა გულადმა რაინდებმა განავრცეს და აღაშენეს მთელი ქვეყანა. ქართველისთვის ეს ამაყი ქალი თავისი ქვეყნის დიდებული წარსულის განსახიერება და სიმბოლოა.

მტკვრის მეორე მხარეს, სადაც მასში მდინარე არავგი ჩაედინება, მდებარეობს მცხეთა – ისტორიული დედაქალაქი. ქრისტეს შობიდან მეხუთე საუკუნის მიწურულამდე ეს ქალაქი ქართველ

<sup>1</sup> C. F. Lchmana-Haupt, Armenen Binst und vol. i, pp. ioi ff., 1910.

მეფეთა სატახტო იყო. დღესდღეობით იგი ვერაფრით გაგაოცებთ. აქ დგას უსახური სახლები და ვერსად შენიშნავთ არათუ ხეხილის ბაღებს, საერთოდ ვერანაირ სიმწვანეს, ასე გამოიყურება სამკუთხა ფორმის ხმელეთზე განთავსებული ქალაქი, რომელიც ორივე მდინარეს ხვრეპს, მაგრამ დასახლებიდან ძალიან მაღლა კოშკივით მოჩანს საკმაოდ ძველი კათედრა, რომელიც თითქმის ათას ხუთასი წლის განმავლობაში იყო ქართველი ერის საეკლესიო და სასულიერო ცენტრი. აღმოსავლეთ საქართველოს არა ერთი მეფე სწორედ აქ არის დამარხული.

არაგვის ველზე, ციცაბო მთებს შორის, ჩრდილოეთით, კიდევ ერთ მხარეს შევავლეთ თვალი, ეს იყო ტყეებით მდიდარი საგურამოს ველი, მათ ფონზე ჩანდა კავკასიონის თოვლიანი მთები. მცხეთის გადმოსწვრივ, არაგვის მეორე მხარესაც მაღალი მთაა, რომელზეც ჯვრის მონასტერი დგას, მრგვალი ნანგრევები აქვს გალავნად შემორტყმული, როგორც შეუღწევად ციხეს, რაც მთელს ლანდშაფტს შუასაუკუნების და ძველი სამყაროს იერს უნარჩუნებს. ამ კლდის ძირში რაღაც სერიოზული სამუშაო მიმდინარეობდა. უზარმაზარ კაშხალს აშენებდნენ მთელ მდინარეზე, რომელიც ახალ ელექტრო სადგურს უნდა მიერთებოდა და თბილისი უნდა მოემარაგებინა. ამ ადგილას ხვდებოდნენ ერთმანეთს წარსული და ახალი ეპოქები.

## ტიფლისი

ტიფლისს ვუახლოვდებოდით, შიშველი მინდვრები და ქვიანი ფერდობები – მთელი საქართველო პეიზაჟივითაა და აქ დედაქალაქის აშენება ვინ მოიფიქრა? მარცხნივ, ძალიან შორს, მთის ძირას დავინახეთ უამრავი თეთრი ლაქა, რომელიც შორიდან კარვებს ჰგავდა. როგორც მერე გავარკვიეთ, იქ საქართველოს წითელ არმიას ჰქონია ბანაკი დაცემული.

დილის ათ საათზე მივედით სადგურში, სადაც უამრავი კონსული – იტალიელი, სპარსი, თურქი, გერმანელი და კიდევ სხვები – დაგვხვდა. აქვე იყო მისტერ იაროუ, ახლო აღმოსავლეთის დახმარების ორგანიზაციის ამერიკელი წარმომადგენელი, რომელმაც თავის სახლში გასაჩერებლად მიგვიპატიჟა. მისტერ ვაი ვერლინი, საერთაშორისო წითელი ჯვრის წარმომადგენელია მოსკოვში, ისიც აქ გახლდათ, სულ ახალი ჩამოსული იყო რუსეთიდან, რათა ინფორმაცია მოეგროვებინა ტრანსკავკასიაში ჯანდაცვის მდგომარეობის შესახებ.

სადგური ძრავიანი ავტომობილებით დავტოვეთ. როგორც ყოვეთლვის, სადგური ქალაქგარეთ იყო და რამდენიმე კილომეტრის გავლა მოგვინია. გარეუბანი – ე. წ. გერმანული უბანი, უწინ ვურტემბურგელი დევნილებით იყო დასახლებული, ისინი ერთი საუკუნის წინ (1818 წელს) ჩამოსახლებულან აქ. გავედით ხიდზე, გავიარეთ მდინარეში კუნძული მადათოვი, მერე კიდევ ერთი ხიდი, გავუყევით მდინარის ნაპირს და თავი ამოვყავით ქალაქის თანამედროვე ნაწილში. გოლოვინის პროსპექტი ძალიან ფართო, საგანგებოდ განიერი ქუჩა იყო. მარცხენა მხარეს ოპერის თეატრის შენობა იდგა, მარჯვნივ კი ყველაზე დიდ ადგილს იკავებდა მრგვალგუმბათებიანი დიდი რუსული ეკლესია. ადრე ამ შენობას, როცა ქალაქში რუსული გარნიზონი იდგა, გარნიზონის კათედრას ეძახდნენ, ჯარისკაცები აქ დადიოდნენ წირვაზე. ამ უზარმაზარი შენობის მარჯვნივ იყო მთავრობის სახლი, რუსი მეფისნაცვლის სასახლე. მის მოპირდაპირედ კი დავინახეთ ჯერ დაუსრულებელი კიდევ ერთი დიდი შენობა, რომელიც გრანდიოზული მუზეუმი უნდა ყოფილიყო.

სხვა შენობებიც იყო ქალაქში, მაგრამ აქ რაც ვნახეთ, ყველაფერი ჩვეულებრივი გვეჩვენა, ჩვეულებრივი ევროპული უფერული არქიტექტურა, რუსული ეკლესიისა და რამდენიმე სომხური და ქართულ ტაძარის გარდა. სხვას აქ აღმოსავლურს ვერაფერს ნახავდით, არც ფანტაზიას გაგიღვი-

ვებდათ რაიმე. არც აღმოსავლური ფერთა სიმდიდრე აღინიშნებოდა პროსპექტზე გამვლელებში. კაცები ჩვეულებრივ, უბრალო საბჭოთა პალტოებს ატარებდნენ და რბილი საბჭოთა კეპები ეხურათ, ქალები კი – ახალი ქართველი ლამაზმანები თავიანთი ჩაცმულობით დიდად არ განსხვავდებოდნენ ევროპელი დებისგან, თუმცა ქუჩები ხალხითა და ხმაურით იყო სავსე.

საოცრი სტუმართმოყვარეობა დაგვხვდა ჩვენი ამერიკელი მეგობრის დიდ სახლში. დიდი და მაღალჭერიანი ოთახები ძალიან სასიამოვნო იყო იმ სიცხის შემდეგ, რომელიც დღის განმავლობაში უფრო და უფრო მატულობდა.

პირველი ვიზიტი ტრანსკავკასიის ფედერაციის პრეზიდენტთან გვექონდა, მთავრობის სახლში. ერთობ სიმპათიური კაცი გახლდათ – ძლიერი აღნაგობის, შავგვრემანი ქართველი იყო, გონიერი გამომეტყველებით. დიდი პატივით მიგვიღო და ყველაფერი საუკეთესო გვისურვა. იმედოვნებდა, დავებმარებოდით და, როგორც ექსპერტები და საქმის მცოდნენი, ხელს შევუწყობდით მათი სახელმწიფოს შენებასა და განვითარებას. ვუბასუხე, რომ დიდად ნასიამოვნები ვიყავით მათ ულამაზეს ქვეყანაში მოგზაურობით, მოვახსენე, რომ ჩვენც არ ვკარგავდით იმედს, რომ ჩვენი მცდელობა, მცირე ნაბიჯს მაინც გადაადგმევინებდა ტრანსკავკასიას ევროპასთან დაახლოების საქმეში. იქნებ, მართლაც, გაგვენია ამ მხრივ დახმარება.

კედელზე ჩამოკიდებული უზარმაზარი და ლამაზი რუკის წინ განვიხილავდით, სად შეიძლება და სომეხი დევნილების დასახლება, თუკი სარდარაბადის გეგმა არაპრაქტიკული აღმოჩნდებოდა. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ აზერბაიჯანში იყო დიდი ტრიალი ველი, რომლის ირიგაციაც ათასობით ოჯახის შენახვას შეძლებდა, უფრო მეტიც, იმ მიდამოებში ისედაც ბევრი სომეხი ცხოვრობდა. კიდევ, ორიათასამდე სომეხისთვის იქნებოდა ადგილი აფხაზეთშიც, საქართველოს ჩრდილო-დასავლეთით, შავი ზღვის პირას მდებარე ავტონომიურ რესპუბლიკაში, სადაც ადრეც დასახლებულა რამდენიმე ათასი სომეხი დევნილი და საქართველოს რამდენიმე მთიან რეგიონშიც გამოინახებოდა მათთვის ადგილი.

საუბარი რომ დავასრულეთ, სასეირნოდ გავედით ბაღში ყოფილი მეფისნაცვლის სასახლე რომ დგას. საოცრად მდიდრული იყო, კარგად მოვლილი, ყველანაირი სუბტროპიკული ხეებით გაშენებული, ბილიკები მწვანე გაზონებს შორის წითელი ხვინჭით მოეფინათ. ნაირფრად გადაფურჩქნილი სურნელოვანი ყვავილები გვტაცებდა თვალს. ასეთი სილამაზე გასაკვირი არ იქნებოდა ორთავა არწივიანი ცარიზმის დროს, როცა ამ ბაღს მონებისა და მოსამსახურეების ბატალიონი დასტრიალებდა თავს, მაგრამ პროლეტარიატის წითელი ვარსკვლავის ქვეშ მოქცეული გასაკვირად შთამბეჭდავი იყო. ბაღი რომ დავათვალიერეთ, ქართულ მთავრობასა და ვიცეპრეზიდენტს ვესტუმრეთ.

ნაშუადღევს შევუდექით ქვაფენილიან აღმართს, რომელიც ქალაქის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მთის მაღალ, ციცაბო ფერდობს მიუყვება, ჩვენგან მარცხნივ, ძალიან ვიწრო და ციცაბო ხეობაში, ნამდვილ უფსკრულს დაელო პირი, ან იქნებ კანიონიც კი იყო, რადგანაც მდინარისგან მხოლოდ ერთი, წვრილი და ამომშრალი რუ დარჩენილიყო. ასეთი ღრმა და ციცაბო კანიონი, აშკარად მშრალი კლიმატის შედეგია. მას ფორმა მთაში მოსული წვიმით გამონვეულმა წყალდიდობებმა მისცეს. ჩანს, ადიდებული მდინარეები მთელი ძალით ახეთქებდნენ თავიანთ ტალღებს კლდეებს.

როგორც იქნა ზემოთ ავედით და ჩვენ თვალწინ გადაიშალა ქალაქისა და მისი შემოგარენის მშვენიერი ხედი. ქალაქს მოგრძო და ვიწრო ფორმა აქვს, მტკვრის ორივე სანაპიროზეა გაშენებული და მდინარის დინებას გასდევს. უნაკლო სანახაობა იქნებოდა, რომ არა ცარიელი მთის ფერდობები, რომლებიც ორივე მხრიდან აკრავს თბილისს. ხეს ვერ ნახავთ მათ კალთებზე. რაც ქალაქს ძალიან უფერულს ხდის. სულ სხვა სანახაობა იქნებოდა, ეს ფერდობები ტყეებით, ბაღნარით ან ხეხილის ბაღით რომ იყოს განაშენიანებული. ქალაქი, ახ. წ. IV საუკუნეში დაარსდა, იქნებ უფრო ადრეც კი,

მისი ქართული სახელი – თბილისი აქ გამომდინარე გოგირდის თბილ წყაროს უკავშირდება (თბილი), აქ დღემდე ფუნქციონირებს გოგირდის აბანოები.

ჩვენგან ჩრდილოეთით პოლსკაიას მთაა (1000 მეტრი), ფუნიკულიორის ლიანდაგი ქალაქიდან მთის წვერამდე ადის, სადაც რესტორანია განთავსებული, უმშვენიერესი ხედით ქალაქსა და მის მიმდებარე მთებზე. ფუნიკულიორამდე სანამ ახვალთ, მთის შუა ნაწილში წმ. დავითის მონასტერი დგას.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ტიფლისი დიდ ქალაქად მიიჩნევა, (უკანასკნელი აღწერის მიხედვით 275 ათასი მაცხოვრებელია), მაინც საოცრად პატარა ტერიტორიას იკავებს. ზემოდან რომ დავხედო, ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი, რომ ეს ქალაქი, მაგალითად, უფრო დიდი შეიძლება ყოფილიყო, ვიდრე ნორვეგიის ქალაქი დრამენი, რომელიც ასევე მდინარეზეა გაშენებული, და იქ 26 ათასი კაცი ცხოვრობს. თუმცა გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ტიფლისში სახლები ძალიან ახლოსაა ერთმანეთთან, მითუმეტეს ძველ ქალაქში, ქუჩები და გასასვლელებიც მეტისმეტად ვიწროა. აქაურები, ისევე როგორც სხვა დიდ ქალაქებში, სახლების უკმარისობასაც კი უჩივიან. ისევე როგორც სხვა დიდ ქალაქებში, მოსახლეობა მიჯრით მიწყობილ ოთახებში ცხოვრობს. სახლების უმეტესობა დაბალია, მაგრამ საოცრად დიდი რაოდენობის ხალხს იტევს.

დიდი საცობები იყო გზაზე, ძირითადად გლეხები დაატარებდნენ ურმებს, ზოგს ცხენიც ჰყავდა შებმული. როგორც ჩანს, ბაზრიდან ქალაქში ბრუნდებოდნენ; საქონელი გაყიდეს და ახლა თავ-თავიანთ, ქალაქებისა თუ სოფლებისკენ აეღოთ გეზი. ამ მხარეს რამდენიმე აგარაკია, რომლებსაც ტიფლისის მოქალაქეები ხშირად სტუმრობენ ზაფხულის ყველაზე ცხელ თვეებში.

კამეჩებმა ჩაგვიარეს. შავი ცხოველები არიან, რქები ზურგზე უწყვიათ. ასეთებს ხშირად შეხვდებით ამ მხარეებში. ფოტოც კი გადავუღე. ორი მეურმე ბიჭი ჩვენი ავტომობილისკენ წამოვიდა. დააინტერესათ, როგორ ჩანდა კამერაში მათი კამეჩები. მე მათი სახეებიც აღვბეჭდე. გაიცინეს, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ, რომ ფოტოებს ვერ იხილავდნენ.

ქალაქში ვსეირნობდით. ძველ ქალაქშიც გავიარეთ: მტკვის მარცხენა სანაპიროზე, ქართულ უბანში. მეორე ნაპირზე კი სომხური და სპარსული ბაზრები იყო. ძალიან ვიწრო და დაკლაკნილი ქუჩებით. ფერდობებზე, სახლებს შორის, ამ სივინროვეში, ხშირად კიბეებიც კი შეგხვდებოდათ. დგას ან ერთ ან ორსართულიანი სახლები, ტიპური ქართული არქიტექტურის ნიმუშები, ზედა სართულზე აივნებით ან ღია ვერანდებით. ოჯახის წევრები დღის უმეტეს ნაწილს სწორედ იქ ატარებენ ან ქუჩაში სხედან, თავიანთი სახლის წინ. სახლის ფასადები ძირითადად სულ ლამაზი ჩუქურთმებითაა განწყობილი.

დილიდან დაღამებამდე ამ მჭიდრო ქუჩებში სიცოცხლე დულს და გადმოდის, ჯორით ხილ-ბოსტნეულს დაატარებენ, ყვირიან, ვინც რას ყიდის. ხანაც რიყის ქვებზე ურემი ან ცხენშებმული ეტლი გაირბენს თქარა-თქურით. ყველაზე დიდი ჟრიაშული ბაზარსა და სავაჭრო-ცენტრშია, სადაც ყველა სახის საქონელი იყიდება და ათასი წარმომავლობის ხალხი ირევა: ქართველები, სომხები, ებრაელები, რუსები, სპარსები, თურქები, თათრები. ყველანი ყიდიან და ყიდულობენ. გარეთ, სახლების წინაც ხშირად შეხვდებით სხვადასხვა ოჯახებს, თავ-თავიანთი სახელოსნოები რომ აქვთ გახსნილი პირდაპირ ქუჩაში. თბილისელები ავეჯის სიმრავლით არ გამოირჩევიან მათ პატარა ოთახებში უბრალოდ არაა ამის ადგილი, როგორც წესი, ოთხი კედელი და იატაკი, მცირედ შელამაზებული. აქ ავეჯის მაგივრობას უწევს ათასფერი და ძვირფასი ფარდაგი, რომლებიც, ძირითადად, დასაჯდომად გამოიყენება.

ამ სხვადასხვა ფერის ადამიანებით აჟივფივებულ ჩიხებს რომ უყურებ, თავს ვერ იკავებ იმაზე ფიქრით, თუ რამდენი საშინელება, არაჰუმანური ძარცვა და სასტიკი ხოცვა-ჟლეტა აქვთ ნანახი ამ ქუჩებს, თანაც გამუდმებით, მთელი ისტორიის მანძილზე: სპარსების, არაბების, თურქების, მონ-

ლოლებს, თათრებს, და არც თუ ისე დიდი ხნის წინ, თავად ქართველების ხელითაც. მაგრამ სიცოცხლის დინება ყველა ფულურს ავსებს და ისევ გულგრილად აგრძელებს ჩქეფას.

ქალაქიდან გასული მოყვითალ-მოყავისფერო მტკვარი დიდ ხეობაში შედის. ქალაქის ზედა ნაწილში მდინარე საკმაოდ განიერია, მაგრამ სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ მიმავალი, ვიწრო ხეობაში იცვლის ფორმას. ხეობის ზემოდან კი აივნები გადმოჰყურებენ მდინარეს, აივნებს ზემოთ, აღმოსავლეთით, ქართველი მეფეების ძველი სასახლე დგას და თავისი სამრეკლოებით ეპოტინება მზეს, როგორც ერთ-ერთი მონმე დიდებული და გარდასული დღეებისა. ამჟამად სასახლეს სატუსაღოს დანიშნულება აქვს. ერთ დროს მეფის სასახლე ახლა საპყრობილეა! საინტერესოა, მომავალში რა დანიშნულებას შესძენენ?

ძველი ქალაქიდან ძალიან ზემოთ, მდინარის დასავლეთ მხარეს, მთა უმაგრებს უძველეს ამაყ, შუასაუკუნოვან ნანგრევებს, ოდესღაც „სპარსული“ ციხესიმაგრე რომ იყო, თავისი კოშკებითა და თავდაცვითი ნაგებობებით. ციხესიმაგრის სამხრეთით, ვიწრო ხეობას უმშვენიერესი ბოტანიკური ბაღი საზღვრავს. ულამაზესი კუთხეა. სწორედ აქ იმღერა ბოდენშტედტის მირზა შაფიმი:

Gelb rollt mir zu Fussen der brausende Kur  
Im tanzenden Wellengetriebe;  
Hell lachelt die Sonne, mein Herz und die Flur –  
O, wenn es doch immer so bliebe!

ამასობაში საღამოც ჩამოწვა, ჩვენმა მეგობარმა ნაპოლეონმა ვახშამი გაშალა, მოგვართვა მტკვარის ნობათი, ხიზილალა და მოაყოლა კავკასიური სასმელები: უმაღლესი ხარისხის ნითელი ღვინო და შესანიშნავი ცქრიალა ოქროსფერი.

რა მშვიდი ღამეა! მტკვარი დინჯად მიუყვება ნაპირებს, შავი ფერდობები მკვეთრად იჭრებიან აურაცხელი ვარსკვლავებით მოჭედილი შავი ცისკენ, რომელიც ულამაზესად ირეკლება მდინარის ტალღებში. ვარსკვლავების კაშკაშს სიშავით ეგებება კლდეზე მომართული უძველესი სამეფო სასახლე. მისი ტუსალები კი ბორკილებში ღაფავენ სულს... ღამე ეწყობა მსვლელობა: მეომრები მოდიან, ცხენების ფლოქვები ხმა აყრუებს არემარეს, მუზარადის ბუმბულები (კიკა, სადა აქვს მუზარადს ბუმბული და ბუნდლა?, რასაა რომ წერ? და საერთოდ, ეს ამ კაცის ხილვებია?) ირევიან ერთმანეთში, შუბების ტყეებით მიერეკებიან აჭიხვინებულ საომარ ცხენებს, საყვირის ხმაც ისმის, გამარჯვებული გამირები ბრუნდებიან შორეული დასავლეთიდან ან აღმოსავლეთიდან. სწორედ ამ მდინარის პირას, ზუსტად ამ ვარსკვლავების ქვეშ, შოთა რუსთაველი ფიქრობდა და წერდა ლექსებს თავისი მეფე-ქალისთვის. ბანკეტისთვის სასახლეში გადავინაცვლეთ. ჩირაღდნის ალი ანცად მონაცვლეობს მეომართა სამკლაურებსა და ჯავშანზე, ძვირფას აბრეშუმსა და მარგალიტებზე. დარბაზი გადაჭედილია ზრდილი რაინდებითა და ულამაზესი ქალბატონებით. მაგრამ მოიცადეთ, აი, ისიც, მაღალი და ზვიადი! თავი კრძალვით უჭირავს, ღრმა და შავი თვალები უბრწყინავს ჩირაღდნის ფონზე და საყვირთა გუნდით არღვევს ღამის სიჩუმეს მისი სახელი: თამარ!

ვაგლახ, მოკვდავნო, ჩვენთვის ეს ყოველივე საუკუნეთა დენამ ჩარაზა!

### მცხეთისაკენ

გეგმის მიხედვით, სამშაბათ დილით (16 ივნისს), უნდა გავსულიყავით ტიფლისიდან თხუთმეტი კილომეტრის მანძილზე, ჩრდილოეთით და დაგვეთვალიერებინა მტკვარზე აშენებული ახალი ელექტროსადგური, გადავწყვიტეთ, რომ ავტომობილები ჩვენთან ზუსტად დილის ცხრა საათზე უნდა მოსულიყო, მაგრამ როგორც აღმოსავლური პუნქტუალობას შეჰფერის, ზუსტად თერთმეტზე მოვიდნენ. მდულარე მზეში გავნიეთ ჩრდილოეთისკენ, გავუყევით მდინარის მარცხენა სანაპიროს. გზა იყო დიდი და ფართო, სწორედ იმ სამხედრო გზის დასაწყისი, რომელიც კავკასიის გავლით ვლადიკავკაზამდე ჩადის.

თვალი შევავლეთ უზარმაზარ კაშხალს, რომელიც ელექტროსადგურისთვის შენდებოდა. აქ, უძველეს ქალაქ მცხეთასთან, როგორც უკვე აღვნიშნე, მტკვრის ხეობა ვინროვდება, დინებას ორივე მხრიდან მთები ხერგავს, სავარაუდოდ, უფრო ადრეულ პერიოდში აქედან დიდი ტბის გადინება ხდებოდა უსათუოდ (კიკო, ტბები არსად არ გაედინება?). აქ უნდა ყოფილიყო ტბა, რომელშიც ჩაედინებოდა მტკვარი. დროთა განმავლობაში მდინარე სულ უფრო და უფრო ღრმად თხრიდა თავის კალაპოტს, ტბა კი შრებოდა, ხოლო ფსკერი, სადაც ტალახი ილექებოდა, ნელ-ნელა ხმელეთად იქცა და ახლა უკვე დასავლეთით ქალაქ გორიდან სურამამდე გადაჭიმული განიერი და ნოყიერი ვაკის სახით გვეგებება. ახლაც კი, არაგვთან შეერთების შემდეგ, მდინარე ძალიან მკვეთრი დაღმართით ჩაედინება ვინრო კალაპოტში. სწორედ აქ შენდება კაშხალიც.

მშენებლობის პირველმა მცდელობამ სწრაფადვე გამოავლინა მდინარის კალაპოტის თავისებურება, დინებამ ჯებირები მაშინვე მიშლამა, ყავისფერ დინებას მოჰქონდა სიბინძურე, ფსკერზე იმდენი შლამი დაილექა, რომ ლამის დინება შეაჩერა. შესაბამისად, აუცილებელი გახდა სპეციალური გამწმენდი არხის მშენებლობა, რომლიდანაც ტალახი და ქვიშა ცალკე ჩაირეცხება, ხოლო წყალი სრული დინებით შეუერთდება სადგურში შემავალ მდინარეს. იმედია, რომ ეს გადაწყვეტილება შედეგს გამოიღებს, მაგრამ ჩვენი ექსპერტი, მრჩეველი მისტერ დუბუისი, მაინც ჭოჭმანობდა, რომ დაგროვებული შლამი, დროთაგანმავლობაში, პრობლემებს შექმნიდა.

კავკასიის მდინარეები, ზოგადად, ტბებში არ გადის. ასე რომ ყოფილიყო, ტალახი ფსკერზე დაილექებოდა და დინება დაწმინდავდებოდა. უფრო მეტიც, ეს მდინარეები, ხშირ შემთხვევაში, თავიანთ მაღლობ კალაპოტებში, მკვეთრად ეშვებიან ქვემოთ და მთელი სისწრაფით ასკდებიან ვინრო კანიონებსა და ხეობებს. სწორედ ესაა იმის მიზეზი, რომ დინებას ქვა-ღორღი და ტალახი მოაქვს. მორიგი მნიშვნელოვანი ფაქტორი წვიმაა, რომელიც თუ მოვიდა, საქართველოში კოკისპირული იცის ხოლმე. ასეთ თავსხმა წყალში, ეს ისედაც აღვართქაფებული მდინარეები კიდევ უფრო დიდდებიან, კალაპოტს გადმოდინან და თუ ხეობების მიწა ან ქვა-ღორღი არ ყოფნით, ახლა ნაპირებიდანაც ეზიდებიან. აქვე უნდა ვახსენოთ, რომ მდინარის სიჩქარესთან ერთად სასწაულად იზრდება მის მიერ წალეხული ტალახისა და ქვა-ღორღის რაოდენობაც. მაგალითად, დინების ჩვეულმა სიჩქარემ წყალდიდობის შედეგად თუ იმატა, მას ახლა უკვე სამოცდაოთხჯერ უფრო დიდი ლოდის წალეხა შეუძლია, ვიდრე მანამდე შეეძლო. შესაბამისად, გასაკვირიც არაა, რომ კავკასიურ მდინარეებსაც აურაცხელი ქვა-ღორღი და ტალახი მოაქვს, თანაც ხშირად იცვლის ფერს: ხან ყავისფერდება, ხან ყვითლდება, ხანაც მონაცრისფრო იერს იძენს – გააჩნია რა სახის ხმელეთი და ქვები აქვს მოტაცებული. ტალახის სახეობაც ხომ ათასნაირია; არაგვის წყალში, მაგალითად, ბევრად უფრო ნაკლები ტალახია, ვიდრე მტკვარში.



რადგანაც კაშხალის მშენებლობის პირველი ცდა წარუმატებელი აღმოჩნდა, ეს საქმე გერმანულ ფირმას გადააბარეს. გამოთვლის მიხედვით, საწყის ეტაპზე კაშხალი 18, 000 კილოვატ საათს გამოიმუშავებს, მაგრამ თუკი მისი სრული შესაძლებლობების ექსპლუატაცია მოხდა, 30, 000-მდეც კი ავა.

დრო ვიხელთე და ჩუმიად დავაპირე გაპარვა ჯვრის მონასტრისკენ, რომელიც დაბლობიდან ძალიან მაღლა, კლდის პირას დგას. დუპუისი და ქვისლინგიც ამედევენ. თან ერთი მსუქანი ტიფლისელი ჟურნალისტიც გვახლდა. ისიც წამოგვეყვა და და კიდეც ერთი კაცი, რომელიც ღრმად გათვითცნობიერებული უნდა ყოფილიყო ამ მონასტრის ისტორიაში. მკვეთრი აღმართი იყო, მაგრამ საოცრად თბილი ამინდი იდგა. გზის შუა მონაკვეთში, ქვედა ხეობამდე ასულებს გაგვიკვირდა პატარა ტბა რომ დავინახეთ. ნაპირები თეთრად მოცივალე ქერქით ჰქონდა შემოსაზღვრული. შორიდან ყინულს ჰგავდა, მაგრამ ნამდვილად დალექილი მარილი იყო. წყალი არსად არ გაედინებოდა, მაგრამ მასში ჩადენილი წვიმის წყალი ნამდვილად არ იქნებოდა იმაზე მეტი, რაც ამ არემარედან ორთქლდებოდა. მომცრო ტბა დიდ გუბურას უფრო ჩამოჰგავდა, თავისივე დალექილი მარილით შემოზღუდულს.

მონასტრისკენ აღმასვლა გავაგრძელეთ. ამასობაში, ჩვენი მსუქანა და კეთილგანწყობილი ჟურნალისტი, რომელსაც ცხვირსახოცი შემოეხვია მელოტ თავზე და ლამის სიცხისგან დამდნარიყო, ამაყად მოგვეყვებოდა უკან და დაუზოგავად ებრძოდა ციცაბოებს.

ლამის კლდის პერპენდიკულარული მონასტერი დგას მთის წვერზე, რომელიც ზედ არაგვისა და მტკვრის ნაპირებთან ჩადის. ადრე თურმე უკნიდან გალავანი და საგუშაგოები ჰქონდა შემორტყმული. ამ ქვეყანაში ასეთი თავდაცვითი ნაგებობები ჩვეულებრივი მოვლენა იყო, ხალხი თავს იცავდა ყველა მხრიდან შემოსეული მტრისგან, რომლებიც ქარბორბალასავით დაიძრებოდნენ ხოლმე მთებიდან, თავს ესხმოდნენ ადგილობრივებს და აოხრებდნენ ყველაფერს, რაც გზად შეხვდებოდათ. კედლებისგან ახლა ნანგრევებიღა დარჩენილი. თავად მონასტერი საკმაოდ კარგადაა შენახული, მის გუმბათთან ხარაჩოებიც კი დავინახეთ და გაგვიხარდა, რომ ნაგებობა მუდმივ რემონტშია. ძველი კედლის ნანგრევებში რამდენიმე სენაკი აბარია ბერს, რომელიც მონასტრის მომვლელადაა დანიშნული და, ალბათ, საჭირო დროს, მონასტრის ზარებსაც რეკავს, რომლებიც მწვანე ეზოში, უზარმაზარ დაკოჭრილ ძელებზეა ჩამოკიდებული.

ქართველი ისტორიკოსების თანახმად, მონასტრის მშენებლობა მთავარმა სტეფან I-მა<sup>1</sup> დაიწყო, ახ. წ. 590 წელს და მთავარმა ადარნასე I-მა დაამთავრა. ამ უკანასკნელის შვილმა კი, მთავარმა სტეფან II-მ, მონასტრის გალავანი და კედლები ააშენა, შიგნით სენაკებით<sup>2</sup>.

ლეგენდის თანახმად, მონასტერი იმ ადგილასაა აშენებული, სადაც წმ. ნინომ, რომელმაც მეფე მირიანის დროს, IV საუკუნის დასაწყისში, ქრისტიანობა შემოიტანა საქართველოში, პირველად აღმართა ჯვრის სიმბოლო, ჯვრის, რომელიც ვაზისგან იყო დანსული. ეკლესიის შუაში აღმართულია დიდი სვეტი, რომელზეც ბერმა გვითხრა, რომ ადრეულ ხანაში ცეცხლთაყვანისმცემელთა საკურთხეველი იყო. თუ ეს ასეა, ეს კლდე ანტიკურ ხანაშიც უსათუოდ წმინდა ადგილად ითვლებოდა, ამით აიხსნება ვაზის ჯვრის სწორედ ამ ადგილას აღმართვა. ქრისტიანობის შემდეგი ნაბიჯი კი ის იყო, რომ უკვე წმინდა ადგილი დაესაკურთხებინა და თავისი მონასტერი აეშენებინა ზედ. ამ მოსაზრებას საკმაო საფუძველი აქვს, მაგრამ ეს გადმოცემა უბრალო ლეგენდაც რომ იყოს, იმას მაინც უსათუოდ მოწმობს, თუ ტრადიციებისთვის რამდენად უმნიშვნელოა ერთი რელიგიის მეორეთი ჩანაცვლება. ძველი საკურთხეველის გარშემო ახლა ჯვრები და ხატებია დაკიდული.

<sup>1</sup> იგულისხმება ერისთავი სტეფანოზ I.

<sup>2</sup> See J. Strzygowski, Die Baukunst der Armenier und Europe, vol. i, p. 84, vol. ii, p. 7 65, Vienna, 1918. Cf. also O. G. v. Wesendonk, Archäologischer Anzeiger, 1925, col. 70.

მონასტრის საძირკველი კვადრატულია, მცირე წრიული აფსიდებით ოთხივე მხარეს. აღმოსავლეთით და დასავლეთით ეს აფსიდები ორჯერ უფრო ღრმაა, ვიდრე ჩრდილოეთით ან სამხრეთით, შესაბამისად, ინტერიერიც დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ უფრო გრძელია, ვიდრე ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ.

შიდა კვადრატის კუთხეებში პატარა, ცილინდრული ღრმულებია გაკეთებული. კვადრატის ზემოთ, რვაკუთხედ კოშკში გუმბათია აღმართული, ნაწვეტებული სახურავით. მთავარი ოთახის გარდა, მონასტერში განთავსებულია კიდევ ოთხი პატარა კვადრატული ოთახი, რომლებიც მონასტრის კუთხეებს ისეთნაირად ავსებს, რომ ნაგებობა გარედან მართკუთხა ფორმას იღებს. ხოლო გარედან კვადრატის კედელთა აფსიდები კვადრატულადაა წარმოდგენილი.

სწორედ ასეთი, აფსიდებითა და ნიშებით გამართული, შიდა-კვადრატული და გუმბათოვანი ნაგებობებია საქართველოს და სომხეთის არქიტექტურული მახასიათებლები. ამ ქვეყნებში არაერთი მსგავსი მონასტერია აგებული. ასეთი ტიპის არქიტექტურაზე ადრეც ვისაუბრე, როცა კონსტანტინეპოლი სწმ. სოფიას ტაძარი მიმოვიხილე.

გუმბათში ამოჭრილია ოთხი ვიწრო სარკმელი, რომლებიც ბაცად უშვებენ მზის სხივებს. მცირედი ნათელი შემოდის აფსიდებში მოთავსებული სარკმლებიდანაც, მაგრამ მათი ერთობლიობა მაინც არაა საკმარისი საუკუნოვან და იდუმალებით მოცულ ბინდ-ბუნდში გახვეული ვრცელი ინტერიერის გასანათებლად. მონასტრის შიდა კედლები ერთობ შიშველი და მარტივია, ყოველგვარი დეკორაციის გარეშე, გარდა აღმოსავლეთ კედლისა, რომელსაც ბოლოში რამდენიმე ფრესკა აქვს დატანილი, მაგრამ ნახევრად სიბნელეში მათი გარჩევა ვერაფრით ვერ შევძელით. გარედან აფსიდებს სარკმელში ბარელიეფური ქვები აქვს ჩატანებული, რაც ერთგვარ დეკორაციად შეგვიძლია მივიჩნიოთ. ერთ-ერთი ამ ბარელიეფის შინაარსი და ფორმა საოცრად ჩამოჰგავს საყოველთაოდ ცნობილი რათველის<sup>1</sup> ჯვარზე დატანილ გამოსახულებას ნორთუმბერლენდში.

ერთი თავისებურება, რაც ამ მონასტერსა და ზოგადად სომხურ ეკლესიებსაც ახასიათებს, არის საძირკველი და რამდენიმე საფეხური, რომელიც მონასტრის კედელს აქვს შემოტარებული გარედან. უსათუოდ წარმართული ტაძრებიდან უნდა იყოს გადმოღებული, ეს მოგვიანებით დადასტურდება. გასაოცარი მსგავსებაა ამ მონასტერსა და ეჩმიადინში არსებულ რიფსიმეს ტაძარს შორის.

ინტერიერის სიშიშველე კაცს ისეთ შთაბეჭდილებას უტოვებს, თითქოს მონასტერში კაციშვილს არ დაუდგამს ფეხი, ან მისი ბოლომდე აშენება არ დასცალდათო. უცნაურია ისიც, რომ საქართველოში ეკლესია-მონასტრები ხშირად მიუვალ და შემალღებულ ადგილებშია აგებული, რა თქმა უნდა, ხალხი და მამა ზეციერი ამ ნაგებობებს ასე უფრო უკეთესად დაინახავდნენ, მაგრამ მათი მონახულება არც თუ ისე იოლი საქმე გახლავთ. არ შემიძლია არ გავიხსენო ფრანგი შარდენის სიტყვები, რომელმაც საქართველოში 1672 წელს იმოგზაურა: „ქართველებს...ერთი საკმაოდ უცნაური ჩვეულება აქვთ: ეკლესიებს მთის წვერზე, შორეულ და თითქმის მიუვალ ადგილებში აშენებენ; ეკლესიების უმეტესობას, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, ათ წელიწადში ერთხელ თუ გააღებენ ხოლმე. ვერაფრით ვერ შევძელი დამედგინა ასეთი ექსტრავაგანტულობის მიზეზი... მე პირადად ვფიქრობ, რომ ეკლესიებს მიუდგომელ ადგილებში აშენებდნენ იმიტომ, რათა თავიდან აიცილონ მისი მორთვა და მოვლა...“

ეკლესიების შემალღებულ ადგილებში აშენება, შეიძლება სპარსებზე დაკვირვებიდან გამომდინარეობდეს, რომლებზეც ჰეროდოტე (I, 131) წერს: „მათ წესად აქვთ ზევსისათვის მსხვერპლის შეწირვა და ამ დროს უმალღეს მთაზედ ადიან, ზევსს კი უწოდებენ ცის მთელ კაბადონს“. ზევსი კი

<sup>1</sup> ისტორიული სოფელი შოტლანდიაში.

იქნებოდა სახელი ყველაფერი ზეციერისა მათთვის“. ეს იმაზეც უნდა მიუთითებდეს, რომ ეს კლდის პირები ძველ დროში მსხვერპლშენიერვის ადგილები იყო.

ამ დიდი მონასტრის გვერდით ერთი პატარა მონასტერიცაა, მოგრძო ფორმის, გუმბათით, გადმოცემის თანახმად, მთავარ გუარამ I-მა ააშენა, ახ. წ. 545-586 წლებში. აფსიდებიან პატარა ოთახში შეგვიყვანეს, სადაც იდგა ქვის ტახტი, რომელიც, ჩვენი ინფორმატორის თანახმად, ანტიკური მეფეების საბრძანებელი გახლდათ. როგორც იქნა, თამართან ერთად მოვხვდი ოთახში! დიდი მონინებით ვიდექი დრო-ჟამისაგან ღირსება შესხმული ქვების წინ, სადაც, ერთ დროს, სავარაუდოდ, მეფე ქალიც იჯდა თავისი თვალისმომჭრელი მშვენიერებით. ქართველი მმართველები მცხეთიდან წამოვიდნენ მეექვსე საუკუნეში, ანუ მანამდე, სანამ ეს მონასტერი აშენებოდა და ნაკლებსავარაუდოდ უნდა იყოს, რომ ტიფლისიდან აქ, ამ ქვის ტახტში ჩასაბრძანებლად ვინმე ჩამოსულიყო.

ნაგებობის დასავლეთ ფრთაში, ზუსტად არაგვი ჩამდგარ კლდისპირზე, შავი საკანია, თითქმის მთლიანად ამოქოლილი, სადაც, როგორც ამბობენ, რამდენიმე წელი ცხოვრობდა წმინდა განდეგილი. სიკვდილამადე, ყოველდღე, მასთან მიჰქონდათ საკვები. შემდეგ საკანი მთლიანად ამოქოლეს და ამბობენ, რომ მისი წმინდა ძვლები ისევ იქაა. ძველ ხალხებში შესანიშნავი ისაა, რომ მათი წმინდანობის ხარისხი მით უფრო მაღალი იყო, თავიანთი ცხოვრების მანძილზე რაც უფრო მეტად უძრავნი და უსარგებლონი იყვნენ კაცობრიობისთვის. შუა საუკუნეების ქრისტიანობა ამით ბევრად ჩამოჰგავს ინდუიზმს, სადაც ასევე მიღებულია განცალკევებითა და განმარტოებით ცხოვრების პატივისცემა. სავარაუდოდ, მედიტაციური ცხოვრების წესივით იყო, მაგრამ განდეგილი რაც უფრო მეტად ჩამოშორდებოდა თავისიანებს, და რაც ნაკლებ სარგებელს იძლეოდა თავისი ამგვარი ყოფით, მით უფრო მეტი წმინდანი იყო; ამ ყველაფრის კულმინაცია კი საკნის ამოქოლვა გახლდათ. რატომ? რათა არავის დახმარებოდა და მხოლოდ საკუთარ თავზე ეზრუნა, რომ მარადიულობას შეხიზნებოდა. ესაა ცხოვრების უჩვეულოდ ღარიბი და ეგოცენტრული მიზანი.

მონასტერიდან რომ გამოვედით, კლდის პირას დავდექი, თვალწინ გადამეშალა საოცარი ხედი: ქვემოთ მტკვარი და არაგვი მოჩანდა, მცხეთას რომ უვლიდნენ გვერდს, ქალაქის შუაგულში კი, ერთ გოჯა მიწაზე, მიწის ენაზე, საკათედრო ტაძარი იდგა, გარშემო კი ორივე მდინარის ველები ჰქონდათ შემორტყმული; შორეთში კავკასიონის თეთრმწვერვალოვანი ლურჯი მთები მოჩანდა. ამ გადაკვეთაზე, ჩვენმა მეგობარმა ჟურნალისტმა ჩემკენ გამოიწია, გენიალური და საოცრად კეთილგანწყობილი აზრი დაებადა თავში, კალამი და ფურცელი მომანოდა, მთხოვა დამეწერა ჩემი შთაბეჭდილებები და სწორედ ამ ისტორიული ალაგიდან მემცნო ქართველებისთვის. მალევე მიხვდა, მერჩივნა, არ მესარგებლა ამ შესაძლებლობით და ახლა არ დამეწყო წერა ქართველებისთვის გასაზიარებელ ჩემს შთაბეჭდილებებზე.

ჯვრის მონასტრიდან რომ ჩამოვედით, მცხეთისაკენ გავწიეთ. ანტიკური დედაქალაქი სოფლად გადაქცეულიყო, სადაც საცოდავი ქოხმახები ერთმანეთზე მიჯრით იყო მიწყობილი. არც ხეები, არც ხეხილის ბალები და არაფერი მწვანე არ იდგა უფერული სახლების გამოსაცოცხლებლად. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ისტორიულ მიწაზე ვიდექით – მიწაზე, რომელიც წარმართული და ცეცხლთაყვანისმცემლობის დღიდან წმინდაა ქართველებისთვის. ესაა უხსოვარი გული ამ ქვეყნისა, და არც ერთი სხვა რეგიონი არ ატარებს იმდენ მოგონებებს ადრეულ ისტორიაზე, რამდენსაც მცხეთა, ეს ის ადგილია, სადაც ერთმანეთს ხვდება მტკვრისა და არაგვის ველები, მათთან ერთად გზები: სამხრეთ-აღმოსავლეთიდან, კასპიის ზღვისა და სპარსეთიდან წამოსული, ჩრდილოეთიდან, კავკასიონისა და საგურამოს ველების გამოვლით, თუ კოლხეთიდან და იმერეთიდან, ბუნებრივია, რომ ძალიან შორეულ წარსულში მცხეთა ალებ-მიცემობის მნიშვნელოვანი გზაჯვარედინიც იყო და კულტურის ცენტრიც კი. უამრავი გამოქვაბულია ამ მიდამოებში, რომლებშიც ერთ დროს ხალხი

ცხოვრობდა და რომლებმაც, მოგვიანებით, რელიგიური მნიშვნელობა შეიძინეს. აქ, ათასწლეულე-ბის წინათ, წმინდა მთებსა და ჭალებში, წარმართული სალოცავები იყო. აქ იყვნენ დაბრძანებულნი საქართველოს ანტიკური მეფეები. პირველად აქ იქადაგეს ქრისტიანობა და სწორედ აქ აიგო ერო-ვნული ქრისტიანული ტაძარიც – მცხეთის საკათედრო ტაძარი და ასწლეულების განმავლობაში, სწორედ აქ ცხოვრობდა საქართველოს კათალიკოსი.

შესანიშნავი საკათედრო ტაძარი კვლავაც კომპივიტაა აჭრილი ცაში და ზემოდან დაჰყურებს მიმოფანტულ სახლებს. შევჩერდით ჭიშკართან, თავისი გრანდიოზულობით სასახლის კარიბჭეს რომ ჩამოჰგავდა. ტაძარი გარშემორტყმულია ამბრაზურებიანი გალავნით, რომელიც მრგვალი და კვადრატული ბასტიონებითაა გამაგრებული. იგი მნახველს მოგაგონებდა შუა საუკუნეებში მცხო-ვრები რაინდის მყარად ფორტიფიცირებულ ციხესიმაგრეს. ასეთი თავდაცვა ძალზედ საჭირო იყო. როგორც უკვე აღვნიშნე, ეს ქვეყანა საუკუნეების განმავლობაში იგერიებდა მტრების განუწყვე-ტლივ შემოსევებს. და ეს კედელიც ნათელი დასტურია ამ ხალხის მძიმე ისტორიული წარსულისა. ქვეყნის მშვიდი, ინტელექტუალური ცხოვრება მყარი ფორტიფიკაციებით უნდა ყოფილიყო გამა-გრებული; და სად, თუ არა აქ, მშვიდობის მშენებლებიც კი ქამარ-ხანჯალში ჩამჯდარი აგებდნენ ტაძარს, ხოლო ომიანობის დროს ამ გალავანს ქალაქის მაცხოვრებლებიც აფარებდნენ თავს.

ზარი დავრეკეთ და ჭიშკარიც გაიღო. ფართო სკვერში შევაბიჯეთ, რომლის შუაგულიდანაც ტა-ძარი იყო ამომართულ, თავისი თალებით, ნვეტურებით და კომპივიტით მაღალი გუმბათით. ჩვენგან მარცხნივ გალავანს ეპისკოპოსის სახლი ეკვროდა. თავად ეპისკოპოსმა დარბაისლური ნაბიჯით გამოსწია ჩვენსკენ. მაღალი, ტანადი კაცი იყო, მეტრო ოთხმოცზე მეტის იქნებოდა, ჩვეულებრივი სიმპათიური ნაკვთები ჰქონდა და გრძელი, ნახშირივით შავი და პრიალა წვერი. შავი ანაფორა ფე-ხებამდე სწვდებოდა, თვზე მაღალი შავი მიტრა ეხურა. თან ახლდა ბერი, რომელსაც საბურველი ჰქონდა თავზე შემოხვეული და ეკლესიის კიდევ ერთი წარმომადგენელი, გულითადად მოგვესალ-ნენ და ტაძრში შეგვიძღვნენ.

ტაძარი მოკრძალებული ქართული, წრიული სტილით, მაღალი გუმბათით, მასიური საყრდენე-ბითა და სქელი კედლებით, დიდებულ და მკაცრ, ღირსეულ შთაბეჭდილებას ტოვებს. პატარა ეკ-ლესია, რომელიც ტაძრის შუაგულში დგას, როგორც ეპისკოპოსმა გვითხრა, დაახლოებით მეხუთე საუკუნეში იყო აშენებული. სწორედ მის ადგილას, მის ფუძეზე აუშენებთ ეს ტაძარი და მასში იმ ებრაელი კაცის ნაწილებიცაა დაცული, რომელიც ქრისტეს ჯვარცმას შეესწრო. სხვა ვერსიის მიხედვით, მომცრო ეკლესია ქრისტეს კვართის საფლავზეა აშენებული, რომელიც ზემოხსენებულ ებრაელს წამოუღია გოლგოთიდან, თუმცა ზოგიც ვარაუდობს, რომ საქართველოში მაცხოვრის კვართი წმინდა ნინოს უნდა ჩამოეტანა.

მონასტერზე არაერთხელ მიუტანიათ იერიში აქაურობის დაუძინებელ მტრებს, მისი ბედიც სა-ქართველოს ისტორიას ირეკლავს. 1318<sup>1</sup> წელს მინისძვრამ დაანგრია. მეფე გიორგი VI-ხელახლა ააშენა, მაგრამ იგი მონღოლებს ემსხვერპლა. მეფე ალექსანდრემ მის ნანგრევებზე ისევ აღმართა ტაძარი, მაგრამ ლეკიანობის პერიოდს მაინც ვერ გაუძლო და დაინგრა, ასე რომ კიდევ ერთხელ უნდა აღდგენილიყო.

საქართველოს არა ერთი მეფეა ამ მონასტერში დაკრძალული, მათ სამარხებს კი ბრტყელი სა-ფლავის ქვები ადევს, მაგრამ ეს ანტიკური სამარხებიც ნახევრად განადგურდა გამუდმებული თავ-ვდასხმებისა და ძარცვისაგან. მეფე, რომელმაც ეს ტაძარი ააშენა, მის შუაგულში, იატაკში იყო დასვენებული, მისი საფლავის ქვაც ვნახეთ, თუმცა ზედ სახელი არ ჰქონდა წაწერილი იმის შიშით, რომ სპარსელებს ან თურქებს მორიგი თავდასხმისას, ვერ ამოეცნოთ აქ დასვენებული ადამიანი და

<sup>1</sup> ავტორის შეცდომა, მინისძვრა იყო 1283 წელს.

არ შეელახათ მისი საფლავი. ერთ-ერთი ბოლო მეფე, ჰერაკლიუს II<sup>1</sup> საკურთხევიდან მარჯვნივაა დასვენებული. როგორც გვითხრეს, ის 89 წლის ასაკში გარდაიცვალა 1798 წელს, ცხოვრებაში კი სამოცამდე სხვადასხვა ომი ჰქონია გადატანილი. სწორედ ამ მეფეს გულისხმობდა პრუსიის მეფე ფრედერიკ დიდი, როცა თავის მეომრებს უთხრა, რომ ქართველებივით მამაცი მეზღოლები უნდა იყოს. ამას რომ გვიყვებოდა, ეპისკოპოსს სიამაყით უბრწყინავდა თვალები. მეფე ჰერაკლიუსის გვერდით დასვენებულია მისი ქალიშვილი თეკლა, რომელიც გასული საუკუნის პირველ ნახევარში გარდაიცვალა. საკურთხევის მარცხნივ უკანასკნელი მეფე, გიორგი XIII, რომელმაც სიკვდილის წინ, თავისი სამეფო რუსეთის მეფეს გადასცა, რათა სპარსელებისგან ეხსნა.

მცხეთის ტაძრებს ერთი საინტერესო მახასიათებელი აქვთ, სხვადასხვა ფერის ქვებს იყენებენ ორნამენტული თანმიმდევრობისთვის, რაც ასე დამახასიათებელია სომხური ეკლესიებისთვის და რაც მოგვიანებით იტალიაშიც გავრცელდა, განსაკუთრებით გენუასა და ფლორენციაში. როგორც კარლ ლემან-ჰაუპტმა<sup>2</sup> და ბელჩმა<sup>3</sup> აღნიშნეს, ასეთი ფორმის დეკორაცია უფრო ადრეულ ხანაშიც გამოიყენებოდა ძველ ქალდეურ ნაგებობებში, ვანის ტბის რეგიონში, სანამ იქ სომხები დასახლდებოდნენ.

მცხეთის ჩრდილოეთით სამთავროს საკმაოდ დიდი ტაძარია. გადმოცემის თანახმად, აქ არიან დაკრძალული ქართველთა მეფე მირიანი და მისი დედოფალი. ტაძრის ეზოში, დასავლეთით, ძველი სამლოცველოა, აქ საქართველოში ქრისტიანობის შემომტან წმინდა ნინოს ჰქონდა თავისი სენაკი. ანტიკური სამეფო სასახლეებისა და სხვა ნაგებობის კვალი არსად ჩანს, გარდა იმ ნანგრევებისა, რომელიც ღრმადაა მიწაში ჩაფლული. ის პატარა დასახლება, როგორც დღესდღეობით არის მცხეთა, არაფრით არ მიახლოებს მნახველებს, რომ ოდესღაც აქ წვეულებებს მართავდნენ ანტიკური ხანის რაინდები. ახლაც კი ქართველი გლეხები ყოველ ოქტომბერს ქვეყნის ყველა კუთხიდან ამ ქალაქში იკრიბებიან თავიანთი ეროვნული ეკლესიის დღესასწაულის აღსანიშნავად, და როგორც ამბობენ, ეს საკმაოდ საინტერესო და თავშესაქცევი სანახაობაა ხოლმე.

მთარგმნელი **მირიან რჩაულიშვილი**

<sup>1</sup> იგულისხმება ერეკლე II.

<sup>2</sup> ლემან-ჰაუპტი – ცნობილი ორიენტალისტი (1861-1938).

<sup>3</sup> პიტერ ბელჩი – მოგზაური, დასავლეთ ავსტრალიის აღმომჩენელი (1796-1890).



## ბაბია ფაღავე

### ექსპედიციის ღლიურები<sup>1</sup>

ბალხში დამლაპარაკე ვერ ვნახეთ. ბალხბარში ნავედით, იქნებ იქ გადავეყაროთ ვინმეს.

ბალხბარში რომ ჩავედით, შუადღის ლოცვის დრო იყო. ხოჯამ ეზანით მოუხმო მლოცველებს. არავინ გამოჩენილა იმამის ძახილზე. მოვიარეთ დასახლება, არავინ ჩანს, ჯამეში ერზრუმელი ხოჯაა მხოლოდ.

ბალხბარიდან წითლე[ვ]კარში წავედით. გზად საპიკნიკეზე გავჩერდით. ზემოდან დავყურებთ სოფელს. თხუთმეტიოდე ქოხი დავთვაღე წითლეკარში და ჯამე, სოფლის განაპირას. დასახლების გარეთ ჩანს კარგად მოვლილი ყანა-ჭალები.

წითლეკარში უმეტესად ძველი ქოხებია, ახალია ჯამე, ერთი სახლი და კოშკი, – გზისპირას აშენებული. და კიდევ, სოფელს ზემოდან ეკვრის ტყე, უმეტესად – წიწვოვანი.

ჩვენს გაღმა ჩანს **ხუცეკარი, ყარამანლიანი** და **აბაზლიანნი**, სულ მაღლა **ონახეთკარია**, იქვე **ფევზიანნი** და **დიდი ბალხი**.

ვისადილეთ. დაბლა ჩავედით სოფელში და ზულფიქარ თურგუთის (დელიოლლი, **დელიანთის//დელიენთი?**) კარს მივადექით. წითლე-

კარში გასულ წელსაც ვიყავით, მასალებიც კარგად ჩავინერეთ, ვნახოთ, როგორ ჩაივლის დღევანდელი სტუმრობა.

ეზოში დავსხედით. ქალბატონმა ჩაი შემოგვთავაზა:

– **სამაარი მევტანო, ჩაი გასვათ!** – გვითხრა, ხილი და ტკბილეული მოგვართვა, მოგვიბოდიშა, ათ და ხუთ დღე შეექნა, მოვედით, – ქალაქიდანო. უარი ვუთხარით ჩაიზე, მაინც გაგვიმეორა:

– **ჩაი მევტანო, არ ჯერავხართ?**

– ნუ შენუხდებით, ჩვენთან დაბრძანდით, ვიხვართოთო, – ვთხოვეთ ქალბატონს.

– დაბლა ცალკე ქოხი დგას, რა უბანია?

– **ლიტრეკია, ერთი ქოხია!**

– **ონახეთკარში რამდენი სახლია?**

– **ორი ქოხი დარჩა, გათავდა, დეღლია.**

– **წითლეკარში რამდენი ქოხია?**

– **ახლა ხუთი ხანე დარჩა, სხვა ბურსას წევდა, ზამან-ზამან ზღაფხულში მოვლენ, აღარ მოდიან.**

– **აბაზლიანში ქოხი არ არის?**

– **აბაზლიანში ქოხები არ არი, ყარამანლიანში ერთი ქოხია, ფევზიანშიც – ერთი.**

– **დაცლილა სოფლები, – ჩავილაპარაკე მე.**

<sup>1</sup> დასასრული. დასაწყისი იხ. ჟურნალი „ჭოროხი“, №4, 5, 2019 წ.

– დეცალა, აქ კაცსა ფუში არ გუჟდება, ნევდა, ბურსას ნევდა, ადაფაზარ ნევდა, იქ დასახლდა, – განმარტა ზულფიქარმა.

ქართული სოფლის დაცლის გამო ვწუხვარ, თუმცა მესმის ნითლევეკარელთა, ლიტრეველთა, ონახეთკარელთა, აბაზლიანთა, ყარამანლიანთა... გაჭირვებამ მიატოვებინათ წინაპართა სოფლები და ახალი საცხოვრისის ძებნაში მშობლიური კუთხიდან შორს წავიდნენ, იმდენად შორს, რომ მოცალეობის ჟამსაც ვერ ახერხებენ სოფლის მონახულებას. იოლია, სხვას მოუწოდო, ნუ დატოვებო წინაპართა ქოხებს, მაგრამ, აბა თავი წარმოვიდგინოთ მათ ადგილას, რამდენი შევძლებდით დავრჩენილიყავით სოფელში და ყოველდღიური ჭაპანწყვეტით გვეცხოვრა? კარგია წინაპართა ქოხი, მაგრამ იქ თუ შიმშილი და სიცივე ბატონობს, მაშინ რა ქნას მისმა პატრონმა? ხომ უნდა ეძებოს გამოსავალი, რომ თავი დააღწიოს გაჭირვებულ ყოფას?

სიტყვა გამექცა. ნუ იფიქრებს მკითხველი, რომ ვამართლებდე ამ მხარეში სოფლების დაცლასა და გაპარტახებას, ძველი ქოხების ჩამხლევა, სოფლების – ნასოფლარად ქცევას, გადარჩენილი ქართველების დაჩქარებულ ასიმილაციას... მაგრამ მსურს, გავუგო ტაოელებს, მესმოდეს მათი.

– უნინ სოფელში ძროხა, პურტყი გყავდათ, ალბათ დაიღებზეც დაგყავდათ მალეები!

– **აილა გვექონდა, ქედისყანა, დეანგრა!**

– როგორ თქვით, რა ქვია აილას?

– **ქედისყანა//ქედიჰყანა!**

სწორად ჩამინერია-მეთქი, – გადავულაპარაკე მაიას.

– სხვა ადგილის სახელებიც გვითხარით, – ვთხოვთ მასპინძლებს.

– **ნაფარაჯევი** (<ნაფარასჯევი//ნაფარასჯე. შდრ. ნაფარეული).

**ყვერეთი** – ადგილი, სადაც ქვაა, ყვერეა<ყო-რეა.

**კილდიათი,**

**ფა აგარა** – ზემო აგარა, – განმარტა ინფორმატორმა. **ფა** (<ფავი//ფაჲ **ზვავის** მნიშვნელობით იხმარება ტაოურში).

– ნითლევეკარში რა სოიადები ცხოვრობენ?

– **ჭარაბიანნი** (ჭარბა – ადამიანის სახელი ჩანს, გინდაც მეტსახელი. შდრ. გვარი – ჭარბა-ძე<ჭარაბაძე),

**მანასიანნი,**

**უსტიანები,**

**ყავაზიანნი** (ყავაზი ადამიანის საკუთარი სახელი ან მეტსახელი ჩანს. კლარჯეთში შეგვხვდა ლალაბი – ყავაზოლლი, იგივე ოსმალური „გვარი“ დასტურდება აჭარაშიც).

არაა დიდი სოფელი ნითლევეკარი; შესაბამისად, არც მეტსახელი გვარებია ბევრი.

– კიდევ გითხრათ ღერისიმღერები, – შემოგვთავაზა ქალბატონმა.

– ბრძანეთ!

– **\*სატალახე,**

**სატალახე წვერი,**

**ვანეთი,**

**\*\* ჩაკიდული,**

**\*\*\* ბანნალი** (ბლებიან ბევრი, შენიშნა ინფორმატორმა).

**\*\*\*\* ტუბათი,**

**ხუხულას წვერი,**

**ნაყანევი,**

**ანკლანი,**

**ადაჯე//ყვერეთი ჯეჲ.**

ყურადღება მიიქცია ტოპონიმმა **ანკლანი**, უცნაური ფუძეა, ჯერ-ჯერობით ვერაფერს დავუკავშირეთ. შესაძლებელია, **ანკლანი<ანკლავი**’საგან. ჩემთვის წარმოუდგენელია ადგილის სახელდებისას ტაოში **ანკლავი** სცოდნოდათ.

**ადაჯე** – თურქულ-ქართული ფუძეებით ნაწარმოები კომპოზიცია: თ. **ada** – კუნძული+ქართ. ჯეჲ<ჯევი. მნიშვნელოვანია, რომ ტაოში **ჯევი** ისმის, როგორც **ჯეჲ**.

**V-V** პოზიციაში **ვ’ს** დაკარგვა ტაოური კილოს ერთ-ერთი მახასიათებელია.

რამდენიმე გეოგრაფიულ სახელს მივაქცევ ყურადღებას:

**\*სატალახე** – გამჭვირვალე ფუძეა, აღნიშნავს ადგილს, სადაც ტალახს იღებდნენ. ტალახი ამ კუთხეში სააღმშენებლო მასალად გამოიყუ-

ნებოდა, დუღაბის მაგივრობას ენეოდა ქვითხურობაში, ტალახით „აშენებდნენ“ კეცებსაც.

**\*\*ჩაკიდული** – დღეს ტაოში ძნელად თუ მოიძებნება ქართულის მცოდნე, **ჩაკიდულის** მნიშვნელობა რომ იცოდეს. ტოპონიმმა შეინახა ის, რაც ტაოურმა „დაივიწყა“. ჩაკიდულ ადგილს დღევანდელი ტაოელი (აჭარელიც) **გობელს** უწოდებს, ჩაღრმავებულის გაგებით.

**\*\*\*ბანნალი<ბალნარი. ლნ>ნ** ასიმილაციით.

**\*\*\*\*ტუბათი** – ჩემი ყურადღება მიიპყრო ფორმამ **ტუბათი**, შდრ. ტბეთი.

შემდეგ რამდენიმე წყაროს სახელი ჩავინერე:

**გორამეთი წყალი,**

**წყარო თვალი,**

**წყარო ჯევი,**

**ჩიფთე წყალი** – სხვა რასმე არ ვეტყვი, განმარტა ინფორმატორმა. **ჩიფთი** წყვილს, ორს ნიშნავს, კენტის (თექის) ომონიმა. შავშეთში, გურნათელთან ახლოს დავადასტურეთ **ორთვალი** წყაროს სახელად.

**ყანითაწყალი.**

ყურადღებას მივაქცევ კიდევ ერთ ფაქტს: ტაოელები ერთმანეთს ეხუმრებიან, სახელმეტას უგონებენ და გამოაჯავრებენ:

ელიასხევი, გუდასხევი – **დათვები.**

ხევაელები – **ყვაები** (<ყვავები), ხევაელი – **იპრის.**

პარხალი – **ცხვარი.**

ნითლეკარი – **ვირი**, ინათიანი ვართ და იმიტომ.

ქობაჲ – **ურუმი.**

**ურუმი** ბერძენია აქაურთა გაგებით. ურუმი რატომ იქცა გამოსაჯავრებელ სიტყვად, ძნელი სათქმელია. ერთი კია, ხევეკში, როგორც ვთქვით, გვითხრეს, ქობაელი ღამეს გაგათევიწებს, ნიჩბის ტარს მოგპარავსო.

და ბოლოს, შემოდგომის დღესასწაულის ერთი ეპიზოდი ჩავინერეთ ნითლეკარში, ტრან-

სფორმირებული და სახემეცვლილი, მაგრამ მაინც – საინტერესო:

**ქალოცას<sup>2</sup> ყურძენ კრეფვენ, ჰინძანი<sup>3</sup> ჯეზმეებით<sup>4</sup> კარგათ ტყლეჯვენ<sup>5</sup>, ყურძენი ვავსეთ შიგან, ვადულებთ თეშით, ყაზანით, ბექმეზი იჯვენება<sup>6</sup>, ტკბილი იჯვენება.**

**პირტყევი ვჰკლავთა, ქებაზი ვაბრუნებთ, ვიფერხულებთ, შელლიგები ვიჯოლებთ<sup>7</sup>.**

ნითლეკარის შემდეგ პარხალში წავედით. საღამოს ხუთ საათზე ტაძრის ეზოში ვიყავით. ჩვენთვის უღრესად სანატრელი ამბავი გვამცნო პარხლის რესტავრაციაზე დასაქმებულმა ქართველმა ქვითხურომ, ირაკლი გაბესკირიამ, პარხლის შემდეგ ოთხთას რესტავრაცია იწყებაო. გვახარებს გაგონილი, ოთხთა გადარჩება, ახალ სიცოცხლეს შეიძენს, ახალი სიცოცხლით მომავალ საუკუნეებს შეებრძოლება, ამ მიწას კვლავაც დაამშვენებს და მკვეთრად აღბეჭდავს ქართველი კაცის ნაკვალევს ჭოროხის ხეობაში. ეს ბევრისმთქმელი ფაქტია ჩვენს ეპოქაში, განსაკუთრებით კუთხეში, სადაც საუკუნეებია მიმდინარეობს კულტურათა დიალოგი, მკაცრი და დაუნდობელი; სადაც საუკუნეებია ქართველს პირველობას სხვები ეცილებიან, სადაც ადგილობრივ მკვიდრს ასწავლიან, რომ მათი წინაპრები ყივჩაღები იყვნენ, სადაც აბორიგენი მოსახლეობის მცირე ნაწილმა იცის, რომ ის აქაურია, ადგილობრივი გურჯი, რომ ეს დიდებული ტაძრები და ბებერი ციხეები ქართველთა ნაშენია, უმეტესად – თამარ დედოფლისა... ახლა მთავარია, რესტავრატორებმა აღუდგინონ ტაძარს ძველი სახე...

პარხლის რესტავრაცია სრულდება. განახლებული ტაძრის ხილვა დღეს ვერ შევძელით, გარედან შევაველეთ თვალი მხოლოდ.

გახარებულები წამოვედით პარხლიდან. თუ გავითვალისწინებთ, რომ მალე დასრულდება

<sup>2</sup> ქალოცა – ოქტომბერი.

<sup>3</sup> ჰინძანი – სანახელი.

<sup>4</sup> ჯეზმე – თ. cezve, ყავის მოსადუღებელი ჭურჭელი.

<sup>5</sup> ტყლეჯვა – აქ: დაჭყლეტა.

<sup>6</sup> იჯვენება – კეთდება (შდრ. იჯება – აკეთებს).

<sup>7</sup> ვიჯოლებთ – გავაკეთებთ(?).



პარხლის ბაზილიკის სარესტავრაციო სამუშაოები, ბევრი აღარ დარჩა ოთხთას რესტავრაციის დაწყებამდე. მთავარია, მოსამზადებელი სამუშაოები, – პროექტი, ტენდერი... დროულად დასრულდებოდა.

დაბლა ჩამოვედით, პარხლის ცენტრში. მანქანა გზის პირას დავაყენეთ, საჩაიეში შევედით, ჩაი მოვითხოვეთ. რამაზი და ნონა გზის გადამა საჩაიეში გადავიდნენ, სადაც პარხლელთა სიმრავლეა. კარგა ხანს ისაუბრეს ორ მამაკაცთან. მოგვიანებით რამაზმა მითხრა, რომ მართალია, ქართულად ვერ ლაპარაკობენ, მაგრამ იციან **სუფრა, ჭამე, დათვი, ტოტოლი** (დათვის ტოტი), **ელა-მელა** (ბალის სახეობაა. შდრ. აჭ. ალა-მელექი)... იცი, არცთუ დიდი დრო უნდა იყოს გასული, რაც პარხალში ქართული დაივიწყეს, სხვაგვარად ვერ აიხსნება ქართული სიტყვების სიმრავლე პარხლელთა თურქულში.

– გეთანხმები, მეც ასე ვფიქრობ, – ვუთხარი რამაზს, – სხვადასხვა ცნობით, მეოცე საუკუნის დასაწყისში პარხალში ქართული ისმოდა. აქაურთა მეხსიერებამ შეინახა ფრაგმენტული ხსოვნა წინაპართა ენისა: ქართული სიტყვები აქაურთა თურქულში, ქართული ტოპონიმია, ქართული ყოფის ელემენტები... ამის დასტურია.

საჩაიეს მეპატრონემ გვითხრა, დაბლა ძველი ნისქვილია, ნახეთ, დაგაინტერესებთო, თან ახალგაზრდა გაგვაყოლა, აჩვენეო.

ნისქვილი იქვეა, საჩაიედან 150 მეტრში, დუქნების უკან.

დაკეტილი დავგვხვდა ნისქვილი. მეგზურმა დაუძახა ნისქვილის მცველს, სტუმრები არიანო, ნისქვილის ნახვა სურთო. მალე ჩვენთან მოვიდა თეთრწვეროსანი, სამოცდაათს გადაცილებული მამაკაცი, კარი გაგვიღო და შენობაში შეგვიძღვა.

ნაგებობა არ ჰგავს ჩვეულებრივ ნისქვილს, იგი წყლის საცეხველია: ვებერთელა რკინისძირიან ხის გობში დევს დოლაბი, საკმაოდ დიდი და მძიმე. გობი შუაში გახვრეტილია, ხვრელში ბოძია, რომელიც დაბლა ბოლოვდება ბორბლით, ისეთივე ბორბლით, წყლის ნისქვილებს

რომ აქვთ. ბოძზე ზემოთ დამაგრებულია სწორედ დოლაბი, ნისქვილის ქვის მსგავსი.

გობში ყრიან გასაცეხვ მარცვლეულს, – ბრინჯს, ხორბალს, ქერს... ან ხილს: ზეთისხილს – ზეთის გამოსახდელად, მსხალს, ვაშლს, ყურძენს, თუთას – ბაქმაზისათვის წვენის გამოსაწურად. წყლის ძალით ტრიალებს გობში ქვა და ამტვრევს მარცვალსა თუ ხილს... საყურადღებო ნაგებობაა, ვუნოდოთ მას მექანიკური საცეხველი. ცეხვის მეტად დამლელი და რთული პროცესისათვის გამოყენებულია წყლის ძალა.

– რამდენი წლისაა ეს ნისქვილი? – შევეკითხე მოხუცს.

– ხუთასი წლისააო, მიპასუხა.

არ ვიცი, რამდენად ზუსტი პასუხი გვითხრა პარხლელმა მოხუცმა, ერთი კია, ნაგებობა ძველია, ძალიან ძველი.

შემდეგ ნისქვილის რამდენიმე ნაწილის სახელი გვითხრა მეგზურმა:

**თაბანთაში** – გობი, სადაც მარცვლეული თუ ხილი იყრება.

**კონდი** – ზემოდან გადებული ხე.

**ოხი** – ბოძი, რომელზეც დამაგრებულია ბორბალი.

**ჩარხი** – ბორბალი.

როგორც ვხედავთ, ნისქვილის ნაწილების სახელები არაა ქართული, თუმცა **კონდი** და **ოხი** ეჭვს ბადებს.

ახსანამაზის შემდეგ სასტუმროში თავი მოიყარეს ახლო სოფლის მცხოვრებლებმა: მოვიდნენ ჩვენთან შესახვედრად და სალაპარაკოდ. „მასისის“ ჰოლი ჩვენს სამუშაო პოლიგონად გადაიქცა:

ნუგზარი ქვაბაჟს დასახლების სტრუქტურას არკვევს ქვაბაელებთან.

ქალბატონი თინა რამდენიმე ტაოელს შორის დამჯდარა და ცდილობს, რამე ათქმევინოს.

რამაზი იღებს ყველაფერს...

მალხაზი ფანჯარასთან განმარტოებით ესაუბრება ზემო სოფლელებს.

მე იქ მივედი, სადაც ქალბატონი თინა თქმულებას აყოლებდა რეჟებ ქეჩეჯის. ვიტყვი, რომ

იშვიათად თუ მოისმენ დღეს ტაოში და ზოგადად ქორთხის ქვეყნებში, ვრცელ ამბავს. ვფიქრობ, საინტერესო და გამონაკლის შემთხვევასთან გვაქვს საქმე. მოვიყვან რეჟების მონათხრობს სრულად:

\* \* \*

**ფერი ქალის ამბავი**

ყოფილა, არ ყოფილა, ამ სოფელში ერთი უჭკვო მეცხვარე ყოფილა, ჩამოვლილი (ჭკვიდან აკლია – ინფორმატორის განმარტება). ის პირტყევებს აძუებს. ერთხელ დილაზე ლომბიტბას გავა [ჩობანი], გათენებული არ არი. გათენდა, არ გათენდა, ტბაზე შუხედნია კი, რა დეანახავს – წყალიდან ამოვარდნილა [ქალი – ავტ.], კილდეზე დამყდარა, ტარალით თმას ინყობს. უჩუმრა მიეპრება, მიეპრება, სავარცხელსა დასტაცავს. ის გოგო, ფერის გოგო, ეხვენება, მომეო. არ მიცემს. პირტყევებს უკან სოფლისკე წომოვა. ფერი უკნედამ მოჰყვება. სოფელში ჩომოვინენ. მეცხვარე ტარალსა სახლის ყვერეში დამალავს. ერთი კვირე გეარს, ორი კვირე გეარს, ფერი უკნისკე არ წავა. მეცხვარე იმა ითხოვს, დაქორწილდება. იმ მეცხვარესა იმ ფერიდან ერთი ბიჭი, ერთი ბგანო მეწნრება. ათი წელწადი გეარს, ი ფერი არ ხვარათობს. ერთ დღესა ერთი ბებერი მომკტარა, მეცხვარის ანაჲ. მოკრებილან კაცები, მეზერში ჩასადებად მიჰყავან. ფერი უკნედამ შეჰხედავს კი, ერთი გეაციინებს. მისი კაცი ეტყვის კი, რა იქნა, ათი წელიწადია არ გიხვარათია, ახლა რატომ გეაციინე?

ფერ უთქვია ქი: ამ ბებერსა ეალუგი არ უქნიავო, ერთი ძველი წინდა მიდევსო [იმქვეყნად ავტ.]. სხვამ ვერ დეანახა, მარტო ფერი ხედავს. კაცს უთქვია კი, მეცხვარესა, დემეხვარათეო, შენ ვინ ხარაო? შენი სახელი რა არიო?

ათი წელიწადი გესულა, სახელი არ იცის!

– ჩემი სახელი ფერიაო, – თქვა ქალმა. ჩემი ტარალი მომე, ჩემს უკან წომოდი, გოლზე გევენეთ, მე წყალში'ნა შევდეო, ჩუმი თუ არ გომომცეს, უკნისკე გომოვალ, წამოგყვები, სისხლი თუ გომოვდა, მიხდი კი, დამკლეს.

– ჰოვო, – უთქვია კაცსა.

ტარალი მიცა, თმის დასაწყობელი.

ქალი წყალში შესულა. კაცს მუცდია, სისხლი წომოსულა. კაცს უტირია, უტირია, იქოს დამჩალა.

სოფელში კაცი არ ჩუმოვდა, უთქვიან კი, კაცი დეეკარქა, საძებნელათ წევნეთო...

გასულან ტბაზე, მეცხვარე იქ დაბნედილი მდგარა, ტბა სისხლი მოგდებული დგასა.

ეკიდებენ მეცხვარეს, ჩამეყვანებენ სოფელში. თვალეები აღარ გუხედავს, დაქორდა ტირილ-ტირილში.

იმი ბგანო გაზდილა, ყველას უნდა ითხვოს. კარზე არ გომოსულა, მისი თაჲ მას ჩუმუკიდია. კაცი მომკტარა მასკვან. დამჩალა ბიჭი, მას ქალი მუყვანია, შვილები მეწნრა. ისე შექნილა ფერიანნი.

იტყვიან ქი, იმ ტბაზე კი გახვალ, შიგ ქვა არ ჩაადგოვო, წითელი წყალი წომოვა... ახლაც ისეა, [ქვას თუ ჩაადგებ ტბაში – ავტ.], ნახვარი საათი არ გეარს, ხოშკაკალი დეგეცემა.

\* \* \*

ეს მშვენიერი ლეგენდა რეჟებ ქეჩეჯიმ მოგვითხრო, ორმოცდათხუთმეტი წლის ბასლეკარელმა, თან განმარტა, ეს ეფსაანეა, თქმულეააო.

ფერი ქალისა და ფერიანების ამბავის ეპიზოდები სხვაგანაც მოგვითხრენ, მაგრამ ბასლეკარული ვარიანტი ყველასგან განსხვავებულია, და, რაც მთავარია, სრულია.

და ერთი საინტერესო რამეც გვითხრა რეჟებმა:

– ეწინ სოფელი თაში იყო. მასკვა აქ ჩუმოსულან, ორმანი უკაფიან, ყანა უქნიან, ქოხები უშენებიან, დამსხდარან.

ორმოცდაათ წელიწად უკან ჩუმოსულან!

მნიშვნელოვანი ინფორმაციაა ტაოს ამ კუთხის სოფლების ისტორიისათვის. იგივე გვითხრა 1995 წლის ექსპედიციის დროს ელიასხველმა რეჟებ ქესკინმა: ბონმინდაზე ავედით, ააილაზე, აიშე ააზიჯის ვენვიეთ, ახალგაზრდა მემთევრეს. ააილადან ცუცეკარში ბილიკებით ჩამოვედით.

ბონმინდის ქვემოთ ტერასებია, სადაც ხეხილია გაშენებული, აქ უთესიათ თურმე უნინ დიკა და ქერი. ძველი სოფელი აქ იყო, რეჯებმა, გზა რომ შემოიყვანეს ხევში, შემდეგ ჩაიტანეს სოფელი დაბლა... დღეს იგივე გაიმეორა რეჯებ ქეჩეჯი. ამას სხვა ფაქტებიც ამტკიცებს: მთაში სოფელი, მაგალითად, ქუაბაგი, დაბლა – საზამთრო სადგომი – ჭილათი; მაღლა ბალხი, დაბლა – ბალხიბარი...

რეჯები ლინგვისტურ „დაკვირვებებსაც“ აწარმოებს მოცალეობის ჟამს, საინტერესო მიგნებებიც აქვს, მაგალითად ასეთი:

**ბრო** თინა! – იეთში.

**გნო** თინა! – ელიასხევეში.

**ნო** თინა! – ხევეკში.

**განო** თინა – პარხალში.

ერთსა და იმავე სიტყვას, **ბგანო** – ქალი, სხვადასხვა სოფელში სხვადასხვაგვარად გამოთქვამენ: ფონეტიკური სახესხვაობები შეუნიშნავს რეჯებს.

და კიდევ ერთი დაკვირვებაც, ვფიქრობ, მნიშვნელოვანი:

**განო თინა, რა იჯე'ბი?**

**სად მი'ხვალ?**

**უზბანებენ ელიასხეველები.**

სხვაგანაც გვითქვამს, ტაოურისათვის დამახასიათებელია ტონური მახვილი, რომელიც სიტყვაში ბოლოდან მეორე მარცვალზე მოდის და მახვილის ქვეშ მყოფი ხმოვანი დაგრძელებულად გამოითქმის. სწორედ ამ „დაგრძელებულად გამოითქმას“ „მოზანებას“ ეძახის რეჯებ ქეჩეჯი.

„სამი ძმის“ ზღაპარი ვიცით, რეჯებმა, მოგიყვებით, მაგრამ გრძელი ამბავია, დილამდე ვერ დავამთავრებო.

– რეჯებ ბატონო, მოგიყვებით, ანი როდის შევხვდებით, ძალიან დაგვავალებთ-მეთქი, – ვთხოვე რესპონდენტს.

– **ახლა სახში'ნა წევნე, შენი „მაილი“ მომეცი, დავნერ და გამოგიგზავნიო**, – მითხრა რეჯებმა.

მეც დავიჯერე, სხვა რა გზა მქონდა, დავუტოვე ჩემი ელექტრონული ფოსტის მისამართი

და ველოდები უკვე ნახევარ წელზე მეტია. ვატყობ, კიდევ დიდხანს მომიწევს ლოდინი...

\* \* \*

ვიდრე მე და ქალბატონი თინა რეჯებ ქეჩეჯის ვუსმენდით, რამაზ ხალვაში ახმედ სალიანთან და ახმედ ჭედლიანთან საუბრობდა. დრო და დრო მევლუდ დოლენჯამვილიც ერთვებოდა ხომლე... ამ უაღრესად საინტერესო საუბრის დასაწყისის ჩანაწერი ვნახე, შემდეგ მეც შევეურთდი მათ კამპანიას.

– ხევაას ყვავებს რატომ ეძახით? – ეკითხება რამაზი ახმედ ჭედლიანს.

– აქ ყვავები ბევრი ყოფილა, ყვავები უთქმინ, – ღიმილით ამბობს ახმედი.

– ისე რატომ ებნეა, ისენი კუტუნაები არიან, ცხვრები, – გააპროტესტა ახმედ სალიანმა. **დეესაკარაა, იეთები იჩხუბებენ, ორთუენი ხარა-ხურაა მილეთია. ფერხულიო შენ ვერ გიქნიაო, მიქნიაო, იჩხუბებენ.**

– თქვენთან დიდი ქორნილები იცით. ქორნილში ღვინოს, რახს, ბირას... დალევენ?

– ჩვენში შარაბის შესმა სირცხვილია. უჩუმაა სმენ... დუგუნში სმიდეს და უსკმენ მერე... **ცალ-ცალკე დალევენ ფეხზე, თავი დაბრუნდება, გადელდებიან!**

– კი მაგრამ რა ადელეთ? რატომ უსკმენ ერთმანეთს? – არ ცხრება რამაზი.

– **დალია, გაბეჩდა, მე რა ვიცი, ავ, უსკმენ და!**

– ქორნილში რამდენი კაცი მოვა?

– **აქო იყო დუგუნი: მილეთი აქობაა, იქობაა მოვა. ბეშ აუზ მოვა (ხუთი ასი – ავტ.), აქ არ ეტევიან...**

– საჭმელებს მიაერთვამთ მოსულებს?

– **მიაართუმენ! ყაურმა ქნეს აქა, თაბალები არი, უსხმენ შიგან, ჭამენ და! ფილაა, ყაურმა... გააკეთებენ, მიაართუმენ.**

– აქ დუგუნში ბალხი მოვა, ქვაბელნი მოდიან, აქ მოდი'ან ფერხულში, ზღაფორიდამ მოდი'ან – საუბარში ჩაერთო მევლუდი.

– სიძე იცეკვებს, იფერხულებს ქორნილში?

– სიძე ფერხულობს, აბა! – გაკვირვებით ამბობს ახმედ სალიანი. აქაოდა, სიძე თუ არ იფერხულებს, სხვა რატომ იფერხულებსო.

– რას იცეკვებთ?

– ჩვენ ფერხული ვეცყვით: დაჯექ, ადე, დეაჭიხვინე... ხალხი დეაჭიხვინებს, – გვიხსნის მეველუდი, – ვიფერხულებთ, დევლებით, გავაგდებთ.

– ხომ გელდინიზ! – ესალმებიან ახალმოსულს ჩვენი რესპონდენტები, – ამან ბოვრი იცის, თქვენებურად ხვართობა იცის, – გვეუბნებიან ახალმოსულზე.

– მე არ ვიცი!

– რამე ამბავი მოგვიყვით აქ გაგონილი! – თხოვს რამაზი.

– ერთი კაცი კუბრეთ ყოფილა. გოგო ყოფილა, ბგანო, დააშიკები'ა. უთქმინ კი, წყალი მეყვანა, რუ, გოგონა მოქცეთო. წყალი მეყვანა, ბგანო არ მიცეს, კაცი გადაადგეს ჭევში, მუაკდუნეს. ის კანალ მუყყვანია, ქელაზორ.

– აქ ბევრი არხია, ვინ მოიყვანა?

– ერისმანის კანალი, ქელაზორის კანალიც ერმენებ მუყყვანია. აქ ყოფილან ერმენები. იქ, ქომოთ, ქორიათ ერმანი ქეშიში ყოფილა, – გვეუბნება ახმედ ჭედლიანი.

არხის გაყვანის ამბავს მთელს ტაოში მოისმენ კაცი, სხვადასხვა ამბავს ყვებიან, ვინ თამარს მიაწერს კანალის მშენებლობას, ვინ – ერმენებს. ზოგჯერ ტრაგიკულ ამბავსაც მოგვითხრობენ, როგორ გააყვანინეს არხი სომეხ ოლვილოს, დანაპირები ქალი კი არ მისცეს; მოტყუებულმა ახალგაზრდამ წყალი დააგუბა და სოფელი წალეკა. ოლვილოსაც უნია სოფლის წყევლამ, მალლა, მასისის კალთაზე გაჩვენებენ ქვას, გაქვავებული ოლვილოაო, გეტყვიან სოფელში. მთავარი ამ მოთხრობებში მაინც ისაა, რომ ხაზგასმულია წყლის მნიშვნელობა აქაური მეურნეობისათვის.

– აქ ერმენებზე ლაპარაკობს ყველა, ძველად აქ სომხები ცხოვრობდნენ?

– ზათენ აქ, პარხალი, ერმანები არიან, არმენ ხევეკში. იმხან ერმანები ბოვრი ყოფილა – ამბობს ახმედ სალიანი.

– ჩვენში არ ვილოცო, არ ვიკითხო, იტყვიან, ერმენიო, ხრისტიანიო! – თქვა ახმედ ჭედლიანმა.

– გამოდის, ერმენი ქრისტიანია? – ვამბობ მე. ქრისტიანობის სინონიმია უფრო ერმენი, ვიდრე საკუთრივ სომეხის. ამიტომაც, ერმენის სახელს შეფარებულია ბევრი ქრისტიანი ტაოელიც, – გადავულაპარაკე რამაზს. სხვაგვარად, ერმენი გარდა იმისა, რომ მიუთითებს ეროვნებაზე, აღნიშნავს ქრისტიანსაც. აქ მუსულმანის ომონიმია ერმენი. ან მუსულმანი ხარ, მლოცავ-მკითხავი, ანდაც ერმენი, ქრისტიანი. ეს საყურადღებო ფაქტია.

– ახმედ ბატონო, აქ, თქვენს სოფლებში, ბევრი ხელოსანია, უსტა, აქედან მოსულები ბათუმშიც საქმობენ, – საუბრის თემას ცვლის რამაზი.

– მუშაობენ და... ფეხამური! ფეხამური უსტა არაა!

– აბა რაა ფეხამური?

– ფეხამური რაა, რაფერ გაგაგნებო? ფეხამურ ვეტყვით: ოთხი შეყყარეთ, მე ვიცი საქმე, იმან არ იცის, ტალახ მოზილავს, ფეხამურ ვეტყვით.

– ფეხამური მნიშვნელობით დამხმარე მუშაა, მაგრამ საყურადღებოდ მეჩვენება ფეხამურ//ფეჯამურ' ფუძის ეტიმოლოგია: ფეჯამურ\*–ფეჯამლურ'ისაგან? არაფერს ვიჩემებთ, ვარაუდი გამოვთქვით. დაბეჯითებით ვიტყვით, ფეჯამური კომპოზიტია და მისი პირველი ნაწილია – ფეჯ' სახელური ფუძეა, მეორე, სავარაუდოდ, ჯამლი.

– კიდევ რას მოგვიყვებით? ბევრი ამბავი იცით, გაიხსენეთ რამე! – ვთხოვთ რესპონდენტებს. კაცი რომ უაზროდ ლაპარაკობს, რას ეტყვით?

– გუთლელაა იხვართებს, \*ბარბარაა ვეტყვით, გონჯი ხვართი და!

\*ბარბარაა ტაოურად უაზროდ მოლაპარაკეა. აჭარაში იმავე მნიშვნელობით გამიგონია ბაგბაგაა, ზმნა – ბაგბაგებს.

– სხვას რას გვეტყვით კიდევ?

– ჩვენში ერთი კვერნა (მეტსახელია კაცისა – ავტ.) არი, ქათმებ ჭამსა, მაქინაზე დუბშია

[მისაბმელი], **ლენჭები დუსმია, ამომძრალა იგი** (მისაბმელის ჩივი – ავტ.), **თავდამ გაქანებულა** (მისაბმელი). **აქ ჩუმოვდა, შეხედა ლენჭები აღარაა. ტყეში უპუვია**, – თქვა ახმედ სალიანმა.

– კაცო, მანქანას მისაბმელი მოძვრა და ვერ მიხვდა?

– იმისი ბაბოსა ჯარი არაბა უშენებია. **ფრენები** (აქ: ურმის სამუხრუჭეები) **არ უქნია. თავდამი წავა, დაძრიალდება და... ქოქებში გიერჭობა და. ჯარის ტვირთი არაო, ცხენი მუყვანიან. ისიც დუსხრიკიან**, – მოაყოლა მეორე ამბავი ახმედ ჭედლიანმა.

– **ბალხში მგონი გიჯები არიან, ჭკვიანი არ არი**, – აჯავრებს ბალხელებს ახმედ სალიანი.

– ბალხში ჭკვიანი კი არა, არავინ დარჩა. დღეს ვიყავით სოფელში, ვერავინ ვნახეთ.

– **გიჯები ტყეში გეძენენ!** – უკან არ იხვეს ახმედი და აგრძელებს:

**მოკრეფულან ხალხი, წესულან, ქვაა'და ჩამოგტანონ. ძიმე ვერ უწევნიან.**

– **ჩემი თავი შევტენოთ დელუგში**, – თქვა ერთმა.

– **შუტენიან!**

– **გააგორევითო, მე დაგხდებითო...**

**გააგორეს, ჩევდენ, ნახეს, თავი არ აქვა. მისულან, ქალზე უკითხვან:**

– **თაე ქონდა თუ არაო შენ კაც?**

– **წვერი ქონდა, შაჭმელ ჭამდაო, თაე ქონდა თუ არაო, არ დიმიანახიაო.**

საინტერესო ამბავი მოგვიყვა ახმედ სალიანმა. ანალოგიური ამბავი აჭარაშიც მომისმენია, ოღონდ – მონადირეებზე:

„დილაუთენია სანადიროდ წასულან სოფლიდან. დათვის ბუნავს მიადგნენ, იციან, შიგ დათვის სძინავს. ახმედ ბუძიეს უთხრეს: შენ ბუნავში შეძვერი, დათვი დიგინახავს, შენსკენ წამოვა, გვანიშნე, ფეხებზე დეგენიკებით და გამოგიყვანთო.“

შესულა ახმედ ბუძიე ბუნავში, გუულვიძია დათვს, წამოსულა სტუმრისკენ ბლავილით, ფეხებს იქნევს მონადირე, მიშველეთო ანიშნებს გარეთ დარჩენილებს...

გამოიყვანეს გარეთ, ნახეს, თავი არ აქ მათ ამხანავს. დაფიქრდენ! ერთმა, მათ შორის ჭკვიანმა იკითხა:

– ახმედ ბუძიე დილას რუმ წამოვდა, თავი ხონდა?

– არ გვახსოვსო, ამხანაგებმა.

– მოდი, ახმედ ბუძიეს ქალს, მოხფულე ბიცოლას ვხკითხოთ, ხონდა თუ არა თავი მის კაცს, იმას ეცოდინებაო.

მივიდნენ და ჰკითხეს!

დაფიქრდა მოხფულე ბიცოლა, ბოლოს თქვა: თავი ხონდა თუ არა, არ მახსოვს, მარა სახლიდან რუმ მივდოდა, ყაბალახი მომთხუაო...

– ჰოო! – პასუხმა ჩააფიქრა მონადირეები“.

ჭოროხის ქვეყნების, – აჭარის, შავშეთის, კლარჯეთის, ტაოს ყოფაში მრავალი საერთო დასტურდება, რაც გვაფიქრებინებს, რომ ჭოროხის აუზი ერთიანი კულტურული სივრცეა.

ახმედ ჭედლიანმა კიდევ ერთი ამბავი მოგვითხრო, ასევე ფართოდ გავრცელებული მთელ ჭოროხის ხეობაში:

**ორი კაცი ყანაში მარილს დათესვენ. მარილი ამუა? იცითა მარილი? არ ამოვი'და, კიდო დათესენ, არ ამოსულა. ამასაო მიწაში რასმე ჭამენ. თოფები წამუკიდიან, მისულან ყანაში, ერთი იმ ქენერში დამყდარა, მეორე – გაღმა ქენარში. ბუზი დაჟდება [ერთის – ავტ.] შუბლზე, ასე უქნა, აჩვენა [ამხანავს – ავტ.], აქ არიო! იქიდანაც ბრააგ! ესროლა, მოკლა.**

**ერთი ბუზი, ერთი კაცი, არაფერიაო!**

სხვადასხვა რედაქციით მარილის დათესვის ამბავს მოიმენტ კლარჯეთში, შავშეთსა და აჭარაში.

ვსაუბრობთ „მასისის“ ჰოლში. შუალამეა უკვე. წასვლაზე დაიწყეს ლაპარაკი სტუმრებმა, ახმედ ჭედლიანმა იხუმრა:

– **ნახვარი საათი უკან კარ დაყაფანებენ და ღამე დაჯრებით კარში. გახვალ დილაზე, ღამეში ჰად იყავ? – გეტყვის [ქალი – ავტ.], სახში არ მოხველ? გაგაგდებს, არ შიგიშვებს, ააგ!**

– **მე ვერ მეტყვის, ჰად იყავ? არ მოა... არ მეტყვის!** – თავისას ამბობს ახმედ სალიანი და გა-

ნაგრძობს (ხუმრობით, რა თქმა უნდა) – **აჲ კაცი არ არი, ჭო! გითხარ მე შენ, და ჩხაკი, და ესა. ის ვინაა, კარი დიმიყაროს, აჲ?** – „გაბრაზდა“.

– **ჩვენში ცხრა შეიქნება, დანვე'ნა!** – არ იშლის ახმედ ჭედლიანი.

– **ჩვენ ორმოზდარვა საათი ვყუმარობდით, აჲ არ წამოვდოდა, ეშინოდა [ქალის], ყილიჯი, ირმი ბირ (ოცდაერთი – ავტ.), ფურთი... ო, ოჰოჰოოო!** – ხელის მოძრაობის მთხრობელმა ხაზი გაუსვა აღფრთოვანებას, წარსული დღეების გახსენებით. ამასთან ხაზი გაუსვა თავის „უპირატესობას“ ოჯახში, აქაოდა, „ვინაა [ქალი – ავტ.] კარი დიმიყაროსო...“

არ გვეთმობიან ჩვენი ინფორმატორები, ვთხოვთ, კიდევ მოგვითხრონ რამე. მოულოდნელად მევლუდი მოვიდა, ერთი ამბავი მოგვიყვა ფეხზემდგომარემ:

**აზლენკარ ყოფი'ლა ზალიან დიდი ტყე. იქ ყოფილა ტყი კაცი. ტყი კაცი სალიანებში ჩასუ'ლა, ამათ კარში ყოფილა ნარცხი. იქა ღვიორო უნახი'ა და მოჰკიდა ხელი, გაქცე'ვ-ლა და ტყე დუნვი'ა. ამის მერე გურჯისტანში წესუ'ლან ტყი კაცები, აღარ ყოფი'ლან აქა. იქ არი'ან, ჰო?** – გვეკითხება ჩვენ და განაგრძობს:

**თქვენ სოფელში არ მოინეს? მაიმუნი რაფერია, იცი? ტყეში კი გახვალ, შენ რაცხა ელაპარიკები, აანი გელაპარიკება:**

- **კაჲ ხარა?**
- **კაჲ ხარა – გეტყვის ისაც.**
- **რას საქმოფ?**
- **რას საქმოფ? – ისაც.**

**ჩვენსავეფ არაა, აქ იყო წვერიანი (წვეროსან მეზობელზე გვეუბნება – ავტ.), წვერი იმაზე ბეთი აქ. მე არ მინახია და! დედებმა, ბაბოებმა გვითხრენ, ტყეში დევნახეთ, ასე დევლაპარიკეთო...**

– **ჰოდა, მევლუდ, ტყის კაცები გურჯისტანში გაიქცნენ? მეც მიკვირს, ამდენი წვერიანი კაცი საიდან მოშენდა-მეთქი ჩვენთან, – ვეუბნები მე...**

– **მევლუდ, ტყის კაცი იცი, შენ კონჭოლიზიც გეცოდინება, – ახალისებს რამაზი.**

– **კონჭოლიზი რაა იცი? ასე მოდიდო გოგო, არ გათხოვლა და იმას ეტყვიან კონჭოლიზი,**

– **სიცილით განმარტა მევლუდმა და დაგვტოვა, სხვა ჯგუფისაკენ წავიდა.**

– **ხორთლალი თუ გაიგონეთ აქ? – ვკითხულობ უფრო საუბრის გაგრძელებისათვის.**

– **თქვენში ხორთლალეები არიან? აქ არი'ან! ამისი ებეჲ ადგა, ჰოუ! ბებერი ყოფილა, ადგა და დეჭირეს, მასკვა თავი მუჭრიან...**

– **მე არ გიმიგონია ესა! – ამბობს ახმედ ჭედლიანი.**

– **შენ რა'ნა გეგნა, გუშინდელი ღარჭი ხარ, ჰოუ! მალლა სერზე ყოფილა დამარხილი ხორთლალი. ჩვენც ასე გეგონეთ და. მოკტა, დააყაფანეს, გათავდა. ადგომილი კტარი იქნება? – დაასრულა თხრობა ახმედ სალიანმა.**

– **იტყვიან, მისი დამნახავი არავინაა, – ვპასუხობ მე, – მაგრამ საინტერესოა, რატომ ამბობენ? ყველა ნათქვამის უკან რაღაც იმალება, ტყუილად არაფერს ამბობენ...**

– **კარგი ქართულით ლაპარაკობენ, – ხმამალლა გადმომილაპარაკა რამაზმა.**

ამის გაგონებაზე, ახმედ სალიანმა, რამაზის მონონებით ნასიამოვნებმა, ამ კუთხეში ქართული ენის მდგომარეობას მიაქცია ყურადღება. მისი მონათხრობი არაფრით განსხვავდება შავშეთში, კლარჯეთში მუჰაჯირთა შთამომავლებთან გაგონილისაგან:

– **ოქულში წევდოდით, გურჯულა ლაპარიკი არ არი. ხელზე გისკმიდა, თავზე გისკმიდა ორეთმენი. გურჯი ლაპარიკი არა, თურქი'და ილაპარიკო! მუჰელიმი გურჯი კი იყვეს, ისის ვერ ილაპარიკებს...**

– **აქ გურჯი ლაპარიკი რატომაა იცი? თურქი ვერ გვიხვარათია. ახლა ჩვენი გურჯიჯა ღარჭმა მეტი არ იცის, – დაუმატა ახმედ ჭედლიანმა და ჩვენ მოგვიბრუნდა:**

– **ახლა თქვენში მარტო გურჯი ხვარათი არი თუ?**

– **ჩვენში გურჯი ხვარათია მარტო, სხვა ენაზეც ილაპარაკე, ვინ დაგიშლის, მაგრამ ჩვენი სახელმწიფოს ენა ქართულია, – ვამბობ მე.**

– **გურჯი აქ აბლია! აქიდამ მიდიან ბითავაჲ. [ბავშვები – ავტ.] აქიდამე წაასხა, წაასხა, სერვი-**

სი მიცა, სარიგოლ ავლებენ აქედამ. აქ მექეთე-  
ბი აღარ არი. ღენჭები არ არიან და, აბლია. აქ  
ბითთავა ემექლი ვართ, ჩვენსავფე ბერები...  
იმან, მის დედედამ, ბაბოდამ ინავლა... ზოგი  
ილაპარიკებს, ახსოვს. ჩვენ ართულ დევენიყეთ  
[ქართული – ავტ.], – ერთგვარი ბრაზმორეული  
სინანულით თქვა ახმედ სალიანმა.

– კარგია, რომ თქვენს სოფლებში მაინც სვა-  
რათობენ ქართულად.

– ამაში [თავში] ჭკუა არაა და! არაა და ხკი-  
თხე, – დანანებით ამბობს ახმედ ჭედლიანი.

სიჩუმე ჩამოვარდა, ყველა ჩაფიქრდა... ახმედ  
სალიანმა დაარღვია სიჩუმე და კიდევ ერთი მი-  
სეული დაკვირვება გაგვანდო:

**ბაბა ანე, გურჯიჯა ებეა.**

**ეში (ცოლი – ავტ.) – დეკაცი.**

**კაცი – ბებერი.**

– დედეს რას ეტყვით თქვენ?

– ბაბუას, ისე დედეც ვიცით!

– ალასი ალაჲ ბაბუა? ჩვენ დედე ვეტყვით,  
მესელა, ბაბა ალასა.

ვიდრე ახმედ სალიანი და ჩვენ ლექსიკურ  
მნიშვნელობებზე ვმსჯელობდით, ახმედ ჭედ-  
ლიანმა ერთი სახუმარო გაიხსენა, რომელიც  
ჩვენი საუბრის ერთგვარ გაგრძელებადაც შეი-  
ძლება ჩავთვალოთ.

– უნინ გურჯისტანიდამ ვინმე მოსულა,  
დაინყო ახმედ ჭედლიანმა, – კაცი თხრის ყა-  
ნაში და, დუუძახებს:

– სალამი, კაცო, რავარ ხარ, ქართველი  
ხარ?

– არა, ყანას ვთესავ! – დუძახა კაცმა.

გონებია ქართოლ თესავო?

– არა სოლან ვთესავო.

რას ვიზამთ, ქართველი და ქართოლი (კარ-  
ტოფილი – ავტ.) აერია ერთმანეთში ყანის მთე-  
სველს.

– დროა, ნავიდეთო, – ითხოვა მძლოლმა.

ესეს (აქ: ამასაც) ეჩქარება, ესეს კარ დუ-  
კეტვენ. ამან კი დეგვიანოს ქალი არ შუშვებს  
სახში. ქალიდამა ამასაც ეშინია! ვის არ ეში-  
ნია? – დასვა ბოლოს საუკუნის კითხვა ახმედ  
სალიანმა.

მიზეზი კარგი გვაქვს, რომ დავასრულოთ  
დღევანდელი საუბარი. დავემშვიდობეთ ახმედ  
სალიანსა და ახმედ ჭედლიანს.

**3 აგვისტო, პარასკევი.** დღეს ექსპედიციის  
პირველი ეტაპი დასრულდა. დავემშვიდობეთ  
სასტუმრო „მასისს“, მევლუდ დოლენჯაშვილს//  
დოლენჯიანს და ნურსელ ჭედლიშვილს, მის მე-  
ულღეს. სარფის კარამდე მოვაცილეთ თინა ში-  
ოშვილი, ნატა ჩხარტიშვილი, ჯემალ მიქელაძე,  
მაია ბარამიძე და ნონა ნიქაბაძე. სარფში უნდა  
დაგვხვედროდნენ და ექსპედიციას შეერთებოდ-  
ნენ ზაზა შაშიკაძე და მერაბ ხალვაში, მაგრამ  
მათი გადმოსვლა ვერ მოხერხდა. შესაძლებე-  
ლია, ორშაბათამდე ვერ ჩამოვიდნენ: შუამთობის  
დღესასწაულზე ქვეყნის პრემიერი ჩამოდის და  
უნივერსიტეტშიც აპირებს მოსვლას. სტუმარს,  
ბუნებრივია, მასპინძელი უნდა დახვდეს, უპირ-  
ველესად – უნივერსიტეტის ხელმძღვანელი.

ართვინს იქით წვიმდა, მდინარეები ადიდე-  
ბულიყო, წვიმდა ბათუმშიც. იუსუფელში დავბ-  
რუნდით, სასტუმრო „ბარსელონაში“ დავიდეთ  
ბინა. ნაცნობი გარემოა, არაერთხელ ვყოფილ-  
ვართ აქ...

სალამოს ქალაქში გავედით, ვივახშმეთ. ყა-  
ნთაროლლის საჩაიეში გავიარეთ, ხვალისათვის  
გამყოლი ვთხოვეთ იქ შეკრებილ გურჯებს, არ-  
ჯევანის ხეობაში ვაპირებთ ასვლას. მხლებელი  
გვჭირდება უცხო გარემოში...

ახალგაზრდა კაცი გაგვაცნეს, ილიას ფოირა-  
ზი, ეს გაგყვებათო გარკვეულ საფასურად.

ჩვენი მომავალი გიდი გაჭირვებით ლაპარა-  
კობს ქართულად. ქვაბაელი ვარო, გვითხრა. ქო-  
ბაში კარგი მექართულეები არიან, რალა ჩვენი  
გამცილებელია მცირემცოდნე?

შევთანხმდით, ხვალ, დილის 10 საათზე, დაგ-  
ვხვდება ილიასი ყანთაროლლის საჩაიეში და არ-  
ჯევანში წავალთ, იქიდან დაბრუნებულები ვეუა-  
ნხევში ვიმუშავებთ; თუ დრო დავგრჩება, სალა-  
მოს იუსუფელის მიკროტოპონიმის აღვწერთ.

ერთი დღისათვის, ვფიქრობთ, დიდი გეგმა  
დავსახეთ, ვნახოთ, თუ მოვასწრებთ.

**4 აგვისტო, შაბათი.** დილით დათქმულ დროს  
შევხვდით ჩვენს გიდს – ქვაბაელ ილიასს და

გზას დავადექით. პარხლის ხეობას ავუყევით მალლა, შემდეგ მარჯვნივ შევუხვიეთ და სხვა, უფრო პატარა, ხეობაში შევედით. გზა არჯევანის წყალს მიუყვება. ქვის კედლები გაუჭრიათ და სამანქანე გზა გაუყვანიათ, ახლა – აფართოებენ. ილიასი გვეუბნება, მალლა, მთებში მადანი იპოვესო და ამიტომაც აკეთებენო გზებს.

გზა მალლა-მალლა მიიწევს. ზემოდან შიშველი მთები დაგვყურებს. მდინარისპირა მერეებზე და ფერდებზეა გაშენებული სოფლები: ყანები, ბახჩები, ზვრები, ხეხილის ბაღები... ყურადღებას იქცევს კაკლის ხეების სიმრავლე.

ბარემ ვიტყვი, არჯევანის ხეობა დაბლა ვინროა, მალლა – იშლება...

არჯევანში ავედით, ხეობის ზემო სოფელში. გზად ორი არჯევნელი დაგვემგზავრა, „ქართული არ იქნებაო ხეობაში“, – თქვა ერთმა.

ჩვენ ვიცით, რომ არჯევანის ხეობის სოფლებში ახლა ქართულად არავინ ლაპარაკობს. თუმცა გვაქვს წერილობითი ცნობა, რომ საუკუნის წინათ მოხუცი არჯევნელები საუბრობდნენ ქართულად. მას შემდეგ თაობები შეიცვალა, მექართულე არჯევნელთა შთამომავლებმა ქართული დაივიწყეს.

სოფლის თავში ავედით, თითქმის ალპურ მდელოებზე. ქონალააში გავჩერდით. მოხუცი ჰაზილ ალთუნთაში გავიცანით, დედესანი ოლარიო ჩვენი ლაღები.

ჰაზილმა ქართული არ იცის. ტოპონიმები ვიკითხეთ:

**ცენწყარო//ცინწყარო** (<\*წინ წყარო, წ:ც მონაცვლეობით),

**არსუქარ’ი** (<\*ქარსუქარი?),

**თორნიათი** (აილა),

**მინდორთ აილა,**

**ნასელავ//ნასელევ,**

**ქონალაა//ქონალარ,**

**ქილისა – გაავრუმ დუზზე.**

დასახელებულ ტოპონიმთაგან ყველა ქართულია, ერთის პარალელური ფორმაა თურქიზებული ქონალარ, ამოსავალი უნდა იყოს ქართული – ქონალაა; რაც შეეხება გეოგრაფიულ

სახელს, სინტაგმა ტოპონიმს **გაავრუმ დუზი** (ურჯულოს მინდორი//ველი), ახალია და ცალკე დგას. **ქილისას** უწოდებენ იმ ადგილს, სადაც **გაავრუმ დუზზე** ეკლესია იდგა.

ჩანს, ქართული **საყდარი** უთარგმნიათ თურქულად...

ირკვევა, ქართული გეოგრაფიული სახელები აქაურთა აქტიურ ლექსიკაშია ჯერაც.

– ქონალაას სულალები ჩაგვანერინეთ, – ვთხოვთ ბატონ ჰაზილს.

**დედესანი ოლულარ,**

**უსტაოლი.**

**დედესანი** – საყურადღებო ფორმაა ტაოში მაინც. ანალოგიური წარმოების სულალები გვხვდება აჭარაში, ჭოროხის სხვა ქვეყნებში ნაკლებად, მისი პოვნისებრა ამ კუთხეში საინტერესო ფაქტია.

მალლა ავედით. გზაზე ორმოც წლამდე მამაკაცი, რამიზ თოსუნი – უსტიოლი შეგვხვდა. კარგა ხანს ვისაუბრეთ, ბევრი არაფერი იცის. ადგილის სახელები მოვიკითხეთ, რამიზმა ჩაგვანერინა:

**სალჭალა** (<\*სხალჭალა?),

**კუსხალთ’,**

**გურნეთევლ’** (შდრ. გურნათელი),

**კორდენუმ სირთი** (შდრ. კორდიანი სერი),

**ქობამ ბურუ,**

**ნაყორუნ დუზუ||დუზი** (შდრ. ნაყორავი ველი),

**ხორხათი,**

**ხამხოლ თეფე,**

**ოგეჩა** (ყანა),

**ფაცალუმ თარლასი** (შდრ. ფაცალი ყანა),

**ქურუნუნ სირთი||ქულუნუნ სირთი,**

**მანბაკუნანუნ დუზი** (შდრ. მანბაკუნას ველი).

გეოგრაფიული სახელების უმეტესობა ქართულია, ანდაც ქართული ფუძე აქვს. შეიძლება ითქვას, ტოპონიმთა გათურქულების პროცესი ახლა მიმდინარეობს. ჩემი ყურადღება უპირველესად მიიპყრო ორმა ფუძემ: **ხორხათი** და **ხამხოლ**. სიძველის ელფერი დაჰკრავს ორივეს: **ხორხ**–ათ (შდრ. **ხირხათი**), **ხამხ**–ოლ.



ორიოდე სიტყვით **ქურუნუნ სირთის** შესახებ. ამ სინტაგმა ტოპონიმის პირველი ნაწილის ფუძეა ქართული **ქურა'**, შდრ. **ქურის ქედი/ქურის სერი**.

– აქ ქართველები ცხოვრობენ თუ სხვა მილეთი? – ვეკითხებით რამიზს.

– **აქისხა/ახისხა** თურქი ვართო, ჩვენ მოსული ვართ ახისხადან. ბევრი წინ აქ ორი გურჯი დამჩალა, სხვები წესულან. **ბუ მაჰალე უჩ სულალე**, – რამიზის ნათქვამი ილიასმა გვითარგმა „სიტყვასიტყვით“.

ქონალაში სამი სულალეა, სამივეს თავისი მაჰალე/უბანი აქვს: **უსტიოღლი, დევრიშლარ** (შდრ. დევრიშები), **ჰასანგილი**.

არჯევანის სხვა უბნებია:

**თოფალოღლულარ'** შდრ. თოფალოღლები, **გონთ'**,

**ედილოღლულარ'** შდრ. ედილოღლები,

**ნითელოღლულარ'** შდრ. ნითელოღლები,

**ყადიოღლულარ'** შდრ. ყადიოღლები,

**ყიშლა**,

**სუდეფოსი** (შდრ. სუდეპო),

**გავრიანუმ დუზი**.

დასახელებული გეოგრაფიული სახელები, სოფლის უბნები, ახალია. გამონაკლისია **გონთ'**, რომელიც ქართული ფუძე ჩანს და **ნითელოღლულარ**, რომელშიც გამოიყოფა **ნითელ'** სახელური ფუძე. ეს უკანასკნელი ადამიანის მეტსახელი ჩანს ტაოში, შდრ. **ნითლევეკარი**.

შემდეგ რამიზმა ჩაგვანერინა არჯევანიდან იუსუფელამდე სოფლების სახელები:

**გოჩეთ'**,

**თენწყარო** (წყარო, ბუნებრივია, ქართულია, პირველი ნაწილიც, – თენ, ქართული ჩანს, თუმცა ვერაფერს დავუკავშირეთ იგი),

**კოსქედი** (ტყე). **კო'** ტყის მნიშვნელობითაც იხმარება.

**არჯევანი**,

**საჯვერეთი** (<\*საჯვარეთი),

**ტოისხალი** (<\*თოისწყალი?),

**არმეშენი** (<\*არმაშენი),

**ტატვანა** (<\*ტიტვანა<\*ტიტოვანა),

**ოღდემი** (<\*ოღდემი),

**ქუშნარა** (ქუშ' მცენარეული ფუძე უნდა იყოს, იგივეა, რაც **უგრეხელი**, ან ტყის **ცერცველა<sup>8</sup>**),

**შადეთი**,

**ვეჟანგეთი** – ვეჟანგის//ვეჟანის სახელულის სამოსახლო.

სხვა სახელები:

**ნოანწყალი**<\*ნოანწყალი (სოფელი),

**ნოანწყალი//დევისწყალი** (მდინარე),

**საზმნო თეფესი** (<\*საძმ[ა]ნო სერი გათურქულების ცდა),

**ოგეჩანუნ მეშასი** (ოგეჩას ტყის თურქული თარგმანი).

ტოპონიმების დიდი ნაწილი ქართულია, ზოგიერთი (საზმნო თეფესი, ოგეჩანუნ მეშასი) გვიჩვენებს გათურქულების პროცესს.

არჯევანელთა თურქულში ისმის ზოგიერთი მცენარის ქართული სახელი:

**ბულღო** – იგივეა, რაც ბუერა, სხვადასხვა ფონეტიკური სახესხვაობით გვხვდება მრავალ დიალექტში<sup>9</sup>,

**შამანთილო**,

**ტიტა** – იგივეა, რაც **ხატოტი**, იყენებენ საჭმელად (შდრ. მესხური ხატუტა, კოტიტა, ტიტა<sup>10</sup>),

**ნუვანა** (შდრ. ნივილა, იგივეა, რაც შვრიუკა<sup>11</sup>.),

**ქართოლი**,

**ლებიო<ლობიო**.

არჯევანიდან დაბლა წამოვედით, ნითელოღლილარ მაჰალეში გავჩერდით. მოხუცი იჯდა გზისპირას, მივესალმეთ, საუბარი ვცადეთ.

– რაფეთ ერდოლანი, – გაგვეცნო.

ჩვენც ვუთხარით ჩვენი სახელები.

<sup>8</sup> ალ. მაყაშვილი, დასახ. ნაშრ.

<sup>9</sup> იქვე.

<sup>10</sup> იქვე.

<sup>11</sup> იქვე.

გაცნობის იქით ვერ წავიდა ჩვენი „დილო-გი“, ასე იწევა ბატონმა რაფეთმა, ზემო უბნის სახელი გვითხრა მხოლოდ **ედილოლულარ მა-ჰალესი** და კიდევ რამდენიმე ტოპონიმი დაგვი-სახელა:

**ზოთბარი, ნოიბარი,** ახლა **ესენდალ ყალე-სი.**

**ბერყანა,**

**სეთე** – ზათინ გურჯიჯე (ინფორმატორის რეპლიკა – ავტ.),

**ლიყიეთი,**

**ხინზი ხოვ** (<ხინძი ხევი?).

ძიება არ უნდა, დასახლებული ყველა გეოგ-რაფიული სახელი ქართულია. და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ინფორმატორიც ფიქრობს, რომ ისინი ქართულია.

საუბარი ვერ შედგა, თუმცა გარკვეული ინ-ფორმაცია მივიღეთ...

კადროლლი მაჰალეში ჩამოვედით. რამიზ ტალყილიჯი გავიცანით, ორმოცდახუთი წლის მამაკაცი. აღმოჩნდა, რომ ჩვენი მხლებელი, ილიასი იცნობდა მას. ჩაიზე დაგვპატიჟა რამიზ-მა. ბუნებრივია, მივიღეთ მისი მიწვევა.

– აქაური ხართ თუ მოსული? – ვეკითხებით მასპინძელს.

– დედა საჯვარეთიდან (<\*საჯვერეთიდან) არის, მამა – მურღულელი იყო. მამამ ქართული იცოდაო; ორი ძმა მოსულა მურღულიდან და აქ დასახლებულანო.

ჩვენს წინ, გზის ზემოთ, ერთმანეთზე შედ-გმული სათივეები ჩანს, მრგვალი ხეებით ნა-შენები. ჩანს, მეცხოველეობა აქ კარგად იყო განვითარებული. ყურადღებას იქცევს, რომ სათივეები დასახლების გვერდითაა, შეიძლება ითქვას, სოფლის გარეთ. ვფიქრობთ, ეს ფაქტი, დასახლების თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად განასხვავებს არჯევანს სხვა ხეობებისაგან, თუნდაც ელიასხევისაგან, სადაც საცხოვრებ-ლი, სათივე და ბოსელი ერთ შენობაშია განთა-ვსებული.

რამდენიმე ტოპონიმიც ჩავინერეთ:

**სოჭითი** (შდრ. სოჭი),

**გოჭეთი** (შდრ. გოჭი, იქნებ ადამიანის მეტსა-ხელიც იყო),

**მინდორთ'ი,**

**კოტალეთ დაილა.**

მნიშვნელოვანია, რომ დასახლებული ყველა ტოპონიმი ქართულია.

ქვემოთ მოგყვებით ხეობას. ყიშლაში ჩამოვე-დით. დევეთიდან ერთი ქოხილა დარჩენილა. რუ-შენ ერდოლანი, – გაგვეცნო სახლის პატრონი.

უპირველესად გეოგრაფიულ სახელებს ვკი-თხულობთ:

**კუნტაკე,**

**მინდორლარ** (შდრ. მინდვრები),

**დიდვაკე,**

**მოშნალთი** (თარლა შექნილაო იქა, – გვითა-რგმნა ილიასმა),

**ჭინახო** (მდინარისპირა მინდორია),

**კოსქეთი**<\*კოსქედი (საჯვარეთის მაჰალეში),

**გუგუსუ** (ნაკალეფ//ნაკალეხ//ნაკალევე),

**კიტავეთ** (შდრ. კიტავი),

**გუდუქ,**

**კოკნარი,**

**სოჭი.**

იქნებ ნაჩქარევი დასკვნაა, მაგრამ უნდა ვთქვა: რაც უფრო ქვემოთ ჩამოვედით, ხეო-ბაში იმატებს ქართული ელემენტი.

– ყველაფერი ქართულია-მეთქი, – ვამბობ ხმამაღლა.

– ასეა, – მპასუხობს რამაზი და აქ მოსმენილ ქართულ ტოპონიმებს ჩამოთვლის...

მცენარეთა სახელები ვიკითხე. ჩვენს სიხა-რულს საზღვარი არ ჰქონდა გაგონილის შემდეგ:

**ღალი არის,**

**ბულღო არის,**

**თელახარში არის,**

**მაქაქელი არის,**

**ხოზიკო არის,**

**ჭინავი არის,**

**პანტა არის,**

**ჩიყვა** (მსხლის ჯიშია) – **არის...**

საუბარში **პურტყე** (წვრილფეხა საქონელი: თხა, ცხვარი) ახსენა რუშენმა, და კიდევ ორი

გეოგრაფიული სახელი: **სოში(ა)** (აილა. შდრ. სოჭთა) და **საბზეთი**.

შუადღის ოთხ საათზე **ნოწყალში** ავედით. აჰმეთ ილითს (მუთაფოღლილარ'), 81 წლის ნოწყალელს გამოელაპარაკა ილიასი.

რამდენიმე გეოგრაფიული სახელი ჩაგვანერინა:

**ზევის წყალი|ზევს წყალი|ნოწყალის წყალი.**

**ვაკე ცხენუნ ტაში(?)**, ან **ვაკეთენუნ ტაში** (შდრ. ვაკეთის ქვა? – უჭირს გამოთქმა ინფორმატორს).

**ოგეჩანუნ მეშასი** (შდრ. ოგეჩის ტყე).

ცა სანვიმარი ღრუბლებით დაიფარა. ქუხს მთაში, ცივა... ვჩქარობთ. სახლს შევავლეთ თვალი: სახლი ძველია, გვერდით ახორი და საბძელია აშენებული. ელისხევისაგან განსხვავებული ვითარებაა...

**სიბრიათი,**

**საჯვარეთი.**

კიდევ ორი გეოგრაფიული სახელი ჩავინერეთ და მანქანაში ავედით. დაბლა დავეშვიტ, ხევი ვინროვდება. მაღალი კლდეები დაგვყურებს ზემოდან, ხევი არჯევანის წყალი მიედინება.

სალამოს ხუთი საათი სრულდება. დღეს ნოწყალის, ახლა ესენდალის ციხეზე ასვლა უნდა მოვასწროთ. უკეთეს დროს ვერ ვნახავთ, როდის ამოვალთ კიდევ ამ ხეობაში?

ციხე ნოწყალის ხეობის კარშია, ზემოდან დარაჯად დასდგომია ხეობას. ბებერი ციხის აღმოსავლეთი კედელია გადარჩენილი, რომლის სისქე 0.5 მეტრამდეა, სიმაღლე – 5 მეტრამდე. კლდეს ატყვია ციხის კედლის ნაშთები, რაც საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ სიმაგრის ფართობი.

ესენდალის ციხე სამი მხრიდან ბუნებრივი სიმაგრით, კლდეებით არის დაცული, საიდანაც ციხეში შეღწევა შეუძლებელია. სიმაგრეს ერთი კარი აქვს აღმოსავლეთიდან, რომელსაც იცავს მაღალი კედელი.

ციხის კედლები ნაშენებია დაუმუშავებელი ქვითა და კირხნარით.

ციხის ზომებია: 38x14 მ. დასავლეთით იგი ვინროვდება 10 მეტრამდე.

ადრეფეოდალური ხანის ტიპიური საფორტე-ფიკაციო ნაგებობაა **ნოწყალის|ესენდალის** ციხე.

საყურადღებოდ გვეჩვენება სოფლისა და ხეობის სახელწოდება **ნოწყალი**. ვფიქრობთ, ამოსავალი ფორმაა **ნოვი[ს]წყალი>ნოწყალი>ნოწყალი**. კომპოზიციის მეორე ნაწილი ცნობილი ფუძეა, საძიებელია პირველის – მნიშვნელობა: ნოვი. ეს უკანასკნელი შესაძლებელია, მომდინარეობს **მწავი** 'საგან. **მწავი|წავი** კიდევ ცხოველია<sup>12</sup>. ამდენად, **ნოწყალი <ნოვისწყალი <წავისწყალი|მწავისწყალი**.

ნოწყალის ხეობა მაღლა, დაიღებამდე გრძელდება, **ჩამლიჯამდე**, იქით – **დანალეთია**. ამბობენ, დანალეთიდან **ჭიმჭიმი** ჩანსო.

ახმედ დემირჯი (ყაიხჩი/ყაიხჯი) გვესაუბრება. ყიფჩაღ-თურქები ვართო, გვიმტკიცებ. თვითონ კი ფიქრობს ასე, მაგრამ ჩვენ ვერ გვარწმუნებს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ახმედის წინაპარი ქართველი იყო, ტაოელი. მის მესხიერებას შეუნახავს წინაპართაგან მიღებული ცნობა: ძველი გეოგრაფიული სახელები, ვაზის ქართული სახელები... რასაც, ჩვეულებრივ, მოსულის ხსოვნაში ვერ ვხვდებით. ერთი კია, ახმედ დემირჯიმ არ იცის წინაპართა ენა, ამიტომაც თავს არ თვლის ქართველად.

გეოგრაფიული სახელები ჩაგვანერინა ახმედმა:

**ნოწ ბარი,**

**ვაკე,**

**ლიყიეთი** (ლიყი – კაცის მეტსახელი იყო?),

**ხინზი ხოვ|ხინძი ხოვ|ხევ'**. სადღაც დასტურდება **ხინძათი**, რომელშიც იგივე **ხინძ'** სახელურ ფუძეს გამოვყოფთ.

**ლოდიან ყანა,**

**ქედა,**

**სუმბათეთი(სუმბათის სახლეულის საცხოვრისი),**

**ბერყანა,**

<sup>12</sup> იხ. შ. ნიჟარაძე, დასახ. ნაშრ.

სელე.

ვაზის ჯიშებიც ჩავინერეთ ქართული:

**თურვანდა, ბუტკო, კივითა||კივიტა, ჯინეში, ელვანი** (შავი ყურძენი), **დევურა'** (შავი ყურძენი).

დასახელებულთაგან **ბუტკო** და **ჯინეში** ჭოროხის ყველა ქვეყანაშია ცნობილი. **დევური** – **დევეთური** უნდა იყოს. სხვათა წარმომავლობა საძიებელია.

აქაური სახლის შესახებ იკითხა ნუგზარმა.

წინათ სახლი სამი ყათი იყო:

პირველ ყათში ახორი იყო, ბოსელი;

მეორე ყათში – სახლი, საცხოვრებელი;

მესამე ყათში – სათივრე და ბელელი.

ახლა ასე არ აშენებენო, – თქვა ახმედ დემირჯიმ.

ჩანს, ელიასხევური სახლი ტაოური სახლის ძველი ვარიანტია.

დღე მიიწურა. დროა, სასტუმროში დავბრუნდეთ. კარგად ვიმუშავეთ, თუმცა გულს გვაკლია, რომ ოგდემში ვერ ავედით. გზად ილიასმა გაგვაჩერა, გზიდან ქისბოროთის ციხისაკენ გაგვახედა, ქვაზე კატის გამოსახულებაო, გააჩვენებდა ადგილს.

– ე კატა! – გვეუბნებოდა სახეგაბრწყინებული.

– ვერაფერს ვხედავ-მეთქი, – ვთქვი მე.

ვერც სხვებმა დაინახეს, თუმცა ხმამაღლა არ უთქვამთ.

ენყინასავით ილიასს, როგორ ვერ ხედავთო კატას ქვადქცეულსო...

ილიასს ვთხოვეთ, ხვალაც გაგვიჩინოს მეგზურობა. დაგვთანხმდა!

**5 აგვისტო, კვირა.** დილით ქისბოროთის ხეობაში წავედით. ილიასი გვახლავს გამცილებლად, ქვაბაელი. ციხის გაღმით გზაზე გაგვაჩერა, გაღმა გაგვახედა:

ეე, კატა! – ხელით გვაჩენა!

გავიციინეთ! ენყინა ილიასს, თუმცა არაფერი უთქვამს.

ქისბოროთის ციხის გაღმით, ხიდიტ პარხლისწყლის მარჯვენა ნაპირზე, გადავედით და

ხეობაში შევედით. ხევი მშრალია, გზა – ნორმალური. ერთ სახლს მივადექით. სამოცდაათს გადაცილებული მამაკაცი აივანზე იჯდა და ისვენებდა. გამოველაპარაკეთ მოხუცს, ეზოში ჩამოვიდა, სახლში შეგვიპატიჟა. მალე ყველანი აივანზე ვისხედით. სახლის პატრონი იბრაიმ ქუჩუქშენია. ვინაობა გამოგვითხეთ.

ჩემი წინაპრები ორასი წლის წინ ყირგიზეთიდან მოვიდნენო, – იბრაიმმა.

ვინ მოიგონა ნეტავი ამათი ყირგიზობა? ჩვენს მასპინძელს გარეგნულად არაფერი ეტყობა შუა აზიელის...

ჭოროხის ხეობაში „ყივჩალს“ შეხვდებით, ახისხელ თურქსაც, მაგრამ შუა აზიელ ყირგიზს პირველად „შეხვდით“.

ოთხი ძმა მოვიდაო: სანი, ფალა, ალი ჩაუში და სარგული. იმათი ჩამომავლები ვართო ჩვენ.

არაფერი გვითქვამს, უბრალოდ, როდესაც ატყობ, აზრი არ აქვს კამათს, საუბარი სხვა თემაზე უნდა გადაიტანო, მით უმეტეს, რომ პაექრობით არაფერი იცვლება: შენ იტყვი, სათანადო არგუმენტებითაც გაამყარებ ნათქვამს, მაგრამ იბრაიმი და სხვებიც თავის აზრზე რჩებიან. თარიღში წერიაო ასე, გეტყვიან, ქითაბში.

დიახ, ასე წერია ქითაბში, სხვაც ბევრი, ვაღიარებთ, მაგრამ საინტერესოა, ვინ დაწერა ასე და რატომ? ისიც საინტერესოა, რაც ქითაბში წერია, ყველაფერი ჭეშმარიტებაა?

ჩვენც შევცვალეთ საუბრის თემა.

– ბატონო იბრაიმ, ადგილის სახელები ჩაგვანერინე, რასაც გაიხსენებთ.

– **კოდაგარა** (მეზრე),

**ნაყორთი,**

**სულნათი//სურნათი** – ადგილია, ქოხებიც არისო.

**ბოუთი** (აილა).

მეტი ვერ გაიხსენა. რაც ჩაგვანერინა, ოთხი სახელი, ყველა ქართულია. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ქისბოროთის ხეობაში ქართული კვალი არ წაშლილა, მინას „ანერია“ ქართველი კაცის ნაკვალევი. თუმცა სხვას ამბობს ბატონი იბრაიმი...

– ხეობის შემოსასვლელში ციხეა, მაღლა, მთაზე, რა ქვია და ვისი აშენებულია იგი?

– ციხის ძველი სახელია **ქისფოროთი**, ახალი

– **ბახჩელი**. ციხე ძველია, ვინ ააშენა არ ვიცი!

– ციხესთან დაკავშირებით რაიმე გადმოცემა ხომ არ გაგიგონიათ?

– არა!

დაიღებინა სახელებს ჩაგანერინებთ:

**ჩამლექი//ჩამლიქი,**

**სურნათი,**

**ასკილეთი.**

ჩაის გაგიმზადებთო, იბრაიმმა.

უარი ვუთხარით, ვისაუბროთო, გვირჩევნია.

საუბარში იბრაიმ ქუჩუქშენმა **მერეგი** ახსენა

**საბზელის** მნიშვნელობით.

– ამ ყურძნის სახელი რა არის?

– ჩვენს სოფელში ვაზი ბევრია:

**თურვანდა,**

**ჯინეში,**

**ჩითლები,**

**ყარა თურვანდა,**

**კაროლ უზუნი.**

ხუთიდან ოთხი ვაზის სახელი ქართულია, ესაა უპირველესად თვალშისაცემი.

შემდეგ **ხემრუთში//ხერმუთში** (ხევი და დასახლება) წავედით. მაღლა ავედით, სკოლის ეზოში, ზემოდან დავყურებთ დასახლებას: ხევის ორივე მხარეს უშენებიათ სახლები. ჩანს ახალი, თანამედროვე არქიტექტურით ნაგები შენობები და ძველი ქოხები. ძველ სახლებში ცალკეა საქონლის სადგომი საბზელითურთ და ადამიანთა საცხოვრებელი. არჯევანის ხეობაში შევნიშნეთ ანალოგიური. ტერასებზე გაუშენებიათ ვაზი, თუთა, ვაშლი, კაკალი, სხვაც ბევრი.

ხასან ფალანჯი გავიცანით, ხერმუთელი, ორმოც წლამდე მამაკაცი. ადგილის სახელები ჩაგვანერინა:

არმუთის მაჰალეები:

**ნაკოხარი,**

**ბახჩელი,**

**ისრეთი,**

**სალვეთი,**

**ჯირო,**

**ქეთქეთი,**

**ვარმეთი**

**ორთახელი//ორთახევი** (შდრ. შუახევი).

**ორთახევი შუახევის** გათურქულების ცდაა.

დასახელებულ გეოგრაფიულ სახელთაგან ყველა ქართულია, გარდა **ბახჩელისა**, უმეტესად –**ეთ** სუფიქსით ნანარმოები, ერთია წინაფითარები სახელი – **ნაკოხარი**, ორი კომპოზიტი – **ქეთქეთი** და **ორთახევი**, ერთიც უსუფიქსო – **ჯირო**.

დაბლა ჩამოვედით, სოფლის ცენტრში გავჩერდით, ჯამიკარზე, ჯამის უბანში. ხევისპირა საჩაიეში შევედით. აივანზე დავსხედით. შუადღეა. მალე ხოჯა მლოცველებს ჯამეში მოუხმობს. ჩაი მოგვართვეს სტუმრებს, სასაუბროდაც ჩამოჯდნენ ჩვენთან ხერმუთელები.

– ტოპონიმები ჩაგვანერინეთო, ვთხოვეთ, ყანა-ბახჩის სახელები.

– აქ ყველაფერი ქართულია, ბახჩების სახელები ქართულია, – გვითხრა ერთმა ინფორმატორმა თურქულად, ილიასმა გვითარგმნა ქვაბაგურად. ერთ ფაქტსაც მივაქცევ ყურადღებას: როგორც ვთქვი, ილიასმა ცუდად იცის ქართული, უჭირს ქართულად თარგმნა, ხშირად ვერ გვაგებინებს. ილიასს ძალიან რომ გაუჭირდება, რამაზი ეშველება და ხშირად უკეთესად ახერხებს, ვიდრე ჩვენი გამცილებელი და თარჯიმანი...

დაიწყეს გეოგრაფიული სახელების ჩამოთვლა ხერმუთელებმა, ერთმანეთს არ აცლიან, ხმაურობენ.

– **ჭალათი!** ქართულია ჭალათი? კითხულობს ინფორმატორი.

– დიახ, ქართულია, სხვაც გვითხარით!

**ქუსრეთი//ხუსრეთი,**

**კაპანდიბი//გაბანდიბი,**

**ჯიროჟ,**

**სასეფელი//სასეპელი** (მეზრე. შდრ. საზეპელი),

**ქერათი** (მეზრე, შდრ. ქერიანი),

**ბურათი** – ფუძეა **ბურა**, საინტერესოა ამ ფუძის მნიშვნელობა. **ბურ** სახელური ფუძე

ჩანს და-ბურ-ვა'ში. აღვნიშნავ, რომ ბურა' თბილი მოსასხამის მნიშვნელობით იხმარება ფშაურში<sup>13</sup>,

**სექუ//სექო** (შდრ. სექვი),

**ქეთქეთი** (ტაოში ბევრი ქეთქეთია),

**ტალბეთი** – ფუძეა ტალბ//თალბ. საძიებელია ფუძის მნიშვნელობა.

**ფოსო** (შდრ. ფესვი),

**ისრეთი**,

**ორთახე** (<\*ორთახე<\*ორთახევი),

**ბახთერი** (//ბალთერი? მეზრეს უბანია),

**ჯინჭვანე** (ტყე. ტყის ხევიანო, ინფორმატორმა),

**ირმაყვე** (<\*ირმახევე<ირმახევე?),

**ვაჭათი**,

**ფალანჯი** – ფუძეა **ფალან'**, გვხვდება ქართულში, ნიშნავს ძველმანს, ძველს<sup>14</sup>, –**ჯი** კიდევ თურქული სუფიქსია, აწარმოებს ხელობის სახელებს;

**სასეფე** – ფუძეა **სეფა'**, ნიშნავს შვებას, ქეიფს, დროსტარებას...<sup>15</sup>,

**სეფური**,

**ბახტევი** (–ევ სუფიქსით ნაწარმოები ტოპონიმია, ბახტ' სახელური ფუძეა, ჩანს ადამიანის სახელი, შდრ. გვარი ბახტაძე),

**მირმახევე'**,

**ზემვანი** (<\*ზემოვანი),

**ვარმეთი** (<\*ვარამეთი? ვარამ'ი ადამიანის საკუთარი სახელი ჩანს<sup>16</sup> (იხ. ქ.ცხ. II, 103, 164, 180...) ძველ საქართველოში. ვარამეთი ვარამის სახლის საცხოვრისია),

**ზარკათ'**,

**ჩერათ'ი**,

**ზერაქაფი<\*ზერაკაფი**,

**ჯალათი<\*ჭალათი**.

ჯამეში მიმავალი მოხუცი გააჩერეს მასპინძლებმა, ძველი ამბავი იცისო. შემოვიდა, ერთი „სიბრძნე“ დაგვიტოვა: ქართული არ არისო აქ,

ქართული ქვემოთააო და წავიდა. ბუნებრივია, თურქულად გვითხრა, ილიასმა გვითარგმნა ქვაბაგურ ტაოურად.

ხმაურობენ ხერმუთელები, აზრებს აჯერებენ. მალე ეზანი დაიძახა ხოჯამ, მოხუცები ჯამეში შევიდნენ.

რამდენიმე ლაღაბიც ჩავინერე: **ბაგულა, აპილა, ტაშილა, კაკულა, ბეშილარ', გონილარ, ყუშლა**. არაფერს მეუბნება განსაკუთრებულს ჩამოთვლილი სახელმეტები, მაგრამ მოვიყვანე, ეგებ გამოადგეს ვინმეს კვლევაში. თუმცა ერთსაც ვიტყვი: **ბაგულა, ტაშილა, კაკულა** – ქართული სახელები ჩანს, –ა სუფიქსით ნაწარმოები.

ამით დავასრულეთ ხერმუთელებთან საუბარი და ვეჭანგეთში წავედით.

ქისბოროთის ციხის გაღმა აღარ გავუჩერებიათ ილიასს, სამაგიეროდ რამაზმა წამოიძახა: **აი კატა!**

სახე გაუნათდა ილიასს, გაიხარა, რამაზმა რომ „დაინახა“ ქვაკატა...

ვეჭანგეთი იუსუფელის შემდეგი სოფელია პარხლისწყლის მარცხენა სანაპიროზე. დასახლებაში შევედით. მანქანა გავაჩერეთ და ფეხით გავიარეთ ორლობეში. ვერავინ ვნახეთ ინფორმატორი. იუსუფელი-სარიგოლის გზაზე გამოვედით. გზის მარჯვნივ თონეა გამართული, ქალი და მამაკაცი ლავაშებს აცხობენ, ფუს-ფუსებენ, ორი შუა ხნის ქალბატონი დროის გასაყვანად მისულან თონეში...

ილიასმა წარგვადგინა ხაბაზების წინაშე, პროფესორები არიანო ბათუმის უნივერსიტეტიდან.

იბრაიმ ქურუქშენი, სოადი – სანიგლი, გაგვეცნო მამაკაცი. ქალებს სახელები არ უთქვამთ, არც ჩვენ ჩავძიებთ.

ლავაშები შემოგვთავაზეს ხაბაზებმა. თავპატივი არ დაგვიწყია, სიამოვნებით მივიღეთ შე-

<sup>13</sup> იხ. ა. შანიძე, „ვაჟას ლექსიკონი“, ვაჟა-ფშაველა, „თხზულებანი“, ტ. 1-4, 1922-1930.

<sup>14</sup> ალ. ლლონტი, დასახ. ნაშრ.

<sup>15</sup> შ. ნიჭარაძე, დასახ. ნაშრ.

<sup>16</sup> იხ. „ქართლის ცხოვრება“, სიმონ ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ. II, გვ. 103, 164, 180...

თავაზება და მივირთვით თონიდან ახლადამოყრილი ლავაშები.

– ადგილის სახელები გვითხარითო, – ვთხოვეთ დამხვდურებს. ილიასმა თარგმნა ჩვენი თხოვნა რამაზის დახმარებით!

**ხორანგელ, ჟენგიშელი, საფანეთი** (გალმა მაჰალა), **მიხიხი//იხუხი, ქერევეთი, საბანეთი** (მეზრე), **ჩახარგილ’, ვაკეთი, ხასეთი, თაზეთი, ვანათი, ბაშკერეთ’, მინათხევ’.**

დასახელებულ ტოპონიმთაგან უპირველესად ყურადღებას იქცევს **ვეჟანგეთი**, ფიქრობთ, იგი ის **ვაჟგანია** „დავით და ტირიჭანის ნამებაში“ რომ დასტურდება. თუ ჩვენი დაშვება სწორია, მაშინ ჩვენ ახლა ვიმყოფებით სოფელში, სადაც ცამეტი საუკუნის წინ ტრაგედია დატრიალდა, რაც აღწერილია დასახელებულ თხზულებაში.

**ხორანგელ’სა და ჩახარგილ’ში** გამოვყოფთ **გელ//გილ** სუფიქსებს, რაც ქართული **–ინთ//–იეთ//–ეთ, –ეულ//–ოულ** მანარმოებლების ბადალია და უმეტესად აღნიშნავს სოფლის უბანს, ამ შემთხვევაში **ხორანისა და ჩახარის** ოჯახები რომ ცხოვრობენ<sup>17</sup>.

ყურადღებას მივაქცევ ასევე **მიხიხი//იხუხი** სახელურ ფუძეს, რომელშიც გამოიყოფა **–ხ** სუფიქსი, რაც მისი სიძველის ნიშანია. დასახელებული გეოგრაფიული სახელები გვერდში დაუდგება იმ მცირერიცხოვან ტოპონიმებს, როგორცაა **ხუახი, კალმახი, ბალხი, ტაოხი...**

დარჩენილი ტოპონიმები **–ეთ, –ით, –ათ** სუფიქსებითაა ნაწარმოები, რომელთა ფუნქციებზე ზემოთ გვქონდა საუბარი.

ბარემ ვიტყვი, რომ თავად იუსუფელს ქმნის სამი უბანი: **ახალთი** (ართვინის მხრიდან ქალაქში შემოსავალი), **კონახური** (თქე ყალეს მხარე), **ვეჟანგეთი** – პარხლის მხარე.

ასე დასრულდა ექსპედიციის მეორე ეტაპის მეორე დღე.

**6 აგვისტო, ორშაბათი.** დღეს ექსპედიცია სრული შემადგენლობით იწყებს მუშაობას, გუშინ საღამოს ზაზა და მერაბიც შემოგვიერთ-

დნენ. დილის 10 საათზე ოლთისში ნავედით, **ანზავის//ანძავის** ხეობაში უნდა ვიმუშაოთ. წინ გრძელი გზა გვიდევს, 150 კილომეტრი მაინც, შეიძლება მეტიც. გზად ბენზინგასამართ სადგურთან გავჩერდით, წყალი ავიღეთ რამდენიმე ბოთლი, ანზავის გზა ვიკითხეთ.

მიგვასწავლეს!

ხეობაში შევედით, ზეკარზე ავედით, საკმაოდ მაღალ უღელტეხილზე, ირგვლივ წინვოვანი ტყეა. მაღლა, მთის წვერზე ტარიელმა ნაშენი შენიშნა: გზიდან ერთი კედელი ჩანს გადარჩენილი. კარგი იქნება თუ ავალთ, თუმცა საკმაოდ შორს ჩანს გზიდან...

ორ ხეობას უყურებს ციხე. ადგილი კარგადაა შერჩეული (თუმცა რომელი ციხეა უადგილოდ აშენებული). ვერ დავუნუნებთ ძველ კარტოგრაფებს ნახელავს.

გადავწყვიტეთ, ჯერ ხეობაში გაშენებულ სოფლებს მოვივლით, შემდეგ ციხეზეც ავალთ.

ზეკარიდან გზა დაბლა ეშვება. წყაროსთან გავჩერდით, ცივი წყალი დავლიეთ და გზა გავაგრძელეთ. მალე **ქაა ალთიში** (კლდის ქვეშ) ჩავედით. კარგი ნიშანი შეურჩევია ახალ დროში სახელმძღვანელს. ზემოდან დავადექით სოფელს...

ჭალაში ორმოცდაათს მიტანებული, მზით გარუჯული მამაკაცი თიბავდა, ქალბატონი კიდეც თივას აგროვებდა. ჩვენს დანახვაზე მთიბავმა საქმეს თავი მიანება და ჩვენთან მოვიდა.

**თურან ალთუნი**, – გაგვეცნო მთიბავი.

ჩვენც ვუთხარით ვინც ვიყავით, არც მოსვლის მიზანი დავგიმალავს.

– მაღლა მთაზე ციხე რომ დგას, რაა მისი სახელი?

– **ქოროღლის ციხეა!**

– ციხესთან მისასვლელი გზა არის?

– ციხის ძირამდე მიდის მანქანა, შემდეგ ფეხით ახვალთ.

– ამ ხეობაში რამდენი სოფელია?

– **დერებაში**, ძველი **ორუქი, აქვერი** – მისი მათაჰალა, დაბლა **ქერგერია**, შემდეგ **ისასორი**, ბოლოს – **ანძავი**, – ჩამოთვალა თურანმა.

<sup>17</sup> ნ. ცეცხლაძე, „ძიებანი ქოროხის აუზის ტოპონიმებიდან“, ბათუმი, 2004, გვ. 108.

დერებაში ხეობის ზემო, თავი სოფელია, ამ ნიშნით შეურქმევიათ სახელიც. უნინ ორუქი ერქვაო ამ სოფელს, გვითხრა თურანმა.

– დერებაშის ადგილის სახელებს ვერ ჩაგვანერინებ?

– **სახალდითან, ორთაბურუნი, ყარაგაოზ**’ი.

მზიანი ამინდია. მთის მწველი მზე გვაცხუნებს. ახლოს ხეც არ დგას, კაცმა მის ჩრდილს რომ შეაფაროს თავი. ჰოდა, მეც ბალახზე დავჯექი მზის ქვეშ და ვწერ...

– ვინ ცხოვრობს ამ ხეობაში?

– ჩვენ თურქები ვართ, – ამბობს თურანი, – უნინ სომხები ცხოვრობდნენო, რუსებიცო, ქართველებს აქ არ უცხოვრიათო.

სომხები გასაგებია, მაგრამ რუსები ცხოვრობდნენო, – ეს უკვე გაუგებარია.

ერთი ახსნა შეიძლება მოვუძებნოთ ამ ცნობას: რუსებში და სომხებშიც ქრისტიანს გულისხმობენ ხოლმე, ქართველებში – ქართულის მცოდნეს. სხვა ახსნა ანძავის ხევში რუსების ცხოვრების ამბავს ვერ ეძებნება.

გეოგრაფიულ სახელებს მივუბრუნდეთ ისევ: **ნახისტავ**,

**კირი დაღლარ**,

**აზანისი,**

**ზიარეთიმ თაში** (შეიდები ყოფილანო),

**ქირექისი** – მთის უკანააო,

**ზივინ** (მთა),

**ლივაძიძორ** (\*ლივაძისძორ? შრ. ლივაძის ხევი),

**ფირინლი დიბ**,

**ყიბლანინსირთ**,

**ბედრიქ** (მთა).

წინასწარ შევთანხმდეთ, რომ ოლთისის, საზოგადოდ, და ანძავის ხეობის ასიმილაციის პროცესი შორსაა ნასული. ასეთ პირობებში ამ კუთხეში ქართული კვალის დადასტურება მნიშვნელოვანი ფაქტია. წინაპართა ნაკვალევს უპირველესად მიწა ინახავს:

**ნახის თავი, აზანისი, ფირექისი** წარმოებით ქართული ტოპონიმებია. ასევე ქართულია **ზივინ** – ზვინი – მთის სახელწოდება.

ქართული სახელის გასომხურების შედეგად მივიჩნევთ ტოპონიმს **ლივაძიძორ**’ი, ქართული **ლივაძის ხევის** სომხურად გარდაქმნის შედეგი.

ადგილთა ძველი სახელები რომ იციან აქაურებმა, ეს კიდევ გვაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს ასიმილირებულ ქართველებთან, რომლებშიც ვერ კიდევ ცოცხლობს ისტორიული მეხსიერების ნარჩენები. ჩვენს ვარაუდს კიდევ უფრო სარწმუნოს ხდის რამაზის მიერ ანძაველი თურან ალთუნის თურქულში შენიშნული ქართული სიტყვები: **ჯიშკარ, ხაჭაპური, ისკამი, ჯილდა, ბუხარი, ლობია, ქილიტ** (კლიტე, აქ: ურდული), **ზირზა** – ხის ურდული...

ანძავში ჩავედით. ხეობას ანძავის ციხე კეტავს.

როგორც ვხედავთ, ანძავის ხევს ორი ციხე უყურებს: ზემოდან ქოროღლის, ქვემოთ – ანძავის ციხე.

ანძავის ციხე კლდეზეა აშენებული. შორიდან იკვეთება კოშკი და კედლები. სიმაგრე საკმაოდ ვრცელია. დღეს მასში შესასვლელი კოშკიდანაა, საიდანაც გამოქვაბულით გზა შედიოდა შიგა ციხეში. ამჟამად გზა ჩაქცეულია.

ციხეში, მალლა, ჩანს ბაზილიკა, მოზრდილი ეკლესია.

სოფელში შესულებს სოფლის მამასახლისი, ილმაზ ოზთურქი შეგვხვდა, სტუმართმოყვარე და კეთილშობილი კაცი. ციხის ძირამდე მიგვყვავა, გვესაუბრა სოფლის ამბები. ბევრჯერ ვყოფილვარო ციხეზე, ბავშვობაში თხებს ვაძოვებდითო იქ. შიგა ციხე ვრცელი მინდორიაო, ციხეში ბევრი ეკლესიააო.

ბევრი ეკლესია პირობითია, ალბათ სხვადასხვა ნაგებობის ნანგრევებია ციხეში.

ბარემ ვიტყვი, რომ ანძავის ციხის კედლები და კოშკი დაუმუშავებელი ქვითა და კირხსნართაა ნაშენები.

ციხეზე ვერ ავედით. უსაფრთხო არაა დღეს სიმაგრეში შეღწევა. შეწუხდა ილმაზი, კიბეების გაკეთება გვინდა ციხეზე ასასვლელადო, ვერ მოვახერხეთო დღემდე.

– ხომ არ იცით, უფრო რას იტყვიან, ვინ ააშენაო ეს ციხე? – იკითხა მალხაზმა.



– ალბათ რუსებმა ააშენესო, ილმაზმა, დანა-მდვილებით არ ვიცო.

უცხოთა დანახვაზე ეზოში გამოვიდა სამოცს მიტანებული ანძაველი. გაგვეცნო, ოსმან იავუზი ვარო. შემდეგ, მეუღლეს გასძახა, ჩაი მოართვიო სტუმრებს.

ოსმანს ციხის ქვეშ გაუმართავს თანამედროვე ქვის სახლი.

მალე ახალგაზრდა ქალმა ჩაი და ნამცხვარი მოგვართვა...

ანძავის ხეობის სოფლები ჩაგვანერინეს ილმავ ოზთურქმა და ოსმან ავუზმა:

ძველი ახალი

**ანძავი ქააა ალთი**

**ქელგერ' ჩანაქ ფინარ'**

**ისასორ არითაშ'**

**ორუქ დერებაში**

**სიხსორ გოგჩე დერე**

**ფირექეს გურია ფრაქ**

**ქერექ სურუმ ქაა**

**ქენაფოს ელმა დუზუ**

**ჩარზოვ აილა ჩაფრი**

არც ერთი „ძველი“ ტოპონიმი სინამდვილეში ძველი არაა, ანძავის//ანზავის გარდა, ჩანს, ხეობის მაკროტოპონიმია ადრევე შეცვალეს...

კიდევ ერთი ინფორმაცია მოგვანოდა ოსმანმა: ციხეს წყალსაცავი ჰქონდაო, შიშიანობის დროს იქიდან ეზიდებოდნენო წყალს.

და კიდევ, ხეობას, სანამ სხვა სოფლებიც გაშენდებოდა **ანზავ დერე** ერქვა, სოფლები რომ გაშენდა, ხეობის სახელი შეიცვალა სოფლების მიხედვითო: **თათარ სირთი დერესი, გურაბიმ ბოლუზ(?)**, **ანზავ დერე...** ვხედავთ, ჭოროხის ხეობის ტრადიცია აქაც ვრცელდება.

სოფელში ძველი და ახალი ყოფა ირევა ერთმანეთში: სახლები ერთადაა თავმოყრილი, ქუჩებითა და შუკებით უკავშირდებიან ერთმანეთს. ძველი სახლები კიბისებურადაა განლაგებული: სახლი, წინ ბანი, ბანის ქვეშ – მიწურია, სადაც საბძელია გამართული, უკან – ბოსელი.

გზისპირას, წყაროსთან, მოვიყარეთ თავი ექსპედიციის წევრებმა. სულეიმან ბენდუზი შე-

მოგვიერთდა, ყანიდან მომავალი პენსიონერი. მისგან სხვათაგან განსხვავებული აზრი მოვისმინეთ:

– ანძავში გვითხრეს, ციხე ქართველების აშენებულიაო;

– სოფლის მამასახლისმა ივარაუდა, შესაძლებელია, რუსებმა ააშენესო ციხე;

– მაღლა სოფელში თურან ალთუნმა გვითხრა, ჩვენ თურქები ვართ, ადრე აქ სომხებს უცხოვრიათ, რუსებსაცო, ქართველებს აქ არ უცხოვრიათო;

– ვინ ვართ არ ვიცით, აქაური ვართო, – გვითხრა სულეიმან ბენდუზმა.

რალაც პარადოქსულ სიტუაციასთან გვაქვს საქმე: ანძაველთა თურქულში თითო-ოროლა ქართული სიტყვა გამოერევა, გეოგრაფიულ სახელებში ჩანს ქართული ფენა, თუმცა ისტორიული მეხსიერების ჯაჭვი ჩაშლილია, მისი გაერთიანება ვერ ხერხდება.

ანძავიდან წამოვედით. მდინარის პირას გავჩერეთ მანქანა, ჭალებიდან შევხედეთ ანძავის ციხეს. აქედან კარგად ჩანს შიგა ციხე: ჩანს, სიმაგრე ორიარუსიანი იყო:

ზემო ციხე – კედლებით, ეკლესიითა და კოშკით.

ქვემო ციხე – კოშკითა და კედლის ნარჩენებით.

ვათვალიერებთ ციხის მისასვლელებს, იქნებ აქედან იყოს ასასვლელი... მდინარის პირიდან ციხე მიუვალია.

წამოვედით ჭალიდან. ორუქის ქვემო მაჰალეში, ხიდზე, გავჩერდით. ჰაჯი ოზთურქს, 75 წლის ორუქელს, გამოველაპარაკეთ. ძველად ორუქი დიდი დასახლება იყო, 150–მდე ქოხი იყო სოფელში. რუსებმა განდევნესო აქედან ადგილობრივები, ზემოდან ისროდნენო...

ზემოთ ვაკეა, **ხოზანს** ვეძახითო!

– ხეობას რას ეძახით?

– **ორუქ დერე!**

აქ **ორუქის ხევია**, ქვემოთ – **ანძავის**.

– ანძავის ციხე ვისი აშენებულია?

– ციხე რუსებმა ააშენესო, – მოხუცმა.

ხეობას მალა აფუყვით ზეკარისაკენ. უღელტეხილზე გზა ორად იყოფა, ერთი მარჯვნივ შეუხვევს, მეორე – ოლთისისაკენ მიდის. ჩვენ მარჯვნივ შევუხვევით, ნაძვის კორომი გავიარეთ და ველზე გავედით. ორ კლდეს შორის მოზრდილი ველია, მალა კლდეზე ციხე დგას, ქოროლის ციხე.

ქოროლის ციხე დღეს მიუვალა. ამბობენ, ციხის დაბლა წინათ სოფელი იყო. ციხის ძირამდე მივედით, ტერასაზე გავედით. იქნებ აქედან შედიოდა გზა ციხეში?

აღმოსავლეთით კედლის მალა, ასე 4–5 მეტრი მაინც, ნაწილია გადარჩენილი. კედლის ნაკვალევი კლდის გასწვრივაც შეინიშნება...

ციხე ქვემოდან დავათვალიერეთ...

ოთხივე მხრიდან მიუვალა ქოროლის ციხე. ჩემს ზემოთ კლდეა, ციცაბო. ასვლა მსურს, ორი საფეხური ავედი, მაგრამ გზა აღარ გავაგრძელე. მოვიხედე, მერაბ ხალვაშიც ამოსულიყო. სხვები – მალხაზი, რამაზი და ნუგზარი დაბლა გველოდებოდნენ...

ვერ ავედი ციხეზე, დავმარცხდი, წინ სიმაღლემ და დაბლა ქარაფებმა „დამამარცხა“...

**7 აგვისტო, სამშაბათი.** დილით ოლთისისაკენ წავედით. **ფერნეკში** (//ფარნაკი, რუკით – პერნიაკი) მივედით, ცენტრალური გზიდან მარჯვნივ შევუხვევით და სოფელში შევედით. ოლთისისწყლის ორივე ნაპირზეა გაშენებული სოფელი, იქვეა – სოფ. **ავჭალა**.

აღვნიშნავთ, რომ ამავე სექტორში, ოლთისისწყლის მარჯვენა ნაპირზე, ექვთიმე თაყაიშვილი ასახელებს სოფელს **ეგრი ქილისა**<sup>18</sup>.

სულემან არქაბუნდუზს შევხვდით, 85 წლის ფერნეკელს. რამაზ ხალვაში იხსენებს, ეფრემ მცირის და გიორგი მთაწმინდელის თანამედროვეად გადამწერი იოანე ფარაკნელი და ცდილობს, დაადგინოს, რომ **ფერნეკი/ფარნაკი/ფარაკნი** სავანე. ვფიქრობთ, დაშვება შესაძლებელია. ადგილობრივთა გამოთქმაში იცვალა სახე გეოგრაფიულმა სახელმა. დასაშვებია ისიც, რომ დასახლების მოსახლეობა შეიცვალა,

ახალმოსახლებმა კი სოფლის სახელწოდება თავისებურად წარმოთქვეს.

პირველად ცენტრალური გზის გადაღმა, ოლთისისწყლის გაღმა-გამოღმით, მდგარი ციხეების შესახებ ვიკითხეთ:

– რას ეძახით ციხეებს?

– ორივეს ფერნეკის ციხეს ვეძახითო. სხვა სახელი ყალბებს არ აქვსო.

შემდეგ სოფლის მიკროტოპონიმები მოვკითხეთ მოხუცს:

**ძუვე(იქნებ – ზუვე) თეფესი,**

**უზუნ ჩუხურ’,**

**ფენეკის წყალი.**

მდინარის გაღმა **საღლიჯაქია**, ძვ. – **ქანთეძი**.

სხვა სახელები არ ვიციო, სულემან არქაბუნდუზმა.

ჩვენს ჯგუფს ახალგაზრდა ფერნეკელი სინან არასი შემოუერთდა, რომელმაც გვითხრა, ამ ციხეებს სახელები ჩვენ დავარქვითო:

მდინარის გამოღმა ციხეს – **ერქექ ყალესი** (შდრ. ვაჟის ციხე);

მდინარის გაღმა ციხეს – **ყიზ ყალესი** (შდრ. ქალის ციხე).

ჩვენ, მოსახლეობამ, დავარქვითო ციხეებს სახელები, მაგრამ რატომ **ვაჟისა** და **ქალის** ციხე? ადგილის სახელდება გარკვეული მოტივითაა შეპირობებული, – რალაც ნიშნით არქმევენ სახელს გეოგრაფიულ პუნქტს. რატომ აირჩიეს სახელმდებლებმა ნიშნად ქალი და ვაჟი? ხომ არ გვაქვს საქმე ძველი სახელის თარგმანთან? ანდაც სახელდებისას ხომ არ გამოიყენეს რაიმე გადმოცემა ციხეების შესახებ?

ვინ იცის!

ვინ ცხოვრობენ სოფელში? – ვეკითხებით სინანს.

– სომხების სოფელი იყო ფარნაკი, 1915 წლის შემდეგ ისინი წავიდნენ და ჩვენ მოვედით, თურქები! – გვპასუხობს სინანი.

მოსახლეობის ცვლა ეტყობა ფარნაკს: არ იციან მიკროტოპონიმია, სოფლის მესხიერებას

<sup>18</sup> იხ. ექვთ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 85.

არ შეუნახავს გადმოცემები, თქმულებები... თუნდაც ციხეების შესახებ.

სინანმა გვითხრა, გზას მიგასწავლითო გალმა ციხეზე გასასვლელს. თავისი მანქანით გაგვიძღვა წინ. ოლთისის წყლის სანაპირომდე მანქანებით მივედით, წანწალა ხიდიო//გაკიდული ხიდიო გალმა გავედით, ოლთისისწყლის მარჯვენა ნაპირზე, ველზე გავედით, ავჭალის ველზე, შემდეგ მცირე ხევი გადავიარეთ და ციხეს მივადექით.

ციხე დიდია, რამდენიმე ნაწილისაგან შედგება:

ზემოთ კოშკია, მთის წვერზე, მიუვალ ადგილას. აქედან აყურადებდნენ მეციხოვნეები ხეობას.

სამხრეთ-აღმოსავლეთით კედელი ჩამოუყვება, რომელიც გრძელდება დასავლეთით და ჩრდილოეთით უერთდება ბუნებრივ კედელს, კლდეს.

ციხის გარეთ გამოვედით და ციხისწინა ველიდან ვათვალიერებთ სიმაგრეს: კლდოვან ფერდობზეა აგებული **ყიზ ყალე – ქალის ციხე**.

დავინწყეთ ციხისა და მიმდებარე ნაგებობების აღწერა:

1. ციხის წინ, კედელს გარეთ, მცირე ნაგებობაა, თაღოვანი გადახურვით. სახურავი ჩაქცეულია. შენობა დაუმუშავებელი ქვითა და დულაბითაა ნაშენები. კედლები სქელია, – ზემოთ 1.5 მეტრამდე, დაბლა – იმატებს. მიწის ზემოთ აღმოსავლეთი კედლის სიმაღლე 1 მეტრამდეა, სამხრეთით – 3 მეტრამდე. შენობის ფართობი დაახლოებით 16 კვადრატული მეტრია (4x4).

2. ციხის წინ მეორე ნაგებობაცაა, უფრო დიდი, ვიდრე პირველი, შესაძლოა, სასახლე. გადარჩენილი კედლების სიმაღლე 3 მეტრზე მეტია, კედლების სისქე – 1 მეტრამდე. სახლის ზომები დაახლოებით 16x16 მეტრია, ნაგებია დაუმუშავებელი ქვითა და დულაბით. სამხრეთ კედელს ეტყობა ბათქაშის კვალი. აღმოსავლეთი კედელი ღორღითაა დაფარული.

3. სასახლის აღმოსავლეთით მცირე ნაგებობაა, იქნებ – სამლოცველო. გადარჩენილია სა-

კურთხევლის ნაშთები: ნაგები ქვითა და დულაბით, ზოგან ჩართულია აგურიც. კედელს ეტყობა ბათქაშის კვალი. ნაგებობა დამხრობილია სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ.

სალოცავი გადახურულია ფიქალით, გადარჩენილია სახურავის ნაწილი ჩრდილო მხარეზე. ნაგებობის ზომებია 6.9x4.4. გადარჩენილი კედლის სიმაღლე 2.7 მეტრია. ჩრდილო კედლად კლდეა გამოყენებული, სხვა კედლები – ნაშენია.

4. ქვემო ციხის ერთი კარი სამხრეთიდანაა, მეორე, ძირითადი, ჩრდილოეთიდან. გზა მოყვანილია ქვის წყობით. კარი ჩამოქცეულია, შესაძლოა, „არქეოლოგების“ ნახელავიც იყოს. კარის გვერდითა სვეტებს ეტყობა ურდულების კვალი. კედლის სისქე 70 სანტიმეტრამდეა, გადარჩენილია ქონგურები.

ციხეს ეტყობა გვიანი რესტავრაციის კვალი: ქვის წყობა, ქონგურები, ჩანს, ოსმალური პერიოდისაა.

ქვემო ციხის ზომებია დაახლოებით 40x10 მეტრი, ზღუდავს სალი კლდე.

ციხეს რამდენიმე ზღუდე აქვს:

I იარუსზე შემოღწეულს დაბრკოლებას უქმნის მეორე ზღუდე, მაღალი კედელი. მეორე იარუსზე შეღწევა მხოლოდ კართაა შესაძლებელი.

ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლები ნაგებია იმავე მასალით, რითაც სხვა კედლები.

ციხის მეორე იარუსი ვრცელია, – დაახლოებით 100x12-მდე მეტრი. შიგა ფართი (ეზო) ზოგან ვინროვდება, ზოგანაც – ფართოვდება. ციხის შიგა ტერიტორია დაფარულია ჩამონაშალით, ღორღითა და ველური მცენარეებით.

სამხრეთით ციხეს ზღუდავს მაღალი, 3 – 3.5 მ. სიმაღლისა და 0.7 მეტრი სისქის კედელი. კედლის სიგრძე, რომელიც ციცაბო კლდეს მიუყვება, 100 მეტრზე მეტია. სამხრეთის კართი ვხვდებით ზემო ციხეში.

მესამე იარუსი მეოთხეს, ზემო ციხეს უკავშირდება.

სამი ძნელი დაბრკოლების დაძლევის შემდეგ ვხვდებით ზემო ციხეში, რომელიც კარგად და-

ცულია და ფაქტიურად მიუვალნი. ციხის შიგნით ჩანს ბილიკის კვალი:

ზემო ციხის ზღურბლს მივადექით, შიგ ველარ შევალნიეთ, დალილებმა და დასიცხულებმა.

როგორც ვხედავთ, „ქალის ციხე“ ვრცელია, მომხდურისათვის ძნელად მისადგომი და ასაღები.

ციხიდან ოლთისში წავედით, მანქანა შევაკეთეთ, წყალი დავლიეთ...

გვიანი საღამო იყო, სასტუმროში რომ დავბრუნდით.

**8 აგვისტო, ოთხშაბათი.** ვისაუზმეთ და ოლთისში წავედით, იქიდან 16 ან 17 კილომეტრი გავიარეთ ალათარლამდე და ხუახისაკენ წავედით.

ხეობის შესავალში ციხეა მაღალ ბორცვზე, ხევის სადარაჯოდ აშენებული. მაღლა ავედით **ინჩის/ინჯის, ხუახის** ზეკარზე (2141 მ.) და დაბლა დავეშვით. გზა მოკირწყლულია.

ხეობაში პირველი სოფელი **ინჯია**, მოზრდილი დასახლება.

ხევის მარცხენა მხარეს, შემალლებულ ბორცვზე, ძველი ნაგებობა ჩანს, უფრო ციხეს გვაგონებს, გასული სააღდგომო ექსპედიციის დროს გზის მშენებლებმა გვითხრეს, მონასტერი. მონასტერს ნამდვილად ვერ ვამსგავსებთ, უფრო სხვა დანიშნულების კომპლექსი უნდა იყოს...

ხუახში ავედით! ჯამის უბანში გავჩერდით.

ახალხუახელს შევხვდით ხევისპირა გზაზე. გაჩერდა, ჩვენთან საუბარზე უარი არ უთქვამს, პირიქით, სიამოვნებით პასუხობდა კითხვებს.

ადგილის სახელები მოვიკითხეთ, ჩაგვანერინა, რაც გაეგონა:

**აქ დალ'** (თეთრი მთა?),

**ზუვარ'** (მდრ. ზვარი),

**ოქუზ დალი** (მდრ. ხარის მთა. ქართული ხარის საწოლის გათურქულების ცდა მგონია),

**ყარა დორუხლუ** ძვ. მდრ. შავი მწვერვალი.

**ქილისე დერესი** (მდრ. ეკლესიის ხევი. წინათ ეკლესია იყო ხევში, დაანგრესო, ინფორმაცია),

**კოთიქი/კოტიკი** (კოტიკი ადგილის სახელად სხვაგანაც შეგვხვდა).

**ხუახი** – სოფლის სახელწოდება იქცევს უპირველესად ყურადღებას. მასში – ახ' ან ხ' სუფიქსი გამოიყოფა, იმავე სუფიქსითაა ნაწარმოები კიდევ რამდენიმე გეოგრაფიული სახელი ტაოდან და ყველა ერთად ტოპონიმთა ძველ ფენად მივიჩნიეთ. ისიც აღვნიშნეთ, რომ გეოგრაფიულ სახელთა წარმოების ამ მოდელით ქართველური ანალოგს პოულობს კავკასიურ და წინააზიურ სამყაროსთან.

აღვნიშნავ, რომ სოფელს ხევი ჩამოუდის, რომელიც ორად ჰყოფს ხუახს.

მაღლა ავუყევით გზას. ციხის შესახებ გვსურს უპირველესად ინფორმაციის მოპოვება.

ხუახი ძველი ციხეა, დარაჯად უდგას სოფელსა და ხევს. აშენებულია მაღალ მთაზე, ციხის კედლები მთის ფერდობებს მოჰყვება და თითქმის სოფლამდე ეშვება. ქვემოდან ჩანს კარგად გადარჩენილი ციხის კედლები, ქვითა და დულაბით ნაშენი.

სოფელში ყურადღებას იქცევს ძველი ბანები, ქვეშ ახორი, ბანის წინ საცხოვრებელი სახლი. ბანი ჩვეულებრივ ეზოს ფუნქციას ასრულებს.

კარგად შეგვხვდა ხუახი და ხუახელები. ხილით ხეობის მარჯვენა მხარეს გადავედით. გზა-გასაყარზე მანქანა გაჩერდა, ასაკოვანი მამაკაცები გადმოვიდნენ, სახლე კალათი გადმოიღეს. ჩანს, ქლიავის დასაკრეფად იყვნენ წასული სოფლის გარე ბალებში. სტუმრებს ხილი მოგვართვეს. ჩვენი მოსვლის მიზეზი ვუთხარით. ისიც გავუმხილეთ, ციხეზე ასვლა რომ გვინდოდა.

ძნელი ასავლელიაო ციხე, შეწუხდა ასაკით უფროსი, გზა აგებნევათო უცხოებს. შემდეგ მიუბრუნდა შედარებით ახალგაზრდას და თხოვა, წაყვიო სტუმრებს ყალზე...

ამ საუბარში ვიყავით, როცა საიდანაც მუხტარი მოვიდა, ისმაილი, ახალხუახელი. შემოგვიტია, ციხეზე ასვლის ნებას ვერ მოგცემთ, არ ვიცი, ვინ ხართო.

რა თქმა უნდა, ვუთხარით, ვინც ვიყავით, ისიც ვუთხარით, ჩვენ რომ აქ დავდივართ, ბათუმში თურქეთის რესპუბლიკის კონსულმატის, მისი ნებართვაც გვაქვსო.

არ გაჭრა კონსულის ხსენებამ, თქვენ სოფელში მოსვლის უფლება გაქვთ და არა ციხეზე ასვლისო, ციხეს სხვა პატრონი ჰყავსო.

რას ვიზამთ, არიან ასეთი მუხტრებიც, სოფლის ბატონებად რომ მოაქვთ თავი. ქოროხის ხეობაში სხვაც შეგვხვედრია ისმაილის მსგავსი მამასახლისი, მაგრამ ასეთი ჯიუტი და შეუვალი – არავინ.

– ჩვენ ტურისტები ვართ, საქართველოდან მოსული, – ეუბნება ზაზა, ასე ხვდებით სტუმრებს?

– სოფელში მოდით, ნახეთ, ციხე სხვაა, – თავისას არ იშლის მუხტარი.

– კი მაგრამ, ციხეც სოფლის არაა? აბა აქ, ამ სოფელში, რისთვის მოვა კაცი, თუ არა ციხისა და სხვა სიძველეების სანახავად? – არ ცხრება ზაზა, მით უმეტეს, რომ კონსულის წერილიც გვაქვს.

– კონსულის წერილი ყალბზე ასვლის ნება არააო, სოფელში მობრძანდითო, – „სტუმართმოყვარე“ მუხტარმა.

– იცოდე, ამ ქვევას თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო შეიტყობსო, – ეუბნება ზაზა.

– სამინისტროს ხსენებაზე ჯერ შეცბა ისმაილ მუხტარი, შემდეგ უარი გაიმეორა...

– ამ უბედურს ოქროსმადიებლები ვგონივართ, – ვეუბნები ზაზას.

– დაბლა, მანქანა რომ გავაჩერეთ, ვილაც სტამბულელმა გამოგვკითხა, ვინ ვიყავით, შემდეგ მუხტარს დაურეკა და დაემუქრაო, – გაიხსენა რამაზმა...

ჩანს, მუხტარს ვილაც აძალებს, უფრო ემუქრება, რომ უარი გვითხრას. მარტო მუხტრის გადაწყვეტილება არ ჩანს ჩვენი ციხეზე არაშვება.

მუხტარი წავიდა, გაგვშორდა. უხერხული სიტუაცია შეიქმნა. შენუხდნენ ხუახულები, მაგრამ ვერაფერი გააწყეს, – მუხტარმა სძლია სოფელს...

რა გაენყობოდა, ხუახიდან წამოსვლა გადავწყვიტეთ. უსიტყვოდ ჩავსხედით მანქანაში, გზას დავადექით. სოფლის გარეთ რომ გამოვედით, მდინარისგალმა სიძველის დათვალიერება გადავწყვიტეთ. გავმხიარულდით. გზიდან გადა-

ვუხვიეთ, ჭალაში ჩავედით. მანქანა მდინარის მარცხენა მხარეს დავტოვეთ, წაწაღათი მდინარის გაღმა გავედით.

მდინარიპირას წისქვილია, ძველი. ყურადღებას იქცევს ქვით ამოშენებული მილი, რომლითაც წყალი მიშვებულა ბორბალზე.

წვიმა წამოვიდა. ვჩქარობთ. აღმართი ავიარეთ, მალე ციხის ეზოში ვიყავით.

ციხე კლდის ქიმზეა დაშენებული. მერაბის პირველადი შეფასებით, ბიზანტიურია: თალები, კოშკები... ამის დასტურად მიაჩნია. კედლები ნაგებია დაუმუშავებელი მოზრდილი ქვებითა და კირხსნარით.

თალიანი კარით ციხეში შევედით.

საქართველოში 4 საათი და 45 წუთია.

დავინყეთ ციხის დათვალიერება-შესწავლა:

ნაგებობა ორსართულიანი მაინცაა, კარიბჭე – სამსართულიანი. კედლებს ეტყობა გადაკეთების თუ შეკეთების კვალი. ციხეში შესამჩნევია ოთახები, რომელთაც დატანილი აქვს სარკმლები.

სამხრეთ კედელზე, მესამე და მეოთხე სარკმელს შორის, წარწერაა, ნითელი საღებავით შესრულებული, ზემოდან ორი წრეა. ფოტოზე კარგად გამოჩნდა ასომთავრული **ԳՐԻ**, ოდნავ ზემოთ – **Մ**. ჩანს, ქარაგმაა, რომლის გახსნა ვერ მოვახერხეთ. შესაძლოა, ციხის პატრონის სახელი იყოს დაქარაგმებული, ან – აშენების დრო, ან – აღმშენებელი ოსტატის სახელი.

ქართული წარწერა მთლიანად უარყოფს თურქი ავტორის ვარაუდს, რომ ციხე ყივჩაღების მიერაა აშენებული. თუ გავითვალისწინებთ ამ კუთხეში გავრცელებულ აზრს, რომ აქაურები ყივჩაღები არიან, არ გაგვიკვირდება თურქი მეცნიერის მოსაზრება, რომ ციხე ადგილობრივების, ყივჩაღების აშენებულია. ქართული წარწერა კიდევ დასტურია, რომ ეს ყივჩაღები ძველი ქართველები არიან, ტაოელები.

ვაგრძელებთ ციხის შესწავლას.

სამხრეთით კიდევ ერთი ოთახი (ზომით 4X4 მ.) და დიდი დარბაზია. დარბაზის ბოლოს, კოშკთან, სამკუთხედის ფორმის ოთახია.

პირველი კოშკი სამსართულიანია, სართულები შიგა კიბით უკავშირდებოდა ერთმანეთს.

კომპის ფართობი 4x3 ნაბიჯია, კედლები სქელია, 70-80 სანტიმეტრამდე.

მეორე კომპი პირველის მსგავსია. კომპის კარი ამოვსებულია.

შენობის კედლებს ატყვია ბათქაშის კვალი.

ჩრდილო კედელი ჩამოქცეულია...

მოვრჩით ციხის დათვალიერებას, გარეთ გამოვედით, სურათები გადავიღეთ და მდინარისპირას ჩამოვედით. მალე მანქანაში ჩავსხედით და იუსუფელში წამოვედით.

გული გვწყდება, რომ ხუახში ვერ ვიმუშავებთ, არადა იმედი მქონდა, სოფლის სიძველეები საინტერესო იქნებოდა არქეოლოგიური და ეთნოლოგიური თვალსაზრისით. ვფიქრობდი, ტაოს ამ ისტორიულ სოფელში გადმოცემებს მოვისმენდი, თუნდაც ხუახის ციხეზე. მუხტარის საქციელმა თუ უსაქციელობამ ოცნება ნამსხვრევებად მიქცია...

კმაყოფილი ვარ, რომ ოლთისისწყლის გაღმა ციხე მაინც შევისწავლეთ. აქ მაინც არ გვინია მუხტარის რისხვამ.

იუსუფელში რომ ჩამოვედით უკვე ბნელოდა. ვივარდით, კარგა ხანს ქალაქის პარკის კაფეში ვისხედით, ყავა დავლიეთ, ხუახზე და ხუახის მუხტარზე ვსაუბრობდით გულნაკლულები...

**9 აგვისტო, ხუთშაბათი.** დილით ოლთისში ჩავედით, მარჯვნივ ჩავუხვიეთ და ნარმანის გზას დავადექით, შემდეგ კვლავ მარჯვნივ შევუხვიეთ და ალაბალიქისაკენ წავედით. მცირე ზეკარი გადავიარეთ და ზემოდან დავადექით სოფელს.

კეთილი განწყობით შეგხვდა ალაბალიქი. სოფელში ასამდე ოჯახი ცხოვრობს, მათივე თქმით – ახისხელი თურქები. მცირე ხანს წყაროსთან სოფლელებს ვესაუბრეთ, შემდეგ ტაძარანისაკენ წავედით, ალაბალიქელი თაიარ თექინის თანხლებით.

ალაბალიქში არ იციან ტაძარანი.

სოფლის ორღობებს გავცდით... ირგვლივ შიშველი მთებია, ხეობაშია მხოლოდ სიმწვანე.

წინათ სომხებს უცხოვრიათო აქ. რამდენიმე წლის წინ სომეხი იყო მოსული რუკით, რაღაცას ეძებდაო... ჩვენთვის გასაგებია, რასაც

ეძებდა სომეხი და რაზეც მიგვანიშნებს ბატონი თაირი, ჩვენი ალაბალიქელი გიდი.

ქუქარისში ავედით. აქ მინის ქვეშ ქალაქიაო, ქვა არისო იქ ჯვრის გამოსახულებით, – მოგვითხრობს თაირი სოფელში გაგონილს. ისიც გვითხრა, ეკლესიიდან ქვები წაიღეს და სოფელში სახლის მშენებლობაზე იხმარესო.

ასეთი ინფორმაციის გამგონეს მიფიქრია: ამ კუთხეში ქვის ნაკლებობას არავინ უჩივის, სახლის მშენებლობისათვის ხომ შეიძლება სხვა ქვა გამოიყენონ და არა – ეკლესიის დანგრევით მოპოვებული. ჩანს, ვიღაც აქეზებდა აქაურებს, ეკლესიის ქვა გამოეყენებინათ და ეს მიზანმიმართულად ხდებოდა. წარმოვიდგინოთ ასეთი სიტუაცია:

– ანგრევენ ეკლესიებს და ქვები სახლის მშენებლობისთვის მიაქვთ;

– ანგრევენ ეკლესიას და მის საძირკველზე ჯამეს აშენებენ;

– ანგრევენ სიძველეებს და იქ განძს ეძებენ...

– ადგილობრივ მოსახლეობას არწმუნებენ, რომ ისინი ყივჩალების, ახისხელი თურქების, უზბეკებისაც კი ჩამომავლები არიან, რომ აქ წინათ, უმეტესად მაინც, ერმენები ცხოვრობდნენ, ნაკლებად შეხვდებით, რომ ამა თუ იმ სოფლის ადგილობრივი მოსახლეობა ძველი ქართველები არიან...

და ეს ხდება არა მარტო ტაოში, ასეა ქოროხის სხვა ქვეყნებშიც, კლარჯეთსა და შავშეთში, ალბათ მტკვრის ხეობაშიც, სადაც არ მიმუშავია და რეალური ვითარება არ ვიცი...

თუ ზემოთქმულს დავუმატებთ ძველი გეოგრაფიული სახელების ახლით, თურქულით შეცვლას, ნათელი გახდება ამ ქმედების მიზანი, – წაიშალოს წარსულის კვალი ამ მიწაზე...

საუბრით გავიარეთ ორ კილომეტრზე მეტი და ქილისეს სანახებს მივადექით. აქამდე გზა მდინარის მარცხენა ნაპირს მიყვებოდა, ახლა მარჯვენაზე გადავედით, ველი გავიარეთ, პატარა ხეზე გადავედით და საკმაოდ გრძელი ველის გავლის შემდეგ ტაძრებს მივადექით.

ჩვენს თვალწინ შემდეგი სურათი გადაიშალა:

მალა განცალკევებით დგას კოშკი, რომელიც დარაჯობს ტაძრებს.

კოშკის ქვეშ რამდენიმე ეკლესიის ნანგრევია. ამ ადგილს **ქილისელერი** (შდრ. ეკლესიები) ქვია, გალმით – **ყიზილ პარეხია** (შდრ. წითელი პარეხი).

ბიზანტიური არქიტექტურის ნიმუშიაო ეს ნაგებობები, – თქვა მერაბმა გარკვეული დაკვირვების შემდეგ.

**პირველი ბაზილიკა:** ნაშენია დამუშავებული ქვითა და დულაბით. სახურავი ჩაქცეულია, ატყვია თალოვანი გადახურვის კვალი. დასავლეთით დატანილია კარი, აღმოსავლეთით გადარჩენილია საკურთხეველი.

ბაზილიკის ზომებია: **8.2x3** მეტრზე.

**მეორე ბაზილიკა:** მეორე ეკლესია პირველზე დიდია, მისი ზომებია **7x5** მეტრი. ირგვლივ ტაძრისა და ციხის ნაშალი ყრია, ტაძრებს შორის სამანქანე გზა გაუჭრიათ, „მყუდროება და ურღვევიათ ტაძარანის ბინადართათვის“, ადამიანის ძვლები მიმოფანტულია ახალგაყვანილი გზის პირზე.

ზემოთ, ხელოვნურ ტერასაზე, კიდევ ორი ბაზილიკაა, იგივე მასალით ნაშენები, რითაც – პირველი ორი.

**მესამე ბაზილიკას** ატყვია საპირე ქვების კვალი, თუმცა პერანგი მთლიანად შემოძარცვულია. შენობა დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. აღმოსავლეთით გადარჩენილია საკურთხევლის ნაშთები. ტაძარს ჩრდილოეთის მხრიდან აქვს ნახევართალოვანი მინაშენი. ბაზილიკა შიგნიდან შელესილი უნდა ყოფილიყო.

ბაზილიკის ზომებია **5x3.5** მეტრი.

**მეოთხე ბაზილიკა,** წინა სამთან შედარებით, მცირეა. საშენად, როგორც ვთქვით, იგივე მასალაა გამოყენებული, რაც წინა სამისათვის, – დამუშავებული ქვა და დულაბი. სალოცავს კარი სამხრეთიდან აქვს, აღმოსავლეთით საკურთხევლის ნაშთებია. საკურთხეველში დატანილია მოზრდილი ნიშა.

ტაძრის ზომებია: **2.5x6** მეტრი. კედლის სიმაღლე იატაკამდე – **2.9** მეტრი.

როგორც აღვნიშნეთ, ბაზილიკებს ზემოთ კოშკია, ქვითა და დულაბით ნაშენები. მისი დიამეტრი **7** მეტრია, გადარჩენილია ჩრდილო კედელი, რომლის სისქე **1.6** მეტრია, სიმაღლე – **4** მეტრამდეა. კოშკი ბუნებრივ ფრაქციაზეა დამუშავებული.

მოვრჩით ტაძარანის ბაზილიკებისა და კოშკის დათვალიერება-შესწავლას. **3** საათსა და **30** წუთზე ჩვენი დროით სოფელში ჩამოვედით. ოლთისში ვბრუნდებით. ზეკარზე მანქანა გავაჩერეთ, ცოტა შევისვენეთ, გარემო დავათვალიერეთ და გზა გავაგრძელეთ. მალე ნარმანში ვიყავით. **5** საათსა და **30** წუთზე ფარნაკის მეორე ციხეზე, **ვაჟის ციხეზე** ასვლა დავიწყეთ. ასასვლელად ძნელი არაა სიმაგრე, თუმცა კარის ქვეშ ქვა დამიცურდა და ფეხის ცერა თითი ვიღრძე...

**2013** წლის აგვისტოში პირველად ამოვედი ამ ციხეზე რუსლან ბარამიძესთან ერთად: ნაგებობა ავზომეთ, აღსანერი აღვწერეთ, გადასაღები გადავიღეთ, შევისწავლეთ, როგორც შევძელით, მაგრამ ჩანანერები დავკარგე. მას შემდეგ ბევრჯერ გავიარეთ ამ გზაზე, ოლთისისაკენ თუ ოლთისიდან, ყოველ გავლაზე ვფიქრობდი, კვლავ ავსულიყავი სიმაგრეზე. დღეს მოვახერხე და ამოვედი ციხეზე მალხაზთან და მერაბ ხალვაშთან ერთად...

პირველი, რაც თვალში ეცემა მნახველს, ვაჟის ციხის მდებარეობაა: მაღალ ბორცვზე აუშენებიათ სიმაგრე, აღმოსავლეთით ფრიალო კლდე საზღვრავს, ჩრდილო აღმოსავლეთით, სამხრეთითა და დასავლეთით არცთუ დამრეცი ფერდობი. ციხეს ოთხივე მხრიდან არტყია ქვის გალავანი, კედლის სისქე – **70** სანტიმეტრია.

აღმოსავლეთითა და სამხრეთით ციხე ხელოვნურ ფრაქციაზე დგას.

ციხის სამხრეთით მოზრდილი ბაზილიკაა. შემორჩენილია ჩრდილოეთის, სამხრეთისა და აღმოსავლეთის კედლები, დასავლეთი კედელი დანგრეულა, მთლიანად ჩამოქცეულია სახურავიც.

საკურთხევლის თავზე და ჩრდილო კედელზე სარკმლებია დატანილი, კარი სამხრეთიდანაა.

ეკლესია ნაშენებია დამუშავებული ქვითა და დუღაბით. კედლის შიგა მხარეს ატყვია ბათქაშის კვალი.

სამხრეთ კედელთან „არქეოლოგებს“, განძი-მაძიებლებს საკმაოდ ღრმა თხრილი გაუჭრიათ, „აინტერესებთ“ რა ინახება ბებური ციხის ეზოში...

ციხის ჩრდილოეთით მოზრდილი ველია (13x26 ნაბიჯი), ზედაპირული დათვალიერებით ნაგებობის კვალი არ ჩანს. შესაძლებელია, არქეოლოგიური გათხრებით აქ დადასტურდეს შენობების არსებობა.

აღმოსავლეთით, სადაც კოშკის ნანგრევებია, ჩანს კარის ღიობი.

ეკლესიის გვერდით წრიული ფორმის წყლის რეზერვუარია, დღეს მიწით ამოვსებული.

სურათები გადავიღეთ, დავისვენეთ და ციხიდან ჩამოვედით. უკვე გვიანია, სასტუმროში დაბრუნების დროა...

**10 აგვისტო, პარასკევი.** შუადღის 12 საათზე თორთუმში ჩავედით. გზა მშვიდად გავიარეთ:

რამაზს სძინავს,

ნუგზარი წნევას ებრძვის,

მერაბი, ზაზა, მალხაზი და მე ვსაუბრობთ,

ტარიელი დინჯად მართავს მანქანას, გვისმენს, ხანდახან საუბარშიც ჩაერთვება...

თორთუმი-არზრუმის გზის მეთორმეტე კილომეტრზე მარცხნივ ჩავუხვიეთ, ზეკარი გადავიარეთ და... მალალ ბორცვზე თორთუმის ციხეც გამოჩნდა. შორიდან კარგად შენახული ჩანს სიმაგრე, ხეობის ორივე მხარეს, – ჩრდილოეთსა და სამხრეთს აყურადებს.

უპირველესად ციხეზე ასავლელი უნდა მოვინახოთ.

დასახლებას უნინ თორთუმი ერქვა, ახლა – თორთუმ კალე ქოე. ჩანს, ძველი თორთუმი ციხის გარშემო დასახლება იყო...

შემორჩენილი ფრაგმენტები კარგად წარმოგვიდგენს ციხის გეგმას.

სამხრეთიდან მივადექით ციხეს. ნელ-ნელა დავიწყეთ ასვლა.

პირველი შთაბეჭდილება: ციხე დიდია!

ბევრჯერ ვყოფილვართ თორთუმში, აქამდე თორთუმის ციხით არ დავინტერესებულვართ.

ალბათ იმიტომაც, რომ იგი ქალაქიდან მოშორებულია. და კიდევ, ციხე ქალაქშიცაა, რესტავრირებული და კარგად შენახული...

სიმაგრე რამდენიმე იარუსიანია, რომლებიც ერთმანეთისაგან გალაგნილია გამოყოფილი.

პირველი იარუსის კედელი გრძელდება ბუნებრივ კედლამდე.

პირველ იარუსზე, კლდის ძირში ბაზილიკის ნანგრევია.

განძიმამაძიებლებს ეკლესიის წინ „გათხრები“ უნარმოვებიათ, ღრმა თხრილი გაუჭრიათ. ეკლესია ქვის საძირკველზე დგას... ტაძარი დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, გადარჩენილია ჩრდილო კედელი, რომლის სიგრძე 11 მეტრამდეა, სიმაღლე – 6 მეტრამდე. ბაზილიკის სიგანე არ ფიქსირდება. გადარჩენილ კედელს არ ეტყობა ბათქაშის კვალი. ტაძარი გადახურული ყოფილა მონითალო ქვის კვადრატული ფილებით.

ეკლესიის გასწვრივ მეორე გალავანია, რომელიც კლდის ქიმზეც გრძელდება.

ციხის დასავლეთით ჩანს კედლის ნაშთები, რომელიც მიუყვება მთელ სიგრძეზე და ბუნებრივ სიმაგრესთან, ფრიალო კლდესთან ერთად ჩრდილოეთიდან მიუვალს ხდის მას.

გარე კედლები მთავრდება ქონგურებით, რომლის ქვეშ ბილიკებია მოწყობილი.

კედლის სისქე 1.2 მეტრამდეა.

ციხის სამხრეთით მოზრდილი შავი ქვითა და დუღაბით უშენებიათ კედლის ნაწილი, რაც გვაფიქრებინებს, რომ თავდაპირველად აქ კოშკი იყო.

ციხის მთავარი შესასვლელი ჩრდილოეთიდანაა.

ზემო ციხეზე ავედით. ჩანს პატარა ეკლესია, ბაზილიკა, როგორც მერაბი ამბობს, ბიზანტიური პერიოდისა. ეკლესიის კედლები აგურითაა ნაშენები. შიგა სივრცე ღია ყავისფერი ბათქაშითაა შელესილი. კამარა ბრტყელი აგურებითაა შეკრული, ისეთივე აგურებითაა ამოყვანილი ჩრდილოეთი კედლის თაღოვანი ნაწილი.

ეკლესიას არ აქვს კლასიკური მომრგვალებული აფსიდი, თუმცა შეიმჩნევა საკურთხევლის კვალი.



ბაზილიკა დამხრობილია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ.

ციხის აღმოსავლეთით მაღალი კოშკია.

საკმაოდ ფართეა ზემო ციხე, შეიმჩნევა საძირკვლამდე მორღვეული ნაგებობების კვალი. კედლები მაღალია, შეიძლება 10 მეტრზე მეტიც. ზემო ციხის კედლებზე მინაშენებია, იკვეთება ორი სენაკიც. ჩანს, კედლები შელესილი იყო...

კარგა ხანს დავობდნავდით ციხის ერთი კუთხიდან მეორეზე, ფოტოები გადავიღეთ, მცირე არქეოლოგიური მასალაც მოვიპოვეთ ციხის ისტორიისათვის.

კმაყოფილები ჩამოვდიოდით ციხიდან; კმაყოფილები იმით, რომ ერთხელაც შევხვით წარსულს, რამდენიმე საათი დავდიოდით ციხის ბილიკებზე და...

მაღლა ავუყევით ხეობას. მდინარის მარჯვენა ნაპირზე მოზრდილი დასახლებაა. ერთგან ძველი სახლებია, ბანიანი. ეს უკანასკნელი კალოს ფუნქციასაც ასრულებდა. ეზოში ცალკე დგას ბოსელი და საბძელი. დასახლებაში სახლები ერთადაა თავმოყრილი, სავარგულები, – ჭალები, ყანები და ბახჩები სოფლის გარეთაა. ეს სოფელი ალაფინარია, ძველი – **ბოცენსი** (<\*ბოცონისი?).

მიქაილ ქელფეთინს, ბოცენისელს შევხვდით.

– ვინ ცხოვრობს ამ სოფელში? – ვეკითხებით ახალგაჯნობილს.

– შუა აზიიდან ვართ მოსული!

მეორე სოფელში გვეუბნებიან შუა აზიიდან ვართო მოსული, – გადავუღლაპარაკე რამაზს.

– მიქაილ ბატონო, ადგილის სახელები ჩავგანერინეთ, ოღონდ ძველი სახელები!

**ბოცენსი** – სოფლის ძველი სახელი.

**გასერიქი,**

**კუვანსი** (<\*კუვანისი?),

**თიფილი** (შდრ. თფილი<\*თბილი),

**ვახტანსი** (<\*ვახტანისი<\*ვახტანგისი),

**ჩერიქი**, ძვ. ნორეშენი,

**ჰაშუთი/ხაშუთი,**

**ვარშენი,**

**ჰოსფირი** (<\*ჰოსფორი?).

– ხეობას რას ეძახით? – კითხულობს მაღსაზი.

– ხეობას სახელი არ აქვს, დიდ ღელეს ვეძახით, – გვეუბნება ინფორმატორი.

ყურადღებას მივაქცევ გეოგრაფიულ სახელებს, კერძოდ:

**ბოცენსის, კუვანსის** (<\*კუვანისი?), **თიფილის, ვახტანსის** (<\*ვახტანისი <\*ვახტანგისი), **ჰაშუთი/ხაშუთის** ქართულობა ეჭვს არ იწვევს. ქართული უნდა იყოს **ნორეშენიც**.

**გასერიქი, ვარშენი** აშკარად არაქართულია, ეჭვს ბადებს **ჰოსფირის** (<\*ჰოსფორი?) წარმომავლობა.

გამოდის, რომ სოფლის მიკროტოპონიმის ძირითადი ნაწილი ქართულია, სულ ორიოდე სახელია აშკარად არაქართული.

ოლთისის ციხის ახლოს სოფელია – **ყალედიზი**, ვფიქრობთ, სახელწოდება ქართული **ციხისძირის** პირდაპირი თავმანია. გავიხსენებ, რომ გეოგრაფიულ სახელთა შეცვლის ერთი გზა ძველი სახელის მნიშვნელობის პირდაპირი თარგმანია. ყალედიზიც ამ გზითაა მიღებული.

ყალედიზის გაღმა ქვაბებია, **ჯიღჯილის** მაღარებს ეძახიან. ინფორმატორის განმარტებით მაღარები ძველია, იქნებ ადამიანებიც ცხოვრობდნენო შიგ.

მაღარებს ზემოთ ვაკეა, მას **ცუხური** ჰქვია.

**ჯიღჯილიცა და ცუხურიც** ქართული სახელებია:

**ჯიღჯილი** გაჭიანურებული და უაზრო ლაპარაკია აჭარულში.

**ცუხურ**ში გამოვყოფთ **–ურ** სუფიქსს და **ცუხ<ცხ** ძირს. **–ურ** კიდევ წარმომავლობის სახელებს აწარმოებს, აქვს სხვა დატვირთვაც<sup>19</sup>.

ვიკითხეთ, ვისი სოფელი იყოო ყალედიზი?

– 1915 წლამდე აქ სომხები ცხოვრობდნენ, თურქებთან კონფლიქტის შემდეგ წავიდნენო.

ყალედიზელთა თურქულში ორიოდე ქართული ფუძეც დავადასტურეთ: **ქართოლი** და **ლობიო**.

<sup>19</sup> იხ. ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, დასახ. ნაშრ.

უზუნდერედან თორთუმისაკენ ოთხ კილომეტრში, იქ სადაც ფირნიშია – **ენგუზექ ქაფიკალესი**, შევეხვიეთ და მცირე ხევში შევედით. მანქანა დაბლა დავტოვეთ და ფეხით ავედით ციხეზე. ღვარს გაუფუჭებია ახლადგაჭრილი გზა... ბარემ ვიტყვი: დღევანდელი უზუნდერე (შდრ. გრძელი ხევი) ძველი **ნიხორია**. ხეობაში რამდენიმე ქართული სოფელია: **ჭალა, ოხსეთი, ავშენი**. რამდენიმე სომხური სოფელიცაა ნიხორის ხევში: **ინგუზექი, ოშქვანქი, \*ხარხი, \*ისი, აშუნქიტსორი, ძიხეგი, \*თევი, \*ხათხა, აშუნქი**.

სხვა გეოგრაფიულ სახელებზე არაფერს ვიტყვი, მაგრამ **\*ხარხი, \*ისი, \*თევი, \*ხათხა** სომხური ნამდვილად არაა, დღეს რომ სომხები ცხოვრობენ, სხვაა, თავად სახელებია ქართული. განსაკუთრებით ყურადღებას მივაქცევ ძველი წარმოების ორ ტოპონიმს **ხარხი** და **ხათხა**. მათში **-ხი, -ხა** სუფიქსებს გამოვყოფთ. რაც შეეხება **თევ**'სა (**\*მთევი//მთები**) და **ისი**'ს ჩემში მათი ქართულობა ეჭვს არ იწვევს...

აღმოსავლეთიდან მივაღექით ციხეს: რკინის ხიდით ღრმა ხევი, უფსკრული გადავიარეთ და ბილიკით ციხეში შევედით.

კარს იქით ბანარი ორად იყოფა: ერთი დაბლა ეშვება და კლდეზე მიშენებული გვირაბით ხევში ჩადის; მეორე ბილიკით შიგა ციხეში ვხვდებით.

უაღრესად საინტერესო ნაგებობაში ვართ: მაღალ კლდეზე დაშენებულია მაღალი ციხე დაუმუშავებელი ქვითა და დულაბით ნაგები. სიმაგრე ოთხივე მხრიდან ბუნებრივი სიმაგრით, ფრიალო კლდითაა შემოზღუდული. ციხეში მოხვედრა აღმოსავლეთის მხრიდან ხიდით და ხევიდან გვირაბით არის შესაძლებელი.

ნაგებობას ეტყობა რესტავრაციის კვალი.

ჩაქცეულ კარში გავძვერით და შიგა ეზოში შევედით. მარჯვნივ, ზემოთ ეკლესიაა, მცირე ბაზილიკა, კარგად დაცული, ზომები: **2.7x5 მ**.

ჩანს, ზემო ციხის ნაგებობები რამდენიმესართულიანი იყო: იკვეთება სართულმორისი ძელების კვალი, დღემდე კედლებში ჩანს ძელების თავები.

ციხის კედლებიდან დავყურებთ ხევს. შორს, სიღრმეში, მდინარე მიედინება – ოლთისისწყალი.

ზემო ეზოში წყლის რეზერვუარია თაღოვანი გადახურვით, რომლის ჩრდილო კედელი აგურითაა ამოყვანილი, დანარჩენი სამი ქვაშია ამოკვეთილი, ჩანს ბათქაშის კვალი.

წყლის რეზერვუარის ზომებია: **210x160 სმ**.

სამხრეთით ქვის საფეხურები მიუყვება კედელს, რითაც ზემო კოშკში ვხვდებით.

კიბეს ავუყევი, ქონგურებს მივალნიე. ჩემს ქვემოთ სალი კლდეებია... კოშკში აღარ ავსულვარ, უკან გამოვბრუნდი.

კარგა ხანს ვიტრიალეთ ციხეში, გული ვიჯერეთ წარსულთან დიალოგით...

დაღამებამდე ჯერ ადრეა, ოშკის ნახვას მოვასწრებთ...

ოშკი შეღობილი დაგვხვდა, სარესტავრაციო სამუშაოები დაუწყიათ: **480** დღეში დასრულდება სამუშაოები, გვამცნობს აბრა.

მნიშვნელოვანია, რომ ჭოროხის ხეობაში ქართული სიძველეების აღსადგენად სამუშაოები მიმდინარეობს:

**იშხანი** – დასრულდა,

**პარხალი** – სრულდება,

**ოშკი** – დაიწყო,

**ოთხთა ეკლესია** – გეგმაშია, მალე დაიწყება...

სასიამოვნოა, რომ ტაოს ქართული ძეგლები ახალ სიცოცხლეს იძენენ...

ამით დავასრულეთ ექსპედიცია „ტაო – 2018“, მეორე ეტაპი. ხვალ, **11** აგვისტოს ბათუმში დავბრუნდებით.

**განსჯა**: **16** დღე გაგრძელდა (**27** ივლისი – **11** აგვისტო) კომპლექსური ექსპედიცია „ტაო 2018“, რომელიც ორ ეტაპად ჩატარდა:

**პირველი ეტაპი**: **27** ივლისი – **3** აგვისტო;

**მეორე ეტაპი**: **4** – **11** აგვისტო.

ექსპედიციის მიზანი იყო, შეგვეგროვებინა ფოლკლორული, დიალექტოლოგიური და ეთნოლოგიური მასალები და შეგვესწავლა მატერიალური კულტურის ძეგლები, მოგვეპოვებინა არქეოლოგიური მასალები.

აღვნიშნავთ, რომ ტაოს მექართულე სოფლები გაშენებულია **ელასხევის// ხევეკის ხეობაში**, ქართული ისმის ასევე **ბინათში**, კლარჯეთისა და ტაოს მოსაზღვრე ტაოურ სოფელში. მოგზაურთა თუ მკვლევართა ჩანაწერებიდან ცნობილია, რომ ქართულად მოლაპარაკე სოფლების რიცხვი საუკუნის წინ გაცილებით მეტი იყო: ქართულად ლაპარაკობდნენ, მოხუცები მაინც, **ოთხთა ეკლესიაში, პარხალში, ფანასკერტში**, სხვა სოფლებშიც. მოპოვებული მასალები, მოცულობით ვრცელი და მრავალფეროვანი, საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ ტაოური კილოს სტრუქტურაზე ენობრივი იერარქიის ყველა დონეზე, ქმნის საფუძველს ტაოური გამოიყოს ქართული ენის ცალკე ქვესისტემად. გამოვყოთ რამდენიმე მახასიათებელს, რითაც ტაოური განსხვავდება მისი მოსაზღვრე კლარჯულისაგან და სხვა სამხრული კილოებისაგან, კერძოდ,

1. ფონეტიკაში:

ა. ჯ'ს პოზიციერება;

ბ. უმლაუტიანი (ო,უ) ხმოვნები;

გ. **V-V** პოზიციამი ვ'ს სისტემური დაკარგვა;

დ. **დ:ნ** მონაცვლეობა ზმნაში: მოვდეს>მოვნეს... რასაც შეიძლება მორფოლოგიური საფუძველი მოეძებნოს.

ე. ტონური მახვილი, მოგალობება, რომელიც მოუდის სიტყვას ბოლოდან მეორე მარცვალზე და რომლითაც ტაოური განცალკევებით დგას სხვა სამხრული კილოებისაგან;

ვ. ხმოვანთგარდაქმნის პროცესის უფრო შორს წასვლა სხვა კილოებთან შედარებით: **გამოულო>გამუულო>გუმულო**. ბოლო ფორმა (გუმულო) მხოლოდ ტაოურში გვხვდება...

2. მორფოლოგიაში:

ა. **ხ:ჰ:ს** პრეფიქსების მონაცვლეობა ზმნებში;

ბ. მრავლობითი რიცხვის წარმოების არქაული წესი: ერთი **მოვდა**, ორი, სამი... **მოვნეს**.

გ. ოცობითი თვლის სისტემა: **ორ ოცი, სამ ოცი... ხუთ ოცი, ექვს ოცი...** თუმცა იციან **ასი** და **ასდაოციც...**

დ. კითხვითი **ა'** ნაწილაკის პოზიციერება....

3. ლექსიკაში:

კარტოფილი – **ქართოლი, მარქვალი**;

ქალი – **ბგანო**;

ცოლი – **ბებერი**;

მეტსახელი – **სახელმეტაჲ**;

საუბარი – **ხვარათი**;

ცოტა – **აბლი...**

ბუნებრივია, არსებობს სხვა თავისებურებანი, რომელთა ჩამოთვლას არ გავაგრძელებ.

– ექსპედიციამ მოიარა და აღწერა მექართულე და მეთურქულე ტაოს ტოპონიმია. ცნობილია, რომ მეთურქულე ტაოს მოსახლეობა ისტორიულად არ იყო ერთფეროვანი. აქ თავს იყრიდნენ სხვადასხვა ერის წარმომადგენლები: ქართველები, სომხები, ბერძნები... მოგვიანებით თურქები. ტაოს იჩემებენ სომხები, თუმცა ისტორიულად იგი ქართული ქვეყანაა ქართული მოსახლეობით. ქართველი კაცის ნაკვალევს ტაოში კარგად წარმოაჩენს ტოპონიმია, რომელშიც აისახება აქ მცხოვრებთა ვინაობა, მისი ყოფა, მეურნეობა, აქაური ფლორა, ფაუნა... მიგვაჩნია, რომ გამონვლილვით უნდა აღინეროს მეთურქულე ტაოს ტოპონიმია, ყოველი გეოგრაფიული სახელი გარკვეული ინფორმაციის შემცველია. ჩვენ მიერ ჩანერილი ტოპონიმიკური მასალის უმეტესი ნაწილი ქართულით/ქართველურით აიხსნება, რაც მნიშვნელოვანია; თუმცა მკვლევარს სიფრთხილე მართებს, უფრო, უნდა გაითვალისწინოს მეთურქულე ტაოს ბევრ სოფელში შექმნილი ვითარება, კერძოდ: სოფლის სახელწოდება ქართულია, მიკროტოპონიმია – ქართული, მოსახლეობა აცხადებს, რომ აქ უწინ **სომხები/ერმენები** ცხოვრობდნენ, რომ ისინი **ყივჩალები//ყივჩალ-თურქები, უზბეკები** (შუა აზიიდან მოსულები), **ახალციხელი თურქები...** არიან. ძალიან ცოტა თუ იტყვის, რომ მისი წინაპარი ქართველი იყო... აქ საქმე გვაქვს ასიმილირებულ ქართველებთან, რომელთაც ჩააგონეს, რომ მათი წინაპრები მოსული არიან...

არის დასახლებები, რომლის მოსახლეობამ არ იცის სოფლის მიკროტოპონიმია, არც წარსულის ხსოვნა აქვს, ამ შემთხვევაში, ვფიქრობთ, მოსახლეობა შეცვლილია, ამიტომაც არ აქვს კავშირი წარსულთან. ტოპონიმია ბევრ კითხვას სცემს პასუხს...

ტაოს ტოპონიმის მცირე ნაწილი არაქართულია, რაც ბუნებრივია და იმ მოსახლეობის მკრთალი ნაკვალევია, ვისაც აქ, ქართველებთან ერთად, ისტორიულად უცხოვრია.

და ბოლოს, ტოპონიმთა ერთი ნაწილი ამჟღავნებს უძველეს წარმოშობას: **კალმახი, ბალხი, ხუახი, ჯიჯიხი/ჭიჭიხი...** რომლებშიც გამოიყოფა სხვადასხვა ხმოვნის თანხლებით –**ხ** სუფიქსი, რითაც ეს გეოგრაფიული სახელები ანალოგს პოულობენ, ერთის მხრივ, ძველ ტოპონიმებთან: **ტაოხი, კოლხი, მოსოხი...**, მეორეს მხრივ, კავკასიურ და წინააზიურ სამყაროსთან.

ახალ დროში გეოგრაფიულ პუნქტებს ძველი სახელები შეუცვალეს. ცვლილება უმეტესად შეეხო მაკროტოპონიმს, უფრო ნაკლებად – მიკროტოპონიმს.

ცვლილება რამდენიმე გზით წავიდა:

ა. სახელებისათვის შეარჩიეს ახალი ნიშანი, შესაბამისად, ახალი სახელი უწოდეს გეოგრაფიულ პუნქტს.

ბ. ძველი სახელის გადააზრებით მოხდა სახელება: **თუხარისი** (ხეობა) – ოქუზ დერე (თუხარისის ფუძეში, ჩანს **ხარ’/წარ’** სახელური ძირი დაინახა სახელმძღვანელო).

გ. გეოგრაფიული სახელი თარგმნეს თურქულად: **ვაშლოვანი – ელმალი**.

– ექსპედიციამ მოიპოვა მნიშვნელოვანი ფოლკლორული მასალა: ლექსები, თქმულებადამოცემები, ანდაზები... არსებული მასალა საფუძვლად დაედება ტაოურ ფოლკლორს. ტაოში ჩანერილი ზოგიერთი დამოცემა იმეორებს, ბუნებრივია, სხვადასხვა ვარიაციით, ჭოროხის სხვა ქვეყნებში – კლარჯეთში, შავშეთში, აჭარაში – არსებულს, რაც ერთხელ კიდევ გვარწმუნებს, რომ ჭოროხის აუზი ერთიანი კულტურული სივრცეა.

– ტაო განსაკუთრებულია ეთნოლოგიური თვალსაზრისით. მოპოვებული მასალა საშუა-

ლებას იძლევა, შეიქმნას ტაოს ეთნოგრაფიული პორტრეტი. ბევრი რამ იქცევა ყურადღებას:

ა. ტერასული მეურნეობა.

ბ. გარემო პირობების შესაბამისი ტაოური სახლი:

I სართული: ბოსელი ქორითურთ (ქორი წვრილფეხა საქონლისათვის გამოყოფილი ადგილია ბოსელში).

II სართული: საცხოვრებელი.

III სართული: სათივე და ბეღელი.

სართულები ერთმანეთს შიგა კიბით უკავშირდებოდა, ჰქონდა გარე კიბეც.

ტაოში გვხვდება, ასევე, განცალკევებით მდგარი საცხოვრებელი სახლი და ბოსელი სათივრებით.

ძველი სახლის ეზოებში ჩვეულებრივია კალოები, რაც ამ კუთხეში მემინდვრეობის განვითარებაზე მიუთითებს.

გ. დასახლების ტიპი: სოფელში ქოხები (სახლები) ერთმანეთის გვერდიგვერდაა, სავარგულები – ბალები, ჭალები, ყანები დასახლების – გარეთ.

სოფელი იყოფა უბნებად (მაჰალეებად), ყოველი სულაღე ცალკე ცხოვრობს და ქმნის სოფლის უბანს: სულაღე – **დოლენჯიანი**, უბანი – **დოლენჯიანი/დოლენჯიანი**.

დ. ყურადღებას იქცევს „გვარების“ –იან სუფიქსიანი წარმოება: ჭარაბიანი, ჭედლიანი...

ე. ტაოში ნამსხვრეებად, მაგრამ მაინც, შენახულია ქალოცა – მოსავლის დღესასწაული, რომელიც იმართებოდა შემოდგომაზე, ქალოცას (ოქტომბერი) თვეში.

– ტაო მოფენილია მატერიალური კულტურის ძეგლებით: ციხეები, ეკლესიები, სამონასტრო კომპლექსები. ბევრი მათგანი კარგადაა შესწავლილი, ქართულ სინამდვილეში არსებობს მათ შესახებ საყურადღებო ნაკვლევები, ბევრიც ჯერ კიდევ ელოდება მკვლევარს, მაგალითად, ესბეკი, თუხარისი... სხვაც ბევრი.

## თინა შიოშვილი პაია ჭაფარიძე

### ლეგენდა ქართულ მუკავირთა შთამომავლების ფოლკლორში

ლეგენდა, თანამედროვე გაგებით, ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთი არქაული პროზაული ჟანრია; იგი ეფუძნება რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებს და ფანტასტიკურ-სასწაულებრივ სამოსელში წარმოგვიდგენს ოდესღაც რეალურად მომხდარ ამბავს.

ლეგენდის ცალკე ჟანრად წარმოშობა-ჩამოყალიბება უკავშირდება მითოსურ ხანას, რომლის წიაღშიც საზოგადოებრივ-კულტურული განვითარების დონისა თუ კონკრეტული ისტორიული ფაქტორების ფონზე „მითმა, თავისი სინკრეტული ბუნების წყალობით, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სხვადასხვა იდეოლოგიური ფორმის გენეზისში“ (ნიკლაური-ხუხუნიანი, 2000: 454).

მითოსური რწმენა-წარმოდგენების წიაღი სწორედაც ის აკვანი იყო, სადაც უხსოვარი დროიდან ზეპირსიტყვიერების სხვა ჟანრებთან (ზღაპარი, თქმულება-გამოცემა, საგმირო ეპოსი და სხვა) იბადებოდა და ყალიბდებოდა ლეგენდური სიუჟეტები, თუმცა თავად ტერმინი „ლეგენდა“ (ბერძნ. „საკითხავი“, „წასაკითხავად განკუთვნილი“) შედარებით გვიანდელია, ქრისტიანულ-რელიგიური წარმოშობისაა, შუა საუკუნეებში დამკვიდრდა და თავდაპირველად უწოდებდნენ წმინდანთა წამებისა და ცხოვრების თემებზე შექმნილ თხზულებათა ნაწყვეტებს, რომლებიც ამ წმინდანებისადმი მიძღვნილ საეკლესიო მსახურებისა თუ მონასტრული ტრაპეზის დროს იკითხებოდა გარკვეული შთაბეჭდილებების მოსახდენად; ამიტომაც მათში თანდათანობით ყურადღება მახვილდებოდა სასწაულებრივ ეპიზოდებზე. შემდგომში ამ სიტყვის სემანტიკა გაფართოვდა, იგი გამოიყენებოდა არა მარტო საეკლესიო-რიტუალური პროზაული ნაწარმოებების, არამედ ყველანაირი რელიგიური-დიდაქტიკური მოთხრობის აღსანიშნავად, რომლებიც გადმოიცემოდა ქრისტიანული რელიგიის კულტად ქცეული ისტორიული პიროვნებების, ცხოველებისა თუ მცენარეების, სხვადასხვა მოვლენებისა და საგნების შესახებ შეთხზული ფანტასტიკური ამბები, რომლებიც ფოლკლორიზაციას განიცდიდნენ.

ქრისტიანულ წიაღში ფორმირებული სიტყვა „ლეგენდა“ ზოგჯერ უფრო ფართო მნიშვნელობა-საც იძენდა; ამ ტერმინით მოიხსენიებდნენ არაქრისტიანულ რელიგიურ თხზულებებსაც, ბუდას, მუჰამედის თუ სხვა კულტებისადმი მიძღვნილ რელიგიურ-ფანტასტიკურ ამბებს. ლეგენდა ხშირად უკავშირდებოდა არასასულიერო პირების, ანუ ერისკაცების (მეფეები, ფეოდალები, სახალხო გმირები) სახელებსაც, ოღონდაც, ბუნებრივია, ამ ჟანრის ჩარჩოებში მოქცეული ნარატივი აუცილებლად რელიგიური სამოსელით უნდა შებურვილიყო.

ლეგენდურმა სიუჟეტებმა ხანგრძლივი ევოლუცია განიცადა – უძველეს, წარმართულ რწმენა-წარმოდგენებზე დაფუძნებული მითური სიუჟეტები მონოთეისტური რელიგიების გავლენით ახალი თვისობრივი ნიშნებით აღიჭურვნენ და ლეგენდებად იქცნენ, თუმცა მათში ხშირ შემთხვევებში ბოლო დრომდე ამკარად შეიმჩნევა ძველი, პოლითეისტური რწმენა-წარმოდგენების კვალი; ზოგჯერ კი ძველი და ახალი რელიგიები ერთმანეთთან მჭიდროდ არის გადაჯაჭვული.

მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხის ზეპირსიტყვიერ შემოქმედებაში დაახლოებით ამგვარი გზა გაიარა ამ პროზაულმა ჟანრმა, რომელსაც დღევანდელი მეცნიერული გაგებით ლეგენდას ვუნოდებთ.

ქართულ ზეპირსიტყვიერებაში გვაქვს როგორც ქრისტიანული, ისე მუსლიმური (აჭარა, მესხეთ-ჯავახეთი, ისტორიული რეგიონები – საინგილო, შავშეთი, კლარჯეთი) და წარმართულ რწმენათა ამსახველი ლეგენდები; ზოგიერთ მათგანში კი კონტამინირებულია ყველა რწმენათა კვალი. სწორედ ამგვარ ფენომენტთან გვაქვს საქმე თურქეთის რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონებში მცხოვრებ ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების ხალხურ სიტყვიერებაში. ჩვენებურების ისტორიულმა მესხიერებამ, სხვა ფოლკლორულ ჟანრებთან ერთად, ბოლო დრომდე შემოინახა ხალხური ლეგენდები, რომლებიც, ბუნებრივია, მუსლიმური რელიგიის კვალს ატარებენ და ძალზე ახლოს დგანან აჭარაში, შავშეთსა და კლარჯეთში გავრცელებულ ნიმუშებთან, როგორც ერთიანი ფოლკლორული სივრცის ნაწილთან.

## 1. წარღვნის ლეგენდა

მსოფლიოს ყველა ხალხის ზეპირსიტყვიერი შემოქმედება იცნობს დიდი და მცირე წარღვნის ლეგენდებს. ქართული ხალხური სიტყვიერება მდიდარია ორივე სახის წარატივებით. ეროვნულ ფოლკლორისტიკაში ხალხური ლეგენდის ეს უბანი საკმაოდ კარგად არის შესწავლილი (ჩიქოვანი, 1955: 40; შამანაძე, 1973; შიოშვილი, 2010: 72-118, 171-226, 345-390). ბოლო ხანებში წარმოჩინდა, აგრეთვე, შავშური (შიოშვილი, 2016: 202-204) და კლარჯული (ფუტკარაძე, 1993: 29, 129, 137; შიოშვილი, 2017: 263-268) მასალა, რომლებითაც ერთგვარად გამდიდრდა ქართული ფოლკლორისტიკა. საყურადღებოა, რომ ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების ზეპირსიტყვიერებაშიც ბოლო დრომდე ცოცხალ ფოლკლორულ ბრუნვაშია შენარჩუნებული წარღვნის ლეგენდები, რომლებიც, აგრეთვე, ძირითადად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გავრცელებულ ვარიანტებთან ავლენენ განსაკუთრებულ სიახლოვეს, რაც მოსალოდნელიც იყო.

### ა) დიდი წარღვნის ლეგენდა

დიდი წარღვნის, ანუ მსოფლიო წარღვნის, ლეგენდით მდიდარია საქართველოს ყველა კუთხის ზეპირსიტყვიერება; ამ პოლითეისტურ წარატივებში ერთმანეთშია გადაჯაჭვული წარმართულ-მითოლოგიური და ქრისტიანულ-ბიბლიური პლასტები. ქართველ მუჰაჯირთა შორის გავრცელებული დიდი წარღვნის ლეგენდას კი, როგორც მოსალოდნელიც იყო, აჭარული, შავშური და კლარჯული ვარიანტების დარად, კვებავს მუსლიმთა წმინდა ნიგნი „ყურანი“.

ორდუს პროვინციის უნიეს რაიონის სოფელ საილაში მცხოვრები 87 წლის ისლამ თამაზოღლუსაგან (თამაზაშვილი) 2012 წლის 4 ივლისს ორდუს პროვინციის უნიეს რაიონის სოფელ ჩათალფინარში მკვლევარ გიორგი მახარაშვილის მიერ ჩანერილი მოკლე, ფრაგმენტული ლეგენდა „ნუხ ფელამბერის ამბავი“ მოგვითხრობს:

კაცმა გააკეთა გემი და ყველა სულიერი შიგ მოათავსა. ერთი ბიჭი არ შევიდა გემში.

ნარღვნა დაიწყო და „დიდხან იყო“; კაცმა ჩიტი გაუშვა და დაავალა:

„– ერთი გეიგე, თუ რამე გადარჩაო!“

ჩიტმა ამბავი მოიტანა, წყლის გარდა არაფერი ჩანსო.

თავგმა გემი გახრიტა და წყალი შევიდა. თევზმა თქვა:

„– მე თუ არ შემჭამთ, გავპეჭავ იმასო“.

დაპირდნენ და თევზმაც იხსნა გემი.

გემში ვერ შევიდა დედაბერი, რომელიც მის მშენებლებს აპურებდა, რადგანაც „ძროხასთან ნე-  
ვდა“.

როგორც აღვნიშნეთ, ეს ნარატივი, შავშეთში დაფიქსირებული ლეგენდის მსგავსად (შიოშვილი, 2016: 293-294), მოკლე და ფრაგმენტულია, თუმცა ნიშანდობლივია, რომ კლარჯეთში საკმაოდ მრავალრიცხოვანი და, ამავე დროს, უფრო ვრცელი ლეგენდებიც ფიქსირდება (შიოშვილი, 2017: 411-412; 586-588); ასეთივე სურათი გვაქვს აჭარის ზეპირსიტყვიერებაშიც.

ისლამ თამაზაშვილისეული ვარიანტით არ ჩანს, კონკრეტულად ვინ არის კაცი, ვინც გემი (კიდობანი) გააკეთა, არც – ის, თუ ვინ დაავალა. როგორც კლარჯული და აჭარული ვარიანტები გვაუწყებენ, გემს აშენებს ნუხ ფეილამბერი, ზოგადაქართულის – ნოე წინასწარმეტყველი ღმერთის დავალებით, თუმცა, გემის მშენებელთა დამპყრებელი მწყემსი დედაკაცის ფრაგმენტულ ეპიზოდში მთქმელს ახსენდება, რომ გემის მშენებელი კაცი ფეილამბერია, ანუ მუსლიმთა მოციქული, იგივე წინასწარმეტყველია: „...ერთი დედაბერი ყოფილა, იმან ძროხა მიეყვანა. ფეილამბერმა უთხრა: – მე-იყვან იიო“.

გ. მახარაშვილის მიერ 2014 წლის 8 ივლისს ბურსას პროვინციის ინეგოლის რაიონის სოფელ ჰილმიეში 60 წლის ახმედ ახმედოღლუსაგან ჩანერილ ვარიანტში გემის მშენებელი ნუხ ფეილამბერია, თუმცა დამკვეთი არც აქ ჩანს; ჩვენ მიერ 2018 წლის 9 ივლისს საქარიას (ადაბაზარი) პროვინციის გეივეს რაიონის სოფელ ილიმბეიში მარადიდელი მუჰაჯირების შთამომავლის – 68 წლის ნურთენ გენჩისაგან ჩანერილი ლეგენდის თანახმად კი ღმერთმა ნუხ ფეილამბერს „ხებერი გამუუგზავნა“, გემი გაეკეთებინა და შიგ შეეყვანა ყველა, ვინც დაუჯერებდა.

დიდი ნარღვნის ლეგენდის თამაზაშვილისეული (საილური) ვარიანტით არც ის არის ცნობილი, ვინ არის „ერთი ბიჭი“, რომელიც ეურჩა ფეილამბერს და გემში არ შევიდა. ჰილმიური ვარიანტის თანახმად, ეს პერსონაჟი საერთოდ არ ჩანს; სოფელ ილიმბეიში დაფიქსირებული ნარატივით კი, სხვა ურწმუნოებთან ერთად, ნუხ ფეილამბერის ცოლი და შვილი გაჯიუტდნენ („მისი ღარჭი და ქალი არ შეჟდენ“) და დაიღვინენ („დეყლარჭენ“).

კლარჯული ვარიანტების მიხედვით, ეს ბიჭი ნუხის შვილია; მასთან ერთად გემში არ შევიდა ნუხის ცოლიც:

„...მის შვილმა არ დაჯდა. იმან უთხრა:

– შვილო, მოდი, მეიკლებიო!

იმან არ დეიჯერა, მის შვილმა და ქალმა...

– გავალ ტყეზე, წყალი იქ ვერ ამოვაო!“ – უპასუხეს მათ (შიოშვილი, 2017: 411). ურჩი ცოლ-შვილი წყალმა დაახრჩო. ეს ეპიზოდი და საილური ვარიანტის შვილის ურჩობის ეპიზოდიც, როგორც კლარჯული და აჭარული ვარიანტების ცოლ-შვილის სიჯიუტე, ბუნებრივია, საზრდოობს მუსლიმთა წმინდა წიგნით – „ყურანით“, რომლის თანახმადაც, ხალხის ერთი ნაწილი არ უჯერებდა, არ სჯეროდა ნუხ ფეილამბერის ნათქვამისა, რომ ნარღვნა იქნებოდა და „ერის თავკაცები, გაივლიდნენ თუ არა მის (ნუხის – თ. შ.) სიახლოვეს, დასცინოდნენ... ეშმაკისაგან შეპყრობილად მოიხსენიებდნენ“

და მის „წინააღმდეგ ხერხი მოიგონეს“ („ყურანი“, VI, 40; XXIII, 25). ამ ხერხის თაობაზე თავად „ყურანი“ არაფერს ამბობს, ხალხურმა ფანტაზიამ კი ეს ეპიზოდი, ქრისტიანული აპოკრიფების მსგავსად, მუსლიმური „ჰადისებით“ განავრცო. ეს ხერხი, აჭარული და კლარჯული ვარიანტების თანახმად, გემის დაბინძურებაა, რაც მათი დაავადებით დასრულდა და თავადვე საკუთარი სხეულით გააპრი-ალეს გემი სიბინძურისაგან, რომელიც ღმერთის მიერ მოვლინებული დაავადების წამლად ექცათ (შიოშვილი, 2017: 411). ამ ეპიზოდს მუჰაჯირთა შთამომავლებს შორის დაფიქსირებულ ნარატივთაგან იცნობს მხოლოდ ჰილმიური ვარიანტი: „გემ რო აკეთებდა, ვინცხაა რომენე არ ჯერულობს, ებ-ლაყუნება, იმათ მიადგენ და გემი გეზმად მორთეს“. ამ ვარიანტითაც, ხალხს მუნი („ხორი“) გაუჩინა ღმერთმა და თავიანთი სიბინძურე დაუდგინა წამლად: „...ერთმა მუნიანმა თქვა:

– ამდენი ხალხი დადის და სვრის, მეც მივალო!

მივდა და ჩავარდა, ხორი იმით მუურჩა. „ეს წამალი ყოფილაო“ და გაასუფთეს გემი“.

ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების ისტორიულ მეხსიერებას შემორჩენილი დიდი წარღვნის ლეგენდის ვარიანტებში სუსტად, მაგრამ მაინც ჩანს მწყემსი დედაბერი, რომელიც მატრიარქატისეული პერსონაჟია და კაცობრიული მონაპოვრის გადამრჩენი გემის მშენებლებს ერთადერთი ძროხის რძით აპურებს. ის ფაქტი, რომ, ტრადიციული ქართული ვარიანტების თანახმად, დედაბერი ვერ მოთავსდა გემში, რადგანაც ის დაავიწყდათ, თუმცა წარღვნას გადაურჩა მისი სიკეთის გამო, საერთოა ორი – ჰილმიური და ილიმბეური – ვარიანტებისათვის. სოფელ საილაში ჩანერილი ნარატივის თანახმად, დედაბერი ნებაყოფლობით არ შევიდა გემში, „ძროხასთან წევდა და გემში იმიტომ არ შევდა“. ლეგენდა არათანმიმდევრულია (მთქმელი ნელ-ნელა აღიდგენდა ეპიზოდებს):

„ერთი დედაბერი ყოფილა, იმან ძროხა მეფყვანა. ფეღამბერმა უთხრა:

– მეიყვად იი?

დედაბერმა უარი უთხრა:

„– ბევრი წვიმა და წყალი ვნახეო“; თუმცა, მთქმელის დასკვნით, „ღმერთმა დედაბერ არ ანახა იგი წყალი (წარღვნა – თ. შ.) ის დედაბერი, გემ რომ აშენებდნენ, იმ უსტიებ აჭმევდა“.

აჭარელ მუჰაჯირთა შთამომავლის – ახმედ ახმედოღლუს ნაამბობით, „ერთი ნენე რძეს მუუ-ტანდა, ჯვერულობდა, მე არ დამტიოო; დიმიწყნია ფეღამბერს. მემრე მოთავებულა ყველაფერი. გეზრბინა დრო, მოაგონდა ნენე. კითხა ნენეს:

– წყალი არ იყოო?

– წყალი არ ყოფილა, ერთხელ ძროხას ფეხები სველი ქონებიაო. – ვერ შეიტყო ნენემ“.

არათანმიმდევრულად, მაგრამ მაინც გვაცნობს მწყემს დედაბერს ილიმბეური ვარიანტი:

„ერთ ქალმა უთქმია (ნუხ ფეღამბერთან მისულა).

– რო იქნას, ხებერი მომეციო, თულფანი იქნასაო.

იქნა თულფანი, დაავიწყდენ ი ქალი. რძე უნიკევდა ი ქალი“. რა ბედი ენია ქალს, ეს ვარიანტი არაფერს გვეუბნება.

დიდი წარღვნის ლეგენდის მუჰაჯირულ ვარიანტთაგან ორი – საილური და ჰილმიური – იცნობს ნოეს კიდობნის გახვრეტის ეპიზოდს. საილური ვარიანტის თანახმად, „გემში წყალი შემოვდა. ერთ-მა თავგმა გახრიტა გემი“. თევზმა უთხრა:

– მე თუ არ შემჭამთ, გავპეჭავ იმასო“.

შემდგომი ამბავი მთქმელს აღარ ახსოვდა.

ჰილმიური ლეგენდის თანახმად, „ნუხ ფეღამბერის გემში ღორს დუუქსიტინებია და ცხვირიდან თავი გამოვარდნილა. თავი ღორს გავს. ეს თავი ყოფილა და გემი გამოხვრიტა და წყალი შესულა გემში“. ამ ვარიანტით გემი ფეღამბერმა ამოავსო და თავი გემიდან გააგდო. ეს ეპიზოდი სქემ-



ტურია, თუმცა თავისთავად ცალკე წარმოადგენს საინტერესო ეტიოლოგიურ ლეგენდას – როგორ გაჩნდა თავი. აქვე აღვნიშნავთ, რომ დიდი წარღვნის ლეგენდის აჭარული ვარიანტები ერთობ მდიდარია ეტიოლოგიური ეპიზოდებით, რომლებიც ცალკე აღებული თავისთავადი ლეგენდებია და მოგვითხრობენ: 1. როგორ გაჩნდა ზანგი, 2. რატომ ბზუის ფუტკარი, 3. რატომ აქვს მერცხალს მაკრატელა კუდი, რატომ იშენებს ბუდეს ადამიანის სახლის კედელზე და სხვა.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ მუჰაჯირულ ვარიანტებში მივიწყებულია დიდი წარღვნის ზოგადქართული ლეგენდის ერთ-ერთი არქაული პერსონაჟი გველი, რომელიც ამოავსებს თავის მიერ გახვრეტილ გემს და სამაგიეროდ ადამიანის სისხლს სთხოვს ნოეს; საილური ვარიანტით ამ ფუნქციას ასრულებს თევზი, რომელსაც მსოფლიო კულტურათა უმეტესობაში განსაკუთრებული საკულტო და სიმბოლური როლი აკისრია. მნიშვნელოვანია, რომ თევზი ბიბლიური სამყაროს მეხუთე დღის ქმნილებაა და „იუდეველთათვის მესიის სიმბოლო გახლდათ: მათი რწმენით, მესია (მხსნელი) დაამარცხებს ლევიათანს – ზღვის მონსტრს (სიმბ. ილ. ენც., 2006: 86). დიდი წარღვნის მუჰაჯირულ ლეგენდაშიც თევზი გადამრჩენია, რამდენადაც განახორციელა ამოვსება თავის მიერ გამოსხრული გემისა, რომელიც საკრალური დანიშნულებისაა, საკულტო ნაგებობაა, რომელმაც უზენაესი შემოქმედის ნებით, უნდა განახორციელოს კაცობრიული მონაპოვრის გადარჩენა; აკი ილიმბეური ვარიანტის ბოლოს მთქმელი დასძენს: „ყველა ღერ ი წყალი, წყლები გველილა, წესულა. მთელი მილეთი კარში გამოსულა, ყველამფერ დაარგენ, გააკეთენ, ახალი ცხოვრება იწყენ... იმის უკან მივალთ იშტე“. არქაული რწმენა-წარმოდგენების თანახმად კი თავგებს დემონური თვისებები მიენერებოდათ, “ხოლო რომელიმე საკულტო საგანი თუ აღმოჩნდებოდა დაღრღნილი, ეს დიდი უბედურების მომასწავებელი იყო“ (სიმბ. ილ. ენც., 2006: 85).

საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ დიდი წარღვნის საილურ ვარიანტში წარმოდგენილი თევზი, როგორც ნუხ ფეილამბერის გემის გადამრჩენი, სრულიად ახალი სახეა, მას არ იცნობს ზოგადქართული ლეგენდის არცერთი ვარიანტი და ეს ფაქტი, ბუნებრივია, ძალზე მნიშვნელოვანია ქართული ფოლკლორისტიკისათვის.

წარღვნის მიზეზი, ზოგადქართულის მსგავსად, მარადიდელ მუჰაჯირთა შთამომავლების წარადგინოდა ადამიანთა უზნეობაა: „დუნა გონჯობაზე ნევდა. ისლამიეთი ადგა...“, – გვაუწყებს ილიმბეური ლეგენდა.

მსოფლიოს უძველეს ხალხთა ფოლკლორულ შემოქმედებაში, და მათ შორის ქართულ ზეპირსიტყვიერებაშიც, დიდი წარღვნის დასრულების შემდეგ უფლის რჩეული ნოე ხომალდიდან გაუშვებს ფრინველს, რათა შეიტყოს, დაშრა თუ არა წყალი; ამგვარად ხდება ბიბლიაშიც ხმელეთის შემოწმება: 40 დღის შემდეგ ნოემ გაალო კიდობნის სარკმელი, ჯერ გაუშვა ყორანი, რომელმაც ბრჭყალების მოსაჭიდი ვერ იპოვა და უკანვე დაბრუნდა. შვიდი დღის შემდეგ ხელახლა გაუშვა ნოემ მტრედი, რომელიც სადამო ხანს დაბრუნდა და თან ზეთისხილის რტო მოიტანა ნისკარტით. შვიდი დღე კიდევ დაიცადა ნოემ და ისევ გაუშვა მტრედი, რომელიც უკან აღარ მობრუნებულა (დაბ., 8, 6-20).

წარღვნის დასრულების, ანუ განახლებულ-განწმენდილი ცხოვრების დასაწყისის, მაცნედ მტრედს მიიჩნევს ზოგადქართული (მათ შორის აჭარული) ლეგენდები. ეს ფაქტი, ბუნებრივია, შემთხვევითი არ არის. არქაულ კულტურებში მტრედი მიჩნეულია მშვიდობის, სიმშვიდის, უწყინარობისა და სიყვარულის სიმბოლოდ (ბიდერმანი, 1996: 57).

ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებში ფიქსირებულ ლეგენდათაგან მხოლოდ საილური ვარიანტი იცნობს ფრინველს (ჩიტს), თუმცა სახეობა არ განისაზღვრება: „რამდენი ხანი იყო (წარღვნა – თ. შ.), არ ვიცი, მაგრამ დიდხან იყო. მემრე ჩიტი გადააფრინა:

– ერთი გეიგე, თუ რამე გადარჩაო!

მეიტანა ამბავი:

არაფერი არ ჩანსო, არც ხეები და არც არაფერიო, არის მარტო წყალიო.

მერე ქინძიზა გააგზანა. აილო პურის კანი და წელიო“.

ამ ვარიანტის მიხედვით, სულ ეს არის ფრინველის როლი.

მართალია, ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებს შორის შემორჩენილი დიდი წარღვნის ლეგენდის ვარიანტები ერთობ მწირია და, ზოგადად ქართული და აჭარული ვარიანტებისაგან განსხვავებით, აღარ შეიცავენ ისეთ ტრადიციულ ეპიზოდებს, როგორცაა კამეჩის და გველის, მერცხლის, კიდობნის ბინადართა ურთიერთობის, ნოეს ვაჟის ეჯალილესა და ზღვის კაცის – გოლიათი ყუნწის, გემის შეჩერების ადგილისა და წარღვნის შემდგომი სოციუმის ამბები; არც ზემოთ ჩამოთვლილი ეტიმოლოგიური თქმულებებია მათში ჩართული და არც რიტუალი კერძის – „აშურას“ მომზადება თუ ახალგათხოვილი ქალიშვილისათვის ეგრეთწოდებული „სადილის“ მიტანა უკავშირდება დიდი წარღვნის ლეგენდას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ ჩართვას ქართულ ფოლკლორულ ბრუნვაში მაინც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მსოფლიო წარღვნის ლეგენდის ტიპოლოგიური შესწავლისათვის, რამდენადაც ამდიდრებს და ავსებს ზოგადად ქართულ ლეგენდას ცალკეულ მოტივებითა და ეპიზოდებით, სიმბოლიკით, პერსონაჟებით, რომლებიც საქართველოს სხვა კუთხეთა ზეპირსიტყვიერებაში არ დასტურდება.

## ბ) მცირე წარღვნა

ქართულ ზეპირსიტყვიერებაში მოგვეპოვება მრავალი ლეგენდა, რომელთა თანახმადაც, წარღვნა შედარებით მცირე მასშტაბისაა და დედამიწის გარკვეული მონაკვეთით განისაზღვრება. ამგვარი ნარატივები, რომლებიც ადგილობრივი, ლოკალური გარემოსათვის არის დამახასიათებელი, კონკრეტული ადგილის (მხარის) ბუნებრივი მოვლენებისა და რელიგიური რწმენა-წარმოდგენების სინთეზი ასაზრდოებს, მცირე წარღვნის სახელით მოიხსენიებიან. თუ დიდი, ანუ მსოფლიო, წარღვნა ზესკნელიდან ხორციელდება წვიმების გზით, მცირე წარღვნა ქვესკნელიდან მიწისქვეშა წყლების ამოხეთქვისა და დატბორვის შედეგია. ასეთებია საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში გავრცელებული ქართული ხალხური ლეგენდები პალიასტომის, ერნოს, ბაზალეთისა და პაპანწყურის ტბებზე, ახტალაზე, ფაჩხმატელას კლდეზე და სხვა. ლეგენდათა ამ რიგისათვის დამახასიათებელია მკვეთრად გამოხატული სასულიერო-რელიგიური შინაარსი; მართალია, ისინი ძირითადად სინამდვილეს ასახავენ (ტბები რეალურად არსებობს), მაგრამ ეს სინამდვილე რელიგიური რწმენის პრიზმაშია გატარებული; აქ, ბუნებრივია, საქმე გვაქვს არქაული მითოლოგიის მოქმედებასთან: თუ დიდი წარღვნით ცოდვებისაგან უნდა განიწმინდოს მთელი კაცობრიობა, მცირე წარღვნის შედეგად წყლით (ამ შემთხვევაში მიწისქვეშა წყლებით) უნდა გახორციელდეს ცოდვამორეული ლოკალური გარემოს წარხოცვა.

აღსანიშნავია, რომ მცირე წარღვნის ლეგენდებით ერთობ მდიდარია აჭარის ზეპირსიტყვიერება. აჭარაში ამა თუ იმ ლოკალური სტიქიური მოვლენის დროს შეინიშნება მცირე წარღვნის ლეგენდის გენეზისის ახალი ახსნის ტენდენციები, რაშიც, ბუნებრივია, წარმმართველ როლს თამაშობს ხალხის ისტორიულ მეხსიერებაში მემკვიდრეობით შემორჩენილი არქაული მითოლოგიები. ასე მაგალითად: როგორც ცნობილია, 1989 წლის 19 აპრილს ზემო აჭარაში, სხალთის ხეობაში, სხალთის ეკლესიის მოპირდაპირედ მდგარი ნაბლანას მთა ჩამოიქცა. მეწყერმა დიდი ეკონომიკური ზარალი და, სამწუხაროდ, ადამიანთა მსხვერპლიც გამოიწვია. 2001 წლის ივნისში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მუდმივმოქმედმა სამეცნიერო კომპლექსური ექსპედიციის ფარგლებში ხულოს რაიონის სოფელ ხიხაძირში დავაფიქსირე მცირე წარღვნის ლეგენდის საინტერესო

ვარიანტი, რომლის თანახმადაც, წაბლანაში მენყერი იმიტომ ჩამონვა, რომ იქაურმა მონადირეებმა შველი მოკლეს, შველის მოკვლა კი, მთქმელის განმარტებით, „ჩეთინი“ საქმეა, რადგანაც „შველი მუზარეჟის დალოცვილია“.

როგორც აღვნიშნეთ, აჭარის მთიანეთში ხშირი მენყერული მოვლენები აქაურ ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ მეხსიერებას მუდმივად ავარჯიშებს და არქაული მითოლოგიების გადავინწყების საშუალებას არ აძლევს; მკვლევარი რისმაგ გორდებიანი მიუთითებს: „კაცობრიობის ისტორიამ არაერთგზის დაამტკიცა, რომ მითოლოგიური აზროვნების პრინციპი ადამიანებში მუდმივად არსებობს და მას შეუძლია, ხელსაყრელი პირობების შექმნის შემთხვევაში გარკვეული დროით მაინც გააფერმკთალოს კრიტიკულ-ანალიტიკური აზროვნების შესაძლებლობანი“ (გორდებიანი, 2005: 317). მართლაც, რაკი მითოლოგიური აზროვნება ძალზე ღრმად და მყარად არის ჩაბუდებული ადამიანის შემეცნებაში, ყოველთვის, ყველა ეპოქაში, არის შესაძლებლობა, შეიქმნას მითი. ამითაც აიხსნება აჭარის ფოლკლორულ შემოქმედებაში მცირე წარღვნის ლეგენდათა სიმრავლე, რასაც ასაზრდოებს როგორც წარმართული, ისე ქრისტიანული და, ამავე დროს, მუსლიმური რწმენა-წარმოდგენები.

მცირე წარღვნის ლეგენდას იცნობს ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების ზეპირსიტყვიერებაც. კლარჯეთის ერთ-ერთი ულამაზესი სოფლიდან – შუახევიდან (დევესქელის ხეობა) საქარიას (ადაბაზარი) პროვინციის გეივეს რაიონის სოფელ საფანჯას უბანში – გიულდებში მუჰაჯირად წასულთა შთამომავლის – 48 წლის სონერ სოლმაზისაგან (ალიშანიძე) ჩვენ მიერ 2018 წლის 12 ივლისს ჩანერილ ლეგენდაში „საფანჯა გოლის ხებერი“ მოთხრობილია საფანჯასთან მდებარე ტბის გენეზისის თაობაზე; ტრადიციისამებრ, ეს მოვლენაც არქაულ მითოლოგიას ეყრდნობა: სოფელმა არ დააპურა მშიერი მგზავრი და ამის გამო დაისაჯა. მისი მოკლე შინაარსი ამგვარია: ერთი ღვთისმოსავი დედაბერი მისულა სოფელში და საჭმელი უთხოვია. „თელი ქოილი არ მიუცემია საჭმელი“. დედაბერი გამობრუნდა. გზად შეხვდა მხვნელს, რომელმაც დააპურა მშიერი. მაშინ დედაბერს დაურიგებია, შვილები გამოიყვანე სოფლიდან და ჩემთან მოდიო. გლეხი ასეც მოქცეულა და, დედაბერთან რომ მისულა, დაუნახავს, რომ სოფელი გამქრალიყო და მის ადგილას ტბა გაჩენილიყო. მთქმელის დასკვნაც შეუვალა: „რომ არ მიცემ საჭმელი-მაჭმელი, იმითვინ გახდა გოლი“.

მართალია, ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების ზეპირსიტყვიერებაში ტრადიციული ქართლი ლეგენდების სიუჟეტები აღარ შემორჩენილა, მაგრამ ადგილობრივი ლანდშაფტიდან გამომდინარე (სოფელ საფანჯას ტბა აკრავს) და ადამიანთა გონებაში არსებულმა მითოლოგიური აზროვნების პრინციპმა შექმნა მშვენიერი ლეგენდა, რომელიც ქართული ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მონაპოვარად შეიძლება ჩაითვალოს, რამდენადაც მისი გენეზისიც ტრადიციულ ქართულ მცირე წარღვნის ლეგენდათა მსგავსია.

## 2. ლეგენდა მონანიე კაცისმკვლეზე

ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების ზეპირსიტყვიერებას შემოუნახავს ლეგენდა მონანიე კაცისმკვლეზე, რომლითაც ერთობ მდიდარია აჭარის ფოლკლორი; ეს სიუჟეტი დაფიქსირებულია, აგრეთვე, კლარჯულ ზეპირსიტყვიერებაშიც (შიოშვილი, 2017: 413-414).

ორდუს პროვინციის ორდუს ცენტრალური რაიონის სოფელ მიტრაბოლში მცხოვრები აჭარელ (ქობულეთელ) მუჰაჯირთა შთამომავლის – 70 წლის ხასან ჩელიქისაგან (ძველი გვარია ჯინჭარაძე) პროფესორმა მამია ფალავამ 2012 წლის 8 ივლისს ჩაინერა ლეგენდა, რომელიც მთქმელს გაუგონია მამისა და ბებიასაგან („ბაბაჲდან გამიგონია, დიდნენეც მოყვებოდა“); ამ ლეგენდის ვარიანტი

სახელწოდებით „კათილა“ დაფიქსირებულია ჩვენ მიერ 2018 წლის 9 ივლისს საქარიას (ადაბაზარი) პროვინციის გეივეს რაიონის სოფელ ილიმბეიში კლარჯ (მარადიდელ) მუჰაჯირთა შთამომავლის – 68 წლის ნურთენ გენჩისაგან. ორივე ვარიანტი ახლოს დგას აჭარულ ნარატივებთან.

ხასან ჩელიქისეული ლეგენდის თანახმად, ოთხმოცდაცხრამეტი კაცის მომკვლელი მივიდა ხოჯასთან და შეველა სთხოვა. ხოჯამ დაარიგა:

„– ნედი, სამი გზის გასაყარზე სახლი ააშენე და გზავრებს ეხიზმეთე. სახლის უკან გარგანი დაასე, იგი რუმ აყვავდება, ნაპატივები იქნებიო“.

მკვლელიც ასე მოიქცა, „ეხიზმეთება გამლელ-გამომლელს“. ერთ დღეს გამოჩნდა მხედარი, რომელიც „აქაფებული ცხენით“ მორბოდა და სულს ვერ ითქვამდა. მონანიე წინ გადაუდგა და სთხოვა:

„– ჩამოხდანი, დეღსვენე, ხევისი ჭამე, ცხენსაც ეხიზმეთე და ნაბხანდიო!

მგზავრმა უკმეხად უპასუხა:

„– მეჩქარება, არ მცალია შენთან სალაპარიკოთო!“ – და ხელიც უუქნია“.

მასპინძელმა განმეორებით სთხოვა, მაგრამ კვლავ უარი მიიღო და მხედარმა შეაგინა კიდევაც. მაშინ „გაკუჭდა სახლის პატრონი, იფიქრა: საცხა ოთხმოცდაცხრამეტი, იქ ასიო, მუუქნია ყამა და მოკლა“. ამ დროს დაინახა, რომ მის მიერ სახლის უკან დარგული ჯოხი (გარგანი) აყვავებულიყო.

მთქმელის დასკვნა ამგვარია: „თურმე, აჲ მოკლული გოგო-ბიჭის საქმის დასაშლელათ გარბოდა. იხებლა ცოდვა ყოფილა ქორწილის ჩაშლა, რუმ ღმერთმა ასი კაცის კლელობა აპატიო“ (ფალავა, 2016: 93-94).

სოფელ ილიმბეიში ჩანერილი ლეგენდის თანახმად, ოთხმოცდაცხრამეტი კაცის მკვლელი კათილა წინასწარმეტყველთან (ფეღლამბერთან) მივიდა და რჩევა სთხოვა. მანაც ურჩია:

„– ოთხი გზის შუაში საქმელი ნეილე, გავლა-გამოვლა მილეთს აჭამე, ყველას აჭამე. ეს ხმელი ტანი დაარგე, ფურცელი რომ გამეილოს, შენი ცოდვა ნევდაო“.

კათილაც დარიგებისამებრ მოიქცა და „ყველას, მილეთს აჭამა“.

მიტრაბოლური ლეგენდის (და, აგრეთვე, მრავალრიცხოვანი აჭარული ვარიანტების) თანახმადაც, „ორი ინსნის საქმის მოშლაზე“ გაჩქარებით მიმავალი მხედარი შემოაკვდა კათილას, თუმცა დაინახა, რომ გამხმარმა ხემ ფოთლები გამოიღო. გაუკვირდა, „რა იქნა, ცოდვა მეგგეო... ეს ხე რატომ გაცოცხლდაო?!“ ნავიდა წინასწარმეტყველთან და ყველაფერი უამბო. წინასწარმეტყველმა უთხრა:

„– შენ კაჲ ქენი! იმან ორი ინსნის საქმის მოშლაზე მივდოდაო. იმისთინ მაღლი მეიგეო, იმისთინ ტანი გაცოცხლდაო“.

არსებითად მსგავსი სიუჟეტისაა აჭარის ზეპირსიტყვიერებაში ბოლო დრომდე შემორჩენილი ლეგენდის ვარიანტები, რომელთა თანახმადაც, ქალ-ვაჟის საქმის ჩაშლა ყველაზე დიდ ბოროტებად არის მიჩნეული. ერთ-ერთი ვარიანტის სათაურიც „ყველაზე დიდი ცოდვა“ სწორედ ამ თეზას ეხმიანება.

ლეგენდა, რომელიც დაცულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის არქივში (საქმე №242, მთქმელი რეხიმე ანანიძე, მცხოვრები ქობულეთის რაიონის სოფელ ლეღვაში. ჩაინერა რომან ანანიძემ) დაცული ლეგენდის ერთ-ერთი ვრცელი ვარიანტის თანახმად, ახალგაზრდობაში ოთხმოცდაცხრამეტი კაცის მომკვლელი მოხუცებულობის ჟამს ცოდვების (თუმცა, როგორც ლეგენდა გვაუწყებს „ყველასთან მართალი იყო, უსამართლოდ მას არცერთი კაცი არ მოუკლავს, მაგრამ... ცოდვა დაიდო“) მონანიება გადაწყვიტა და გულთმისან ბრძენს მიმართა დახმარებისათვის. ბრძენის რჩევით, ცოდვილი გზაჯვარედინზე დასახლდა და უჭმელს არავის უშვებდა. ბრძენის მიერ გატანებული „ხმელი ფი-

ჩხიც“ ეზოში დარგო და მოთმინებით ელოდა მის აყვავებას, რადგან ბრძენმა უთხრა, „...როცა აყვავილდება, ცოდვებიც ნაპატიები გექნებაო“.

ექვობდა მკვლელი, „ხმელ ფიჩხს რა აყვავებსო“, მაგრამ ლევანდის ყველა (აჭარული, კლარჯული, მუჰაჯირული) ვარიანტისათვის საერთო უხიაკი და ბოროტი მხედრის მოკვლის შემდეგ (რომელი ეპიზოდიც ქალბატონ რეხიმეს უდიდესი დრამატიზმით აქვს აღწერილი) კვლავ ბრძენს რომ მიაკითხა და ყველაფერი დაწვრილებით უამბო, რისხვისა და გულისწყრომის ნაცვლად, შემდეგი მოისმინა:

„– ის ცხენოსანი ბოროტი კაცი იყო; მას ქალ-ვაჟის შეუღლების ამბავი გაეგო და მათი საქმის ჩასაფუშავად მიეჩქარებოდა. შენ მისი მოკვლით ისეთი კეთილი საქმე გააკეთე, რომ მთელი ცოდვები გეპატივა და ფიჩხიც აყვავდაო“.

ლევანდის ბოლოს მთქმელისეული რეპლიკა ამგვარია: „აი, თურმე, რა ყოფილა ყველაზე დიდი ცოდვა!“

1984 წელს შუახევის რაიონის სოფელ გოგაძეებში მცხოვრები მუხამედ ვახტანგაძისაგან რამინ ბახტაძის მიერ ჩანერილი ლევანდის ვარიანტის სათაურია „საჯენნეთო კაცი“. მონანიე კაცისმკვლელს ამ ნარატივით ხოჯა დააკვალიანებს, მაგრამ ამ შემთხვევაშიც მეთავე კაცის მოკვლას ვერ აიცილებს, თუმცა ისიც დაინახავს, რომ, ჩადენილი ცოდვის მიუხედავად, „ხმელ თხმელი ტან ჟვერი გამუღლია, გახარებულა“. გაოცებული ხოჯასთან გაიქცა და მისგან ასეთი პასუხი მოისმინა:

„– ის კაცი გოგო-ბიჭ შუა საქმის ჩასაფუშათ მივლოდა და რომ მოკალ, აფი აღარ გინდა, ჯენნეთში გაფრინდებივო!“

ეს ვარიანტიც მთქმელისეული კომენტარით მთავრდება: „გოგო-ბიჭ შუა საქმის ჩაფუშვა ამხელაზე ცოდვა საქმე ყოფილა!“ (ბსუნბიფა, საქმე №261: 2-5).

1971 წელს მკვლევარ ნელი ცქიტიშვილის მიერ შუახევის რაიონის სოფელ ჯუმუშაურში 71 წლის დემურალი ფუტკარაძისაგან ჩანერილი ლევანდა, რომლის სათაურიც არის „ცოდვა-მადლი“, გვარნმუნებს, რომ ამბავი მუჰამედ ფეილამბერის დროს ხდება. ოთხმოცდაცხრამეტი კაცის მომკვლელი სამინელ სინანულში ჩავარდა, ფიქრობდა, „ოთხმოცდაცხრამეტი კაცის მოკლა პატარა საქმე არ არის, 99 ქათამს არ დაგაკლენებენ ტყუილაჲ და მე კაცი მოვკალიო!“

მკვლელმა რჩევისათვის მიმართა ფეილამბერს, რომელმაც უთხრა:

„– ამალამ მომიცადე, სიზმარ ვნახავ და სიზმრით გეტყვიო“.

სიზმარში ანგელოზებმა („მელაიქებმა“) უთხრეს ფეილამბერს:

„– შენთან რომ გუშინ კაცი მოვიდა, იმან სამ განაყოფ ადგილზე სასადილო გახსნასო და უფასოთ საქმელი აჭამოს გამლელ-გამომლელსო; იმ სასადილოს წინედან ხმელი ხე დაასოსო, ის ხე რო განედლდება, ის სასადილო დახუროს, ცოდვა მოხსნილი ექნებაო“.

ამ ვარიანტის თანახმადაც, უცხო მხედარმა არ ინება მონანიეს საქმელი და ისიც მოკლა. სასონარკვეთილმა თავისი საქციელის გამო, დაინახა, რომ ხმელი ხე აყვავებულიყო.

ლევანდის შუახეური ვარიანტი დღემდე დაფიქსირებულ ნარატივთაგან ყველაზე უფრო საინტერესო და, ამავე დროს, ვრცელიცაა. გარდა იმისა, რომ ენაწყლიანი მთქმელი აქ წინასწარმეტყველური სიზმრის მოტივს იყენებს, ლევანდა ხმელი ხის აყვავებით არ მთავრდება: მონანიე კაცმა სასადილო დახურა და მოძებნა მის მიერ მოკლული მხედრის ოჯახი, რათა გაეგო, თუ რატომ ჩქარობდა იგი, „ჰად მიდიოდა, რა საქმეზე, ჰად მიფრინავდა ცხენით“. უთხრეს:

„– ერთ სოფელში გოგო-ბიჭს ასახლებდნენ და იმ საქმის დასანგრევლად მიდიოდა, ჩქარობდაო“.

საინტერესოა, აგრეთვე, მთქმელის ვრცელი კომენტარიც, რომელიც აჭარაში გავრცელებულ ერთ მშვენიერ ანდაზასაც შეიცავს:

„ასეა, გოგო-ბიჭის საქმის დანგრევა მეტი ცოდვაა და იმ კაცის მოკვლით ამ კაცს ყველა ცოდვა მოეხსნა. ეს ჭკუის სასწავლოა! ზღაპრათ დავწერეთ, ამა ეს ქითბით არის! უჩუმალა საქმეს თავრობამ ყური'ნა მიცეს! გოგო-ბიჭის საქმე ენა-ყბად არ'ნა იქცეს! ეს იმისსხო ცოდვა-მადლია, იტყვიან, „ერთი ბიჭი-გოგოს დასახლებაზე შვიდი წყარო წყალი დანყვეტილაო“ (ბსუნბიფა, საქმე №155: 28-31).

ზოგიერთი აჭარული ვარიანტის თანახმად, ბრძენის, ხოჯას თუ წინასწარმეტყველისეულ ახსნას თავად მთქმელი კისრულობს; ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტის – მზიური დუმბაძის მიერ 2018 წელს ქედის რაიონის სოფელ დანდალოში ჩაწერილი ლეგენდის მიხედვით, მთქმელი დასძენს: „მეგემ, ის ცხენოსანი კაცი გოგო-ბიჭის საქმის ჩასაფუშად მივდოდა და ამან რომ მოკლა, ამით მადლი გააკეთა და ისინი ვერ დააშორვა ერთმანებს“.

მონანიე კაცისმკვლელის ლეგენდის კლარჯული, მუჰაჯირული და უმეტესი აჭარული ვარიანტების თანახმად, ცოდვის მოსანანიებლად კაცისმკვლელი მუსლიმური აღმსარებლობის მრჩეველებს (ხოჯა, ფეღამბერი, ევლია) მიმართავს და ეს არც არის გასაკვირი, რამდენადაც ამ სიუჟეტს სწორედ მუსლიმური სარწმუნოების ქართველები იცნობენ; თუმცა გვაქვს ვარიანტიც, რომლის თანახმადაც, მონანიედ გვევლინება ერთი ვაჭარი (სოფდაგარი), რომელიც სიცრუის გამო ხოცავდა ყველას და მოსანანიებელი რჩევისათვის ღვედელს მიმართა. სიუჟეტის ძირითადი ნაწილი სხვათა მსგავსია (მთქმელი ციური შარაძე, 48 წლის, მცხოვრები ქედის რაიონის სოფელ კუჭულაში. ჩაიწერა ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტმა დარინა გოგიტიძემ 2017 წელს).

საყურადღებოა ის გარემოება, რომ საანალიზო ლეგენდის აჭარული და აჭარელ მუჰაჯირთა შთამომავლებში დაფიქსირებული ვარიანტების თანახმად, მონანიე კაცისმკვლელი მრჩეველს ეძებს, ხოლო კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლების ზეპირსიტყვიერებაში დაფიქსირებული ერთი ლეგენდის თანახმად თავად გადანყვეტს, როგორ მოინანიოს ცოდვები: თვითონ დარგავს მცენარეს ფესვებით ზემოთ (უფრო მეტი გამოცდა!) და გადანყვეტს, გამვლელ-გამომვლელს „ყარფუზით“ გაუმასპინძლდეს. საყურადღებოა, რომ კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლების ისტორიულ მესხიერებაში შემონახული ეს ვარიანტი სხვებთან შედარებით კნინია და, თურქიზმებითაც სავსე, თუმცა მასაც, როგორც ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების ფოლკლორულ შემოქმედებაში დადასტურებული ლეგენდის ვარიანტებს, მაინც დიდი ღირებულება გააჩნია ქართული ზეპირსიტყვიერების ისტორიისათვის.

### 3. ლევანდები ზიარეთზე

ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ ყოფაში, კლარჯეთის, შავშეთისა და აჭარის მსგავსად, დასტურდება რწმენა ეგრეთწოდებული ზიარეთის, იგივე წმინდა ადგილის შესახებ, რომელიც უმეტეს შემთხვევაში წმინდანის საფლავია. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მუსლიმური აღმსარებლობის ჩვენებურებს სჯერათ, რომ ზიარეთში მისვლით, ლოცვისა და იქ დაძინებების შემდეგ ნახავენ სიზმარს, რომლის საშუალებითაც მიეცემათ რჩევა თავიანთი პრობლემების თაობაზე.

ჩვენებურთა რწმენა-წარმოდგენები ზიარეთზე ჯერ კიდევ 1911 წელს დაადასტურა ნიკო მარმა იმერხევში, სოფელ თეთრაქედში. ამ ახლადდასახლებული სოფლის მაცხოვრებლები, როგორც ნ. მარი მიუთითებს, მუსლიმი ქართველები იყვნენ; მათგან მოისმინა მკვლევარმა ლეგენდები წმინდა ადგილის, ანუ ზიარეთის, შესახებ; ერთ-ერთმა ინფორმატორმა ისიც უამბო, რომ ძველად იმერხევიდან აჭარაში, მერისის ხეობაში, მდებარე ზიარეთშიც დადიოდნენ. თეთრაქედელებში ნ. მარმა

დააფიქსირა ნარატივი ფორთის ზიარეთის შესახებ, რომლითაც ვეცნობით რიტუალს, რომელსაც წმინდა ადგილზე მისული მომლოცველები ასრულებდნენ.

თეთრაქედლებმა ნიკო მარს უამბეს, რომ ისინი ზიარეთად ქრისტიანული ეკლესიის ნანგრევებსაც მიიჩნევდნენ:

„ზიარეთში წავალთ, მუმს გავაკეთებთ, გავადნობთ, ძაფს ჩავყოფთ და ამევიღებთ, ნევიღებთ, ზიარეთათ ფორტას წავალთ და მერის[ს], აჭარას.

ფორტის ზემოთ არის ჩვენი ზიარეთი, ერთ საათ გოუნევს. ზიარეთზე მარტოდ მოშენებული სახლი არი ქვიდან, ყულაჲ მოშენებული, ყულანდელი, მაშინდელი“ (მარი, 2012: 224).

ნ. მარი ვრცლად აღწერს ზიარეთობის ტრადიციას, გვაცნობს ზიარეთში მისული მლოცველის მიერ სიზმარში ნახულ-მოსმენილ რჩევა-დარგებებს: „ზიარეთში დანვებთან, სიზმარში ნახვენ. ეტყვის სიზმარში, ეს დაკალიო, ჲა ფული აჩუქეო, შინ დაკალიო, ჲა აქ დაკალიო. რაცხასაც რომ ეტყვის, დაკლავს. ყორ (მამალი ცხვარი), ცხვარ ეტყვის, ჴარ, ჴროხას ეტყვის; ქათამი გაგვიგონია, სხვა ჩიტი არ გაგვიგონია“ (მარი, 2012: 224).

ზიარეთში მიჰყავდათ ჭკუანაკლულები და უშვილოები: „ზიარეთში მიდიან ფორტას, ჭკუა რომენ დაკარგული ექნება. შვილი არ ეყოლის. კარი არა აქ, შევა შიგ კაცი ჲა ქალი, პერანგს ჩაიცვამს მარტო, ოქრო, ვერცხლი არ იქნება, მარტო პერანგი და ნიფხავი (თ. ფიშტონი); მუმ აანთებს სამ, შვიდ, ხუთ, ცხრას, ჩემი დერდი რაცხა არიო, ვნახო სიზმარიო და დანვება. თუ არ ნახა სიზმარში (მიუტანს რაცხას, ისე ეჩვენება), ასვამს და ეტყვის ყურბანიო“ (ქართ. ყურბანდო) – (მარი, 2012: 224).

ამ ნარატივის თანახმად, აშკარა ხდება, რომ მუსლიმური სარწმუნოების თეთრაქედელი ქართველები ზიარეთად ქრისტიანული ტაძრის ნანგრევებთან მიდიან და 3, 5, 7, 9 (კენტი რაოდენობის) სანთელს ანთებენ; საყურადღებოა, რომ ქრისტიანული გადმონაშთებიდან მ. მარმა დააფიქსირა, აგრეთვე, „ქრისტიანული კალენდარული ტერმინოლოგიის ნარჩენები; ზექიეთელ მუსლიმს მისთვის უთქვამს: „თავკვეთილობაზე, მარიობისთვის მოლევნაზე, თოვლი მოვა“ (მარი, 1912: 225).

ზიარეთში მომლოცველთა წასვლის ტრადიციაზე ვრცლად მოგვითხრობს ექვთიმე თაყაიშვილიც ნაშრომში „სამუსულმანო საქართველო“, რომელიც ფაქტობრივად ეყრდნობა მარისეულ ცნობებს და, ამავე დროს, საინტერესოდ აკომენტარებს: „სამუსულმანო საქართველოში ჩვეულებადაა ზიარეთში წასვლა. ეს უდრის ჩვეულებრივ ხატობას. ზიარეთი სამლოცველო ადგილს ჰქვია და ისეთი ადგილებია, სადაც ძველი ეკლესიის ნანგრევებია ან ყოფილი საჯვარეა. აქ მოდიან სხვადასხვა ადგილებიდან, ნამეტნავად – ქალები, მოაქვთ ჩამოქნილი თაფლის სანთლები, აანთებენ თაფლის სანთლებს და ლოცულობენ. აქ რჩებიან ერთ-ორ ღამეს. თუ შორიდან მოსული არიან, უფრო მეტსაც და ამათ უნდა დაესიზმროთ ღამით, თუ რა ცხოველი დაკლან სამსხვერპლოდ: ცხვარი, თხა, ხბო თუ ხარი; და, რაც დაესიზმრებათ, იმას დაკლავენ ხოლმე. ასეთ ჩვეულებას ასრულებენ პორტას (ძველი შატბერდის) მონასტრის ნანგრევებში და ბევრ სხვა ადგილას. მოლები უშლიან, რასაკვირველია, უთქვამთ: მარიამი შეენია, თორემ ეს შეუძლებელი იყო...“ (თაყაიშვილი, 1991: 220).

ჭოროხის აუზში ბოლო დრომდე შემორჩენილი ზიარეთობის ტრადიცია ვრცლად განიხილა მკვლევარმა მალხაზ ჩოხარაძემ ნაშრომში „ხანძთა და ათორმეტ სავანეთა მხარის ძველი სალოცავები“ (ჩოხარაძე, 2015: 115-119). მრავალრიცხოვანი მასალის შესწავლის საფუძველზე იგი მიუთითებს, რომ 21-ე საუკუნემდე შემორჩენილი ეს ტრადიცია უკვე „საგრძნობლად გაღარბებული და გაფერმკთალებულია; მოიშალა სანთლების დანთება; გაქრობის პირასაა მსხვერპლის შეწირვის წესი და სხვა (ჩოხარაძე, 2015: 119).

ზიარეთობა იცოდნენ მესხეთშიც (ბერიძე, 2014: 134) და აჭარაშიც (შიოშვილი, 2011: 149, ბსუნ-ბიფა, საქმე №70: 186-190 და სხვა). კლარჯული ზიარეთობა შევისწავლეთ ჩვენს მონოგრაფიაში „კლარჯული ფოლკლორი“ (შიოშვილი, 2017: 280-283).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ აჭარელ მუსლიმთა შორის ბოლო დრომდე ფიქსირდება ზიარეთობის ხსოვნა და ადგილებსაც მიანიშნებენ, სადაც მორწმუნენი მიდიოდნენ, ასრულებდნენ რიტუალს და იძინებდნენ, რათა სიზმარში მისცემოდათ რჩევა-დარიგება თავიანთი გასაჭირის თაობაზე. ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხოხნაში 98 წლის სერდალ მახარაძისაგან ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტმა ლიკა მახარაძემ ჩაინერა შემდეგი ნარატივი:

„...ის ადგილი (ზიარეთი – თ. შ.) გერჩექ არის საინტერესო. ადრე ამბობდენ, ჩემ ბალნობაში, რომ იქ წმინდანები არიანო დასაფლავებული, ზოგი იტყოდა, და-ძმაო, როის მოკტენ და როის დაასაფლავეს, ვინმემ არ იცის. ამბობენ, მსოფლიო ომის დროსო.

იქ რომ ეხვალ, ჯერ დიდი გზა'და გეიარო, მემრენ, სანამ შეხვალ. აბდესი'და ეილო; ცუდი გულით არ'და შეხვიდე, თვარა ზიარეთი არ მიგიღებს და გადაგადგებს. ერთხელ, ჩემ ბალნობაში, გამიგია: კაცი მივდა, ვითომ ისე, აინტერესებდა, მართალიაო თუ არა და ზიარეთმა არ მიიღო, გადმოაგდო შკერებში.

იქ არც თოვს, არც წვიმს, სულ კაი ამინდია.

რომ ეხვალ, აბდესის მერე ქვა'და ეილო და სურვილი'და ჩეიფიქრო, მერე წვერებიანი კაცი დეგესიზმრება; ეს კაცი წმინდანია, სულ თეთრები აცვია და გეტყვის, რა მოგივა, აგისრულდება სურვილი თუ – არა.

ე ამფერი კაი ადგილი არის. აქ, თუ არ გჯერა, არ ეხვიდე!“ – დასძინა მთქმელმა (მასალა დაცულია ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის ფოლკლორულ არქივში).

ჩვენ მიერ 1989 წელს ქალაქ რიზეში მაჭახლიდან მიგრირებული 32 წლის სულეიმან იუსუფის ძე ოზჯანისაგან (ქოთაროლი) ჩავინერე ნარატივი, რომლის თანახმად, ზიარეთში „ინსანი დაწვებოდა, რაცხა უნდა გადახდეს, თელ ელაპარიკებდა წვერიანი დედე. ეს დედე კარგი ინსანია, ის სიზმარში ელაპარიკება. მერე ადგები, ვინმეს ვერ დეინახავ“.

სულეიმან ქოთაროლისეული აღწერა ზიარეთობისა, რომელიც, მისი თქმით, ქალებში ეწყობა, მართალია, გაფერმკრთალებულია, მაგრამ მაინც საინტერესო ცნობას იძლევა იმის თაობაზე, რომ ზიარეთში მისულ მომლოცველს სიზმარში მოხუცებული („წვერიანი“) ბაბუა ეცხადება და მისგან ეუწყება სახვეწარის (ჩანაფიქრის) თაობაზე. არსებითად იდენტურია აჭარელ მუსლიმთა რწმენაც („...წვერიანი კაცი დეგესიზმრება...“), რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ქოროხის აუზის მკვიდრი ქართველობის ზეპირსიტყვიერება და რწმენა-წარმოდგენები ერთიანი ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული სივრცის ნაყოფია.

#### 4. ლევანდა გოლიათი ჰაჰაფხა

ბურსას პროვინციის იზნიქის რაიონის სოფელ ჰაჯიოსმანიელმა გურჯმა – 40 წლის მემედ შაჰინმა, რომელიც გოლჯუქში ბინადრობს, გიღობა გაგვინია ქალაქ იზნიქის (ყოფილი ნიკეა) დათვალეირებისას. როდესაც ქალაქგარეთ არსებული აბდულ ვაჰაფის სახელობის ჯამე და საფლავი გვაჩვენა, მისივე თქმით ჩავინერე ლევანდა ფელამბერის გოლიათი მედროშე აბდულ ვაჰაფზე, რომელსაც ეს ქალაქი აუღია. „წინ მივდოდა და ყველას თავებ ჭრიდა“. დაუნყევლიათ დაუნდობელი აბდული და წყევლასაც გაუჭრია – „დაწყველეს მეგემ და დეებნიდა და ნეექცა; კისერი მოჭრეს, მაინც ადგა ზეზე. ფელამბერმა დუუძახა:

– თავი არ დაგრჩეს, წამეღლეო!“



ხალხის რწმენით, აბდულ ვაჰაფს მოჭრილი თავი აუღია და იმ ადგილამდე მიუტანია, სადაც ახლა მისი საფლავია, და შემდეგ დაცემულა.

როცა შეჰყურებ ამ გორაკს, რომელიც, ლეგენდის თანახმად, თავმოჭრილმა და ილღიაში საკუთართავამოჩრილმა მებაირახტრემ აიარა, უნდობლობის გრძნობა გიპყრობს, მაგრამ მითოსურ-ლეგენდური ნარატივებისათვის, განსაკუთრებით, თუ ისინი მსმენელებზე თუ მკითხველებზე გარკვეული შთაბეჭდილებების მოსახდენად ფოლკლორიზდებოდნენ და სასწაულებრივ ეპიზოდებს იძენდნენ, შეუძლებელი არაფერია; ეს პროცესი არც მაშინ არის წარმოუდგენელი, როცა ამა თუ იმ რელიგიის კულტად ქცეულ ცალკეულ ისტორიულ პიროვნებებს ეხება; მით უფრო, რომ აქაურთა ტრადიციული წარმოდგენით, აბდულ ვაჰაფი გოლიათი ყოფილა და, ამავე დროს – ფეჟღამბერის ბაირახტარი, რომელიც პროფესორ მამია ფალავას ჩანაწერის (მთქმელი ილხამ ჩილოღლუ) თანახმად, ოთხივეკარებჩარაზული ქალაქის ასაღებად წყალსადენს გაჰყვა, ისე შევიდა შიგნით და აიღო კიდეც ქალაქი. ამ ვარიანტის თანახმად, „ბევრი ქრისტიანი დაილუპა მის წინააღმდეგ ბრძოლაში“, გოლიათს გოლიათზე ამარცხებდა, თავადაც გოლიათი.

საინტერესოა აბდულ ვაჰაფის დამარცხების ხალხური ისტორიაც. მემედ შაჰინისეული ვარიანტით, ის დაწყევლეს ქალაქის ქრისტიანმა მცხოვრებლებმა და წყევლამ უწია. მ. ფალავასეული ჩანაწერის თანახმად კი „ერთ ქრისტიანს უთქვამს:

– თქვენ მაგას სხვაგვარად ვერ დაამარცხებთ, თუ შეაგინებთ, განერვიულდება, გონება დაეზინდება და მოკლავთ“.

ასეც მოქცეულან, შეუგინებიათ, გონებადაბინდული აბდულ ვაჰაფი ადვილად მოუკლავთ და თავიც მოუკვეთიათ (ფალავა, 2016: 247).

ქრისტიანთა დიდებული ქალაქის – 325 წლის ცნობილი საეკლესიო კრების მასპინძელი ნიკეის დაცემა აქაურთა მეხსიერებაში გოლიათ აბდულ ვაჰაფის ვაჟკაცობას უკავშირდება და ლეგენდის სარჩულით შებურვილ ნარატივში არცთუ დიდი გულისტკივილით ყვებიან, როგორ ხოცავდა ნიკეის მცხოვრებთ მათი ფალავანი – აბდულ ვაჰაფი, რომელიც „წინ მივდოდა და ყველას თავებ ჭრიდა“. შესაძლებელია, მუსლიმების მიერ ნიკეის ალების დროს დამპყრობთაგან მართლაც იბრძოდა ვინმე ვაჟკაცობით გამორჩეული აბდულ ვაჰაფი, იქნებ მედროშეც იყო, მაგრამ, დროთა განმავლობაში ეს ამბავი ლეგენდად იქცა და ზეპირსიტყვიერების კუთვნილება გახდა. ბუნებრივია, ამ ლეგენდას არაფერი აქვს საერთო ქართულ ზეპირსიტყვიერებასთან, მაგრამ, რამდენადაც მის შესახებ ყვებიან აქ (და არა მარტო აქ) მობინადრე ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლები, მას მაინც გარკვეული ღირებულება გააჩნია.

## 5. ლევანდა მორწმუნე ქალზე

ქართველ მუჰაჯირთა ზეპირსიტყვიერების შესწავლა ცხადყოფს, რომ მათ არა მარტო სამშობლოდან წაიღეს მათთვის ძვირფასი და აქტუალური ნარატივები, არამედ შეითვისეს ადგილობრივიც და, ამავე დროს, ახალ საცხოვრისშიც შექმნეს მათი სოციალურ-რელიგიური მრწამსის შესატყვისი ახალ-ახალი ნიმუშებიც. ამ უკანასკნელ ჯგუფს განეკუთვნება ლევანდა მორწმუნე ქალზე, რომლის ვარიანტებიც ორდუს პროვინციის ორდუს ცენტრალური რაიონის სოფელ იუჯელერში (ძველი მიტრაბოლი) მკვლევარებმა მამია ფალავამ და ნიაზ ზოსიძემ დააფიქსირეს 2012 წლის 8 ივლისს.

ლეგენდის თანახმად, რომელიც პროფესორმა მამია ფალავამ ჩაინერა 70 წლის მიტრაბოლელი ხასან ჩელიქისაგან (ჯინჭარაძე), მორწმუნე ცოლ-ქმარი „ერთმანებ ყველაფერ მუუყვებოდენ“. ცოლიც გაენდო, რომ უცხო კაცმა სთხოვა, ღმერთის გულისთვის ერთი ეკოცნა და მანაც აკოცნინა:

„– ღმერთი გულითვინ უცხო კაც ვაკოცნიეო, – არ დუუმალავს ქალს“.

ქმარმა პირუჩუმრად გააცხელა ღუმელი („ფურუნი“) და ცოლს უთხრა:

– ღმერთი გულითვინ შედი ფურუნშიო!“

ქალი დაუფიქრებლად შევიდა გახურებულ ღუმელში, ქმარმა კი კარები „დუუხურა, იფიქრა დეენვასო“. თხუთხმეტი-ოცი წუთის შემდეგ კაცმა გაალო ღუმელის კარი და რას ხედავს: „ფურუნი აყვავებულა, მწვანით დაფარულა, ქალი დამუდარა და ყვავილებ ეფერება...“ (ფალავა, 2016: 93).

არსებითად იდენტური, თუმცა ლექსიკით განსხვავებულია, მკვლევარ ნიაზ ზოსიძის მიერ ამავე სოფელში, იმავე მთქმელისაგან ჩანერილი ვარიანტი. ის ფაქტი, რომ ერთიდაიმავე მთქმელისაგან სხვადასხვა ჩამწერმა ერთი და იგივე სიუჟეტის ვარიანტები ჩაინერეს, ძალზე საინტერესოა ფოლკლორისტიკის სპეციფიკის თვალსაზრისით; იგი დასტურია ზეპისიტყვიერებისათვის ესოდენ დამახასიათებელი მნიშვნელოვანი დეტალისა: მთქმელი, თუ ის პროფესიონალია, არასოდეს იმეორებს ტექსტს სიტყვასიტყვით; გამეორებისას ის აუცილებლად ქმნის ვარიანტებს. ამგვარი ვარიანტები მოუყოლია მიტრახოლელ ხასან ჩელიქს ორივე სტუმრისათვის, არცერთისათვის დაუნყვეტია გული. საყურადღებოა, რომ ნიაზ ზოსიძისეული ჩანანერი მეტი დრამატიზმით აღწერს სხვისი კოცნის მოსურნე კაცის განცდებს, როდესაც „ძალვან ლამაზი, დუნაგუზელივით ქალი დეენახა“. იგი დაიბნა, უყურა, უყურა, „ვერ გაძღა ყურებით. რაფერც იქნა, ჭკვა მოჭუჭკა და ქალ უთხრა:

– ღმერთი გულითვინ ერთი მაკოცნიეო!“

ლეგენდის დასასრულის მთქმელისეული პათეტიკური დასკვნა კი ამგვარია: „– რატომ არ დეენვა და არ დეებრაკა, ემულავ, ის ქალი, ხომ მიხდი? ღმერთი გულითვინ შევდა ფურუნში და იმიტომ!..“ (ზოსიძე, 2017: 130).

ქართულ ზეპირსიტყვიერებაში მიტრახოლური ლეგენდის ანალოგი არ მოგვეძებნება; ამდენადაც მნიშვნელოვანია ჩვენებურებს შორის შექმნილი მტკიცე რწმენის მქონე ქალის სასწაულებრივი თავადასავლის შემცველი მშვენიერი ლეგენდა, რომელიც უსათუოდ გაამდიდრებს ჩვენს ფოლკლორულ სამყაროს.

## 6. ლევანდა ღვინის აკრძალვაზე

ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებს, რომლებიც, ბუნებრივია, მუსლიმური აღმსარებლობისა-ნი არიან, რელიგია ღვინის სმას უკრძალავს. თუ რატომ კრძალავს ისლამი ღვინის სმას, ამის თაობაზე ჩვენებურების ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებულია ლეგენდა, რომლის შინაარსიც ერთმანეთის მსგავსია აჭარისა და აჭარელ მუჰაჯირთა ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ სიანამდვილეში და რომელიც თავისი გენეზისით ჰადისური წარმოშობისაა.

აჭარელ მუჰაჯირთა შთამომავლის – ბურსას პროვინციის გემლექის რაიონის სოფელ ჰაიდარი-ეში (ძველი სახელია ელჯევა) მცხოვრები 93 წლის ხასან ქურთის (ქურთოლლი) მოკლე ნარატივის თანახმად, მუხამედ ფელამბერმა გაიარა და დაინახა, რომ „გურჯები შარაფს სმენ. იქიდან რომ გამეარა, თეელი ზარხოში, ერთმანებ აგინებენ, მემრე ჰარამი ქნა შარაფი სმა“ (ჩაინერა თინა შიოშვილმა 2014 წლის 13 ივლისს). იმავეს ყვებიან საქარიას პროვინციის ჰენდექის რაიონის სოფელ ფინარლიში (ფინარქოი) კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლებიც: ახალგაზრდებმა ღვინის სმისაგან „ჭკვა რომ დაკარქენ, ერთმანები დუუჭრიან, დუუკლიან. მაშინ ფელამბერმა ჰარამი ქნა ღვინის სმა“ (ჩაინერა თინა შიოშვილმა 2012 წლის 16 ივლისს).

„ღვინის სმა ჰარამია!“ – ეს დოგმა ჩვენებურთათვის, ამგვარი დოგმის შემცველი მოკლე ლეგენდა იცის ყველამ, განსაკუთრებით – ასაკოვნებმა. ჩემს შეკითხვაზე, რატომ კრძალავს მუსლიმუ-

რი რელიგია ღვინის სმას, 2012 წლის 19 ივლისის ტრადიციულ ნარატივს მისეული კომენტარიც მოაყოლა ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფელ შირინქოში მცხოვრებმა 60 წლის ნიზამითინ ადინმა: „– შარაფი ჰერამია! ჭკუა ნეგევა! ბექმეზ რომ ჭამ, ჰელალია. ბროულ სვამ, აგაბეჩებს, კაც მოკლი!“

ლეგენდა მუხამედ ფელამბერის მიერ ღვინის ცოდვად („ჰერამად“) გამოცხადებაზე უფრო ვრცელი ვარიანტების სახით გავრცელებულია აჭარის ზეპირსიტყვიერებაში: 1987 წელს ქედის რაიონის სოფელ მერისში მცხოვრები 44 წლის სულიკო (სულიმან) მეიდალის ძე საკანდელიძისაგან ჩვენ მიერ ჩანერილი ჰადისური ლეგენდა მოგვითხრობს:

„თურმე, მიდიოდა რალაც საქმეზე მუჰამედ ფელამბერი. გზაზე გავლიხან კაკლის ძირში შეხვდენ ახალგაზრდობა, ხალხი, რომელსაც გამართული ქონდათ სადილი და ჭამდენ პურს. ღვინით ლოცავდენ ერთიმეორეს. ეს შენიშნა მუჰამედ ფელამბერმა, ბიჭებს მიესალმა და ცოტა ხანს გაჩერდა. ეს ბიჭები ერთიმეორეს ლოცავდენ. მოეწონა მუჰამედ ფელამბერს, მანაც დალია ერთი-ორი ჭიქა ღვინო, დალოცა აგინი და უთხრა:

– ცოტა ხნის შემდეგ გამოვბრუნდები და ერთად ვიქეიფოთო!

რომ დაბრუნდა უკან, ეს ბიჭები დამთვრალიყნენ და ერთიმეორეს აგინებდენ, ცემდენ. ეს აღარ მოეწონა მუჰამედ ფელამბერს და მაშინ თქვა:

– ჩემი ხალხისათვის, ჩემი ურმეთისათვის, ჰერამი მიქნია სასმელიო! მის მერე გახდა მუსლიმანი ხალხისათვის სასმელი ჰერამი“ (ბსუნბიფა, საქმე №272: 87-88).

ლეგენდის ქობულეთური (სოფელი ლელვა, მთქმელი რეხიმე რეჯების ასული ანანიძე-ჯინჭარაძისა, ჩაინერა რომან ანანიძემ 1981 წელს) ვარიანტის თანახმად, „განურჩევლად რჯულისა და სარწმუნოებისა, ძველად ღვინოს ყველა სვამდა. რაზედაც მერისული ვარიანტიც მიუთითებს (თავად მუჰამედ ფელამბერმაც დალია ღვინო ახალგაზრდებთან ერთად), მაგრამ ლეგენდის სიუჟეტი ამ შემთხვევაშიც მერისული ვარიანტის მსგავს მიზეზს მოგვითხრობს – მთვრალმა ძმებმა ერთმანეთი ამოხოცეს. „მუხამედ ფეისამბერი ერთხელ, თურმე, იმ ჩვენმა გამჩენმა დიდმა ღმერთმა გამოავაზვნა ზეციდან და უთხრა:

„– ნადი ტყვილ დუნაზე და ნახე, რას შვრება შენი უმმეთიო!“

ჩამოვიდა ფეისამბერი დედამინაზე, გაიარა ერთ სოფელში და ნახა, რომ გზის პირას დამჯდარა სამი ძმა და ღვინოს სვამს. ერთმანეთში ძმები, მართლაც, ძმურად ჭუჭუნებდნენ, მღეროდნენ, ერთმანეთს ეხვეოდნენ, კოცნიდნენ და ერთგულებას ეფიცებოდნენ.

ფეისამბერს ძმების ქეიფი მოეწონა, მაგრამ ცოტა ხნის მერე რომ გამოიარა, რას ხედავს; უზომოდ გამომთვრალ ძმებს დანებითა და კეტებით ერთმანეთი დაუხოცავთ.

მაშინ ფეისამბერმა დაინყევლა:

„– ხერამი იყოს ღვინო მუსლიმანისათვის! ჩემი უმმეთი, ვინც ღვინოს დალევს, ცოდვით წაწყდეს და ჯეხენებში დაიხრუკოსო!“ (ბსუნბიფა, საქმე №242: 45-46).

1972 წელს გიორგი სიხარულიძის მიერ ხულოს რაიონის სოფელ ფაჩხაში 72 წლის მიქელა დავითაძისაგან ჩანერილი, შედარებით მოკლე, ნარატივის თანახმად, მუხამედი მოხსენიებულია „ფეისამბერების უფროსად“, რომელმაც დაინახა, „რომ კაცები დამთვრალან და იგინი ცემენ, აგინებენ, სისხლებს ადენენ... გაბრაზდა ფეისამბერმა, აკრძალა ღვინო“ (ბსუნბიფა, საქმე №176: 24).

მართალია აჭარელ და კლარჯ მუჰაჯირთა ზეპირსიტყვიერებაში ბოლო დრომდე შემორჩენილი ლეგენდა მუჰამედ წინასწარმეტყველის მიერ ღვინის სმის აკრძალვაზე ძალზე მოკლეა, მაგრამ ძირითადი არსი, რაც მორწმუნე მუსლიმისათვის არის საჭირო, შენარჩუნებული აქვს; ლექსიკისა და ფანტაზიის სიმცირე კი, ბუნებრივია, სამწუხაროდ, მათივე ქართულის სიმწირით უნდა აიხსნას,

ხოლო თავისთავად ეს მცირე ზომის ნარატივები ჩვენებურთა ზეპირსიტყვიერებაა და მნიშვნელოვანია ჩვენი მუსლიმი თემის მსოფლგაგებისა და მათი ზნეობრივი პრინციპების გასაცნობად.

**ბამოყენებული ლიტერატურა:**

**ბიბლია**, საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა, თბილისი, 1989;

**ბერიძე**, 2014 – მერაბ ბერიძე, „სოფლები და ნასოფლარები მოგვითხრობენ“, თბილისი;

**ბიდერმანი**, 1996 – Ганс Бидерманн, „Энциклопедия символов“, მოსკოვი;

**გორდეზიანი**, 2005 – რისმაგ გორდეზიანი, „მითების სიბრძნე“, თბილისი;

**ზოსიძე**, 2017 – ნიაზ ზოსიძე, „ნეტაი ადრე მოსულიყავით“, თბილისი;

**თაყაიშვილი**, 1991 – ექვთიმე თაყაიშვილი, „სამუსლიმანო საქართველო“. – კრებულში „დაბრუნება“, ტ. I (ემიგრანტული ნაშრომები), თბილისი;

**მარი**, 2012 – ნიკო მარი, „შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურები“, ბათუმი;

**ფალავა**, 2016 – მამია ფალავა, „მუჰაჯირთა შთამომავლებთან“, ბათუმი;

**ფუტკარაძე**, 1993 – შუშანა ფუტკარაძე, „ჩვენებურების ქართული“, ბათუმი;

**შამანაძე**, 1973 – ნოდარ შამანაძე, „ქართული ხალხური ლეგენდები“, თბილისი;

**შიოშვილი**, 2010 – თინა შიოშვილი, „სამყაროსა და პირველი ადამიანების შექმნის მოტივი აჭარულ შესაქმნის ლეგენდაში“. – კოლექტიურ მონოგრაფიაში „ქართველი მუსლიმები თანამედროვეობის კონტექსტში“, ბათუმი;

**შიოშვილი**, 2011 – თინა შიოშვილი, „შავშური ფოლკლორი“. – კოლექტიურ მონოგრაფიაში „შავშეთი“, ბათუმი;

**შიოშვილი**, 2016 – თინა შიოშვილი, „შავშური ფოლკლორი“, თბილისი;

**შიოშვილი**, 2017 – თინა შიოშვილი, „კლარჯული ფოლკლორი“, თბილისი;

**ჩიქოვანი**, 1955 – მიხეილ ჩიქოვანი, „დავით გურამიშვილი და ხალხური პოეზია“, თბილისი;

**ჩოხარაძე**, 2015 – მალხაზ ჩოხარაძე, „ხანძთა და „ათორმეტ სავანეთა“ მხარის ძველი სალოცავები“, ბათუმი;

**ნიკლაური-ხუხუნაიშვილი**, 2000 – მერი ნიკლაური-ხუხუნაიშვილი, „ქართული ჯადოსნური ზღაპრის პერსონაჟთა მითოსური ძირების შესწავლისათვის“. – კრებულში „ლიტერატურული ძიებანი“, ტ. XXI, თბილისი;

## რამაზ სურბანიძე შაქრო რიკვაიძე

### პითაგორას სპეკულირება (პასუხი ბატონ მიხეილ მახარაძეს)

ჟურნალ „ჭოროხში“ (№5, 2019 წ.) გამოქვეყნდა პროფესორ მიხეილ მახარაძის წერილების კრებული, „საფრთხეების შემცველი გამოწვევები“. ერთ რიტორიკულად დასათაურებულ წერილში, „ახალი თავსატეხი ხომ არა?“, უარყოფითადაა შეფასებული სახალხო მოძრაობა „მუსლიმანი და ქრისტიანი ძმები საქართველოს ერთიანობის დასაცავად“ და მოძრაობის გაზეთი „მაცნე“.

ამ მოძრაობის შექმნას და გაზეთის დაარსებას დადებითად შეხვდა მთელი საქართველოს მოსახლეობა. აჭარაში მოძრაობას 80 000-მდე მხარდამჭერი ჰყავს, ამიტომ, დიდი ტირაჟის მიუხედავად, გაზეთის რაოდენობამ შესაძლოა კვლავ მოიმატოს. ასეთია მოსახლეობის დიდი ნაწილის სურვილი. ჩვენს ოპონენტს ეს არ მოსწონს. გვიჩნდება კითხვა, თავად ხომ არ ახმონებებს მოსახლეობის უმრავლესობის სანინაღმდეგო მოსაზრებას და მისდაუნებურად მართლაც „ახალ თავსატეხს“ ხომ არ უჩენს?

საზოგადოებრივი მოძრაობის და ორგანიზაციების წარმოქმნა კარგი ცხოვრებით არაა ნაკარნახევი. სასურველი იყო ავტორი ღრმად ჩანვდომოდა დასახელებული მოძრაობის შექმნის მიზანსა და მიზეზებს და დაკავშირებოდა სახალხო მოძრაობის დამფუძნებლებს. დარწმუნებული ვართ, მათგან მიიღებდა ისეთ განმარტებებს, რომ ალბათ აღარ გამოაცხადებდა მათ მართლმადიდებლური მოძღვრების უცო-

დინარებად და უპატივცემულოებად, ახალი ეჭვების მთესველებად, მეზობელი ქვეყნისადმი ტერიტორიული პრეტენზიების გამღვივებლად და ლამის ქვეყნის მტრებად.

ამ დონის მეცნიერის და საზოგადო მოღვაწისთვის უცნობი არ უნდა იყოს, ბოლო წლებში როგორ გაძლიერდა უცხო ქვეყნების იდეოლოგია საქართველოში. ჯერ იყო და დაიწყო მეტად საშიში მოძრაობა ბათუმში უცხოური პროექტითა და სახსრებით აზიზიეს მეჩეთის აშენებისთვის. არავინ უწყოდა, ეს მართლაც მეჩეთი იქნებოდა თუ რაღაც ანტიქართული მოქმედებების ბუდე.

ამ საშიშროებას დაუპირისპირდა ბათუმის მოსახლეობის დიდი ნაწილი, 60 000 კაცზე მეტი, მათ შორის 12 000 მუსლიმანი, რომლებმაც თავიანთი განწყობა გამოხატეს ხელმონერებით და მკვეთრი გამოსვლებით პრესაში, სოციალურ ქსელებში. და თუ ახლა ქალაქის ცენტრში, იმ ადგილას, სადაც ბათუმის შენარჩუნებისთვის ბრძოლაში დაღუპული გმირები განისვენებენ, უცხოელთა კუთვნილი საეჭვო დანიშნულების შენობა არ წამოიმართა, სწორედ ბათუმელი „მუსლიმანი და ქრისტიანი ძმების ერთად დგომის“, მათი პრინციპულობის და შეუპოვრობის შედეგია.

ბნელმა ძალებმა სცადეს ხალხის სამართლიანი პროტესტი თავისი ბოროტი მიზნებისთვის

გამოეყენებინათ. გაავრცელეს ქორები, რომ ხელმონერების ორგანიზატორები და მოძრაობის დამფუძნებლები, მათი ლიდერი, არამარტო მეჩეთის მშენებლობას, არამედ მუსლიმანურ სარწმუნოებას ებრძვიან, ავინროებენ, ხელს უშლიან რიტუალების შესრულებაში და ა.შ. ამაზე მეტყველებს ბატონ მიხეილ მახარაძის წერილების კრებულში სამართლიანად გაკრიტიკებული „ყურანის“ მთარგმნელის რ. მიქელაძის დამახასიათებელი თავხედური, სხვების მიმართ უპატივცემულო განცხადება, რომ მას არ აინტერესებს, მის თარგმანს უნივერსიტეტში ნაიკითხავენ თუ არა, „ეს ქართული მუსლიმებისთვის გაკეთდა იმიტომ, რომ ქართველ მუსლიმებს ყოველთვის ჰქონდათ ეჭვი იმასთან მიმართებაში, რაც გააკეთეს არამუსლიმებმა“. აქ, რა თქმა უნდა, იგულისხმებიან ყურანის ადრინდელი მთარგმნელები, ცნობილი მეცნიერები: პეტრე მირიანაშვილი, აპოლონ სილაგაძე, გიორგი ლობჯანიძე და არამარტო ისინი, ყველა არამუსლიმანი, ვინც რ. მიქელაძის ეჭვით, თითქოს მუსლიმებს ცუდად ექცევიან.

ეს ქორი, სამწუხაროდ, ბევრმა დაიჯერა, თვით ბრძენ მუსლიმანებშიც გამოერია თითო-ოროლა, ვინც სულ ცოტა, თვლის, რომ მუსლიმანები მეორეხარისხოვან ქართველებად მიიჩნიესო. ამ დროს სინამდვილე სულ სხვაგვარია. მოძრაობა და მისი ლიდერები წინააღმდეგი არიან არა მუსლიმანური აღმსარებლობისა, არამედ:

– უცხოური სახსრებით სალოცავის აშენებისა;

– ახალი მედრესე-პანსიონების გახსნისა, რომლის პროგრამა არ პასუხობს საქართველოს კანონს განათლების შესახებ;

საზოგადოება ყოველმხრივ ხელს უწყობს მუსლიმან მლოცველებს, რათა მათ შეუფერხებლად აღასრულონ თავისი რწმენა, იგი მზადაა ებრძოდეს ყველას, ვინც სარწმუნოების, სინდისის თავისუფლებაში ჩაერევა.

სხვათა შორის, უცხოური სახსრებით მლოცველთა შრომის ანაზღაურების და მეჩეთების აშენების წინააღმდეგ ევროპის ზოგი სახელმწიფოც გამოდის. მაგ. ავსტრიაში კანონი კრძალავს

იმამების საზღვარგარეთიდან დაფინანსებას. აქ დახურეს 7 მეჩეთი და ქვეყნიდან გააძევეს 40 იმამი, მხოლოდ იმიტომ, რომ მათ თურქეთის რელიგიური ორგანიზაციები აფინანსებენ.

უცხოეთის ზოგი რელიგიური გაერთიანება ასეთმა მაგალითებმა ვერ შეაჩერა. „საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს“ ზოგიერთ წევრს უცხოეთიდან გულუხვად აფინანსებენ. აჭარის ტერიტორიაზე გაგრძელდა უნებართვო, განათლების კანონის გაუთვალისწინებლად მედრესე-პანსიონების, ბავშვთა ბაღების და სკოლების გახსნა. მათმა რიცხვმა 300-ს მიაღწია. უფრო მეტიც, ანტიქართველები სარგებლობენ მოსახლეობის სიდუხჭირით და ბავშვებს მიერეკებიან მეზობელ ქვეყანაში, პირდებიან ცხოვრების ყველა მოთხოვნების დაკმაყოფილებას: კვებას, ჩაცმა-დახურვას, უფასო სწავლას. ამაში თითქოს ცუდი არაფერია, უცხოეთში სწავლის და სასულიერო განათლების წინააღმდეგი არავინაა, მაგრამ მთავარია, უცხოეთის სკოლებში და ჩვენთან გახსნილ ზოგიერთ მედრესე-პანსიონში ბავშვებს რას ასწავლიან. მათი უმრავლესობა (და არა ყველანი) სრულიად მოწყვეტილია საქართველოს ისტორიის, კულტურის, განათლების ფუნდამენტურ დებულებებს და ქვეყანაში ბრუნდება ეროვნული ცნობიერების გარეშე.

უფრო მეტიც, განათლებამიღებულთა უმრავლესობას არ გააჩნია შესაბამისი დიპლომი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ეს სასწავლებლები არაა აღიარებული სახელმწიფოს მიერ, ხოლო ახალგაზრდები იქ მოტყუებით ჩაიყვანეს.

ამ საშიშროებაში გარკვევას შორს ნასვლა არ სჭირდება, არც 300 მედრესეში მისვლაა აუცილებელი. საკმარისია ვნახოთ ქალაქ ბათუმში ლეხ კაჩინსკის ქუჩის მახლობლად გახსნილი სკოლა, აბუსერისძე ტბელის №2-ში და მამია ვარშანიძის ქუჩის №172-ში მდებარე ბავშვთა ბაღები და გავეცნოთ მათ მუშაობას. თუმცა ამის მსურველებს წინასწარ გაუფრუვებთ იმედს. ამ სკოლის და ბაღების შესასვლელში მკაცრი დაცვა დგას და იქ არავინ შეგიშვებთ, არც სკოლის პროგრამებს გაგაცნობენ, რაც თავისთავად გაფიქრებინებს, რომ იქ სულ სხვაგვარი „სწავლე-

ბა“ მიმდინარეობს, რომლის კონტროლი ჩვენს შესაბამის ორგანოებს ეკისრებათ, მაგრამ ამ მოვალეობას ვერ ასრულებენ.

ქვეყანაში, განსაკუთრებით კი თბილისსა და ბათუმში, ფართო მასშტაბი მიიღო უცხოელთა ჩანერა-დამკვიდრებამ, მათზე უძრავ-მოდრავი ქონების გასხვისებამ, რამაც მოამრავლა უცხო ელემენტები და უცხო იდეოლოგიით აღზრდილი ახალგაზრდები. ეს კი ქვეყნის დამოუკიდებლობას დიდ საფრთხეს უქმნის, აკი, მეზობელი ქვეყნის რეაქციულ წრეებში გაისმა კიდევ მუქარის შემცველი განცხადებები: ჩავატარებთ რეფერენდუმს ისევე, როგორც, 1918-1921 წლებში, უმრავლესობაში მოვალთ და მიწა-წყალიც ჩვენი იქნებაო. საბედნიეროდ, მაშინაც გამოჩნდნენ ღირსეული მამულიშვილები, რომლებმაც ჩაშალეს რეფერენდუმი და საქართველოს გვერდით დადგნენ.

საკითხავია, ვინ არიან ჩვენი ქვეყნის ახალმოსახლეები? პასუხი ასეთია: საქართველოს მაშინდელი მმართველი პარტიის ლიდერის მიერ მონვეულ-მოპატიჟებული ელემენტები.

აბა, ერთი შეეკითხოს ჩვენი სამშობლოს უძღებ შვილებს, იგივე რ. მიქელაძეს, რომელშიც ჩვენი ოპონენტი იმავე „ჭოროხში“ მხოლოდ „ყურანი“-ს თარგმნის პლაგიატს ხედავს და არა მტრული ძალების მიერ მოსყიდულ ანტიქართველს; გაეცნოს საიტს [www.eg.ru](http://www.eg.ru)-ს, სადაც გახმოვანებულია რ. მიქელაძის, ტ. ნაკაიძის, ნ. პაქსაძის და ძმათა მათთა გამოხდომა, ფოტოსთან ერთად და მათი ნააზრევი: „აჭარელი მუსლიმები (!), მზად არიან, დამოუკიდებლობა იარაღით დაიცვან... აჭარა 300 წლის განმავლობაში ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. ამ ხნის განმავლობაში, ქართულმა ელიტამ ისლამი მიიღო, ხალხმა კი თურქული კულტურა შეიყვარა“ და ა. შ. ამ გვერდზე ბევრი თავზარდამცემი ფრაზაა, მაგრამ არ გავიმეორებთ, აჯობებს ბატონი მიხეილი თავად გაეცნოს, გაერკვეს და ჩვენც გაგვარკვიოს, რომელ „დამოუკიდებლობაზე“ და რომელი „კულტურის შეყვარებაზე“ გვესაუბრებიან.

ასეთია საქმის ობიექტური ვითარება და არა ისე ლამაზ ფერებში დახატული, როგორც წერილის ავტორი თვლის, თითქოს ამქვეყნად განსაკუთრებული არაფერი ხდება, ყველა გზა იავარდითაა მოფენილი. ოპონენტი კითხულობს: „რა ისეთი საშიშროება დაინახეს მოძრაობის მესვეურებმა, რომ აუცილებელი გახდა მუსლიმი და ქრისტიანი ქართველების ერთად დგომა?“ სასიამოვნო სანახავი იყო, როცა აჭარის მუფთი ბატონი ბეგლარ ქამაშიძე მართლმადიდებელ მღვდელმთავრებთან შემწყნარებლობის დღეს გამოვიდა და თავის მრევლს სიყვარულისკენ მოუწოდა.

ბატონო მიხეილ! ჯერ ერთი, რაა ცუდი, თუ ისინი ერთად იქნებიან, მეორეც, როგორც მოგახსენეთ, საშიშროება ქვეყნის შიგნით სახეზეა, მეზობელი სახელმწიფო კი იარაღის გარეშე აპირებს ჩვენი ქვეყნის ექსპანსიას. ამაშიც რომ დავრწმუნდეთ, ოპონენტს ოფიციალურ გამოსვლებს შევასხენებ:

თურქეთის პრემიერი დავითოღლუ (2013 წ.): „ჩვენ არსად არ გვეჩქარება. ჩვენ ჩვენს მეზობლებს გავუწვდით დახმარების ხელს და თოფის გასროლის გარეშე აღვადგენთ იმ საზღვრებს, რომელიც „ეროვნული აღთქმის“ მიხედვით მომავალი თურქეთის საზღვრები უნდა იყოს“.

თურქეთის პრეზიდენტი ერდოღანი (2017 წ.): „რიზე და ბათუმი რატომ უნდა იყოს სხვადასხვა ქვეყანაში, საზღვარი მათ შორის რატომ უნდა იყოს? თურქეთის ნებისმიერი მომავალი ხელისუფლების ვალია, „ეროვნული აღთქმის“ მითითებულ დოკუმენტში აღადგინოს თურქეთი“. ამ გამოსვლას მოყვა რუკების გამოქვეყნება, რომლებშიც ბათუმი თურქეთის ფარგლებშია მოქცეული. საინტერესოა, რას ამბობს ე. წ. „ეროვნული აღთქმის“ დოკუმენტი? მასში პირდაპირ მითითებულია, რომ თურქეთის საზღვრებში აუცილებლად უნდა მოექცნენ: ბათუმის ოლქი, ერაყის ჩრდილოეთი: მოსული, კირკუჯი, ერბილი; სირიის ჩრდილოეთი: ალეპო, თესალონიკი, ანუ დასავლეთ თრაკია და კორჯალი – ბულგარეთის სამხრეთი ნაწილი. ჩვენმა ხელისუფლებამ გარკვეული მოსაზრებებით ამას არ უპასუხა

და არც მათგან მოითხოვა განმარტება. სწორედ ამან აავსო საზოგადოებრიობის მოთმინების ფიალა, რასაც მოძრაობის დაფუძნება მოჰყვა. სასიამოვნოა, რომ ბოლო დღეებში საქართველოში თურქეთის ელჩის და ბათუმში თურქეთის კონსულის გამოსვლებში საპირისპირო სიტყვებს ვისმენთ, რომ მეზობელ ქვეყანას აჭარის მიმართ არავითარი პრეტენზიები არ გააჩნიაო. პრეზიდენტი ერდოღანიც მოგვინოდებს, დავხუროთ თვითნებურად გახსნილი მედრესე-პანსიონები. უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენს მიმართ მან შეცვალა დამოკიდებულება. ღმერთმა ქნას, ასე გაგრძელდეს, მაგრამ დაზღვეული არა ვართ, რომელი სხვა უმაღლესი მოხელე როდის დაუბრუნდება „ეროვნული ალთქმის“ ვალდებულებას და როდის მოინდომებს საზღვრების გაფართოებას. სირიასა და ერაყში ამჟამად გაჩაღებული საომარი მოქმედებები ამ ეჭვს კიდევ უფრო აძლიერებს. „თოფის გასროლის გარეშე“ საზღვრების აღდგენა ნიშნავს ჩვენში მეზობელი ქვეყნის იდეოლოგიის გაძლიერებას, ბალებსა და სკოლებში მისთვის სასურველი თაობების მომზადებას, აღმსარებელთა რიცხვის ზრდას, ბათუმსა და თბილისში ჩანერას, საბოლოოდ მათი რიცხვის მომრავლებას და ა. შ. ნუთუ ეს ქვეშაირიტება ჩვენი ოპონენტისთვის უცნობია?

როგორც ვთქვით, ბოლო თვეებში მეზობელი ქვეყნის ხელისუფალთა მხრიდან ასეთი მიდგომა აღარ იგრძნობა, ამიტომ ჩვენი ხელისუფლებაც აქტიურად არ გამოხატავს თავის უკმაყოფილებას. ამას განაპირობებს აგრეთვე სახელმწიფოებრივი, ეკონომიკური, პოლიტიკური, დიპლომატიური და სხვა ინტერესები. მაგრამ მეზობელ ქვეყანაში არასახელმწიფო, რელიგიური და სხვა ორგანიზაციები თავის შემოტევას კვლავ აძლიერებენ. ისინი ეყრდნობიან ჩვენს ქვეყანაში მოსყიდულ რამდენიმე პიროვნებას და სარწმუნოებრივი ნიღბის ქვეშ ცდილობენ მოსახლეობის გადაბირებას. აქაო და, ჩავატარებთ გამოკითხვას და უმრავლესობა მოითხოვს ჩვენი ქვეყნის ნაწილი უცხო ქვეყნის ფარგლებში მოექცესო.

ამ „უიარაღო“ მონინალმდეგეს, თანაც არასამთავრობოს, რა უნდა დავუპირისპიროთ? რა

თქმა უნდა, ჩვენი იდეოლოგიური იარაღი; სწორედ ამის გამო შეიქმნა 2018 წელს სახალხო მოძრაობა, ამის გამო დაარსდა მისი გაზეთი, რაც აუცილებლობით იყო გამოწვეული.

ბატონი მ. მახარაძე ამბობს: „მსგავსი მოძრაობის დაფუძნება ასევე გამართლებული იქნებოდა 1918-1921 წლებში, როცა სხვადასხვა ძალები ცდილობდნენ აჭარა ჩამოეშორებინათ საქართველოსგან“.

დიახაც, რომ საჭირო იყო და ქართველმა მუსლიმანმა პატრიოტებმა დააფუძნეს კიდევ „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი“, მემედ აბაშიძის მეთაურობით და გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“. ასეთი დონის მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე კარგად თუ გაერკვევა საქმის ვითარებაში, დარწმუნდება, რომ დღეს საშიშროება 1918-1921 წლებს არა თუ ჩამორჩება, კიდევ უფრო დიდია. „ქრისტიანი თუ მუსლიმი ფანატიკოსი თითო-ოროლა“ კი არაა, როგორც კრიტიკოსი ბრძანებს, არამედ მათმა რიცხვმა საკმაოდ მოიმატა, ჩვენი ეკონომიკური სიდუხჭირის ფონზე მათი მოსყიდვაც საკმაოდ გაადვილდა.

ბატონი მიხეილი ირონიით „გულმხურვალე პატრიოტებს“ გვინოდებს და გვსაყვედურობს იმის გამო, რომ ერთი სიტყვაც არ წამოგვცდენია ოკუპაციაზე, ბორდერიზაციაზე, ქართველების გატაცებაზე და ა. შ. „განა ძნელი გამოსაცნობია თუ საიდან უნდა უბერავდეს ქარი?“ – ასკვნის იგი. ამ ბრალდებას სამი წინადადებით ვუპასუხებთ: 1. ოკუპაციაზე ჩვენ არანაკლებ ვწუხვართ და ვიზიარებთ ოპონენტის შეშფოთებას; 2. ოპონენტმა დასმულ საკითხზე პასუხი მოთხოვოს მათ, ვინც წამოეგო რუსეთის ანკესზე, ვის კისერზეც დევს ოკუპაციის ცოდვა. 3. პრობლემებს რა გამოგვილევს ჩვენს საცოდავ ქვეყანაში, ამიტომ ვეკითხებით ოპონენტს: თქვენ რატომ არ ახსენეთ დავით გარეჯში შექმნილი მდგომარეობა, ეჭვი არ გაგიჩნდათ, რომ ესეც საქართველოს ექსპანსიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია?

„ამ ახალმა მოძრაობამ ეჭვები გააჩინა და არა მხოლოდ ჩემშიო“ და კვლავ კითხულობს: „დღეს, როცა რელიგიური აღმსარებლობის სრუ-



ლი თავისუფლებაა, რატომ გაჩნდა ასეთი მოძრაობა?“ და გმობს მოძრაობის გაზეთის გამოსვლას. უფრო მეტად აშფოთებს მისი ტირაჟი: „ეს ყოვლად მდარე, უგემოვნო პროდუქცია უფასოდ რიგდება, მეტიც, კარდაკარ დააქვთ და სახლებისა თუ ბინების შესასვლელ კარებში ტოვებენ“.

ამ ფრაზამ ჩვენი სხვა ოპონენტის, კერძოდ რეზო მიქელაძის აგებული დამოკიდებულება გაგვახსენა: „თქვენ შექმენით რაღაც ორგანიზაცია, დადიხართ სოფელ-სოფელ და ქმნით წარმომადგენლობებს და ფიქრობთ, რომ ასეთნაირად შეძლებთ მუსლიმებში განხეთქილებას“.

ძალაუნებურად ჩვენც გაგვიჩნდა კითხვა, „საიდან უბერავს ჩვენი ოპონენტის ქარი?“ იგი ხომ არ ახმოვანებს რამდენიმე უკიდურესად რეაქციულად განწყობილი ჯგუფის მოსაზრებებს?

წერილის ავტორი გაზეთს „მდარეს, უგემოვნო“-ს უწოდებს და არ ამბობს, რა ნახა ამ პროდუქციაში ისეთი, რაც არაა ქართული, ეროვნული, არაა სხვადასხვა აღმსარებელთა სიყვარულის, ნდობის და პატივისცემის გამომხატველი.

კარდაკარ დადიხართო, გაზეთებს არიგებთო, ერთხელაც არ წამოცდენიათ, რომ ხელმოკლე, მრავალშვილიან და უმწეოდ დარჩენილ ოჯახებს გაზეთებთან ერთად მოძრაობის აქტივისტები ურიგებენ პროდუქტების პაკეტს, გაჭირვებულ მუსლიმანს, რომელსაც ყურბან-ბაირამის დროს შეიძლება არა აქვს მსხვერპლის შეწირვის საშუალება, ცოცხალ პირუტყვს ჩუქნიან, მოძრაობის წევრები რამაზან-ბაირამის პერიოდში მორწმუნეებს „იფთარზე“ პატიჟებენ და მათთან ერთად მიირთმევენ ვახშამს, შერეული ქორწინებების დროს (ქრისტიანისა და მუსლიმანის), ძველი ქართული ტრადიციის თანახმად, დედოფალს „ვეფხისტყაოსნით“ ამზითებენ და ა. შ.

მოსახლეობასთან მოძრაობის ასეთი სიახლოვე მიზნად ისახავს ყველა მორწმუნეს, პირველ რიგში მუსლიმანს, გაუფანტოს ეჭვი, რომ იგი მეორეხარისხოვანი ქართველია; ორი აღმსარებლობის მიმდევართა შორის აღმოფხვრას შუღლი, მტრობა და სიძულვილი, გააძლიეროს მათ შორის ეროვნული სულისკვეთება და დაარწმუნოს, რომ სარწმუნოება სინდისის თავისუფლე-

ბაა, ვერავინ ჩაერევა, ვინ სად უნდა ილოცოს, სწორედ ამ ჩაურევლობის თავგამოდებული მომხრეა სახალხო მოძრაობა, მაგრამ ამავე დროს ყველა მორწმუნეს, ქრისტიანს, მუსლიმანსა და სხვებს შეახსენებს, რომ უპირველესია ერთად ყოფნა, ეროვნულობა, ქართველობა, სამშობლო და მისი დაცვა სხვათა ხელყოფისგან. რამდენიც არ უნდა გვიკარნახონ, რატომ გახდა „აუცილებელი მუსლიმი და ქრისტიანი ქართველების ერთად დგომა“, ვუბასუხებთ, რომ იგი ახლა ყველაზე მეტად აუცილებელია. ვინც ამას სიღრმისეულად არ გაიგებს, ის ვერ ერკვევა შექმნილ ვითარებაში, ან ემხრობა რეაქციულ და მტრულ ძალებს, რომლებიც პირად სარგებელს ქვეყნის შიგნით არეულობაში ხედავენ, მაღლა აყენებენ მას, ვიდრე სამშობლოს ბედ-იღბალს.

ჩვენი ოპონენტი საკმაოდ უკმაყოფილოა მოძრაობის სახელის გამო, რომ „ქრისტიანობის და ისლამის ერთ დონეზე“ დაყენება ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. თითქოს ეს ჭეშმარიტება ჩვენ უარყავით. ჩვენთან ისლამის მიმდევრებს ამისი პრეტენზია არც გააჩნიათ. როცა ეხება მოძრაობის და გაზეთის სახელწოდებას, ოპონენტი ამბობს: „გვინდა თუ არა, ქრისტიანობით უნდა დავინწყოთ“-ო და ანგარიშს არ უწევს ჩვენთან შექმნილ ობიექტურ ვითარებას.

მართალი უნდა ითქვას, – ამ სახელწოდებაზე მოძრაობის დაფუძნების დღეებში იყო მსჯელობა. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქადაგებაზე დაყრდნობით თვით ქრისტიანმა მორწმუნეებმა კატეგორიულად მოითხოვეს, თუ პატივისცემა გვსურს, შემწყნარებლობასა და სიყვარულზე ვსაუბრობთ, მივბაძოთ ილია II-ს და პირველად დასახელდეს მუსლიმანი-ო. უმრავლესობა ამაზე შეჩერდა.

ამ გადაწყვეტილების გამო უარყოფითი აზრი არ გამოუთქვამთ ჩვენს მღვდელთმთავრებს.

ჩვენი კრიტიკოსი დასახელებაში და ეკლესიისა და მეჩეთის ფოტოების გამოქვეყნებაში, ე. ი. მეორეხარისხოვან ფაქტებში ხედავს, რომ „ასეთი თანმიმდევრობა არ უნდა იყოს შემთხვევითი და იგი მიზანმიმართულად არის გათვა-

ლისინიებული მოსახლეობის გარკვეულ კატეგორიაზე“-ო და, ლამის მართლმადიდებლობის მტრებად გვაცხადებს.

ვიმეორებთ, მოძრაობის საქმიანობა და მისი გაზეთის შინაარსი მთელი შესაძლებლობით მხარს უჭერს ქართველ მორწმუნეებს, პატივს სცემს მათ ღირსებას და სასტიკ ბრძოლას გამოუცხადებს ყველას, ვინც ადამიანების რწმენის თავისუფლებაში ჩაერევა. აქვე იმასაც ვიტყვით, რომ მრავალი გაუგებრობის წყარო გახდა ბათუმში ახალი მეჩეთის აშენება. მოძრაობას მიაჩნია, დაუყოვნებლივ გაირკვეს, ვინაა მეჩეთის აშენების დამფინანსებელი და თუ ის ჩვენი მრევლის შეწირულობაა, გადაწყდეს ახლის აშენების, ან ძველი მეჩეთის გაფართოების საკითხი და მომავალში კანონის ფარგლებში გახსნილი სასულიერო სასწავლებლები და სალოცავები არ გახდეს მრავალი მითქმა-მოთქმის და ვნებათა-ღელვის საგანი.


ბატონ მიხეილს არ მოსწონს ტერმინი „მუსლიმანი“ და გვისწორებს „მუსლიმი“ უნდა იყოსო. უნდა მოვახსენოთ, რომ ტერმინი „მუსლიმი“ არც ერთ ქართულ ლექსიკონში არაა. „უცხო სიტყვათა ლექსიკონში“ განმარტებულია: „მუსლიმანი და მუსულმანი (არაბ. muslim), იგივეა, რაც „მაჰმადიანი“ (თბილისი. 1989. გვ. 329). „მუსლიმანი – იგივეა, რაც მაჰმადიანი“ (ქართ. ენის განმ. ლექსიკონი. ერთტომეული. თბ. 1986. გვ. 343). როგორც დავინახეთ, „მუსლიმ“-ს იყენებენ მხოლოდ არაბები. ყველა ქართველი ავტორი, თვით ცნობილი მუსლიმანი ქართველებიც ხმარობენ ტერმინს „მუსლიმანი“. დიდი ილია თავის ნაშრომს ასათაურებს „სამუსლიმანო საქართველო“. „ართვინში ერთი ათასი მუსლიმანია“ (გიორგი ყაზბეგი); წიგნი „მუსლიმანი ქართველები და მათი სოფლები საქართველოში“ (ზაქარია ჭიჭინაძე); „მუსლიმანის სარწმუნოება“ (თ. სახოკია); გაზ. „სამუსლიმანო საქართველო“, „სამუსლიმანო საქართველოს განმანათავისუფლებელი კომიტეტი“ (მემედ აბაშიძე), „მოკითხვა ქართველ

მუსლიმანებს“ (აპოლონ წულაძე); ფსევდონიმი „მუსლიმანი ქართველი“ (ოსმან-ეფენდი მიქელაძე) და ა. შ. ჩვენ თავს ვერ მივცემთ უფლებას, გამოვიყენოთ ვიღაც არაბი შეიხის შემოღებული ტერმინი და არა ჩვენი მუსლიმანი წინაპრებისა და ჩვენი დიდი განმანათლებლების, მუსლიმან ქართველთა დიდი მეგობრების ნათქვამი.

ტერმინი „მუსლიმი“ ჩვენს სინამდვილეში დაამკვიდრა „ქართველ მუსლიმთა სამმართველომ“, ზოგი იმეორებს ამას. ესეც ერთი საეჭვო დამთხვევაა მათსა და რეაქციულად განწყობილ პატარა ჯგუფს შორის.

და ბოლოს, მოძრაობა სამაგალითო საზოგადოებრივი არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც თავისი საქმიანობით შორს დგას პარტიული კუთვნილებისგან და პოლიტიკური გამოსვლებისგან. ალბათ, იგი ერთადერთია, სადაც ირიცხება ქვეყნის ბედზე მოფიქრალი ყველა პარტიის ყოფილი და შესაძლოა მოქმედი წევრიც, იმ პირობით, რომ იგი იქნება მიუმხრობელი, მხოლოდ და მხოლოდ ეროვნული ინტერესების გამომხატველი. ამ პირობის დარღვევისთანავე პიროვნება კარგავს ყოველგვარ კავშირს მოძრაობასთან. თუმცა, არავინ უკრძალავს რომელიმე პარტიას, გაიზიაროს მოძრაობის სულისკვეთება. გვყავს კიდევ ასეთი ერთ-ერთი გულშემატკივარი, რომელიც მხარს უჭერს მოძრაობის იდეებს, მაგრამ არ ერევა მის შინაგან საქმეებში; ესაა „პატრიოტთა ალიანსი“; ჩვენი ოპონენტის მსჯელობას კი პარტიული მიზანმიმართულობის სუნი ასდის, იგრძნობა, არასამთავრობო სახალხო მოძრაობის პოლიტიკურ რელსებზე გადაყვანის და ახალი ურთიერთდაპირისპირების სურვილი, რაც სრულიად არარეალურია, ჩვენ ამ ანკესზე ვერავინ წამოგვაგებს.

ამგვარად, ჩვენი მოძრაობის და პროფესორ მიხეილ მახარაძის მოსაზრებები რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან. მტყუან-მართალს მკითხველი უკეთ გაარჩევს და თავის პირუთვნელ შეფასებებსაც გამოხატავს.



## ანზორ ღორთქიფანიძე

### სიყვანა ღარი და გოპონიმი ღარიალი

აჭარულ დიალექტში ბევრია არქაული სიტყვა და მათ შორისაა დარე („ფერდი, ფერდობი; გვერდი, გვერდობი; – შ. ნიჭრადე), რომელიც ამჟამად ამ ფორმით, გარდა აჭარული კილოკავისა არც ერთ სხვა ქართულ კილოკავში აღარ იხმარება. ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ძველქართულში მისი ხმარება მხოლოდ აჭარულით შემოფარგლულიყო და სალიტერატურო ფორმა არ ყოფილიყო, ან რომელიმე სხვა ქართულ დიალექტში არ არსებულებოდა სხვა ფორმით მაინც. მე ასეთ სიტყვად მიმაჩნია დარანი („მესხური, ჯავახური, ხევსურული, ფშაური, მოხეური, ოკრიბული, მთიულური) 1. მიწისქვეშ ხელოვნურად გაყვანილი საიდუმლო ხვრელი, რომელსაც ძველად სამალავად იყენებდნენ; 2. ციხის სარდაფი, რომელსაც გარედან კარი არა აქვს. აქ ციხიონთა პროდუქტი ინახება და დიაც-ყმანვილი ჰყავთ შეფარებული. 3. სამალავი შიშიანობის დროს თავის შესაფარებლად, ჩვეულებრივ ციხის ქვემო სართულში; 4. წყლის გასასვლელი კარი, სადენი; 5. ბეჩო, ღრუ ადგილი მდინარეში, სადაც კიბო ან თევზი იმალება; 6. მიწური, სანგარი; 7. ფენა; 8. თევზის ბუნაგი, სადაც თევზი იმალება; 9. თხრილი საძირკვლის ძირში, რომ წყალი იქ დაგროვდეს და კედელს არ მიეკაროს; 10. ეზოში წყლის გასასვლელი ღარი სიპით დაფარული“ – ალ. ლლონტი).

მაშასადამე, დარ-ე დარ-ან-ი ერთი და იმავე დარ- ფუძისგან არიან წარმოებული და მხოლოდ

სუფიქსური წარმოებით განსხვავდებიან: ერთს -ე სუფიქსი ერთვის, მეორეს - ან. რა თქმა უნდა, რამდენადმე სემანტიკური მნიშვნელობაც განსხვავებული აქვთ. დარე მდინარის ან ქედის ფერდობს ნიშნავს, რა თქმა უნდა, ბუნებრივს, ხოლო დარანი – ხელოვნურ თხრილებსა და მიწებს, მალარობებს, სარდაფებს და მისთანას, თუმცა იმ ათი მნიშვნელობიდან, ცხადია, ბუნებრივი ღრმულები ანუ ბეჩოებიც იგულისხმება. რა თქმა უნდა, პირველადია დარ-ე, ხოლო დარ-ან-ი მეორადი. და-რ-ე მორფოლოგიურად დაიშლება და- ზმნისწინად, რ ძირად და -ე სუფიქსად. და-რ-ე ანტონიმია სიტყვისა ა-რ-ე („1. მხარე, მიდამო, არემარე. 2. გარკვეული ადგილი, განსაზღვრული სივრცე, რომელზედაც ვრცელდება რისამე მოქმედება. 3. კიდე (ნიგნისა, რვეულისა), არშია“ – ქეგლი). ე. ი. ა-რ-ე მიწის ზედაპირის ზედა მიდამოს ნიშნავს, მაგრამ შვეულსა და წვეროს მხარისკენ მდებარეს, მიმართულს მაღლა. სწორედ ამიტომ გამოიყოფა მასში ა- პრეფიქსი, რომელიც ერთდროულად აღნიშნავს საზედაო სიტუაციასა და ზემო მიმართულებას. ის ზმნებში როგორც აღ- ზმნისწინის გამარტივებული სახე სწორედ შვეულ და ზემო მიმართულებას აღნიშნავს შდრ.: „რწყილი ა-ხტა-და-ხტა... რაც შეეხება სიტყვას და-რ-ე და- ზმნისწინი მასში შვეულ მიმართულებას აღნიშნავს, მაგრამ ქვემოთკენ მიმართულს. ასე რომ, თუ ა- ზმნისწინი ზემოთკენ მიმართულ შვეულ

მიმართულებაზე მიგვითითებს, და- ზმნისნინი – ქვემოთკენ მიმართულ შვეულ მიმართულებაზე. შესაბამისად სივრცეში ასეთი ორიენტაციის მაჩვენებელი არიან სიტყვები ა-რ-ე და და-რ-ე. მათთან ერთად აღსანიშნავია სიტყვა მა-რ-ე ანუ მე-რ-ე („მდინარის პირას მდებარე ვაკე ადგილი, საყანედ გამოსადეგი მიწა“ – შ. ნიჭარაძე), რომელშიც მა||მე პრეფიქსები ჰორიზონტალურ მიმართულებაზე მიგვითითებენ. ეს მა-რ-ე მონანილეობს კომპოზიტის წარმოებაში: არე-მარე („მიდამო, მახლობელი ადგილები“ – ქველი). საერთოდ კი მარ||მერ ფუძეთა ვარიანტები ყოველთვის ისეთ ტოპონიმებში გამოიყოფიან, რომლებიც მდინარეთა გან ანუ ვაკე ადგილებში მდებარეობენ და სწორედ ამ ფუძეთაგან არიან წარმოებულნი ტოპონიმები: ი-მერ-ეთ-ი, ი-მერ-ხე-ვი, ი-მერ-ა (წალკის რ-ნი), ი-მერ-უხუთ-ი (ვანის რ-ნი), ი-მერ-წყალი (სოხუმის რ-ნი), ი-მერ-ხევი (სოფ. გაგრის და ქარელის რ-ბში), მარა-ბდა- (თეთრი წყაროს რ-ნი), მარაბდის ტბა (თეთრი წყაროს რ-ნი), მარა-დიდი (ხელვაჩაურის რ-ნი), მარ-ალ-ეთ-ი (ცხინვალის რ-ნი), მარ-ან-ა (გორის რ-ნი), მარ-ან-ი (სოფ. აბაშისა და გულრიფშის რ-ბში), მარან-ჭალა (აბაშის რ-ნი), მარა-ჭა (მდ. გალის რ-ში), მარ-ელ-ის-ი (ხარაგაულის რ-ნი), მარ-თ-ველ-ა (მდ. საჩხერის რ-ში), მარ-ით-ის-ხე-ვი (მდ. ჩირუხისწყლის ხეობა შუახევის რ-ში), მარ-ილ-ის-ი (ახმეტის რ-ნი), მარ-იშ-ელ-ა (მდ. ჭიათურის რ-ში), მარი-ჯ-ი (მდ. გალის რ-ში), მარ-ნ-ეულ-ი (ქალაქი ქართლში), მარ-უხ-ი (მდ. და უღელტეხილი გულრიფშის რ-ში), მარ-ლი (მდ. და სოფ. მესტიის რ-ში), მარ-შან-იკვარ-ა (მდ. გალის რ-ში), მერ-ევი (ჭიათურის რ-ნი), მერ-ეთ-ი (გორის რ-ნი), მერ-ენ-ია (ახალქალაქის რ-ნი), მერ-ია (მდ. ცხინვალის რ-ში და სოფ. ოზურგეთის რ-ში), მერ-ის-ი (ქედის რ-ნი), მერ-კულ-ა (ოჩამჩირის რ-ნი), მერ-ჩხ-ეთ-ი (ხულოს რ-ნი), მერ-ხე-ულ-ი (გულრიფშის რ-ნი), მერ-ჯ-ევი (საჩხერის რ-ნი) და სხვა მრავალი.

რაც შეეხება, სიტყვას დარ-ე (თავდაპირველად უნდა ყოფილიყო მ-დარ-ე ფორმა, რადგან ეს სიტყვა მიმდებარა და, როგორც ჩანს, შემდეგ

დაიკარგა მ- პრეფიქსი. შდრ. ლიტერატურული მ-ჭლ-ე და აჭარული ფორმა ჭლ-ე. მ-დარ-ე სემანტიკურად ნიშნავს „დაბალს“. შდრ. განმარტება: მდარე „მდაბალი ხარისხისა“ – ქველი), ისიც გვევლინება ტოპონიმების მანარმოებლად სხვადასხვა ვარიანტებით. ესენია: დარა-ქო (წალკის რ-ნი), დარ-ბაზ-ი (ბოლნისის რ-ნი), დარ-ბაზის ტბა (ბოლნისის რ-ნი), დარი-ალ-ი (ხეობა ყაზბეგის რ-ში), დარ-თლ-ო (ახმეტის რ-ნი), დარ-კვეთ-ი (ჭიათურის რ-ში), დარ-ყ-ა (საჩხერის რ-ნი), დარ-ჩეთ-ი (გურჯაანის რ-ნი), დარ-ჩელ-ი (ზუგდიდის რ-ნი), დერ-ჩ-ი (წყალტუბოს რ-ნი), დერე-ფანი (მდ. სამეგრელოში), დერი-კ-ვარა-ძი-ი (ტბა ოჩამჩირის რ-ში), დრ-ბ-ო (საჩხერის რ-ნი), დრ-ე (გორისა და თეთრი წყაროს რ-ბში), დურ-აშ-ი (ლენტეხის რ-ნი), დური-ფში (გუდაუთის რ-ნი), დურ-ნუკ-ი (თეთრი წყაროს რ-ნი), დურუ-ჯ-ი (მდ. ყვარლის რ-ში), დურ-ლე-ნ-ა (ხობის რ-ნი) და სხვა.

რაც შეეხება აჭარის ტოპონიმებს, აქ ძირითადად მიკროტოპონიმიაში გამოიყოფა ეს სიტყვა: დარ-ბაზ-აულ-ი (ხულოს რ-ნი), დარ-ბარა-ძირ-ი (ქედის რ-ნი), დარ-ანი (ხულოს რ-ნი), დარ-დო-ლელე (შუახევის რ-ნი), დარ-გულ-ა (ქედისა და შუახევის რ-ები), დარ-ე (ქედის რ-ნი), დარ-ე-ქვეშ-ა (ქედისა და შუახევის რ-ბი), დარ-ე-ქვეშ-ი (შუახევის რ-ნი), დარი-თავი (შუახევის რ-ნი), დარი-ჭალა (შუახევის რ-ნი), დარ-ლალ-ა (ხელვაჩაურის რ-ნი), დრ-ო (შუახევის რ-ნი), ზე-დრ-ო (შუახევის რ-ნი) და სხვა.

დარე, როგორც ზემოთ აღვნიშნე, წმინდა ქართული წარმომავლობის სიტყვაა და პროფ. შ. ნიჭარაძე მას ქართულ სიტყვად განმარტავს. მე არ ვიზიარებ პროფ. ი. სიხარულიძის მიერ ამ სიტყვის თურქული წარმომავლობის აზრს „გზის“ მნიშვნელობით (ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმოლოგია, I, ბათ. 1958, გვ. 38), თუმცა დავსძენ, რომ ქართული სიტყვა დარე („ხეობა, მდინარე“) საერთო ფუძეძირის სიტყვებია. აჭარულ ტოპონიმიაში თურქული ფორმის ტოპონიმიც გვხვდება, თუმცა შესაძლოა, რომ ქართული ფორმა გადაქცეულიყო

თურქულ ფორმად ოსმალთა ბატონობის პერიოდში, რაკი საერთო სიტყვაა. ამ ფუძის ტოპონიმები საქართველოს თითქმის ყველა მხარეში გვხვდება. ჩემი აზრით ასევე არ შეიძლება გავიზიაროთ პროფ. ზ. ჭუმბურიძის ეტიმოლოგია ტოპონიმისა დარიალი: „დარიალი ანუ დარიალა იყო საქართველოს და საერთოდ მთელი ამიერკავკასიის ჩრდილოკავკასიასთან დამაკავშირებელი საჭიროების შემთხვევაში ამ კარის ჩაკეტვა ადვილად შეიძლებოდა. იქ, სადაც შიშველი კლდეებით მოზღუდული ხეობა ყველაზე უფრო ვინროვდებოდა, იდგა ციხე და აქ იყო საქართველოსა და ოსეთის საზღვარი. სწორედ

ამ ადგილას ეწოდა დარი ალან ანუ დარიალა, რაც სპარსულად, ალანთა (ოსთა) კარს ნიშნავს. ძველად ასე უწოდებდნენ: „ალანთა კარი“ ანუ „ოვსთა კარი“ (მასვე რქმევია „არაგვის კარი“, რადგან წინათ თერგსაც არაგვი ერქვა)“. (ზ. ჭუმბურიძე, დედაენა ქართული, 1987, გვ. 441).

მართალია, ოსები და სპარსები საქართველოსა და ოსეთის საზღვართან ხეობას თერგისას „დარი ალანს“ – „ოვსთა კარს“ უწოდებდნენ, მაგრამ ქართველები თერგის ხეობას ყაზბეგის რ-ში უწოდებდნენ დარი-ალ-ი, ე. ი. „ხეობას“ – ა. ლ. ტოპონიმში სუფიქსია და არა ეთნონიმი. დარი-ალ-ი სიტყვისგან დარე არის წარმოებული.



# ნათია მახარაძე

## პუბლიცისტიკური ზეპის ნათაურთა სჯრუქჯურა XIX საუკუნის ქართულენოვან პრესაში

მე-19 საუკუნე ეს იყო ეპოქა, როდესაც ინფორმაციის გავრცელებისა და მიღების მთავარ წყაროს მედია წარმოადგენდა. ქვეყნის ისტორიული, სოციალური თუ კულტურული სიახლეები, ცვლილებები, პირველყოვლისა აისახებოდა პრესაში. ამ დროს პუბლიცისტური ტექსტებისა და მათი სათაურის მთავარი ფუნქცია იყო ინფორმაციის მიწოდება, ზოგჯერ მკითხველთა დაინტერესებაც. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ იმდროინდელი ფონიდან გამომდინარე, პუბლიცისტური ტექსტების სათაურში არ იყო საჭირო რეკლამისა და ინტრიგის ჩადება (ეს ფუნქცია 21-ე საუკუნეში შეიძინა), რადგან ისედაც კითხულობდნენ, საზოგადოება ელოდებოდა ჟურნალ-გაზეთების ახალ ნომერს, რომლისგანაც მიიღებდა საქართველოსა და მსოფლიოში არსებულ მოვლენათა შესახებ ინფორმაციას. ჩვენ მიერ მოპოვებულ ემპირიულ მასალებში, კერძოდ, 1866-1901 წწ. გამოცემის ჟურნალ-გაზეთებში, ჩანს, რომ სათაური ასრულებს ინფორმაციულ ფუნქციას, ამის კარგი მაგალითია ერთსიტყვიანი სათაურები, რომლებიც არის სახელითა და სახელზმნით გადმოცემული სახელდებითი წინადადებები, ადგილის, დროის, ვითარების გარემოებანი და განსაზღვრებებიც.

### ერთსიტყვიანი სათაურები:

აღნიშნული პერიოდის ქართულენოვან პრესაში თვალში საცემია ერთსიტყვიანი სათაურები: „სტიპენდიები“; „პოლიტიკა“; „საბერძნეთი“ (გაზ., „ივერია“, 1883 წ., №07-08); „ვაჭრობა“ (გაზ., „ივერია“, 1885 წ., №08); „უცხოეთი“; „სალამო“; „დეპუტა“ (გაზ., „ივერია“, 1889 წ., №73); „სახელდახელო“; „კურდღელაური“; „საბედნიერ-დღეოდ“ (გაზ., „ივერია“, 1901 წ., №282); „ფორტა“ (გაზ., „სასოფლო გაზეთი“, 1869 წ., №19); „მაჭახელა“ (გაზ., „ივერია“, 1878 წ., №47); „სტამბოლიდან“ (გაზ., „კვალი“, 1895 წ., №23); „ტელეგრამები“; „საქართველო“ (გაზ., „დროება“, 1869 წ., №26); „პოლიტიკა“ (გაზ., „დროება“, 1866 წ., №12); „პარიჟი“; „პეტერბურლი“; „მწერლობა“ (გაზ., „დროება“, 1879 წ., №1); „პეტერბურგი“; „პარიზი“ (გაზ., „ცნობის ფურცელი“, 1896 წ., №11); „რძე“; „ღვინო“ (გაზ., „სასოფლო გაზეთი“, 1869 წ., №10); „ქრთამი“ (გაზ., „სასოფლო გაზეთი“, 1869 წ., №1)...

ამგვარი სათაურების ფუნქცია მკითხველისთვის ინფორმაციის მიწოდება იყო. მკითხველმა იცის, რომ ტექსტში იმის შესახებ იქნება საუბარი, რაზედაც სათაური მიუთითებს, სათაურის თვისება იყო მკითხველის მიყვანა ტექსტამდე, ხოლო ავტორის მოტივაცია იყო ახალი ინფორმაციის მიწოდება.

მე-19 საუკუნის პუბლიცისტურ ტექსტებში ხშირია სუბსტანტიურ და ატრიბუტულ მსაზღვრელიანი სათაურები, ესეც დამადასტურებელია იმისა, რომ სათაურის მთავარი ფუნქცია ინფორმაციულობაა, დამსათაურებელი ფიქრობდა მოკლე და სხარტ სათაურზე, რომელიც გახდებოდა ტექსტთან მისაყვანი გზა, მისი მთავარი ამოცანა იყო სათაურის მეშვეობით მკითველისთვის იმ ინფორმაციის მიწოდება, რაზეც ტექსტში იქნებოდა საუბარი.

ერთსიტყვიანი სათაურების პარალელურად XIX საუკუნის ქართულენოვან პრესაში აქტიურად გვხვდება ორსიტყვიანი, ძირითადად მსაზღვრელ-საზღვრულიანი სათაურები. მსაზღვრელად კი ორივე ტიპია გამოყენებული, როგორც სუბსტანტიური, ისე ატრიბუტული:

**სუბსტანტიურ-მსაზღვრელიანი სათაურები:** „საზოგადოების სკოლები“, „საზოგადოების ბიბლიოთეკა“ (გაზ., „ივერია“, 1883 წ., №07-08); „პოლიტიკის მიმოხილვა“ (გაზ., „ივერია“, 1883, №9); „მგზავრის დღიური“ (გაზ., „ივერია“, 1878 წ., №44); „ღვინის დაყენება“, „უცხოეთის მიმოხილვა“ (გაზ., „მოამბე“, 1894 წ., №12); „გვირგვინის კურთხევაზე“ (გაზ., „კვალი“, 1896 წ., №24); „კრიტიკის კრიტიკა“ (გაზ., „კვალი“, 1895 წ., №23); „მმართველობის განკარგულება“ (გაზ., „დროება“, 1866 წ., №12); „პროვინციის ვითარება“ (გაზ., „კვალი“, 1897 წ., №25), „დასასრულის დასაწყისი“, „კვალის“ კორესპონდენციები“, „მგზავრის შენიშვნები“ (გაზ., „კვალი“, 1898, №26) და ა. შ.

**ატრიბუტულ მსაზღვრელიანი სათაურები:** „სუსტი მხარე“ (გაზ., „დროება“, 1884 წ., №32); „სადაო მბლობელობა“ (გაზ., „დროება“, 1884, №12); „შინაური ქრონიკა“ (გაზ., „დროება“, 1884 წ., №92); „ბიბლიოგრაფიული ცნობა“ (გაზ., „დროება“, 1866 წ., №12); „დავინყებულ საქმე“, „ნერილები ინგლისიდან“ (გაზ., „კვალი“, 1897 წ., №25), „უმაღლესი მანიფესტი“ (გაზ., „კვალი“, 1896 წ., №24); „ჩემი სურათი“, „საქველ-მოქმედო საქმე“, „ქართველი მონაფენი“ (გაზ., „კვალი“, 1898 წ., №26); „საბალოსნო წარმოება“ (გაზ., „კვალი“, 1893 წ., №23); „წვრილი ამბები“ (გაზ., „ივერია“, 1989 წ., №73); „შინაგანი ცნობები“ (გაზ., „სასოფლო გაზეთი“, 1869 წ., №16); „შესანიშნავი ფური“ (გაზ., „სასოფლო გაზეთი“, 1869 წ., №6) და ა. შ.

ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია მარტივი სახელდებითი წინადადებებით დასათაურება, იქნება ეს გაუვრცობელი, რომელიც ზევით დავიმომხმეთ ერთსიტყვიანი დასათაურების სახელით, თუ გავრცობილი. ზოგადად, სახელდებითი წინადადება აქტიურად გამოიყენება პოეტურ მეტყველებაში ბუნების სურათის აღწერისა და სწრაფად ცვალებადი შემთხვევების გადმოსაცემად, მწერალი მოკლედ და ნათლად გვიხატავს მოვლენებს. მე-19 საუკუნის პუბლიცისტულ ტექსტებში კი სახელდებითი წინადადებებიანი სათაურები ხშირი და დამახასიათებელია, ამ პერიოდისათვის არ გვხვდება პრედიკატიანი სათაური. **„სახელდებითი“** ჰქვია უშემასმენლო წინადადებას, რომლის მთავარი წევრი (ქვემდებარე) გადმოცემულია სახელობით ბრუნვაში დასმული არსებითი სახელით ან სახელზმნით. სახელდებითი წინადადება ყოველთვის ერთშემადგენლია. მასში შემასმენელი არაა და არც გამოტოვებულადა იგულისხმება. აქ მთავარი წევრი გადმოცემულია არსებითი სახელის სახელობითი ბრუნვის ფორმით. სწორედ ამის გამო უწოდებენ **ნომინატიურ** წინადადებასაც“ (ფეიქრიშვილი, 1996:174).

#### **გავრცობილი და გაუვრცობელი სახელდებითი წინადადებები სათაურებად**

გავრცობილი სახელდებითი წინადადებებით გადმოცემული სათაურები მოკლედ, ნათლად და მოხდენილად გადმოსცემს სათქმელს, მოვლენას, მოქმედების დროსა და ადგილს. სახელდებითი წინადადებები შეიძლება გადმოცემული იყოს და' კავშირით შეერთებული რამდენიმე ერთგვარი წევრით, რამდენიმე მსაზღვრელით, თანდებულთა და ა. შ.

#### **თანდებულთა გადმოცემული სახელდებითი სათაურები:**

„**წურნალის ივერიის მკითხველთა მიმართ**“ (გაზ., „ივერია“, 1883 წ., №07-08), „**მხოლოდ დღესასწაულამდე**“ (გაზ., „ივერია“, 1889 წ., №73), „**უცხოთა შორის**“, „**წერილი გურიიდან**“ (გაზ., „ივერია“,

1901 წ., №282), „წერილი რედაქტორთან“ (გაზ., „ივერია“, 1878 წ., №35); „წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნთ-საწყობში“ (გაზ., „ივერია“, 1901 წ., №282), „კავთობა სოფელ კურდღელაურში“ (გაზ., „ივერია“, 1877 წ., №16), „მცირეწლოვან დამნაშავეთა თავ შესაფარი ზემო ავჭალაში“ (გაზ., „კვალი“, 1899 წ., №27), „მოქმედების პარტიის მიტინგი ნეაპოლიის ქალაქში“ (გაზ., „დროება“, 1866 წ., №6), „მორიგის ლაშქრობის განაჩენი მეორე ერეკლე მეფისაგან“, „რამდენიმე ცნობა ჩინეთის მეურნეობაზე“ (გაზ., „დროება“, 1866 წ., №28), „ტყის შენახვის თაობაზე“ (გაზ., „სოფლის გაზეთი“, 1869 წ., №19)...

**ერთგვარწევრიანი სახელდებითი სათაურები:**

„საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილი“ (გაზ., „ივერია“, 1883 წ., №07-08), „პროვინციალური მეთვალყურის ჩივილი და შედეგები“, „ქალების არჩევანის უფლება და ინგლისის პარლამენტი“ (გაზ., „ივერია“, 1878 წ., №47), „ქართველთა და სომეხთა ურთიერთობა“ (გაზ., „კვალი“, 1893 წ., №21), „კანონი და მთავრობის განკარგულება“ (გაზ., „ცნობის ფურცელი“, 1896 წ., №17), „მინისძვრა და ცეცხლ-მქმინავი მთები“ (გაზ., „სოფლის გაზეთი“, 1869 წ., №6)...

**მსაზღვრელით წარმოდგენილი სახელდებითი სათაურები:**

„ახალი წიგნების ბეჭდვა“, „ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლა“, „ოსმალის სომხეთის საქმე“, „დასახარჯი მომავლის წლისათვის“, „სამეგრელოს სათავადაზნაურო სკოლის კურთხევა“ (გაზ., „ივერია“, 1883 წ., №07-08); „კერძო სამკურნალო“, „ტფილისის კერძო სამკურნალო“, „ჩვენი სტუდენტების საყურადღებოდ“ (გაზ., „ივერია“, 1901 წ., №282); „საქმე ანდრეევსკის ქალის დაკარგვისა“, „სიღნაღის არეულობის საქმე“ (გაზ., „ივერია“, 1878 წ., №47); „ჩვენი ლიტერატურის მდგომარეობა“, „ქალაქის ხმოსანთა არჩევანები“, „ძალად ლიტერატორები“ (გაზ., „კვალი“, 1893 წ., №21), „ჩვენი მწერლობის წერილმანები“, „ევროპის ძველი და ახალი მეურნეობა“ (გაზ., „კვალი“, 1899 წ., №27)... და ა. შ.

სახელდებითი მარტივ წინადადებიანი სათაურები, მე-19 საუკუნის 60-იან წლებში, მოდალობის მიხედვით, ძირითადად, თხრობითია, რაც დამსათაურებლის სინამდვილესადმი ობიექტურ დამოკიდებულებას გამოხატავს. აღნიშნულ პერიოდში, ძალიან იშვიათად გამოვლინდა კითხვით ან ძახილისნიშნისანი სათაურები. ჩვენ მიერ მოპოვებულ ემპირიულ მასალებში მხოლოდ ორიოდე სათაური იყო ბრძანებით და კითხვით წინადადებიანი: „ნუ ახველებ!“ (გაზ., „ივერია“, 1889 წ., №73), „ვითომ მართალია?“ (გაზ., „დროება“, 1884 წ., №32). ეს უნდა აიხსნას იმით, რომ იმდროინდელი სინამდვილე ყოველგვარი გაფერადებისა და ემოციების გარეშე გადმოიცემოდა, დამსათაურებელი ინარჩუნებდა ობიექტურობას, რაც 21-ე საუკუნეში ჭირს და ნებისმიერ ფაქტს ისე გადმოსცემდა, რომ მთქმელის დამოკიდებულება გამოთქმული აზრისა თუ არსებული მოვლენისადმი არ ჩანდა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გაზეთებში: „დროება“ და „ცნობის ფურცელი“ გვხვდება ნულოვანი სათაურებიც, სამი სახის ნიშნით „პლიუსით +“, „მოკლე ხაზით –“ და „სამი ვარსკვლავით\*\*\*“, ტექსტებს სათაურის ნაცვლად აქვს გარკვეული მარკერები. ზოგადად, „მარკირებული“ სათაური პოეზიისათვისაა დამახასიათებელი, მაგრამ გვხვდება მედიანშიც, ძირითადად პატარა ტექსტებშია გამოყენებული. ამის მიზეზად შეიძლება დავასახელოთ ინფორმაციის წყაროთა დეფიციტი, შეიძლება ვთქვათ, რომ ძველად ინფორმაციის მომწოდებელი, ძირითადად, გაზეთი იყო, რომელსაც ინტერესით კითხულობდნენ, რათა არ გამორჩენოდათ საჭირო ინფორმაცია, ამიტომ უსათაურო ტექსტებიც, შეიძლება ითქვას, იქცევა მკითხველის ყურადღებას, იმ მიზნით, რამე არ იმალებოდეს ამის ქვეშ.

მე-19 საუკუნის მედიაში ყურადღებას იქცევს რუბრიკები სახელწოდებით: „სხვა-და-სხვა ამბავი“, „კვალის“ კორესპონდენციები“, „საქველ-მოქმედო საქმე“, „საყურადრებო ამბები“... ასეთი და-



სათაურება, რა თქმა უნდა, გამოყენებული იყო მკითხველის დაინტერესებისთვის. გვხვდება ასეთი სახელწოდებებიც: „პოლიციის მატთანე“, „გამოსადეგი ცნობა“, „თეატრის მატთანე“, „წერილი რედაქციის მიმართ“, „ამიერ კავკასიის რკინის გზა“, „ვაჭრების და იჯარადების საყურადღებოდ“, „ძალად ლიტერატორები“, „ახალი ამბავი“ და ა. შ. ესეც ერთ-ერთი დამადასტურებელია იმისა, რომ იმ დროისათვის რეალური ინფორმაციის მიწოდება იყო მთავარი და არა მკითხველზე ზემოქმედების მოხდენა.

გამომდინარე აქედან, მე-19 საუკუნის ქართულენოვან პრესაში სათაურს ახასიათებს:

**ა) ინფორმაციულობა** (სათაურში მოკლედ და ოსტატურადაა ჩადებული ის ინფორმაცია, რომლის შესახებაც ტექსტში იქნება საუბარი);

**ბ) ლაკონიურობა** (ყველა სათაური მოკლე, სხარტი, მარტივი წინადადებითაა გადმოცემული და ადვილია აღსაქმელად);

**გ) ტექსტთან ბმულობა** (სათაურით გადმოცემული ინფორმაცია პირდაპირ კავშირშია მისივე ტექსტთან და მასთან მიყვანის გზას წარმოადგენს).

ემპირიული მასალიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მე-19 საუკუნის ქართულენოვან პრესაში სათაურს არ ახასიათებს:

**ა) მეტაფორულობა;**

**ბ) ალუზიურობა;**

**გ) იმპლიციტურობა;**

**დ) ორაზროვნება;**

**ე) სკანდალურობა.**

რაც შეეხება სათაურთა სტრუქტურას, გვხვდებოდა მარტივწინადადებიანი სახელდებითი (გავრცობილი ან გაუვრცობელი) კონსტრუქციით.

ამრიგად, მე-19 საუკუნის პუბლიცისტური ტექსტების სათაურები გადმოიცემა მარტივი გაუვრცობელი და გავრცობილი სახელდებითი წინადადებებით, არ გვხვდება პრედიკატიანი და რთულწინადადებიანი სათაურები. მოდალობის მიხედვით, ძირითადად, თხრობით კილოიანი სათაურებია, რომლის მიზეზადაც დავასახელებთ დამსათაურებლის მხრიდან რეალობის ობიექტურად გამოსატყვა, ხშირია სუბსტანტიურ და ატრიბუტულ მსაზღვრელ-საზღვრულიანი სათაურები, რომლებიც ამ პერიოდის პრესის მახასიათებლადაც კი შეიძლება ჩაითვალოს. ის რომ, მე-19 საუკუნის პუბლიცისტურ ტექსტებში მხოლოდ მარტივი სახელდებითი წინადადებით გადმოცემული სათაურები გვხვდება, ვფიქრობთ, ამის მიზეზი უნდა იყოს: 1) მედიისათვის განწერილი წესები, რომელსაც იმ პერიოდისათვის ერთსულოვნად იცავდნენ, ამას ჩვენი ემპირიული მასალა ადასტურებს; 2) ჟურნალისტთა პასუხისმგებლიანობა და პროფესიონალიზი, სათაურებიდანაც ჩანს და იგრძნობა მათი მხრიდან ობიექტური დამოკიდებულება და ფიქრის შედეგად სათაურის შერჩევა; 3) ენობრივი კანონზომიერება. ზოგადად, რთული წინადადება შედარებით გვიანდელ ენობრივ მოვლენადაა მიჩნეული, შესაბამისად ამ პერიოდისათვის უფრო მარტივი წინადადების გამოყენება იყო მიზანშეწონილი, ადვილად მისახვედრი. დამსათაურებელს თავისი მკითხველი მიჩვეული ჰყავდა მსგავს სათაურებზე, შესაბამისად, ისინი ამგვარად გადმოცემულ სათაურებს ადვილად იმახსოვრებდნენ და აღიქვამდნენ. ამ პერიოდისათვის სათაურის ძირითადი ფუნქცია, თანამედროვეობისაგან განსხვავებით, ინფორმაციის მიწოდება იყო ყოველგვარი ინტრიგისა და აპელაციის გარეშე.

# ჭორბი 6

2019

მალხაზ ფალავას  
პირადი წიფრული  
ბიბლიოთეკა

2019 [malkhaz.pagava@mail.ru](mailto:malkhaz.pagava@mail.ru)